

თინა ბექაური

ავთანდილა საგინაშვილი

ქათემატიკა

2



მასწავლებლის
წიგნი

თინა ბექაური
ავთანდილ საგინაშვილი

მათემატიკა 2

|| კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

ს ა რ ჩ გ ვ ი

შესავალი	4
თემატური გეგმა	9
შინაარსისა და მიზნების რუკა	11
გაკვეთილები (მიზნები, სცენარები, მეთოდური რეკომენდაციები). . .	13
ტესტირების განმავითარებელი შეფასების ნიმუში.	143
საპროექტო დავალების ნიმუშები	144
პროექტის განმავითარებელი შეფასების ნიმუში.	145
შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები	146
როგორ შევამოწმოთ გაკვეთილზე საშინაო დავალება	152
დამატებითი ამოცანები	155
განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში (სასწავლო წლის ბოლოსთვის)	159
ელექტრონული რესურსები	161

შესავალი

IV კლასის მათემატიკის ჩვენ მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები აგებულია პრინციპით, რომლის არსი დაკავშირებულია შემდეგი სამი კითხვის პასუხთან:

I. „რატომ ვასწავლოთ?”

o მათემატიკა ჩვენი ცხოვრების ნაწილია. განუზომელია მისი სამეცნიერო და კულტურული ღირებულება. მათემატიკას ვიყენებთ ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროში. მის გარეშე წარმოუდგენელია საინფორმაციო თუ გამოთვლითი ტექნოლოგიების და საერთოდ, კაცობრიობის განვითარება, ცივილიზაციის ჩამოყალიბება. მათემატიკა ხელს უწყობს ადამიანის გონიერი შესაძლებლობების განვითარებას, იძლევა ეფექტიანი, ლაკონური და არაორაზროვანი კომუნიკაციის საშუალებას. მათემატიკის დახმარებით შესაძლებელია რთული სიტუაციის თვალსაჩინოდ წარმოჩენა, მოვლენების ახსნა და მათი შედეგების განვირება, სიტუაციის გაანალიზება და პრობლემების გადაჭრა.

o ჩვენი ამოცანა განვახორციელოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მათემატიკის სწავლების კონცეფციაში“ ჩამოყალიბებული სასკოლო მათემატიკური განათლების ძირითადი მიზნები:

- მოსწავლებისათვის აზროვნების განვითარება;
- დედუქციური და ინდუქციური მსჯელობის, შეხედულებათა დასაბუთების, მოვლენებისა და ფაქტების ანალიზის უნარის განვითარება;
- მათემატიკის, როგორც სამყაროს აღწერისა და მეცნიერების უნივერსალური ენის ათვისება;
- მათემატიკის, როგორც ზოგადსაკაცობრიო კულტურის შემადგენელი ნაწილის გაცნობიერება;
- სწავლის შემდგომი ეტაპისათვის მომზადება;
- ცხოვრებისეული ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო ცოდნის გადაცემა და ამ ცოდნის გამოყენების უნარის განვითარება.

I. „რა ვასწავლოთ?”

უნდა ვასწავლოთ ის, რაც სახელმწიფო სტანდარტითაა გათვალისწინებული და გამოუმუშაოთ ძირითადი უნარ-ჩვევები, რომელთა ჩამოყალიბებასაც ემსახურება თანამედროვე მათემატიკური განათლება.

II. „როგორ ვასწავლით?”

სწორედ ამ კითხვაზე პასუხთანაა დაკავშირებული:

ა) კურსის შინაარსის აგების ლოგიკა, რომლის საფუძველიც თემატური პრინციპია. სრული შესაბამისობაა დამყარებული სახელმძღვანელოებში გადმოცემულ თემებსა და სტანდარტით გათვალისწინებულ საკითხებს შორის.

კურსის ასეთი ლოგიკით აგება საშუალებას იძლევა:

- ყოველი მომდევნო თემა ორგანულად იყოს დაკავშირებული უკვე შესწავლილ თემებთან;
 - შეემნას შესწავლილი მასალის გამეორებისა და განმტკიცების, ღრმად გააზრების პირობები;
 - სხვადასხვა ასპექტში მოხდეს ახალი და შესწავლილი მასალის შეთანადება, განზოგადება, დიფერენცირება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა.
- ბ) საგნის სწავლებისადმი მეთოდური მიდგომა, რომლის საფუძველში ჩადებულია
- კავშირები სასწავლო საგნებს შორის, ვერბალურ, სქემატურ და სიმბოლურ მოდელებს შორის;

- ზოგადი წარმოდგენების ფორმირება ცვლილებების, კანონებისა და კანონზომიერებების შესახებ, რაც საიმედო საფუძველს წარმოადგენს მათემატიკის სწავლების მომდევნო საფეხურისა და გარემომცველი სამყაროს კანონზომიერებებისა და ცვლილებების შეცნობისათვის.
 - მოსწავლის ინდივიდუალური განსაკუთრებულობის, ცხოვრებისეული გამოცდილების, უნარ-ჩვევების გათვალისწინება.
- გ) სასწავლო დავალებების სისტემა, რომელიც უმცროსკლასელთა ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებითაა შედგენილი. იგი იცავს ბალანსს ლოგიკასა და ინტუიციას, ცნობიერსა და ქვეცნობიერს, მიხვედრილობასა და დასაბუთებას შორის. დავალებების შესრულების პროცესი პროდუქტიული ხასიათისაა. ამასთან, გამოყენებულია:
- მოსწავლისადმი პირდაპირ მიმართვა ამოცანებსა და ტექსტებში;
 - ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილებში და პრაქტიკული სამუშაოები;
 - ამოცანები ღია და დახურული პასუხებით;
 - ლონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარებას. ესენია მსჯელობა-დასაბუთების, კომუნიკაციის, პრეზენტაციის, პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევები.

„მათემატიკა 2“-ის კომპლექტში შედის:

- 1) მოსწავლის წიგნი. წიგნი ორნაწილიანია. მისი ძირითადი ერთეულია გაკვეთილი, რომელიც წარმოადგენს დავალებათა ერთობლიობას №1 სავარჯიშოდან, მომდევნო №1 სავარჯიშომდე და გათვლილია ერთ აკადემიურ საათზე. გაკვეთილი თემებისა და მიზნების მიხედვით გაერთიანებულია თავებად. წიგნი სულ 5 თავისაგან შედგება.
- 2) მოსწავლის რვეული. რვეული ორნაწილიანია. იგი თემატურად სახელმძღვანელოში მოცემული გაკვეთილების მიხედვითაა აგებული. თითოეულ გაკვეთილს 2-3 დავალება შეესაბამება.
- 3) მასწავლებლის წიგნი, რომლითაც მასწავლებელს სწავლა-სწავლების მეთოდურ რეკომენდაციებს ვთავაზობთ, რომლებიც მოცემულია გაკვეთილების მიხედვით.

ყოველ თავს და თავში შემავალ ყოველ გაკვეთილს მითითებული აქვს მიზნები, რაც მასწავლებელს მიზანმიმართული მუშაობის საშუალებას მისცემს. მოცემულია ზოგიერთი დავალების დანიშნულებისა და შინაარსის ახსნა-განმარტება, დამოუკიდებელი სამუშაოს ნომრები ან მასალები, გაკვეთილების გეგმები, დეტალურად გაწერილი სცენარები, პრაქტიკული სამუშაოები, ჯგუფური და წყვილებში მუშაობები.

მოცემულ მასალას მასწავლებელი სათანადო კორექტირებით მოარგებს კოკნკრეტულ კლასს, მისი დონის, შესაძლებლობებისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მიერ მოცემული მეთოდური რეკომენდაციები რეალურ დახმარებას გაუწევს მასწავლებელს სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში.

მოკლედ შევეხოთ სახელმძღვანელოში გამოყენებული მეთოდიკის ზოგიერთ ასპექტს მიმართულებების მიხედვით.

რიცხვები და მოქმედებები

ეს მიმართულება დაწყებითი სკოლის მათემატიკის ფუნდამენტს წარმოადგენს. მისი ობიექტები ნატურალური რიცხვებია. სტანდარტის მიხედვით მოსწავლეებს მოეთხოვება თვლა, ჩანსტრანგირება და შეკრება-გამოკლება 100-ის ფარგლებში.

მეორე კლასში გრძელდება მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მოსწავლემ გაიაზროს ნატურალური რიცხვი, როგორც კონკრეტული ობიექტებისაგან დამოუკიდებელი, აბსტრაქტული ცნება.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია რიცხვების გააზრების სამი განსხვავებული მიდგომა:

I. ნატურალური რიცხვი, როგორც ერთეულების ერთობლიობა. მაგალითად, 2 არის 1 და 1; 3 არის 1, 1 და 1 და ა.შ. რიცხვის ასეთი გააზრება პასუხობს შეკითხვას „რამდენი?“. სახელმძღვანელოში შესაბამისი სავარჯიშოები გროვაში ობიექტთა რაოდენობის დათვლაზე, რაოდენობის მის ციფრულ ჩანაწერთან დაკავშირებაზეა დამყარებული.

II. ნატურალური რიცხვი, როგორც ტოლი რაოდენობის ობიექტებისგან შედგენილ გროვათა საერთო მახასიათებელი. მაგალითად, 2 არის ის საერთო, რაც აქვს 2 კურდლელს და 2 ხეს. რიცხვის ასეთი გააზრება პასუხობს შეკითხვებს „ტოლი რაოდენობისაა?“, „რომელია მეტი?“, „რომელია ნაკლები?“. შესაბამისი სავარჯიშოები სახელმძღვანელოში შესადარებელ გროვებში ობიექტებს შორის ურთიერთცალსახა თანადობის დამყარებაზეა აგებული (დაწყვილებაზე, ხუთეულებად ან ათეულებად დაჯგუფებაზე).

III. ნატურალური რიცხვი, როგორც ადგილი მწკრივში. მაგალითად, წითელი ბურთი მეორეა მწკრივში. რიცხვის ასეთი გააზრება პასუხობს შეკითხვებს: „მერამდენეა?“, „რა არის წინა?“, „რა არის მომდევნო?“, „რომელია შორის?“. შესაბამისი სავარჯიშოები ობიექტთა მიმდევრობაში ობიექტის ადგილის დადგენაზე (მერამდენეა წითელი ბურთი), ადგილის მიხედვით ობიექტის დასახელებაზე (რა საგანია რიგში მეორე?), ობიექტების წინასწარ მოცემული თანმიმდევრობით დალაგებაზეა აგებული.

სახელმძღვანელოსა და სამუშაო რვეულში მოცემული სავარჯიშოები, რომლებიც ძირითადად თვალსაჩინოებებზეა აგებული, ერთნაირად ეთმობა ზემოჩამოთვლილ სამივე მიდგომას.

სავარჯიშოების ერთი წანილი რაოდენობათა გაორმაგება-განახევრებას და მის თვალასჩინოებით დემონსტრირებას ეხება.

გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ის „შეუსაბამობა“, რაც რიცხვების ათობით სისტემაში ჩანსტრანგირება და მათ ქართულ ათობით-ოცნებით სახელდებას (წაკითხვას) შორისაა. ამ სირთულის დასაძლევად სახელმძღვანელოში ჯერ ვასწავლით ოცეულების ნუმერაციას (20, 40, 60, 80, 100), ხოლო შემდეგ, 21-დან 100-მდე რიცხვების ნუმერაციას. გზადაგზა ხდება ერთეულების დაჯგუფება ათეულებად (30, 50, 70, 90). პარალელურად ხდება დაკვირვება რიცხვების თანრიგობრივ შედგენილობაზე, 0-ის როლზე, ერთი რიცხვიდან მისი წინა და მომდევნო რიცხვის მიღებაზე, მრგვალი ათეულებისა და ოცეულების მწკრივზე, მათი წინა და მომდევნო წევრების მიღებაზე, ერთეულებსა და ათეულებს, ათეულებსა და ოცეულებს შორის მიმართებებზე.

თავდაპირველად რიცხვის ათობით და ოცნებით შედგენილობებს თანაბარი ყურადღება ეთმობა, ხოლო შემდეგ თანდათან ათობითს ეძლევა უპირატესობა, რადგან მოსწავლე მზად უნდა იყოს ორნიშნა რიცხვების შეკრება-გამოკლების შესასწავლად, რომელიც ათობით სისტემას ეყრდნობა. 100-ის ფარგლებში ზეპირი შეკრება და გამოკლება უნდა შესრულდეს ქართული ზეპირი ნუმერაციის საფუძველზე ოცეულების მიხედვით.

სახელმძღვანელოსა და სამუშაო რვეულში მოცემული მარტივი (არაუმეტეს ორმოქმედე

ბიანი) ამოცანები შეკრება-გამოკლების მოქმედებაზე სამიზნე ასაკის მოზარდთა ყოველ-დღიურ ცხორების ულ პრაქტიკასთანაა დაკავშირებული. იმის გამო, რომ ამ ასაკის მოზარდებს კითხვის ტექნიკის და წაკითხულის გააზრების ჯერ კიდევ დაბალი დონე აქვთ, ტექსტური ამოცანების წაკითხვა-გააზრებაში მასწავლებლის დახმარება აუცილებელია. ეს დახმარება შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს: ხმამაღლა წაიკითხოს ან/და წაკითხოს მოსწავლეს ტექსტი, ჩამოყალიბოს ან ჩამოყალიბებინოს მოსწავლეს თითოეული წინადადების შინაარსი სხვა სიტყვებით, თვალსაჩინოებების დახმარებით აჩვენოს ან/და აჩვენებინოს მოსწავლეს ამოცანაში მომხდარი რაოდენობრივი ცვლილება და ა.შ.

კანონზომიერებები და ალგებრა

ეს მიმართულება მეორე კლასის დონეზე ნახატების, საგნების, რიცხვების მიმდევრობაში მარტივი კანონზომიერების აღმოჩენისა და გაფრცობის უნარის განვითარებას ემსახურება. კანონზომიერებაში აქ იგულისხმება რაიმე ნიშნით (მაგალითად, ფერით ან ფორმით) განსხვავებული საგნების მარტივი წესის მიხედვით დალაგებული მიმდევრობა. ამ მიმართულების ამოცანების გარკვეული ნაწილი ობიექტების მსგავსება-განსხვავებულობის ამოცნობას (რით პგავს, რით განსხვავდება), სიტყვიერად ჩამოყალიბებული წესის მიხედვით დალაგებული მიმდევრობის ამოცნობას ან/და ამ წესის მიხედვით საგნების დალაგებას ეთმობა.

მეორე კლასში ვაგრძელებთ ტოლობის უცნობი კომპონენტის პოვნის ამოცანებს. აქაც, ისევე როგორც პირველ კლასში, შეკრება-გამოკლების საძიებელი კომპონენტი რაიმე სიმბოლოთი (და არა ცვლადით) არის აღნიშნული. განსხავება მხოლოდ ისაა, რომ ამ შემთხვევაში მოქმედებები 100-ის ფარგლებში ხდება.

გეომეტრია და სივრცის აღქმა

ამ მიმართულების დავალებები ბრტყელი ფიგურების აღნერას (მაგ. წვეროების ან გვერდების რაოდენობა), ზომების შეთავსებით და თვალზომით შედარებას (ტოლი, გრძელი, მოკლე), ზომებისა და ობიექტებს შორის მანძილის არასტანდარტული (მაგალითად მტკაველი, ნაბიჯი) ერთეულებით დადგენას ეძღვნება.

სახელმძღვანელოს დავალებათა ერთი ნაწილის მიხედვით მოსწავლეები თვითონ ამზადებენ ფიგურების მოდელებს, ადარებენ მათ შეთავსებით, მათი კომბინაციებით ქმნიან სხვადასხვა საგნებს და ა.შ.

გეომეტრიის მიმართულებას ეკუთვნის, აგრეთვე, მოსწავლის რვეულში მოცემული სავარჯიშოები, რომლებშიც წერტილების მოცემული თანმიმდევრობით შეერთებაა საჭირო (ეს თანმიმდევრობა რიცხვებითა მოცემული), რის შედეგად გარკვეული ნახატი იქმნება.

მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა

ამ მიმართულების საკითხები მეორე კლასიდან ისწავლება. საწყის ეტაპზე მოწავლეს მოეთხოვება თავისი ირგვლივ არსებული უმარტივესი თვისობრივი მონაცემების შეგროვება, მოწესრიგება და ინტერპრეტაცია. სახელმძღვანელოში მიმართულებას ეძღვნება სავარჯიშოები, რომლებშიც მოსწავლეებს მოეთხოვებათ საგნების რაიმე ნიშნით დაჯგუფება, პიქტოგრამიანი უმარტივესი ცხრილების ინტერპრეტაცია, მონაცემთა რაოდენობის დადგენა, შეგროვილი მონაცემების ცხრილის სახით წარმოდგენა და სხვა.

სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია შეკითხვების დასმა. ამ ინსტრუმენტის გამოყენების არეალი საკმაოდ ფართოა: შეგვიძლია შევაფასოთ მოსწავლის ცოდნა, წარმართვის მოსწავლეთა აზროვნება, ვუბიძეოთ მსჯელობისკენ, პასუხის დაზუსტებისკენ, გავზარდოთ მოსწავლეთა მოტივაცია და სხვა.

კითხვა-პასუხის წარმართვაში დახელოვნებული მასწავლებელი ამ ინსტრუმენტით მიახვედრებს მოსწავლეებს გაკვეთილის თემასა და მიზანს, გააზრებინებს მასალას და ამოახსნევინებს მაღალი კოგნიტური დონის ამოცანებსაც კი.

კითხვა-პასუხის წარმართვის უამრავი ნიმუშია წიგნის საგაკვეთილო სცენარებში. მათი გაცნობა და პრაქტიკაში დანერგვა დიდად წაადგება მასწავლებელს სასწავლო მიზნების განხორციელებაში.

შესაბამისი შეკითხვების დასმა გამოიყენება აგრეთვე, სწავლის მონიტორინგის მიზნით. შესაბამისი შეკითხვების დასმით მასწავლებელს შეუძლია შეფასოს მოსწავლეების ცოდნის დონე, მისცეს უკუკავშირი, რომელიც მოსწავლეს წინსვლაში დაეხმარება.

მასწავლებელს შემუშავებული უნდა ჰქონდეს მოსწავლეებისათვის გასაგები შეფასების კრიტერიუმები. მაგალითად, მოსწავლემ ზუსტად უნდა იცოდეს რას ნიშნავს კარგი საშინაო დავალება ან/და რა შემთხვევაში შეფასდება მისი აქტივობა დადებითად. მასწავლებელი, განმავითარებელი შეფასების დროს, ეფექტურად უნდა იყენებდეს შექებას, რომელიც წაახალისებს მოსწავლეს, გაზრდის მოსწავლის მოტივაციას. მაგრამ შექება არ უნდა იყოს ტრაფარეტული, აუცილებლად უნდა შეიცავდეს უკუკავშირს და უბიძგებდეს მოსწავლეს სიძნელეების დაძლევისა და ხარვეზების გამოსწორებისაკენ.

მოსწავლის წიგნში გვაქვს შემაჯამებელი სამუშაოები - ტესტები ამოსარჩევი პასუხებით (ამ ტესტების პასუხები მასწავლებლის წიგნშია მოცემული). ტესტების მიზანია მოსწავლის მიერ ამა თუ იმ თემის დაძლევის დონის განსაზღვრა და შესაბამისი ზომების მიღება ხარვეზების გამოსასწორებლად.

სახელმძღვანელოში მოცემულია სხვადასხვა სახის აქტივობები. მაგალითად, დამოუკიდებელი მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, პროექტის პრეზენტაცია და სხვა. სხვადასხვა აქტივობას კლასის ორგანიზაციის განსხვავებული ფორმა სტირდება (მერხების განლაგება, მოსწავლეთა გადაჯგუფება და სხვა). მნიშვნელოვანია, რომ აქტივობის სახეცვლილება ხდებოდეს ორგანიზებულად, დრო ფუჭად არ იხარჯებოდეს. მასწავლებელი უნდა იძლეოდეს ზუსტ და მკაფიო ინსტრუქციებს აქტივობებთან დაკავშირებით. მოსწავლეებს გათავისებული უნდა ჰქონდეთ, თუ რა უნდა აკეთონ ამა თუ იმ აქტივობის დროს.

სახელმძღვანელოს ბოლო ნაწილში მოცემულია მთელი კურსის გასამეორებელი დავალებები. დამატებითი ამოცანებია მოცემული აგრეთვე მასწავლებლის წიგნის ბოლოში. მათი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა აქტივობების, მაგალითად საკლასო ოლიმპიადების ჩასატარებლად.

მათემატიკის სწავლა-სწავლების პროცესის წარმატებით წარმართვისთვის გამოცდილ პედაგოგს დაფა, ცარცი და უმარტივესი თვალსაჩინოებებიც ჰყოფნის. მაგრამ XXI საუკუნე ახალ შესაძლებლობებს გვთავაზობს, რათა სწავლის პროცესი უფრო საინტერესო და სახალისო გავხადოთ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ელექტრონული რესურსები. ეს რესურსები მრავლად მოიპოვება ინტერნეტის საგანმანათლებლო საიტებზე. მათი მოძიება და გამოყენება ციფრულ ტექნიკაში გათვითცნობიერებული მასწავლებლისათვის არანაირ სიძნელეს არ წარმოადგენს. ჩვენ რამდენიმე ასეთი საიტის მისამართი და მოკლე ანოტაცია ამ წიგნის ბოლოში გვაქვს მოცემული. ამ რესურსების სარგებელი ორმაგია: სასკოლო ასაკის ბავშვების უმრავლესობა დროის დიდ ნაწილს კომპიუტერთან უსარგებლო და ხშირ შემთხვევაში მავნე თამაშებზე ხარჯავს. საგანმათლებლო საიტებზე განთავსებული მასალაც და ტესტებიც სწორედ თამაშის სტილშია მოცემული და უსარგებლო თამაშების მათით ჩანაცვლება არა თუ არ ავნებს, არამედ დიდად შეუწყობს ხელს მათემატიკის სასკოლო პროგრამის ათვისებას.

ჩვენი რჩევაა მასწავლებლების მიმართ, განსაკუთრებით ყურადღებით გაეცნონ და გამოიყენონ მითითებული ქართულენოვანი საიტები, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევენ მათ სასწავლო პროცესის ეფექტურად და შედეგიანად წარმართვაში.

თემატური გეგმა (კვირაში 5 სო)

**თავი 1
გამეორება (17 სო)**

გაკვეთო-ლის №	მასალა
1-3	გამეორება: а) ნატურალური რიცხვები 10-ის ფარგალში, ნუმერაცია; б) შეკრება-გამოკლება 10-ის ფარგალში; გ) საგანთა ნიშან-თვისებები, ორიენტირება დროში, სივრცეში; ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები.
4	გამოსახულება. გამოსახულების მნიშვნელობა
5-6	განმტკიცება: გამოსახულება. გამოსახულების მნიშვნელობა. გამეორება: а) შეკრება-გამოკლება 10-ის ფარგალში; ბ) საგანთა ნიშან-თვისებები, ორიენტირება დროში, სივრცეში; ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები.
7-16	გამორება: а) ნატურალური რიცხვები 20-ის ფარგალში, ნუმერაცია; б) შეკრება-გამოკლება 20-ის ფარგალში; გ) სიბრტყეზე ორიენტაცია და ობიექტთა ურთიერთგანლაგება, კანონზომიერებები.
17	სარეზერვო დრო

თავი 2

ნატურალური რიცხვები 100-ის ფარგალში. ნუმერაცია (37 სო)

18, 19	100-მდე რიცხვების ნუმერაცია. ოცეულები
20	რიცხვები: 21–29
21	რიცხვები: 1-29, განმტკიცება
22	რიცხვი - 30
23	რიცხვები: 30-40
24	რიცხვები: 31-40, განმტკიცება
25-26	რიცხვები: 1-40, განმტკიცება, არე
27-28	რიცხვები: 41-49
29	რიცხვი 50
30	რიცხვები: 41–50
31	რიცხვები: 51–60
32	რიცხვები: 1–60
33-34	მონაკვეთი, ტეხილი, რიცხვები: 51-60, განმტკიცება
35	მონაკვეთების სიგრძეების შედარება, მონაკვეთი, ტეხილი
36-39	განმტკიცება: რიცხვები: 1–60
40	სარეზერვო დრო
41-46	რიცხვები: 61–99
47	პრაქტიკული სამუშაო
48-50	ნატურალური რიცხვები 100-ის ფარგალში. განმტკიცება
51-53	მეორე თავის დამატებითი სავარჯიშოები
54	სარეზერვო დრო

თავი 3
ნატურალური რიცხვების შეკრება 100-ის ფარგალში

55	ოცეულებისა და ათეულების, ოცეულებისა და ერთეულების ჯამი
56	რიცხვისათვის ჯამის მიმატების წესები და მასზე დამყარებული შეკრების ხერხის გამოყვანა
57	მზადება თემის: „ორნიშნა რიცხვისათვის ერთნიშნა რიცხვის მიმატება” შესასწავლად.
58-63	ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების ჯამი (ოცეულზე გადაუსვლელად)
64-65	46+20, 30+20 სახის ჯამების გამოთვლა, შეკრების თვისებები
66	მარტივი ცხრილი, პიქტოგრამა
67-69	ორნიშნა რიცხვების შეკრება ოცეულზე გადაუსვლელად
70	გაცნობა ცნებების: საერთო მონაკვეთი, საერთო წერტილი
71	არე, კანონზომიერება. ამოცანების ამოხსნა.
72	წყვილებში სამუშაო
73	ჯამისათვის რიცხვის მიმატება
74-75	ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების შეკრება. განმტკიცება
76-77	ორნიშნა რიცხვების შეკრება ოცეულზე გადასვლით
78-84	პიქტოგრამა, მონაცემთა დაჯგუფება, ორნიშნა რიცხვების შეკრება
85	რიცხვისათვის ჯამის მიმატება. 18+5 სახის ჯამის გამოთვლა
86	ორნიშნა რიცხვების შეკრების (ათეულზე დაყრდნობით)
87-92	ორნიშნა რიცხვების შეკრება. განმტკიცება. ამოცანების ამოხსნა

თავი 4
ნატურალური რიცხვების გამოკლება 100-ის ფარგალში

93	68-8, 68-60, 50-20 სახის გამოკლება
94	ჯამიდან რიცხვის გამოკლება
95-96	ორნიშნა რიცხვისათვის რიცხვის გამოკლების (ოცეულზე გადაუსვლელად)
97	70-6 სახის გამოკლება
98	რიცხვიდან ჯამის გამოკლება
99-100	ოცეულისათვის 20-ზე მცირე ორნიშნა რიცხვის გამოკლება
101	ორნიშნა რიცხვების გამოკლება რიცხვიდან ჯამის გამოკლების წესზე დაყრდნობით
102-113	ორნიშნა რიცხვების გამოკლება (ოცეულზე გადასვლით) რიცხვიდან ჯამის გამოკლების წესზე დაყრდნობით

თავი 5
შეკრება-გამოკლება 100-ის ფარგალში

117	შეკრება-გამოკლების შესრულება ხელსაყრელი ხერხით
115-122	შეკრება -გამოკლებისა და განახევრება-გაორმაგების ურთიერთკავშირი
123-126	დამატებითი სავარჯიშოები
127-138	(ცხრილი, პიქტოგრამა, ამოცანები.
139	ჯგუფური მეცადინეობა
140-141	სარეზერვო დრო
142-159	კურსის გასამეორებელი მასალა თემების მიხედვით
160-161	სარეზერვო დრო
162	ჯგუფური მუშაობა
163	წყვილებში მუშაობა
164-165	გამეორება

გარკვეული თემის განხილვის შემდეგ მასწავლებელმა დრო უნდა გამოუყოს მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვეულების შემოწმება-შეჯამებას. ასეთი ტიპის გაკვეთილებზე სამუშაო მასალად მასწავლებელს შეუძლია სახელმძღვანელოში მოცემული ტესტების გამოყენება. პასუხების წიგნში მონიშვნა არაა დაშვებული.

შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების შედეგების შემოწმების, განხილვისა და შეჯამების შემდეგ სარეზერვო გაკვეთილს მასწავლებელი ხარვეზების აღმოსაფხვრებიდან გამოიყენებს.

შინარსისა და მიზნების რუკა

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები	
რიცხვები და მოქმედებები	გაკვეთილის და დაგალების №
II. 1 მოსწავლე ერთმანეთს უსაბამებს რიცხვებს, რიცხვით სახელებს, რაოდენობებსა და რიგს.	2-9, 12, 13, 18-45, 47-51, 54, 56, 51, 54, 56, 57, 62, 65, 67, 67, 68, 70, 74, 75, 76, 78, 80, 88, 106, 107, 108, 109, 10, 111, 125, 126, 127, 128, 130, 131, 132, 137.
II.2 მოსწავლე აკავშირებს თველას, რიცხვებს, რიცხვით სახელებს შორის დამოკიდებულებებსა და შეკრება-გამოკლების მოქმედებებს ერთმანეთთან.	3, 5, 7, 8, 9, 10, 11, 13, 18-44, 47-51, 54-71, 73-86, 87, 93, 103, 107-111, 114, 117, 118, 119, 120, 136, 137, დავალება 1-9.
II.3 მოსწავლე ასრულებს განახევრება-გაორმაგების მოქმედებებს და აკავშირებს მათ შეკრება-გამოკლების მოქმედებებთან და ერთმანეთთან.	14, 15, 31, 42, 63, 66, 71, 74, 76, 77, 83, 89-90, 107-111, 114, 115, 118, 119, 120, 121, 122, 123, 126, დავალება 9
II.4 მოსწავლე აფასებს და ადარებს რაოდენობებს 100-ის ფარგლებში.	2, 5, 6, 7, 8, 10, 12, 20, 21, 22, 29, 31, 36, 41, 43, 44, 71, 74, 83, 88, 100, 105, 123, 124, 127,

	130, 131, 132, 133, 134, 135, 137, 139, 125, 126, დავალება 7
II.5 მოსწავლე იყენებს რიცხვებს და მათ-ზე მოქმედებებს გამოთვლებზე ამოცანების ამოხსნისას. განასხვავებს, ასახელებს და რეალურ/გათამაშებულ ვითარებაში იყენებს ეროვნული ფულის ნიშნებს	4, 5, 8, 9, 10, 14, 18, 20, 21, 26, 29, 32, 36–85, 93, 107–111, 121–124, 125, 126–137 დავალება 1–9, 18, 9, 22, 27, 29, 37, 38, 45, 52, 56, 63, 66, 67, 81, 83, 124, 125, 126, 127, II ნაწ. გვ. 83 „წყვილებში სამუშაო“.
კანონზომიერებები და ალგებრა.	გაპვეთილი №
II.6 მოსწავლე განავრცობს, წარმოადგენს და ადარებს საგნების ან ნახატების/ფიგურების პერიოდულ განლაგებებს (მიმდევრობებს)	1, 3, 4, 7, 10, 57, 84, 97, 104, 123, 132 დავალება 5, II ნაწ. გვ. 82. „ჯგუფური მეცადინეობა“
II.7 მოსწავლე იყენებს შეკრებას და გამოკლებას მარტივი ამოცანის ამოხსნისას	4, 5, 8, 9, 10, 11, 13, 22, 25, 26, 31, 32, 47–51, 54, 56, 57, 62, 66, 68, 69, 73, 78, 80, 81, 84, 85, 86, 88, 89, 94, 95, 97, 102, 104, 105, 106, 107–111, 117–137 დავალება 1–9
გეომეტრია და სიგრცის აღქმა	გაპვეთილი №
II.8 მოსწავლე ორიენტირებს გარემოში და აღწერს ობიექტთა ურთიერთგანლაგებას	9, გვ. 15, 11, 13, 15, 20, 25, 26, 35, 36, 47–51, 59, 66, 69, 70, 75, 80, 83, 108, 115, 119, 122, დავალება 6.
II.9 მოსწავლე იყენებს თვისებრივ და რაოდენობრივ ნიშნებს ფიგურათა ზომებს	1, 4, 10, 14, 19, 33, 34, 35, 36, 39, 54, 61, 69, 71, 81, 82, 83, 84, 87, 88, 94, 99, 106, 108–111, 117, 120, 130, 136.
II.10 მოსწავლე ადარებს და ადგენს ფიგურათა ზომებს	1–10, 19, 34, 35, 47–51, 62, 63, 64, 68, 80, 101, 104, 108–111, 114
მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა	გაპვეთილი №
II.11 მოსწავლე აგროვებს თვისებრივ მონაცემებს მისი უშუალო გარემოცვის შესახებ	102, 104, 127, 28, 29, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 141, 144. ტესტი 10, 137, 134, II ნაწ. გვ. 82. „ზაფხულის პროექტი“
II.12 მოსწავლე აწესრიგებს თვისებრივ მონაცემებს.	1, 0, 18, 21, 23, 24, 29, 30, 36, 41, 42, 62, 64, 78, 80, 83, 83, 100, 120, 121, 127, 130, 131, 134, 136, დავალება 5, 8
II.13 მოსწავლე აკეთებს თვისებრივ მონაცემთა ინტერპრეტაციას.	47–51, 65, 78, 91, 100, 120, 121, 128, 134, 136, 137, დავალება 5, დავალება 8

გაკვეთილები

(მიზნები, სცენარები, მეთოდური რეკომენდაციები)

თავი 1.

I კლასში შესწავლილი მასალის გამეორება (16 სთ)

მიზანი: I კლასში შესწავლილი მასალის ცოდნის ხარისხის შემოწმება. გამეორება, განვითარება.

მოწმდება ქვემოთ მოცემული საკითხების ცოდნის ხარისხი:

- 1) საგანთა ნიშან-თვის სეტები, საგანთა ურთიერთმიმართება;
- 2) ნუმერაცია 20-ის ფარგლებში;
- 3) რაოდენობის შეფასება, შედარება;
- 4) შეკრება-გამოკლება 20-ის ფარგლებში;
- 5) საგანთა პერიოდულ მიმდევრობაზე დაკვირვება, გავრცობა;
- 6) ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა, აღწერა, გამოსახვა.

I თავის შესწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- 1–20 რიცხვების ჩაწერა და წაკითხვა;
- 1–20 რიცხვების თვლა წინ და უკან ნებისმიერი რიცხვიდან;
- ნებისმიერი რიცხვის წინა და უკანა რიცხვების დასახელება;
- რიცხვების შედარება;
- 1–20 რიცხვების გამოსახვა სხვადასხვა მოდელების გამოყენებით;
- რიცხვების შეკრება –გამოკლება და ამ მოქმედებების თვალსაჩინოდ დემონსტრირება;
- რიცხვითი გამოსახულების წაკითხვა და ჩაწერა, შედგენა, მნიშვნელობის გამოთვლა.
- „-ით” მეტობა/ნაკლებობის დაკავშირება შეკრება-გამოკლების მოქმედებებდან
- რიცხვების, რიცხვითი სახელებისა და რაოდენობებს შორის, შეკრება-გამოკლების მოქმედებებს შორის შესაბამისობის დამყარება;
- საგანთა რიგობითობის განსაზღვრა მათ მოწესრიგებულ ერთობლიობაში;
- მითითებული რაოდენობის საგნების გამოყოფა საგანთა ჯგუფებში;
- მითითებული რაოდენობის საგანთა ჯგუფების შედგენა;
- საგნების პერიოდული განლაგების წესის ამოცნობა მოცემული ფრაგმენტის მიხედვით და გაგრცობა, გამოტოვებული პოზიციების შევსება;
- საგნების მიმდევრობით განლაგება სიტყვიერად მოცემული წესის მიხედვით;
- ბრტყელი ფიგურის ამოცნობა და აღწერა;
- ბრტყელი ფიგურის მოდელის შექმნა;
- მითითებული ობიექტების ურთიერთმდებარეობის აღწერა სიტყვებით: „მარჯვნივ”, „მარცხნივ”, „ზემოთ”, „ქვემოთ”, „წინ”, „უკან”;
- მარტივ სქემაზე გზის მონიშვნა მითითებულ ობიექტამდე;
- რამდენიმე წერტილის შეკროება მითითებული წესით.

პირველ კლასში განვლილი მასალის შესაბამისი სავარჯიშოები სახელმძღვანელოში დალაგებულია გარკვეული თემების მიხედვით. მასალა თემატური პრინციპითაა გაკვეთილებად დაყოფილი. თემები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და მიზნად ისახავენ

მოსწავლის გონიერივ განვითარებას, ცოდნის გამეორება-გაღრმავებასა და ახალი მასალის შესასწავლად საფუძვლის მომზადებას.

20-მდე რიცხვების შეკრება-გამოკლების ცხრილზე მასწავლებელმა ყოველდღიურად უნდა ამჟამის მოსწავლეები, რათა შეძლონ ამ ცხრილის კარგად დამახსოვრება, რა თქმა უნდა გააზრდებულად და არა დაზეპირებით.

გაკვეთილი №1

- მიზნები:** 1) I კლასში შესწავლილი მასალის გამეორება: 20-მდე რიცხვების ნუმერაცია; ბ) საგანთა კლასიფიკაცია ნიშან-თვის სებების მიხედვით (ფერი, ფორმა, ზომა); გ) საგანთა ურთიერთმიმართება; 2) ნატურალურ რიცხვთა შედარების, მითითებული თანმიმდევრობით დალაგების უნარების განვითარება; 3) ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა და აღწერა; 4) საგნების პერიოდული განლაგების წესის ამოცნობისა (მოცემული ფრაგმენტის მიხედვით) და გავრცობის უნარის განვითარება.

მასალა: სასიგნალო ბარათები.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგანიზაციული მომენტი

II. სახელმძღვანელოს სტრუქტურის გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს დაათვალიერონ სახელმძღვანელო. ესაუბრება წიგნისა და რეგულის სტრუქტურაზე, სახელმძღვანელოში გამოყენებულ სიმბოლოებზე. მოუწოდებს, გაუფრთხილდნენ სახელმძღვანელოს და საერთოდ, ყველა სასწავლო თუ სასკოლო ნივთს.

III. თვლის ჩვევების განვითარება

1) „დაასახელე მეზობელი”

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სასიგნალო ბარათებით აჩვენონ მის მიერ და-სახელებული რიცხვების „მეზობელი” რიცხვები. 1-დან 20-მდე რიცხვების ნაწილს არა-თანმიმდევრულად ასახელებს (მაგალითად, 9, 12, 7, 5, 19 და ა.შ.).

2) „რა რიცხვებია გამოტოვებული?”

მასწავლებელი აჩვენებს (დაფაზე, ეკრანზე, სლაიდზე, . . . რისი საშუალებაც აქვს) რი-ცხვთა წყვილებს (მაგ., 6 და 8, 11 და 13 და ა.შ.) და სთხოვს სასიგნალო ბარათებით აჩვენონ თითოეულ წყვილში დასახელებულ რიცხვებს შორის გამოტოვებული რიცხვი.

3) „მოაწესრიგა”

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს არათანმიმდევრულად ჩაწერილ რიცხვებს (მაგალითად, 4, 12, 7, 3, 16, 19, 15, 10, 20, 8, 6) და სთხოვს მათ დალაგებას ზრდის მიხედვით. რიცხვების ზრდის მიხედვით დალაგების შემდეგ სთხოვს აღადგინონ 1-დან 20-მდე ის რიცხვები, რომელიც მოცემულ რიცხვებშია გამოტოვებული. ამის შემდეგ რიცხვებს შეცვლის და ანალოგიურ დავალებას აძლევს რიცხვების კლების მიხედვით დალაგებაზე. დავალებას მოსწავლეები ერთმანეთს წყვილებში უმოწმებენ.

IV. გაკვეთილის მიზნის გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს I თავის და ამ გაკვეთილის მიზნებს.

V. სახელმძღვანელოზე მუშაობა

უმჯობესია, I თავის როგორც პირველ, ისე მომდევნო გაკვეთილებზე, მასწავლებელი სავარჯიშოებს იმ თანმიმდევრობით მიჰყებს, როგორც სახელმძღვანელოშია მოცემული. ეს საშუალებას მისცემს თანდათანობით, გეგმაზომიერად გაამეორებინოს მოსწავლეებს I

კლასში ნასწავლი საკითხები. გაკვეთილზე სავარჯიშოები ძირითადად ფრონტალური გამოკითხვით შესრულდება.

საგანთა ნიშან-თვისებებზე მუშაობის მიზანს ემსახურება სავ. №1 და სავ. №2.
სავ. №1-ში სიტყვა „წყვილის“ შინაარსის გახსენების შემდეგ იხილავენ წყვილებში მოცემული საგნების მსგავსებასა და განსხვავებას.

– რით პგავს ნახატზე ერთმანეთს ყურძნის ორი მტევანი? (ფორმითა და ზომით) რით განსხვავდება? (ფერით) სკამები? პეპლები? რას იტყვით წრუწუნების შესახებ? (მათი მსგავსება-განსხვავების გარდა არჩევენ თუ რომელი რომელ მხარეს იყურება) და ა. შ.

სავ. №2 მასწავლებელი: – რა უნდა გავარკვიოთ?

– დიახ, ისევ საგნების მსგავსება-განსხვავება უნდა გავარკვიოთ. რით განსხვავდება ეს სავარჯიშო წინა სავარჯიშოსაგან? (იქ მხოლოდ წყვილები იყო მოცემული, აქ კი სხვა-დასხვა რაოდენობის საგნებია.)

– რით პგვანან ბაფთები ერთმანეთს? რით განსხვავდებიან? დავითვალოთ ზემოდან ქვემოთ. რომელი ბაფთა პგავს I ბაფთას? რით პგავს? (II პგავს ფერითა და ფორმით, III – მხოლოდ ფორმით) რომელი ბაფთები პგვანან ერთმანეთს ზომით? და ა. შ.

– რას ამჩნევთ გეომეტრიული ფიგურების განლაგებაში? (ერთ სტრიქონში ერთი სახის ფიგურებია მოცემული)

– მერამდენე სტრიქონშია მოცემული მხოლოდ კვადრატები? მხოლოდ სამკუთხედები? და ა. შ. განიხილავენ მსგავსება-განსხვავებას სტრიქონებში, სვეტებში. ითვლიან ფიგურების რაოდენობებს სტრიქონებში, სვეტებში და განმარტავენ სად უფრო მეტი ფიგურაა სვეტში თუ სტრიქონში. ადარებენ ფიგურების რაოდენობებს ფერების მიხედვით.

VI. დ/ს რვეული: სავ.№1, №2.

სავარჯიშოების შესრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:
– მერამდენეა წითელი ფიგურა? რომელი მიმართულებით იყურება დიდი მამალი? პატარა კურდღელი?

შედეგების შეჯამება

– რა გაგაკეთეთ დღეს?
– რა საკითხები გავიმეორეთ?
– კმაყოფილი ხართ თქვენი ცოდნით?
– რისთვის გვჭირდება გამეორება?

საშინაო დაგალება: რვეული სავ.№3.

გაკვეთილი №2

მიზნები: 1) I კლასში შესწავლილი მასალის გამეორება: რიცხვების ნუმერაცია, შედარება, მითითებული თანმიმდევრობით დალაგება; საგანთა ურთიერთმიმართების განსაზღვრა; მოწესრიგებულ ერთობლიობაში მოცემული ელემენტის რიგითი ნომრის დასახელება. 2) ჯგუფური მუშაობისას თანამშრომლობის უნარის განვითარება.

მასალა: 10-10 კუბი, წრე, სამკუთხედი, კაკალი და ა. შ

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი

II. ზეპირი ანგარიში

1) **საგნებით ვარჯიში.** მასწავლებელი მაგიდაზე დებს ჯერ 7 კუბს, შემდეგ 9 წრეს და ა. შ. სვამს კითხვებს: – რამდენი კუბია? რამდენი წრეა? ათვლევინებს მოსწავლეებს რიცხვებს 1-დან 10-ის ჩათვლით, შემდეგ 10-დან 1-ის ჩათვლით ჯერ 1-ის,

ხოლო შემდეგ 2-ის ტოლი ბიჯით.

ამის შემდეგ მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს საგანთა სხვადასხვა რაოდენობების ჯგუფების შედეგენას. (მაგალითად, — გვაჩვენე 7 წრე, 4 სამკუთხედი, 8 კალამი, 9 ფანჯარი და ა.შ.) სვამს კითხვებს ნატურალურ რიცხვთა მიმდევრობაზე (მაგალითად — როგორ მიიღება 6-დან 7? 11-დან 12? და ა.შ. (მოსწავლე პასუხობს: —6-ს უნდა მივუმატოთ 1, რომ მივიღოთ 7.) ამ პასუხის შემდეგ მასწავლებელი უკვე სხვა მოსწავლისაგან მოითხოვს ამ მოქმედების საგნებზე ჩვენებას. ასეთი შეკითხვა უნდა იყოს დასმული სხვადასხვა რიცხვებზე.)

2) თამაში: „რიცხვები და საგნები“. თამაშში მონაწილეობას იღებენ ორწევრიანი გუნდები. ერთი გუნდი შეიძლება იყოს ერთ მერხთან მსხდომი ორი მოსწავლე. მასწავლებელი ასახელებს რიცხვს, მერხის მარცხენა მხარეს მსხდომი ყველა მოსწავლე აჩვენებს ამ რიცხვს, ხოლო მარჯვენა მხარეს მსხდომი ყველა მოსწავლე ქმნის დასახელებული რაოდენობის საგნების გროვას. ერთ-ერთის მიერ შეცდომის დაშვების შემთხვევაში გუნდის ორივე წევრი გადის თამაშიდან.

3) ჯერ საგნებზე, შემდეგ კი რიცხვებზე ასრულებენ საგარჯიშოებს რაოდენობების შედარებაზე. მასწავლებელს მაგიდაზე გამზადებული აქვს სხვადასხვა ფერის საგნები. ისინი ფერების მიხედვით აქვს დაჯგუფებული. ერთ-ერთ მოსწავლეს მოცემულ გროვაში საგნების დათვლას სთხოვს (მაგალითად, 7 წითელი წრე). მოსწავლე ითვლის საგნებს და მათ რაოდენობას დაფაზე წერს ციფრებით, მეორეს სხვა გროვაში ათვლევინებს საგნების რაოდენობას (მაგ., 5 ლურჯი წრე), მესამეს სხვა გროვაში (მაგალითად, 8 მწვანე წრე) IV-ს სხვაში (მაგალითად, 4 ყვითელი წრე). დაფაზე ჩნდება შესაბამისი ჩანაწერი:

ნითელი - 7 ლურჯი - 5 მწვანე - 8 ყვითელი - 4

მასწავლებელი: — დაფაზე დაწერილი რიცხვები შეესაბამება თქვენ მიერ ფერების მიხედვით დათვლილი წრეების რაოდენობებს. ამ რიცხვებს შორის რომელია 5-ზე მცირე?

(4) როგორ დაწერ ამ წინადადებას მათემატიკურად? (4<5 ან 5>4)

— ამ რიცხვებს შორის რომელია 5-ზე მეტი? (7 და 8) ჩაწერეთ ეს წინადადებები შედარების სიმბოლოების გამოყენებით. (7>5, 8>5)

III. სახელმძღვანელოსა და რეეულში მოცემულ მასალაზე მუშაობა

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №1. ითვლიან თითოეულ ნახატზე მოცემული ყვავილების რაოდენობას, შედეგებს წერენ დაფაზე. მასწავლებელი არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემით. მასწავლებელი: —რა კითხვები შეგვიძლია დავსვათ ნახატის მიხედვით ისეთი, რომ პასუხის გასაცემად საგნების დათვლა დაგვჭირდეს? მოსწავლეები სთავაზობენ სხვადასხვა კითხვებს. მაგალითად,

✓ რომელ ქოთანშია ყველაზე მეტი ყვავილი? ნაკლები?

✓ მარცხნიდან I ქოთანში მეტი ყვავილია თუ მეორეში? რამდენითაა მეტი?

✓ მარცხნიდან II ქოთანში მეტი ყვავილია თუ მეორეში? რამდენითაა მეტი?

მოსწავლეებმა I კლასიდან იციან 20-ის ფარგლებში შეგრება-გამოკლება, ამიტომ ყვავილების რაოდენობების შედარებისას სვამენ კითხვას: რამდენით? თუმცა დღევანდელი გაპერილის თემა არაა „-ით მეტობა/ნაკლებობა“ და გამოთვლები, მაგრამ დასმულ კითხვებს პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს.

მასწავლებელი: — რა კითხვები შეგვიძლია დავსვათ ნახატის მიხედვით ისეთი, რომ პასუხის გასაცემად რიცხვების შეკრება ან გამოკლება არ გამოვიყენოთ?

მოსწავლეები სთავაზობენ სხვადასხვა კითხვებს. მაგალითად,

- რომელი ქოთანია ყველაზე დიდი? პატარა?
- მარცხნიდან მერამდენე ნახატზეა ვარდები?
- მარჯვნიდან მერამდენე ნახატზეა ტიტები?

მასწავლებელი მოსწავლეებს ათვლევინებს საგნებს საკლასო ოთახში. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ საგნების დათვლის დროს დასახელებული ბოლო რიცხვი დათვლილი საგნების რაოდენობას შეესაბამება.

სავ. №2. მსჯელობენ სასწორების სახეებზე. ადგენენ, გაუწონასწორებელ თეფშებიან სასწორზე როგორ გაარჩიონ რომელი საგანია მძიმე, რომელი მსუბუქი.

სავ. №3. ადგენენ საფეხურების რიგითობას. მასწავლებელი დამატებით კითხვებს სვამს. მაგალითად,

- ვინ უფრო მაღლაა ასული კიბეზე, გოგონა თუ ვაჟი?
- ვინ მეტი საფეხური გაიარა – გოგონამ თუ ვაჟმა?
- რა მიმართულებით იმოძრავებენ ბავშვები კიბიდან ჩამოსვლის შემთხვევაში – ქვემოდან ზემოთ, თუ ზემოდან ქვემოთ? და ა. შ.

სავ №5. მასწავლებელი: – სულ რამდენი ბავშვია რიგში? რამდენი გოგონაა? ვინაა რიგში I? ბოლო? ბოლოდან მერამდენეა ლალი? თამარი? რამდენი ბავშვია ა) გიგასა და თამარს შორის? ბ) თამარის შემდეგ?

IV. დ/ს №4, I ვარიანტი ა); II ვარიანტი ბ).

V. შედეგების შეჯამება

საშინაო დავალება: რვეული სავ. №2, №3.

გაკვეთილი №3

მიზნები: 1) I კლასში განვლილი მასალის გამეორება:

- ა) ნატურალური რიცხვები, შედარება, ზრდის/კლების მიხედვით დალაგება;
- ბ) ფიგურათა ზომების შედარება („მაღალი”, „დაბალი”, „გრძელი”, „მოკლე”);
- გ) ობიექტთა ურთიერთგანლაგებაში კანონზომიერებების აღმოჩენისა და მითითებული წესის მიხედვით საგანთა მიმდევრობის გავრცება;

- 2) აზროვნების უნარის განვითარება.

საჭირო მასალა: მასწავლებელს: 1) პლაკატები ან სლაიდები, რომელზეც შესაძლებელი იქნება მოცემული საგნების შედარება რომელიმე ნიშნით (მაღალი, დაბალი, მოკლე, გრძელი, ვიწრო, განიერი, წინ, უკან, მარცხნივ, მარჯვნივ). 2) ცხრილები ან ბარათები ციფრებით. მოსწავლეს „შექნიშანი”.

გაკვეთილის მსვლელობა

თამაში: „დამალული რიცხვები”

მასწავლებელს წინასწარ მომზადებული უნდა ჰქონდეს ცხრილები:

1	2				6			
10	9							1
2	4			10		7	5	1

- შესაძლებელია ა) ცხრილი განთავსებული იყოს ფორმატზე;
- ბ) ცხრილების ნაცვლად ასეთივე წესით თვალსაჩინო ადგილზე განლაგდეს

ბარათებზე დაწერილი რიცხვები 1-დან 10-მდე (იმ რიცხვის ბარათი, რომელი რიცხვიც არ უნდა გამოჩნდეს, გადაბრუნებული დაიღოს);

გ) მასწავლებელს შეუძლია დაფაზე დაწეროს ცხრილები ან აჩვენოს სლაიდები.

მასწავლებელი: – დავაკირდეთ I ცხრილს. რა წესითაა ცხრილში რიცხვები ჩაწერილი? რა აღმოაჩინეთ? (1 და 2 ერთმანეთის მომდევნო რიცხვებია, 2-ის შემდეგ ცარიელია მიმდევრობით სამი უჯრა, ე. ი. 2-დან 6-მდე სამი რიცხვი უნდა ვეძებოთ. ეს რიცხვებია 3, 4 და 5. მაშასადამე, I ცხრილში თანმიმდევრობით, 1-ის ტოლი ბიჯით უნდა ეწეროს 1-დან 10-მდე რიცხვები. შევსების შემდეგ ცხრილი ასეთი იქნება:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

დანარჩენთაგან თითოეულ ცხრილს ცალ-ცალკე არჩევენ და „უკან აბრუნებენ” დამალულ რიცხვებს. გზადაგზა პასუხობენ კითხვებს, რომელიც სჭირდებათ რიცხვების საპოვნელად. მაგალითად,

- ✓ რამდენი უჯრისაგან შედგება ცხრილი?
- ✓ რა რიცხვები წერია ცხრილის I და ბოლო უჯრებში?
- ✓ რა წესი აღმოაჩინეთ I და II უჯრებში ჩაწერილი ნიმუშის მიხედვით?
- ✓ როგორ შევამოწმოთ, ვრცელდება თუ არა წინა რიცხვის 1-ით შემცირების წესი ცხრილის სხვა უჯრებში ჩასაწერი დანარჩენი რიცხვებისათვის? და ა.შ.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №1 ითვლიან და დაფაზე ასრულებენ შესაბამის ჩანაწერს:

ვუტკარი – 8,

ეგავილი – 4.

ადარებენ რიცხვებს: 8 და 4, ადგენენ, რომ 8>4.

სავ. №6 მასწავლებელი დაფაზე წერს ყველა სიტყვას. მოსწავლეები ითვლიან ასოებს თითოეულ მათგანში. მასწავლებელი აფიქსირებს ამ რაოდენობებს შესაბამის სიტყვებთან. შემდეგ ადგენენ ამ სიტყვებიდან რომელი შეიცავს მეტ ასოს, რომელი ნაკლებს, რომლები – ტოლ რაოდენობას.

სავ. №8. მოცემული სიტყვის დასაწერად გამოყენებული ასო-ნიშნების რაოდენობები რიგითობის შესაბამისად არის 2, 3, 4, 5, 4, 6. კანონზომიერების შემჩნევის შემდეგ ადგენენ, რომ 5 და 6-ასოიან სიტყვებს შორის არ უნდა ეწეროს 4-ასოიანი სიტყვა „ზღვა”. მისი ამოშლის შემთხვევაში დარჩენილი სიტყვების: ჭა, ჭვა, ლოდი, წყალი, ნაპირი - ჩასაწერად გამოყენებული ასო-ნიშნების რაოდენობა შესაბამისად არის: 2, 3, 4, 5, 6.

სავ. №9. მასწავლებელი ასახელებს ფერს, მოსწავლე (სხვა და სხვა) ამ ფერის ფიგურას. დანარჩენი მოსწავლეები „შუქნიშნით” აჩვენებენ თავიანთ მოსაზრებას მოსწავლის პასუხზე.

დ/ს რვეული სავ. №3.

შედეგების შეჯამება

- როგორ მოგეწონათ დღევანდელი მუშაობა?
- გვაქვს ხარვეზები თუ ყველაფერი ძალიან კარგად იცის ყველამ?
- როგორ მოვიქცეთ ხარვეზების აღმოსაფხვრელად?

საშინაო დაგალება: რვეული, სავ.№1, №2.


გაკვეთილი №4

- მიზნები:** 1) გამოსახულებისა და მისი მნიშვნელობის ცნების გაცნობა;
 2) გამოსახულების წაკითხვის, შედგენისა და მისი მნიშვნელობის გამოთვლის უნარ/ჩვევების ჩამოყალიბება.
 3) გამეორება: 1-10 რიცხვების შეკრება და გამოკლება;
 4) მოდელის გამოყენებით შეკრება-გამოკლების დემონსტრირების უნარის განვითარება.
- მასალა:** პატარა ზომის 10 საგანი (წრე), „ჯაჭვა”.

გაკვეთილის მსგლელობა

- I. ორგანიზაციული მომენტი, საშინაო დავალების შემოწმება
 II. ზეპირი ანგარიში, წინარე ცოდნის გააქტიურება

„ჯაჭვა”



III. მზადება ახალი მასალის ასახსნელად

თამაში: „რომელ ხელში რამდენია”? თამაშის დროს მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მცირე ზომის 6 საგანს, მაგალითად წრეებს. ამის შემდეგ წრეებს ორ ხელში ინაწილებს ისე, რომ ბავშვებმა ვერ შეამჩნიონ რომელ ხელში რამდენი წრე უკავია და კითხულობს, თუ რამდენი წრე შეიძლება ეკავოს თითოეულ ხელში. მოისმენენ და დაფაზე დაფიქსირებენ ბავშვების პასუხებს. საბოლოოდ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს, თუ რომელ ხელში რამდენი წრე ეკავა.

მასწავლებელი აღნიშნავს, ვინ გამოიცნო სწორად, თუ რამდენი წრე ეკავა მას თითოეულ ხელში. უნდა აღინიშნოს იმ ბავშვების პასუხებიც, რომელთაც სწორად ვერ გამოიცნეს, მაგრამ შესაძლო ვარიანტები სწორად შეადგინეს.

IV. ახალი მასალის ახსნა, I კლასის მასალის გამეორება

დაფაზე დაწერილი ვარიანტების მიხედვით მასწავლებელი აჩვენებს ხელებში წრეების განაწილების სხვადასხვა ვარიანტებს. ეუბნება, რომ მათი პასუხების მიხედვით დაფაზე შესრულებული თითოეული ჩანაწერი: 1+5, 2+4, 3+3 გამოსახულებას წარმოადგენს, ხოლო შესრულებული მოქმედების შედეგს, კერძოდ, 6-ს გამოსახულების მნიშვნელობა ჰქვია.

მასწავლებელი: – დააკვირდით სავ. №1-ის ჩანაწერებს ბურთების ქვეშ. რა ჰქვია ასევ ჩანაწერებს? რას აღნიშნავს ნახატის მიხედვით გამოსახულება: 4+3? (ბურთების საერთო რაოდენობას) 7-4? (ლურჯი ბურთების რაოდენობას) რას უდინის 4+3 გამოსახულების მნიშვნელობა? (7) რას შეესაბამება იგი ნახატის მიხედვით? და ა.შ. გააგრძელებენ სხვა გამოსახულებების შესახებ მსჯელობას. მსჯელობის დროს მასწავლებელი იყენებს სიტყვებს: „გამოსახულება”, „გამოსახულების მნიშვნელობა”. რაც მოსწავლეებისთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს.

V. განმტკიცება. ხსნიან სავ. №2. შემდეგ სავ №3-ის პირველ ორ სვეტს დაფაზე დარვეულებში.

VI. დ/ს სავ. №3-ის III, IV და V სვეტები ვარიანტებად, რიგების მიხედვით.

VII. ამოცანებზე მუშაობა.

მასწავლებელი კითხულობს №4 ამოცანას და სვამს კითხვებს: – არის თუ არა, ჩემ

მიერ წაკითხული ტექსტი ამოცანა? (არის) რატომ თვლი რომ არის? (იმიტომ რომ მასში არის პირობა და კითხვა, არის როგორც მოცემული, ისე საძიებელი რიცხვები)


– რამდენ კითხვაზე უნდა გავცეთ პასუხი? (2) რა კითხებებია?

– ჯერ პირველ კითხვას გუპასუხოთ.

მასწავლებელი დაფაზე ასრულებს ამოცანის მოკლე ჩანაწერს.

– რამდენი მოქმედება უნდა შევასრულოთ, რათა გავიგოთ სულ რამდენი ბაფთა აქვს ელექტრული გარენა? (1) რა მოქმედება უნდა შევასრულოთ? (შეკრება) რატომ?

– აღნიშნეთ რვეულში იმდენი წითელი წერტილი, რამდენი წითელი ბაფთაც აქვს ელექტრული გარენა და ლურჯით იმდენი, რამდენი თეთრი ბაფთაც აქვს მას.



– დაითვალიერეთ წერტილების რაოდენობა. რამდენია? (8) რა მოქმედება უნდა შესრულდეს 5-სა და 3-ს შორის, რომ 8 მივიღოთ? წინასწარ შეგვეძლოთ თუ არა იმის გარკვევა, 3-ზე და 5-ზე დიდი რიცხვი უნდა მიგვეღოთ თუ პატარა?

– როდესაც მცირე რიცხვებზე მოქმედების შედეგად დიდი რიცხვი უნდა მიიღო, მაშინ ამ რიცხვებზე გამოკლების მოქმედებას შეასრულებ თუ შეკრების მოქმედებას?

– დაწერე შესაბამისი გამოსახულება. რას უდრის გამოსახულების მნიშვნელობა? (8)
– გაყცით პასუხი ამოცანის I კითხვას.

ამის შემდეგ პასუხობენ II კითხვას, სადაც სიცხადისათვის ისევ გამოიყენებენ პირობის შესაბამის სიმბოლურ აღნიშვნებს. პასუხს ჯერ დაწყვილებით გაიგებენ, შემდეგ გამოკლებით.



– ახლა წყვილებში წაიკითხეთ ამოცანა №5. ამოცანის კითხვას შეგიძლიათ ზეპირად უპასუხოთ, ჩანაწერების გარეშე. ამოხსენით და პასუხი მითხარით. ამისენით როგორ მიიღეთ პასუხი. რა მოქმედება გამოიყენეთ და რატომ.

– ახლა კი მოიფიქრეთ კიდევ ერთი კითხვა ამოცანის პირობის მიხედვით.

შემდეგ კი უპერა, თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე, ვარჯიშობენ 10-მდე რიცხვების შედგენილობაზე. მაგალითად,

1) რომელი ორი რიცხვის ჯამია 5? 7? დაწერე შესაბამისი გამოსახულება და სხვა.

2) დაწერე გამოსახულება, რომლის მნიშვნელობაც იქნება 9; 5 და სხვა.

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №6. დაფაზე სხინაზე I სვეტის ორივე მაგალითს კომენტარებით, დანარჩენების ამოხსნისას ერთი დაფაზე მუშაობს, სხვები რვეულებში.

სავ. №7. პასუხი: 4, არცერთი, 3.

სავ. №8. კვადრატებში წრები შემდეგი წესითაა განლაგებული: 1, 5, 2, 5, 3, 5, 4, 5, 1, 5, 2, 5, . . . ბოლო ორ კვადრატში უნდა იყოს ჯერ 3, შემდეგ 5 წერტილი.

VIII. შედეგების შეჯამება.

– რა იყო ჩვენი გაკვეთილის მიზანი? რა ვისწავლეთ ახალი? რა გაგვიჭირდა? რა მოგვეწონა?

IX. საშინაო დავალება რვეული, სავ. №1, №3.

გაკვეთილი №5

მიზნები: 1) გამოსახულების ჩაწერის, წაკითხვის და მისი მნიშვნელობის გამოთვლის უნარის განვითარება; 2) პირველ კლასში განვლილი მასალის გამეორება (ნატურალური რიცხვები შექრება და გამოკლება, მოცემულ საგანთა ერთობლიობასთან რიცხვის შესაბამისობის დადგენა, ამოცანების ამოსსნა); 3) მასწავლებელთან და თანაკლასეფლებთან თანამშრომლობის უნარის განვითარება.


მასალა: გეომეტრიული ფიგურები: სამკუთხედი, სხვადასხვა სახის ოთკუთხედები, წრკ, რუკა: „ქალაქი მათემატიკა”

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგანიზაციული მომენტი, საშინაო დაგალების შემოწმება

II. გაკვეთილის მიზნის გაცნობა

მასწავლებელი: – არსებობს ქალაქი სახელწოდებით „მათემატიკა”. დღეს ამ ქალაქში ვიმოგზაურებთ. მოვემზადოთ სამოგზაუროდ.



III. ზეპირი ანგარიში

- პასუხები სასიგნალო ბარათებით მაჩვენეთ.
 - რამდენი ფეხი აქვს ორ ბატს ერთად? ორ გოჭს? ერთ სპილოს?
 - რას უდრის 6-ისა და 3-ის ჯამი? 9-ისა და 5-ის სხვაობა?
 - რა რიცხვს მივიღებთ 7-ს რომ 1 მივუმატოთ? 3-ს რომ 2 გამოვაკლოთ?
 - 3-ს რაღაც რიცხვი გამოვაკელი და 0 მივიღე. რა რიცხვი გამოვაკელი 3-ს?
 - 10-ს რაღაც რიცხვი მივუმატე და ისევ 10 მივიღე. რა რიცხვი მივუმატე 10-ს?
- ზეპირად ხსნიან სახელმძღვანელოს **სავN1-ს**.
- დავრწმუნდი, რომ მოგზაურობისთვის მზად ვართ.

IV. გაკვეთილის თემაზე მუშაობა

- 1) ცაცხისა და ალვის ხეივანში გასეირნება.
- გავისეირნოთ ცაცხისა და ალვის ხეივანში. იცით რას ჰქვია ხეივანი? (გზას, რომლის ორივე მხარეს ხებია ჩამწკრივებული) ამ ქალაქში გზის ერთ მხარეს შეკრების მაგალითები უნდა იყოს განლაგებული, მეორე მხარეს – გამოკლების. ვისეირნოთ, ბავშვებო. თუ დავიღლებით, ცოტა ხანს ჩამოვსხდეთ, დავისვენოთ. თუმცა, სკამებზე დასხდომას მაშინ შევძლებთ, როცა მოცემულ დავალებას კარგად შევასრულებთ.
- შეხედეთ ჩანაწერებს: 5+4, 3+7, 9–5, 10–7, 10–3, 9–4 რას ხედავთ?
- რა ორ ჯგუფად შეგვიძლია ამ გამოსახულებების დაყოფა? გაითვალისწინეთ, დაყოფის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. (შეიძლება დაჯგუფდეს ა) ერთმანეთთან დაკავშირებული შეკრება-გამოკლება: I: 5+4, 9–5 და 9–4; II: 10–7, 10–3 და 3+7. ბ) შეკრების მაგალითები ცალკე და გამოკლების ცალკე I: 5+4, 3+7; II: 9–5, 9–4, 10–3 და 10–7. გ) გამოსახულებები, რომელშიც მხოლოდ ერთნიშნა რიცხვებია და დანარჩენი გამოსახულებები.

ბები I: 5+4, 9–5, 9–4, 3+7; II: 10–3 და 10–7. რომელი წესით დაჯგუფება განალიაგებს მაგალითებს ცაცხისა და ალვის ხეივანში? (შეკრება/გამოკლების) თქვენ ხომ არ მოიფიქრებთ ამ ხეივნის სხვა სახელს, რომელიც რეალობას შეესაბამება? („+” და „–“-ების ხეივანი”, „შეკრება-გამოკლების ხეივანი”)

– ხეივნის მარჯვენა მხარეს ზოოპარკია. ზოოპარკში მხეცებს დამით გალიებში კი არა, სახლებში აცხოვრებენ. ყველა ცხოველმა იცის თავისი საცხოვრებელი ადგილი. ჩვენ სახლმდგანელოში (სავ. №2) დახატულია ამ ზოოპარკის სამი ახალი ბინადარი. მათ ჯერ არ იციან სად უნდა იცხოვრონ. მათი საცხოვრებელი სახლების ნომრები ემთხვევა იმ გამოსახულებების მნიშვნელობებს, რომელთანაც ისინი დგანან. დავეხმაროთ, ვასწავლოთ რომელი რომელ სახლში უნდა შევიდეს.

– გამოვთვალოთ გამოსახულების მნიშვნელობა, რომელთანაც მგელი დგას. (10) მგელი დგას გამოსახულებასთან, რომლის მნიშვნელობა 10-ის ტოლია. შეგვიძლია თუ არა, გავიგოთ რომელია მგლის სახლი? (დიახ), რომელი? (№10) და. ა.შ.

2) – გავაგრძელოთ ზოოპარკის დათვალიერება. აქ კურდღლები ცხოვრობები. მომგლელი ამბობს, რომ ყოველ კურდღლელს იმდენი სტაფილო ჰქონდა, რამდენსაც გვაჩვენებს სავ. №5-ში. თქვენ უნდა გაიგოთ რამდენი სტაფილო შეჭამა თითოეულმა მათგანმა. (მოპასუხე მოსწავლე მსჯელობით გასცემს ასეუხს)

3) – ნახეთ რვეულში. სავ. №3. როგორ გველოდებიან ცხოველები, გვთხოვენ ჩვენც დაგვეხმარეთო. დავეხმაროთ ბავშვებო? გამოვთვალოთ მათი გამოსახულებების მნიშვნელობებიც.

4) მასწავლებელი (ამოხსნის შემდეგ): – ჭამის დრო გვაქვს. კაფეში შევიდეთ. მიუსხედით მაგიდებს. მე საჭმელს შევუავეთავ. ასე მითხრეს, თუ დაგვეხმარებით, უფრო მალე მოგართმევთ თქვენ მიერ შეკვეთილ საჭმელსო. მე ვფიქრობ, არ გაგვიჭირდება მათი დახმარება. ნახეთ სახელმძღვანელოს სავ. №3. ვაშლები სამზარეულოში 3 თევზზე ისე ალაგია, როგორც ნახატზეა ნაჩვენები. თითო თევზზე 10 ვაშლი უნდა იდოს. ჩვენ უნდა ვუთხრათ, რომელ თევზზე რამდენი ვაშლი უნდა დაუმატონ, რომ ვაშლების რაოდენობა თევზზე 10 გახდეს. ზეპირად არ უნდათ. უნდათ, რომ შესაბამისი გამოსახულებები დავუწეროთ ნიმუშის მსგავსად. შევძლებთ დახმარებას? ამოხსენით დავალება.

– ყოჩად, ბავშვებო! გავაგრძელოთ გზა.

5) მასწავლებელი: – მოვედით მოვედაზე, რომელსაც „გეომეტრია“ ჰქვია. ჩამოთვალეთ, რომელ გეომეტრიულ ფიგურებს იცნობთ. დააგირდით სავ. №4-ში მოცემულ ნახატებს. რა ფიგურებს ხედავთ მწვანე ფონზე? რამდენი წრეა მოცემული? (7)

– რამდენი უნდა იყოს? (10) მოვნიშნოთ 10 წერტილი. 

მათგან გადავხაზოთ იმდენი წერტილი, რამდენი წრეც გვაქვს. რამდენი წერტილი დარჩა გადახაზვის გარეშე? რას აღნიშნავს ეს სამი წერტილი? (იმ წრეების რაოდენობას, რომელიც აკლია წრეების მოცემულ რაოდენობას 10-მდე შესავსებად.)


– რა მოქმედება შევასრულეთ 10 წერტილიდან 7 რომ გადავხაზეთ? ჩაწერეთ შესაბამისი ტოლობა. ასევე მსჯელობენ დანარჩენ ფიგურებზე.

6) მასწავლებელი – ამოცანების პროსპექტზე რომ მოგხვდეთ, გზის ერთი მხრიდან მეორე მხარეზე გადასვლა მოგვიწევს. რა უნდა ვიცოდეთ ამ დროს? (ქუჩაზე მოძრაობის წესები) როგორ მივხვდეთ, შეგვძლია თუ არა გადასვლა? (შუქნიშნით) რომელი გეომეტრიული ფიგურებია შუქნიშაზე გამოყენებული? რის მიხედვით ვიგებთ, როდის გვაქვს გადასვლის უფლება და როდის არა?

– იცით, რას პქვია პროსპექტი? (სწორ და განიერ ქუჩას)

V. ამოცანების ამოხსნა

– პროსპექტზე გადასასვლელად სავ. №6 და №8 უნდა ამოვხსნათ.



კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №6. სასურველია, ამოცანა ამოხსნან სქემის გამოყენებით.

– რომელი არითმეტიკული მოქმედების გამოყენებაა საჭირო II

სახლის სართულების რაოდენობის გამოსათვლელად? (გამოკლების)

– რა გამოსახულება შედგება საამისოდ?(10-2) რამდენ სართულიანია II სახლი?

სავ. №8. მასწავლებელი: – დააკვირდით ნახატს. რას გვიჩვენებს რიცხვი 6? 4?

– რას გამოვითვლით 6+4 გამოსახულებით? (თევზების რაოდენობა ორივე აკვრიუმში ერთად) 6-4 გამოსახულებით? (რამდენით მეტი თევზია დიდ აკვარიუმში, ვიდრე პატარაში.)

– რამდენი თევზით მეტია დიდ აკვარიუმში, ვიდრე პატარაში?

– ახლა დავბრუნდეთ სახლში. დავალებად გექნებათ სახელმძღვანელოდან სავ№7 და რვეულიდან გვ.7, სავ№2-3.

VI. შედეგების შეჯამება

– რომელ ქალაქში ვიმოგზაურეთ?

– რა მოგეწონათ ამ მოგზაურობისას ყველაზე მეტად?

– კიდევ გინდათ ასეთი მოგზაურობის მოწყობა?

– ქალაქის რომელი ნაწილი დაგვრჩა უნახავი? (უტოლობის ქუჩა) თქვენ დღეს ისეთი კარგები იყავით, რომ გპირდებით, კიდევ ერთხელ ვეწვევით ქალაქ „მათვარტიკას“ და გავისეირნებთ უტოლობის ქუჩაზე.

გაკვეთილი №6

მიზნები: 1) პირველ კლასში განვლილი მასალის გამეორება: ნატურალური რიცხვები 20-ის ფარგალში, ნუმერაცია; საგანთა რაოდენობების შედარება (დაწყვილებით) ჯგუფებში; შეკრება-გამოკლება 10-ის ფარგალში; 2) სივრცეში ორიენტირებისა და ობიექტთა ურთიერთმდებარეობის განსაზღვრის უნარების განვითარება.

მასალა: მასწავლებელს: კარნაბის მასალა, კუბები. მოსწავლეებს ჩეირები.

გაკვეთილის მსვლელობა

დავალების შემოწმების შემდეგ თვალსაჩინოების გამოყენებით აჩვენებენ საგნებზე 20-მდე რიცხვების მიღებას. ადგენერ საგანთა მოცემულ რაოდენობებს, მოცემულ რაოდენობაზე 1-ით მეტი ან 1-ით ნაკლები საგნების გროვებს და ა. შ. ითვლიან 1-ის ტოლი ბიჯით 1-დან 20-მდე და პირიქით, 20-დან 1-მდე.

გაკვეთილი გრძელდება ზეპირი ანგარიშით, რომლისთვისაც მასწავლებელი იყენებს თამაშსა და კარნაბს.

თამაში: „იყავი ყურადღებით!“

თამაშის მიზანი: 1-დან 20-მდე და პირიქით, 20-დან 1-მდე რიცხვების ზეპირი ნუმერაციის განმტკიცება, ყურადღებიანობისა და აზროვნების, ობიექტთა ურთიერთმდებარეობის განსაზღვრის უნარების განვითარება.

თამაშის წესი: მასწავლებელი ასახელებს რომელიმე ერთ რიცხვს 10-დან 20-მდე, ხოლო მოსწავლე ასახელებს ამ რიცხვის მომდევნო რიცხვს იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი მარჯვენა ხელს აწევს ზევით და ამ რიცხვის წინა რიცხვს იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი მარცხნა ხელს აწევს ზევით და ა. შ.

კარნახი: (მასწავლებელი თითოეულ გამოსახულებას 3-3-ჯერ კითხულობს.)

5+4	7+3	2+8	10-5	9- 7
10+1	10+8	20-1	15-5	13+1

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რეეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №1. იყენებენ დაწყვილების ხერხს (თაგვი-თხილი) და ისე ადარებენ თაგვებისა და თხილების რაოდენობებს ორივე შემთხვევაში.

სავ. №2. რა წესითაა რიცხვთა დერბზე რიცხვები წერტილებთან მიწერილი? რა რიცხვია 3-ის მოდევნო? (4) არის თუ არა ნაჩვენები ის წერტილი, რომელთანაც 4 უნდა ეწეროს? როგორ ხვდები ამას? ა. შ.

დ/ს ორი ვარიანტი: **სავ. №6** (2-2 სვეტი თითო რიგს).

სავ. №8 მასწავლებელი: წაიკითხეთ I და II წინადადებები. შეიძლება თუ არა ორივე იყოს სწორი? (არა, მათში ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებია გამოთქმული).

– ნახატზე მარცხნივ თემური წერია, მარჯვნივ გიორგი. რომელი წინადადებაა სწორი ნახატის მიხედვით? (მართალია, ნახატზე მარცხნივ თემურია, მარჯვნივ – გიორგი, მაგრამ შეკითხვა გულისხმობს არა ჩვენ მიმართ, არამედ იმას, თუ თემური გიორგის რომელ მხარესაა. თემური გიორგის მარჯვნივაა.)

საშინაო დავალებად სავ. №5, რეეული სავ. №1, №2.

გაკვეთილი №7

მიზნები: პირველ კლასში განვლილი მასალის გამეორება: 1) რიცხვების წაკითხვის, ჩაწერისა და შედარების, მათი შეკრება-გამოკლების (20-ის ფარგალში) უნარ-ჩვევების განმტკიცება; 2) კანონზომიერების ამოცნობისა და განვრცობის უნარის განვითარება.

მასალა: მასწავლებელს : ცხრილები.

გაკვეთილის მსვლელობა

თამაში: „პრძოლა რიცხვებისა და მათი ჩანაწერებისათვის“. მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს გამზადებული ორი ერთნაირი ცხრილი.

12	4	14	8
1	15	10	20
13	7	3	17
9	11	19	6
16	18	5	2

12	4	14	8
1	15	10	20
13	7	3	17
9	11	19	6
16	18	5	2

თამაშის წესი: მასწავლებელს დაფასთან გამოჰყავს ორი მოსწავლე. მოსწავლეებს აძლევს თითო საჩვენებელ ჯოხს და ეუბნება: თქვენ ერთმანეთს ეჯიბრებით 1-დან 20-მდე რიცხვების მიმდევრობით თვლასა და მათი ჩანაწერების მოძებნაში. ჯერ იპოვით რიცხვს ცხრილში და დაასახელებთ მას, შემდეგ მომდევნო რიცხვს იპოვით და დაასახელებთ და ა. შ. მაშასადამე, ჯერ იპოვით და შემდეგ ასახელებთ რა რიცხვიც იპოვეთ. გამარჯვებულია ის, ვინც ყველაზე ადრე იპოვის ყველა რიცხვს, ანუ ვინც ყველაზე ადრე დაასახელებს 20-ს.

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რეეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №4. ამოცანაში დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, მასწავლებელი მოს

წავლებს სთხოვს მოიფიქრონ კითხვა, რომელზეც შეიძლება პასუხის გაცემა მოცემული ნახატის მიხედვით (რამდენიმ მეტია (ნაკლებია) ზედა(ქვედა) თოკზე გაფენილი წინდები, ვიდრე ქვედა (ზედა) თოკზე გაფენილი წინდები?

სავ. №5. მასწავლებელი: –როგორ რიცხვებზეა საუბარი ამოცანაში? რომელ რიცხვებს პქვია ერთნიშნა? ორნიშნა? რას ნიშნავს „უმცირესი ორნიშნა რიცხვი”? (ორნიშნა რიცხვებს შორის ყველაზე მცირეს, პატარას.) რომელია ეს რიცხვი? (10) რას ნიშნავს „უდიდესი ერთნიშნა რიცხვი”? (ერთნიშნა რიცხვებს შორის ყველაზე დიდს.) რომელია ეს რიცხვი? (9). მაში, რომელი რიცხვების ჯამი და სხვაობა უნდა გამოვთვალოთ? დაწერეთ შესაბამისი გამოსახულება და გამოთვალეთ მისი მნიშვნელობა.

დ/ს რვეული, გვ.№8, სავ.№1.

სავ. №6. რა მოქმედებას შეესაბამება „+” ნიშანი? „–” ნიშანი? დააკვირდით ჩანაწერებს სახელმძღვანელოში. I მაგალითში მოქმედება სრულდება 12-სა და 1-ზე, შედეგად უნდა მივიღოთ 13. რა მოქმედება უნდა შევასრულოთ? რატომ შეკრება? (ჯამი შესაკრებებზე დიდი რიცხვია) 12-ზე რამდენიმ მეტია 13? (1) როგორ მიიღება 12-გან 13? (1-ის მიმატებით) რას გვაძლევს 12-ისა და 1-ის ჯამი? (12-ის მომდევნო რიცხვს, ანუ 13-ს) – რა მოქმედება უნდა შევასრულოთ შემდეგ მაგალითში? (გამოკლება) რატომ? რას მივიღებთ? (20-ის წინა რიცხვს)

– რას უნდა დაგაკვირდეთ მოცემულ ტოლობებში? (მწვანე წრეებში ყველგან 1-იანები წერია. ე.ი. ყვითელ წრეში ჩაწერილ რიცხვებს ან 1 ემატება, ან 1 აკლდება) რას იტყვით ტოლობის მარჯვნივ მოცემულ რიცხვებზე? (ყოველი მათგანი ყვითელ წრეებში ჩაწერილი რიცხვის ან მომდევნო, ან წინა რიცხვია) რაში დაგვეხმარება მოცემულის წინა ან მომდევნო რიცხვის აღმოჩენა? (წინა რიცხვის მოსაძებნად 1-ის გამოკლებაა საჭირო, მომდევნო რიცხვის – 1-ის მიმატება.)

– დაწერეთ რვეულებში შესაბამისი ტოლობები.

წერებ: $12+1=13$ $20-1=19$ $18+1=19$ $17-1=16$

სავ. №7. რა ფიგურებს ხედავთ ნახატზე? რით განსხვავდებიან მოცემული ექვსკუთხედები ერთმანეთისაგან? ანალიზისა და განსჯის შედეგად დაადგენენ (დიაგრამის მიხედვით), რომ მომდევნო ფიგურა იქნება მესამე ექვსკუთხედის მსგავსი.

სავ. №8. პასუხი: $0+0=0-0$.

საშინაო დავალება: რვეული, სავ.№2, №3.

გაკვეთილი №8

მიზნები: 1) რიცხვების წაკითხვის, ჩაწერისა და შედარების, მათი შეკრება-გამოკლების (20-ის ფარგალში) უნარ-ჩვევების განვითარება; 2) საგანთა ორი ჯგუფის შედარების, დაპვირვებისა და ანალიზის უნარების განვითარება; 3) ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

მასალა: მასწავლებელს: კარნახის მასალა, მოსწავლეებს: სასიგნალო ბარათები.

გაკვეთილის მსგლელობა

ორგ. მომენტ

ზეპირი ანგარიში

1) (ერთი პასუხობს, დანარჩენები სასიგნალო ბარათებით გამოხატავენ პასუხზე თანხმობას ან უარყოფას):

- რომელია 12-ის მომდევნო რიცხვი? 18-ის? 19-ის?
- რომელია 20-ის წინა რიცხვი? 14-ის? 18-ის?
- რა რიცხვი შედგება 1 ათეულისა და 7 ერთეულისაგან? 1 ათეულისა და 9 ერთეულისაგან? მხოლოდ 2 ათეულისაგან? ათი ერთეულისაგან?
- როგორი რიცხვები ჰქვია რიცხვთა მიმდევრობაში 19-სა და 20-ს? 2-სა და 3-ს?
- როგორი რიცხვები ჰქვია ნიშნადობის მიხედვით 19-სა და 20-ს? 2-სა და 3-ს?
- რომელია მეტი 16 თუ 17? რამდენით? 5 თუ 15? რამდენით?
- რომელია ნაკლები 11 თუ 15? რამდენით? 19 თუ 9? რამდენით?
- რას უდრის 5-ისა და 10-ის ჯამი?
- რას უდრის 15-ისა და 5-ის ჯამი?
- რას უდრის 20-ისა და 10-ის სხვაობა? 19-ისა და 9-ის სხვაობა?
- რამდენი ათეულისა და ერთეულისაგან შედგება 17? 14? 11? 20? 10? 18?
- დავუშვათ გაქვს 16 ჩხირი. რა უნდა მოიმოქმედო, რომ ჩხირების რაოდენობა გახდეს 18? 14? 6?

2) თამაში: „მათემატიკური ესტაფეტა“ (მოსწავლეობა გუნდური შეჯიბრი)

შეჯიბრი შეიძლება რიგებს შორის გაიმართოს. მასწავლებელი ასახელებს რიცხვს. მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ გამოსახულება, რომლის მნიშვნელობაც ამ რიცხვის ტოლია. თითო მოსწავლე წერს თითო გამოსახულებას და ბარათს გადასცემს უკან მჯდომ ბავშვს. თუ გამოსახულების შედგენის შესაძლო ვარიანტი იმაზე მეტია, ვიდრე მოსწავლეები არიან, თავიდან დაიცავენ გუნდში რიგითობას. სამივე რიგს ერთი და იგივე რიცხვი ეძლევა. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც სწრაფად, სრულყოფილად და უშეცდომოდ შეასრულებს დავალებას.

მუშაობას გააგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №2 კითხულობენ და ჩანაწერების შესრულების გარეშე, ზეპირად ითვლიან გამოსახულებათა მნიშვნელობებს.

სავ. №3 უმჯობესია ჩაწერონ ათივე ციფრი და გამორიცხვის მეთოდით გაარკვიონ, რომ ჩანაწერებში არ მონაწილეობს ორი ციფრი: 4 და 9.

სავ. №5 მასწავლებელი: – რა წესითა შედგენილი თითოეული სვეტი? რა იცვლება, რა არ იცვლება? (I სვეტში 16-ს ემატება ჯერ 1, მერე 2, 3 და 4) როგორ შეიცვლება გამოსახულების მნიშვნელობა ამ სვეტში სტრიქონიდან სტრიქონში გადასვლისას? (1-ით გაიზრდება) შევამოწმოთ ჩვენ მიერ გამოტანილი დასკვნა.

მოსწავლეები დამოუკიდებლად ითვლიან ოთხივე ჯამს და სხვაობას. გამოაქვთ დასკვნა კომპონენტთა ცვლილებით გამოწვეული ჯამის/სხვაობის ცვლილების შესახებ.

სავ. №6 ჩანაწერები სრულდება დაფაზე და რვეულებში.

მასწავლებელი, მოსწავლეებს ჩამოაწერინებს ბავშვების სახელებს და სთხოვს თითოეულის სახელის ქვეშ ჯერ წრეებით მონიშნონ მათ მიერ შეჭმული გაშლების რაოდენობა (უმჯობესია სამი ფერის ცარცის გამოყენება.) ხოლო წრეების ქვეშ რიცხვებით ჩაწერონ.

ნიკა	ლაშა	თინიკო
000	●●●	●●●●●
3	3	4

– რას შეესაბამება წრეების საერთო რაოდენობა? რამდენია? რამდენი ვაშლი შეჭამა სამივემ ერთად?

– რომელი არითმეტიკული მოქმედებით შეგვიძლია გამოვითვალოთ რამდენი ვაშლი შეჭამა სამივემ? როგორ? (3+3+4). ითვლიან ჩაწერილი გამოსახულების მნიშვნელობას. პასუხს სრულად ჩამოაყალიბებინ.

სავ. №7. როგორ ფიქრობთ, რამდენნიშნაა საძიებელი რიცხვი? რომელია ერთგულების თანრიგი? ათეულების თანრიგი? შეგვიძლია თუ არა, ახლავე ვთქვათ, რომელი ციფრი უნდა ეწეროს ათეულების თანრიგში? (1, რადგან ორნიშნა და 20-ზე ნაკლები რიცხვების ათეულების თანრიგში იწერება მხოლოდ ციფრი 1)

– ამოცანის პირობის მიხედვით რომელი ციფრის მნიშვნელობა უნდა იყოს მეტი ერთგულების თანრიგის, თუ ათეულების თანრიგის? რამდენით? რა ციფრი უნდა ეწეროს ერთეულების თანრიგში? რა რიცხვია საძიებელი რიცხვი? (ა) 14; ბ) 10.)

დ/ს რვეული, სავ.№3.

შედეგების შეჯამება

საშინაო დაგალება: რვეული, სავ.№1, №2.

გაკვეთილი №9

მიზნები: 1) I კლასში განვლილი მასალის გამეორება; 2) დაკვირვებისა და ანალიზის, სივრცეში ორიენტირების, ობიექტთა ურთიერთმდებარეობის გარკვევის უნარების განვითარება (სწორად გამოყენება სიტყვების: „მარჯვნივ”, „მარცხნივ”, „წინ”, „უკან”, „ზემოთ”, „ქვემოთ”); 3) ამოცანების ამოხსნის, მსჯელობა-დასაბუთების უნარის განვითარება; 4) წევილებში მუშაობის გამოცდილების გაუმჯობესება.

მასალა: ჩხირები

გაკვეთილის მსგლელობა

მასწავლებელი: – ამოგხსნათ ამოცანა: შეკვეთის მიხედვით სამკერვალომ 17 წინსაფარი უნდა შეკეროს. 8 წინსაფარი შეკერა. რამდენი წინსაფარი დარჩა შესაკერი?

– ამოცანა თვალსაჩინოების გამოყენებით ამოგხსნათ. დაილაგეთ მერხებზე 17 ჩხირი. რამდენი ათეული და რამდენი ერთეულია 17-ში? – მიმართავს კლასს და პარალელურად ერთი ხელით ერთ ათეულ (კონა), ხოლო მეორე ხელით ერთეულებად დაშლილ 7 ჩხირს უჩვენებს.

– როგორ გავიგოთ, რამდენი წინსაფარი დარჩა სამკერვალოს შესაკერი? (პასუხის მოხმენის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ასრულებს ჩანაწერს: 17–8=.)

– დავუშვათ, შენ ხარ სამკერვალოში შეკვეთაზე პასუხისმგებელი პირი (მიმართავს ერთ-ერთ მოსწავლეს, პირობითად თეკლას), ხოლო შემკვეთი არის შორენა. (ასახვლებს II მოსწავლეს და თეკლას აძლევს ერთ ათეულ და 7 ცალკეულ ჩხირს) სულ რამდენი წინსაფარი უნდა ჩააბაროს თეკლაში შორენას? (17) თეკლაში დაურევა შორენას და უთხრა, რომ 8 წინსაფარი უკვე შზადაა. შორენაშ 8 წინსაფარი წაიღო.

– თეკლა ჩხირების შესაბამისი რაოდენობა მიეცი შორენას (მიმართავს ერთ-ერთ მოსწავლეს, პირობითად – თეკლას). როგორ უნდა მოიქცე? (მოსწავლე ჩხირებზე ასრულებს ორნიშნა რიცხვიდან ერთნიშნა რიცხვის გამოკლებას ათეულზე გადასვლით) იმეორებენ I კლასში ნასწავლ მასალას. შესაძლოა, მასწავლებლის დახმარების გარეშე ვერ ახსნას მოსწავლემ მოქმედების პროცესი, ვერ იმსჯელოს სათანადოდ, ამიტომ მასწავლებელი გარკვეული დოზით ეხმარება მას.

- რამდენი წინსაფარი დარჩა სამკერვალოს შესაკერი? (9)
- ახლა საფეხურ-საფეხურ აღვწეროთ, თუ როგორ გამოვაკლით 17-ს 8. საუბრის პროცესში მასწავლებელი დაფაზე ასრულებს შემდეგ ჩანაწერს:

$$17 - 8 = (17 - 7) - 1 = 10 - 1 = 9$$

\downarrow
7 1

- დაფაზე თანმიმდევრობითა და დაწვრილებით გვაქვს ჩაწერილი ჩვენ მიერ შესრულებული მოქმედებები. თქვენ რეგულებში მოკლედ ჩაწერეთ: $17 - 8 = 9$, მაგრამ გონიერად ეს მოქმედებები ზუსტად ისე სრულდება, როგორც ჩვენ შევასრულეთ.

ამ ტიპის კიდევ 2-3 მაგალითს საგნების გამოყენებით ხსნიან. შემდეგ კი მუშაობას განაგრძობენ სახელმძღვანელოსა და რეგულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავN2 მასწავლებელი: – რა ვიცით ყვავილების შესახებ? (ერთ ლარნაკში უფრო მეტი ყვავილია, ვიდრე მეორეში)

- ვიცით რომელიმე ლარნაკში რამდენი ყვავილია? (ერთში ვიცით ათია, მეორეში არა)
- რომელ ლარნაკშია 10 ყვავილი? (I)
- მეორე ლარნაკში უფრო მეტი ყვავილია, თუ პირველში? (I-ში) რამდენიო? (2-ით)
- მაშასადამე, ვიცით, რომ ერთ ლარნაკში 10 ყვავილია და ეს 2-ით მეტია, ვიდრე II ლარნაკში. დაფიქრდით და მიპასუხეთ კითხვაზე: ყვავილების მეტი რაოდენობიდან მეტი რაოდენობა უნდა მივიღოთ, თუ ნაკლები? (ნაკლები).
- ახლა რიცხვებით მითხარით, რა გვაქვს და რა უნდა გამოვთვალოთ (გვაქვს 10 ყვავილი და უნდა გამოვთვალოთ რამდენია მასზე 2-ით ნაკლები)
- როგორ მოვიქცეთ დიდი რიცხვიდან პატარა რიცხვი რომ მივიღოთ? (უნდა გამოვაკლოთ) რამდენი მოქმედებით შეგვიძლია ამოცანის ამოხსნა? (1) რა მოქმედება უნდა შევასრულოთ? (გამოკლება: 10-2) ამოხსნით.

I დ/ს **სავN3.** ამოცანის ამოხსნის დაწყებამდე უნდა გაიმეორონ: 1) ერთნიშნა რიცხვების 10-მდე შევსება (რამდენი უნდა დაემატოს 6-ს, 7-ს, 8-ს და 9-ს, რათა იგი 10-მდე შეივსოს?

2) ნუმერაციული შეკრება (10+6, 3+10 და ა.შ. სახის საგარჯიშოებით)

3) შეკრების ხელსაყრელი ხერხის მონახვა: (6+4+7, 9+6+1 და ა.შ. სახის საგარჯიშოების შესრულებით)

სავN6 შესაკრებებს განსაზღვრავენ ან კვადრატების ფერების მიხედვით, ან კვადრატების მდებარეობის მიხედვით (არეს შიგნით და არეს გარეთ).

II დ/ს რვეული გვ.10, სავN3.

სავN7 თუ რომელიმე მოსწავლემ ვერ აღიქვა რეალური სიტუაცია, მაშინ გამოჰყავს ერთი მოწავლე და ცოცხლად აჩვენებს ორივე შემთხვევას.

საშინაო დაგალება სავN4, რვეული გვ.10, სავN1.

გაპვეთილი №10

მიზნები: პირველ კლასში განვლილი მასალის გამეორება:

- 1) ნატურალური რიცხვების შეკრება-გამოკლება 20-ის ფარგალში;
- 2) სივრცეში ორიენტირების უნარის განვითარება;
- 3) საგანთა ორი ჯგუფის შედარების უნარ-ჩვევების გამომუშავება;

- 4) სამი საგნის შედარებისას სიმაღლის პარამეტრის გამოყოფის უნარის განვითარება;
- 5) მოცემულ საგანთა ერთობლიობასთან რიცხვის შესაბამისობის დადგენის უნარის განვითარება;
- 6) მასწავლებელთან და თანაკლასელებთან მიმართებაში თანამშრომლობის უნარის განვითარება.

მასალა: ორი ფერის ჩხირები (10 ერთ ფერში, 10 მეორე ფერში), ბარათები თამაშისათვის, რიცხვების ნაკრები.

გაპვეთილის მსვლელობა

I ორგ. მომენტი, საშინაო დავალების შემოწმება

II ზეპირი ანგარიში

1) თამაში: „რომელი რიცხვები აკლია?“

თამაშის მიზანი: 1-20 რიცხვების ნუმერაცია.

თამაშის წესი: მასწავლებელი ასახელებს 2 რიცხვს, მოსწავლეები ადგილიდან აჩვენებენ (ნაკრებიდან) ამ რიცხვებს შორის გამოტოვებულ რიცხვს. მაგალითად, მასწავლებელი აჩვენებს 15-სა 18-ს, მოსწავლეები აჩვენებენ 16-სა და 17-ს და ა. შ.

2) თამაში: „ესტაფეტა“

თითოეულ რიგს ეძლევა ერთი ბარათი (გასამეორებელ თემასთან შესაბამისი იმდენი მაგალითით, რამდენი მოსწავლეცაა რიგში) თითოეული მოსწავლე ხსნის ერთ მაგალითს, მიუწერს პასუხს და ბარათს გადასცემს თანაბუნდელს. იგებს ის რიგი, რომელიც სწრაფად და უშეცდომოდ ამოხსნის ყველა მაგალითს.

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

ქომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავ. №1. დააკვირდით გიგისთან დაწერილ ტოლობას. ეს ტოლობა შეგვიძლია ასე წავიკითხოთ: – 10-ს რა რიცხვი უნდა მივუმატოთ, რომ 20 მივიღოთ? როგორ შევცვლით ამ წინადაღებას თუ ჩხირებზე გვეჩნება საუბარი? (რამდენი ჩხირი უნდა დავუმატოთ 10 ჩხირს, რათა 20 ჩხირი გვერდებს?)

– დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ვცადოთ ჩხირებზე მოქმედებით. რამდენი ჩხირი უნდა გვჭონდეს სულ? (20) დაალაგეთ მაგიდაზე 20 ჩხირი. აქედან 10 იყოს ერთ ფერში, დანარჩენები ხსვა ფერში.

– რამდენია მეორე ფერის ჩხირი? (ითვლიან) რა მოქმედება შევასრულეთ? 20-ს გამოვაკეთ 10). ჩაეწეროთ ამოხსნა სრული სახით.

ერთი მოსწავლე ჩანაწერს ასრულებს დაფაზე, დანარჩენები რვეულებში.

– რა გვჭონდა მოცემული? რა უნდა გვეპოვა? როგორ ვიპოვეთ უცნობი შესაკრები? (ორი რიცხვის ჯამს გამოვაკეთით ის შესაკრები, რომელიც ვიცოდით). თუ მოქმედების მსვლელობა ლაკონურად ვერ ჩამოაყალიბეს ბავშვებმა, მასწავლებელი ეუბნება უცნობი შესაკრების პოვნის გამართულ წესს, მაგრამ არ სთხოვს მის დაზეპირებას. ამ წესის გამოყვანა თვითონ მოსწავლემ უნდა შეძლოს და როცა რამდენჯერმე შეასრულებს შესაბამის გააზრებულ სვლებს, თავისთავად დაამახსოვრდება.

სავ. №2 1) I სვეტის 3 გამოსახულებას 3 ხსნადასხვა მოსწავლეს კითხულობს.

– როგორ შევამოწმოთ არის თუ არა მოცემული გამოსახულებების მნიშვნელობები ტოლი? (გამოვითვალოთ მათი მნიშვნელობები და ერთმანეთს შევადაროთ)

სამივე მოსწავლე, ვინც გამოსახულება წაიკითხა, გამოჰყავს დაფასთან. თითოეული ითვლის მის მიერ წაკითხული გამოსახულების მნიშვნელობას.

- რა მიიღეთ? (13). რას იტყვით ამ გამოსახულებათა მნიშვნელობების შესახებ?
- 2) იყენებენ სამი ფერის ჩხირებს და მეორე და მესამე სვეტის გამოსახულებათა მიხედვით ჩხირებით ასრულებენ მოქმედებებს.
- ჩვენ შემთხვევაში, როცა ვიცით I გამოსახულების მნიშვნელობა, მაშინ შეკრების მოქმედების შესრულების გარეშე ვერ მივხვდებით რა რიცხვის ტოლია მოცემული II ან III გამოსახულების მნიშვნელობა?

მსჯელობენ, ადარებენ თითოეული სვეტის გამოსახულებათა მნიშვნელობებს. აყალიბებენ დასკვნას: სამი რიცხვის შეკრებისას შეგვიძლია მათგან ორის ჯამს მიგუმატოთ მესამე რიცხვი.

სავ. №3 მასწავლებელი: – ვისზეა ამოცანაში ლაპარაკი? სულ რამდენი კლასია მონაწილე?

მასწავლებელი სთავაზობს, რომ თითოეული კლასისთვის შესაბამისი რაოდენობის წრეებით გამოსახონ ნერგები, რომელთა დარგვაც ავალიათ მოსწავლეებს.

– IX-კლასელებისთვის იმდენი წრე გვაქვს მონიშნული, რამდენი ნერგიც უნდა დაერგოთ სულ. რამდენი ნერგი დარგო IX კლასმა? (15) 15 ნერგი უკვე დარგეს. რა მოვიმოქმედოთ სქემაზე ამის შესაბამისად? (გადავხაზოთ 15 წრე.) რამდენი წრე დარჩა გადახაზვის გარეშე? (5) რას შეესაბამება გადახაზვის გარეშე დარჩენილი 5 წრე? (დარჩენილი ნერგების რაოდენობას.) რამდენი ნერგი დარჩათ მეცხრეკლასელებს დასარგავი? (5). რა მოქმედება შევასრულეთ? (გამოკლება.) შესრულებული მოქმედება ასესენით ამოცანის პირობის მიხედვით. (დასარგავი ნერგების რაოდენობას გამოვაკელით უკვე დარგული ნერგების რაოდენობა და მივიღეთ დარჩენილი ნერგების რაოდენობა.)

სქემას ასეთი სახე ექნება:



სავ. №4 ყვავების რაოდენობას ორი შესაკრების ჯამის სახით წარმოადგენენ და ისე გამოითვლიან.

სავ. №8 კანონზომიერების აღმოჩენის შემდეგ ეძებენ ალამს (ყვითელი, სამკუთხა), რომელიც ამ კანონზომიერებით უნდა იყოს ცარიელ უჯრაში.

დ/ს რვეული გვ.№11 სავ. №3.

წყვილებში სამუშაო

მიზნები: 1) მარშრუტის განსაზღვრის, გონებრივი ოპერაციების, კომუნიკაბელობის, საგნებს შორის განმასხვავებელი ნიშნების აღმოჩენის უნარების განვითარება; 2) სივრცითი ორიენტაციის ფორმირება; 3) მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №1 წყვილებში იხილავნ მოცემულ სქემატურ ნახატს, ანუ იმას, თუ რომელია ის მარშრუტი, რომლითაც დათუნია სახლში მივიდა. **პასუხი:** №2.

სავ. №2 განმასხვავებელი ნიშნებია:

- 1) მარცხენას არა აქვს ლაქა მარჯვენა ყურის ადგილზე, მარჯვენას აქვს;
- 2) მარცხენას არა აქვს ლაქა თავზე, შუბლის ზემოთ, მარჯვენას აქვს;
- 3) მარცხენას 7 ფეხი აქვს, მარჯვენას – 8;
- 4) განსხვავებული აქვთ თვალები;

5) ნახატზე, მარცხენას უგანა ფეხი მარცხნივ პატარა აქვს, მარჯვენას – დიდი.

სავ. №3. სასურველია კუბის ნიმუშზე იმუშაონ. პასუხი: I მდებარეობაში მისაყვანად საკმარისია კუბის 2-ჯერ გადაბრუნება მარცხნივ ან მარჯვენივ. II მდებარეობაში მისაყვანად საკმარისია კუბი 1-ჯერ უკან გადავაბრუნოთ, 1-ჯერ მარჯვენივ და 1-ჯერ ისევ უკან.

შედეგების შეჯამება

საშინაო დავალება: სავ. №5, რვეული, სავ. №1.

გაპვეთილი №11

მიზნები: გამეორება: 1) გამოთვლები 20-ის ფარგალში; 2) რიცხვებს შორის დამოკიდებულება („-ით მეტი”, „-ით ნაკლები”), რიგობითი რიცხვითი სახელების გამოყენება; 3) ობიექტთა ურთიერთმდებარეობის განსაზღვრა და აღწერა.

მასალა: ბარათები ციფრებით, 8 წრე, 11 სამკუთხედი.

გაპვეთილის მსგლელობა

I. ორგ. მომენტი, საშინაო დავალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში წინარე ცოდნის გააქტიურება

III. გაპვეთილის თემაზე მუშაობა

1) თამაში: „ რიცხვების ცოცხალი ჯაჭვი”

თამაშის მიზანი: 1-დან 20-მდე რიცხვების შეკრება/გამოკლების უნარის განვითარება.

თამაშის წესი: მასწავლებელი არიგებს ბარათებს, რომელთაგან თითოეულს აწერია თითო ციფრი 1-დან 9-მდე. დაფასთან იძახებს ერთ მოსწავლეს, არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელი ბარათის მფლობელია ეს მოსწავლე. ამის შემდეგ მასწავლებელი ასახელებს რიცხვს. (იმაზე დიდს, რაც გამოძახებულ მოსწავლეს აქვს) I რიცხვი დასახელებულ რიცხვამდე უნდა შეავსოს სხვა მოსწავლემ შესაბამისი რიცხვით. (მაგალითად, I მოსწავლეს აქვს ბარათი რიცხვით – 7, მასწავლებელი ასახელებს 15-ს, ე. ი. გამოვა – მოსწავლე, რომელსაც აქვს ბარათი ჩანაწერით – 8, რადგან 7+8=15) II მოსწავლე გამოდის და დგება I მოსწავლის გვერდით. მათ რიცხვები ისე უკავიათ, რომ ყველანი ხედავენ. ორი გამოტანილი რიცხვის ჯამი უნდა იყოს მასწავლებლის მიერ დასახელებული რიცხვი (15). (მასწავლებელმა ისეთი რიცხვები უნდა დაასახელოს, რომ მოსწავლის მიერ გამოტანილი შესაკრები ერთნიშნა რიცხვი იყოს. შემდეგ მასწავლებელი ასახელებს რიცხვს, რომელიც უკავ მიღებულ ჯამზე მეტია (მაგ.18) და მოქმედება მეორდება. (იძახებს მოსწავლეს, რომელსაც აქვს ბარათი ციფრით, მაგალითად, 3 და ა. შ.)

ყოველი ჯაჭვის ბოლო რგოლად მასწავლებელი ასახელებს რიცხვ 20-ს. ამიტომ გამოდის 1 ან 2 მოსწავლე და 15-ს 20-მდე შეავსებს. შესაკრებთა რაოდენობას მასწავლებელი თავისი სურვილის მიხედვით ადგენს. ჯაჭვის შესაბამისად დაფაზე უნდა დაიწეროს ტოლობა (განხილული მაგალითისათვის: 7+8+3+2=20).

მოსწავლეები, რომელთაც ბარათები არ ერგოთ, აკონტროლობენ თამაშის მსვლელობას. ნებისმიერი მოსწავლის გამოსკლის შემდეგ უკრავენ ტაშს შემდეგი წესით: თუ სწორად შეავსო – 3 ტაში, თუ არასწორად - 1 ტაში.

2) სახელმძღვანელოზე მუშაობა

სსნიან სავ. №1 და №2. ამოხსნამდე იმეორებნ, თუ რა მოქმედებას უკავშირდება „-ით მეტობა”, „-ით ნაკლებობა”, რიცხვის რამდენიმე ერთგულით გაზრდა/შემცირება, რის-თვისაც უნდა გამოიყენონ მოდელები (ჩხირები) და მათზე მოახდინონ დემონსტრირება.

სავ. №3. საგარჯიშო ხელს უწყობს არა მარტო რიცხვების შედგენილობის გამეორებას

და დამახსოვრებას, არამედ შეკრება-გამოკლების მოქმედებებისა და მათ შორის ურთიერთგავშირის გამეორებას. ჯერ ადგნენ თუ რა წესითაა ოთხუთხედების სამეულებში რიცხვები ჩაწერილი, შემდეგ კი თითოეულ სამეულში პოლობენ რიცხვს, რომელიც გამოტოვებულია. პარალელურად დაფაზე და რვეულებში ასრულებენ შესაბამის ჩანაწერებს. რიცხვების პოვნის შემდეგ მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

- მოცემულ ნიმუშში 14 წარმოდგენილია 9-ისა და 5-ის ჯამის სახით. კიდევ რომელი ჯამის სახით შეიძლება 14-ის წარმოდგენა? და ა. შ. ვარჯიშობენ 20-მდე რიცხვების ორი შესაკრების ჯამის სახით წარმოდგენაზე.

სავ. №7. სანამ რიცხვით გამოანგარიშებაზე გადავიდოდნენ, უმჯობესია, მასწავლებელმა მოსწავლები თვალსაჩინოებებზე ამუშაოს. ამისათვის გამოიყენოს ზუსტად ის ფიგურები, რაც ამოცანაშია მოცემული, ანუ წრები და სამკუთხედები.

- რამდენი წრეა ნახატზე მოცემული? (8) ავიღოთ ჩვენც 8 წრე (დაფაზე ან გამოსახულ ადგილზე აღაგებს 8 წრეს).

- რომელი უნდა იყოს ნაკლები წრები თუ სამკუთხედები? (წრეები) რამდენით? (3-ით)

- რა უნდა გავიგოთ? (კიდევ რამდენი სამკუთხედი უნდა დაგხა-  ზოთ, რომ სამკუთხედების რაოდენობამ წრეების რაოდენობას 3-ით გადააჭარბოს?) რამდენი სამკუთხედი გვაქვს? (2) ავიღოთ ორი სამკუთხედი და დავდოთ წრეების ქვეშ ისე, რომ დავაწყვილოთ წრე და სამკუთხედი. ფიგურებს შემდეგნაირად აღაგებენ:

- ახლა სხვა ფერის სამკუთხედები დავალაგოთ ისე, რომ გვქონდეს ზუსტად იმდენი სამკუთხედი, რამდენიც წრეა. ეს მათი დაწყვილებით გავაკეთოთ. 

ფიგურებს წყვილებად შემდეგნაირად აღაგებენ:

- რას იტყვით წრეებისა და სამკუთხედების რაოდენობაზე? (ახლა ზუსტად იმდენი სამკუთხედი გვაქვს, რამდენიც წრეა) ეს იყო ჩვენი მიზანი? (არა)  წრეებზე რამდენით მეტი სამკუთხედი უნდა იყოს? (3-ით) რა უნდა

გავაკეთოთ იმისათვის, რომ 3-ით მეტი სამკუთხედი გვქონდებს? (კიდევ სამი სამკუთხედი უნდა დავდოთ სამკუთხედების რიგში. დებენ კიდევ სამ სამკუთხედს.)

- რამდენი სამკუთხედის დამატება გახდა საჭირო? (9)

- სხვანაირად თუ შეგვეძლო ამოხსნა? (დიახ, ჯერ გავიგებთ სულ რამდენი სამკუთხედი უნდა გვქონდეს: $8+3=11$, ხოლო შემდეგ გამოვაკლებთ რაც გვაქვს (2) და დაგვრჩება სამკუთხედების ის რაოდენობა, რაც უნდა დავამატოთ: $11-2=9$.) ამ სკლებსაც მოდელებზე აჩვენებენ.

IV. ფიზ.წუთები

V. დ/ს რვეული, სავ. №3.

VI. ამოცანაზე მუშაობა

სავ. №9. -წაიკითხეთ ამოცანა. შემდეგ მიმართავს ერთ მოსწავლეს. -არის ეს ტექსტი ამოცანა? (დიახ) როგორ დაასაბუთებ? (არის ამოცანის პირობა, რიცხვითი მონაცემები და კითხვა) რა ვიცით ბიჭების წლოვანების შესახებ?

- ვისი ასაკი გვაინტერესებს? ერთკითხვიანია თუ არა ამოცანა?

- რა უნდა ვიცოდეთ დემეტრეს ასაკი რომ გავიგოთ?

- რას გავიგებთ პირველად? შემდეგ?

წერენ: 1) რამდენი წლისაა ნიკა? $19\text{--}3\text{=}16$

2) რამდენი წლისაა დემეტრე? $16\text{--}4\text{=}12$

პასუხი: დემეტრე 12 წლისაა.

VII. დ/ს სავ.№4. (3 რიცხვი 3 ვარიანტად, რიგების მიხედვით)

VIII. შედეგების შეჯამება

IX. საშინაო დავალება: სავ.№5, რვეული, სავ. №1.

გაკვეთილი №12

მიზნები: 1) გამეორება: ა) ნატურალური რიცხვების შეკრება-გამოკლება 20-ის ფარგალ-ში. ბ) „-ით მეტობა/ნაკლებობა” და მისი კავშირი შეკრება/გამოკლების მოქმედებებთან; 2) რიცხვის საგანთა რაოდენობასთან და პირიქით, საგანთა რაოდენობის რიცხვთან შესაბამისობის დადგენის უნარის განვითარება.

მასალა: ჩეირები

გაკვეთილის მსვლელობა

კარნახი:

1. რა რიცხვია 10-ისა და 5-ის ჯამი?
2. რა რიცხვია 10-ისა და 9-ის ჯამი?
3. რა რიცხვია 20-ისა და 19-ის სხაობა?
4. რა რიცხვია 20-ისა და 10-ის სხაობა?
5. რა რიცხვია 18-ისა და 8-ის სხაობა?
6. რა რიცხვია 17-ისა და 10-ის სხაობა?
7. ჩაწერე უმცირესი ორნიშნა რიცხვი;
8. ჩაწერე უდიდესი ერთნიშნა რიცხვი;
9. ჩაწერე უმცირესი ერთნიშნა რიცხვი;
10. რა რიცხვი შედგება მხოლოდ ორი ათეულისაგან?

კარნახის შემდეგ ზეპირად ათვლევინებს 1-დან 20-მდე რიცხვებს ა) 2-ის ტოლი ბიჯით 20-დან 1-მდე და 1-დან 20-მდე; ბ) 5-ის ტოლი ბიჯით 5-დან 20-მდე და 20-დან 5-მდე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №1 შეასრულებენ სქემით

სავ. №2 შეასრულებენ სქემით

$$-7 = 15 - 5 - 2 = \frac{10}{15} - 2 = 8$$

$$9 + 5 = \frac{1}{14} + 1 + 4 = 10 + 4 = 14$$

დ/ს: სავ. №2, რვეული გვ.13, სავ. №1.

სავ. №5 ხაზი უნდა გაუსვან იმას, რომ საძიებელ რიცხვებს არ ეგუთვნის 7 და 14, ხოლო სავ. №6-ში რიცხვები: 16 და 20.

სავ. №9 დაფაზე გადააქვთ ჩანაწერის I სვეტი და გამოთვლების გარეშე, ანალიზითა და მსჯელობით, ადარებენ გამოსახულებებს ერთმანეთს.

დ/ს სავ. №9 I ვარიანტი – II სვეტი, II ვარიანტი – III სვეტი,

სავ. №11 ასახელებენ ორი ერთნაირი ციფრით ჩაწერილ საძიებელ რიცხვს - 11-ს. მასწავლებელი – რა ციფრია გამოყენებული 11-ის ჩასაწერად? (1-იანი) რას აღნიშნავს მარცხნიდან პირველი ერთიანი? მეორე? 11 მეტია 20-ზე თუ ნაკლები? (ნაკლები) – როგორ გავიგოთ 11 რამდენით ნაკლებია 20-ზე? (გამოვაკლით 20-ს 11. 20–11=9).

საშინაო დავალება: სავ. №10, რვეული, სავ.№3.

გაკვეთილი №13

მიზნები: 1) გამეორება: а) ნატურალური რიცხვების შეკრება-გამოკლება 20-ის ფარგალ-ში; б) „-ით მეტობა/ნაკლებობა” და მისი კავშირი შეკრება/გამოკლების მოქმედებებთან; გ) რიცხვის წარმოდგენა ათეულებისა და ერთეულების ჯამის სახით; 2) საგნების ურ-თიერგანლაგების აღწერის უნარების განვითარება; 3) მოცემულ საგანთა ერთობლიობასთან რიცხვის შესაბამისობის დადგენა; 4) ჯგუფური მუშაობისას მასწავლებელთან და თანაკლასელებთან თანამშრომლობის უნარის განვითარება.

მასალა: ბარათები „SMS”-ებით (მაგალითები ან ერთმოქმედებიანი ამოცანები).

გაკვეთილის მსვლელობა

ორგ. მომენტი, საშინაო დაგალების შემოწმება

ზეპირი ანგარიში, წინარე ცოდნის გააქტიურება

I) თამაში: „ყურადღება, თქვენთვის SMS -ია?”

თამაშის მიზანი: რიცხვების (20-ის ფარგლებში) შეკრება-გამოკლების შესრულების ხერხების გამოყენების და ამოცანის ამოხსნის უნარის განმტკიცება.

შენიშვნა: თამაში ტარდება იმდენ დღეს, რამდენ გუნდადაც გაიყოფა კლასი. (კლასის დაყოფა ხდება რიგების ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით) ერთი გუნდი ერთ დღეს თამაშობს, მეორე – მეორე დღეს და ა. შ. (სხვადასხვა მასალაზე).

თამაშის წესი: მასწავლებელი გუნდის წევრებს ურიგებს ბარათებს ციფრებით (ერთი ციფრი ერთ ბარათზე). არჩევს დიქტორს (არა ამ გუნდიდან). დიქტორი აცხადებს: „კურადღება! კურადღება! კურადღება! გუნდის № N წევრისათვის მიღებულია SMS. გთხოვთ მიიღოთ.” დასახელებული ნომრის (რიცხვი ბარათზე) მქონე მოსწავლე მიდის მაგიდასთან და იდებს თავისი ნომრის შესაბამის ნომერ ბარათს, რომელშიც წერია მაგალითი ან ამოცანა. მოსწავლე ხმადალდა კითხულობს მისთვის განკუთვნილ დავალებას და ხსნის. დანარჩენი მოსწავლეები, ანუ ვინც გამოძახებული არაა, აკონტროლობენ სწორად ასრულებს თუ არა მოსწავლე დაგალებას. ერთდროულად შეიძლება 3-4 მოსწავლის გამოძახება. ამათგან სამი დაფაზე წერს, ზოგსაც, სურვილის მიხედვით, შეუძლია დასმულ კითხვას ზეპირად უპასუხოს. ამას თვითონ მასწავლებელი გადაწყვეტს.

გამოძახებულ მოსწავლეთა რაოდენობა გუნდებისთვის თანაბარი უნდა იყოს.

გამარჯვებულია ის გუნდი, რომლის წევრებმაც ყველაზე სწრაფად და უშეცდომოდ შეასრულეს დავალება ან ყველაზე ნაკლები შეცდომა დაუშვებელი.

II და III გუნდი, შესაბამისად, II და III დღეს აგრძელებენ შეჯიბრში მონაწილეობას.

შედეგების შეჯამება მოხდება ყველა გუნდის გამოსვლის შემდეგ.

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

საგ№3 ჯამები შედგება: а) მძივის მარცვლების ფერების მიხედვით ($10+2+2$ ან $10+4$); ბ) ძაფზე ასხმული და აუსხმელი მარცვლების მიხედვით ($12+2$);

საგ№4 а) შესაძლებელია შედგეს შემდეგი 4 ტოლობა: $2+1+2=5$; $4+1=5$; $5-1=4$ და $5-4=1$. ბ) $2+3+3=8$; $5+3=8$; $8-5=3$ და $8-3=5$. რა თქმა უნდა, სხვა ტოლობების ჩაწერაცაა შესაძლებელი. მასწავლებელმა მოსწავლეებისაგან უნდა მიიღოს პასუხები და დაფაზე დააფიქსიროს ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტები.

დ/ს რვეული გვ№13, საგ№2 (3 ვარიანტი სვეტების მიხედვით)

საშინაო დაგალება: საგ№5, რვეული საგ. №1 (ქვედა).

გაკვეთილი №14

მიზნები: а) გამეორება: ნატურალური რიცხვების შეკრება-გამოკლება 20-ის ფარგალში.
ბ) „-ით მეტობა/ნაკლებობა” და მისი კავშირი შეკრება/გამოკლების მოქმედებებთან; გ) 0-ის თვისებები.

მასალა: ბარათებზე დაწერილი „SMS”-ები (წინა გაკვეთილის მსგავსად).

გაკვეთილის მსგლელობა

თამაში: „ყურადღება, თქვენთვის SMS -ია!” (თამაშობს II გუნდი. იხ. გაკვ.№13)

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ.

სავ.№12 შეიძლება მოსწავლეებმა ამონების სხვადასხვა ვარიანტი შემოგვთავაზონ. მაგალითად, 1) კანფეტები წყვილ-წყვილად უნდა გაუნაწილონ და-მმას. დარჩება 2 კანფეტი, რომელთაგან ერთი დას ერგება, მეორე კი - მმას. საბოლოოდ 9 ერთს ერგება და 9 მეორეს. 2) ყოველი წყვილი თანაბრად გაინაწილონ (1 დას -1 მმას)

წყვილებში სამუშაო. შეიძლება წყვილებს შორის კონკურსის გამოცხადება. გამარჯვებულად დასახელდება წყვილი, რომელიც დასმულ კითხვას სწორად და სხვებზე ადრე გასცემს პასუხს. უნდა ახსნან, თუ რატომ აირჩიეს №2 გზა და არა №1 ან პირიქით.

I დ/ს სავ. №4.

II დ/ს რვეული, სავ.№3 (თითო რიგს თითო რიცხვი).

საშინაო დაგალებად: სავ. №7. რვეული სავ.№1, №2.

გაკვეთილი №15

მიზნები: 1) გამეორება: ნატურალური რიცხვები და მათი შეკრება-გამოკლება 20-ის ფარგალში. რიცხვის წარმოდგენა ჯამის სახით. 2) ჯგუფური მუშაობისას მასწავლებელთან და თანაკლასელებთან თანამშრომლობის უნარის განვითარება. 3) გაორმაგება-განახევრების ოპერაციების შესრულება.

მასალა: მასწავლებელს: მოსწავლეთა ყოველი წყვილისთვის 3-3 მართკუთხედი, 4 წრე (2 წითელი, 2 ლურჯი).

გაკვეთილის მსგლელობა:

1) ჯგუფური სამუშაო

თამაში: „ყურადღება, თქვენთვის SMS -ია!” (თამაშობს III გუნდი იხ. გაკვ.№13)

თამაშის დასრულების შემდეგ აჯამებენ შედეგებს სამივე დღის შედეგების გათვალისწინებით. ასახელებენ გამარჯვებულ გუნდს.

2) პრაქტიკული სამუშაო

I. მასწავლებელთან ერთად აანალიზებენ სახელმძღვანელოში მოცემული მართკუთხედის და უჯრების რაოდენობის განახევრების მაგალითს. რვეულში 10 უჯრას გააფერადებენ ერთ რომელიმე ფერში და შემდეგ ამ გაფერადებული უჯრების ქვეშ ისეთივე მართკუთხედის (10 უჯრის) ნახევარს (5 უჯრას) გააფერადებენ ერთ ფერში. II. მასწავლებელი თითო მერხზე (2 მოსწავლეს) 3-3 მართკუთხედს დაურიგებს და სთხოვს მათ განახევრებას სხვადასხვა გზით. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ სხვადასხვა ვარიანტის მოქმედნა (განხილული მაგალითის მიხედვით). ამავე დროს, უნდა ახსნან, რა წესით ანახევრებენ.

III. რვეულში ასრულებენ პრაქტიკული სამუშაოს №1 დაგალებას. მოსალოდნელი პასუხებია:



№2 დავალებას პასუხობენ ზეპირად. ჩანაწერებს და ჩანახაზებს არ ასრულებენ.

№3 დავალებას დამოუკიდებლად ასრულებენ რვეულებში.

№4 ასრულებენ ამოცანის მოქლე ჩანაწერს და შესაბამის მოქმედებას: $8+8=16$.

3) საშინაო დავალება რვეული, სავ №1-3.

გაკვეთილი №16
შემაჯამებელი სამუშაო
ტესტი №1

შენიშვნა: მოსწავლე პასუხებს წიგნში არ შემოხაზავს. მან უნდა ამოწეროს რვეულში საკითხის ნომერი და გვერდზე მიუწეროს შესაბამისი პასუხი.

პასუხები:

ტესტი	№1	№2	№3	№4	№5	№6
პასუხი:	ბ	ა	ბ	ბ	ბ	ბ

საშინაო დავალება რვეული, სავ. №1, №2.

გაკვეთილი №17 (სარეზერვო)

თავი 2.

ნატურალური რიცხვები 1-დან 100-მდე. ნუმერაცია

მიზანი: ორნიშნა რიცხვები. ნუმერაცია.

ამ თავს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არითმეტიკის სწავლებაში, რადგან საფუძველი ეყრდნობა თვლის ათობითი სისტემის გაცნობიერებას.

ჩვენი მიზანია – არ დავარდვით ქართული თვლა-ანგარიშის ტრადიცია თავისი დადებითი მხარეებით და ამავე დროს გავაცნოთ მოსწავლეებს ათობითი სისტემის ბუნება.

ქართულ ენაში ოცზე მეტი რიცხვების დასახელება და ჩანაწერი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

პირველი ასეულის რიცხვების დასასახელებლად ვიყენებთ ერთფუძიან სახელებს: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ოცი, ასი. ათზე მეტი რიცხვების დასასახელებლად ვიყენებთ შეკრების პრინციპით შედგენილ რიცხვით სახელებს. მაგალითად, ოთხმეტი (ათ-ოთხ-მეტი), ოცი (ორ-ათი, ორ-თი, ორ-ცი)

21-დან 99-ის ჩათვლით რიცხვების დასასახელებაში შედგენილი რიცხვითი სახელები გვაქვს, რომელთა ფუძე არის „ოცი“. ზეპირ მეტყველებაში ოცი სათვალავ ერთეულად გამოიყენება, მაგრამ იგი არ წარმოადგენს ნუმერაციულ სათვალავ ერთეულს.

ქართულში მიღებულ ნუმერაციაში ათი ერთეული ახალ სათვალავ ერთეულს შეადგენს, მას ათეული ეწოდება. ქართულ წერით და ზეპირ ნუმერაციებში სხვადასხვა სათვალავი ერთეულის არსებობის გამო სირთულეების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, ასეულის ფარგლებში ნუმერაციის სწავლება ისე უნდა გაგრძელდეს, როგორც ეს გვერდი ათეულის ფარგლებში. კერძოდ, ნატურალურ რიცხვთა ნუმერაციის თანმიმდევრული შესწავლა. ერთი გაკვეთილი ეთმობა ოცეულების ნუმერაციას (20, 40, 60, 80, 100), ხოლო შემდეგ, 21-დან 100-მდე რიცხვებისას. გზადაგზა ხდება ერთეულების დაჯგუფება ათეულებად (30, 50, 70, 90). პარალელურად ხდება დაკვირვება რიცხვების თანრიგობრივ შედგენილობაზე, 0-ის როლზე, ერთი რიცხვიდან მისი

წინა და მომდევნო რიცხვის მიღებაზე, მრგვალი ათეულებისა და ოცეულების მწვრთნები, მათი წინა და მომდევნო წევრების მიღებაზე, ერთგულებისა და ათეულებს, ათეულებისა და ოცეულებს შორის ყოველგვარ მიმართებაზე.

თავდაპირველად რიცხვის ათობით და ოცობით შედგენილობებს თანაბარი ფურად-დება ეთმობა, ხოლო შემდეგ თანდათან ათობითს ეძლევა უპირატესობა, რადგან მოსწავლე მზად უნდა იყოს მომდევნო თავში ორნიშნა რიცხვების შეკრება-გამოკლების შესასწავლად, რომელიც ათობით სისტემას ეყრდნობა. 100-ის ფარგლებში ზეპირი შეკრება და გამოკლება უნდა შესრულდეს ქართული ზეპირი ნუმერაციის საფუძველზე ოცეულების მიხედვით.

II თავის შესწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- 100-ზე ნაკლები ნატურალური რიცხვების წაკითხვა და ჩაწერა ათობითი პოზიციური სისტემის გამოყენებით;
- 100-ზე ნაკლები ნატურალური რიცხვების თვლა წინ და უკან ნებისმიერი რიცხვიდან;
- რიცხვის გამოსახვა საგანთა შესაბამისი რაოდენობის გროვით;
- რიცხვის ჩანაწერში ათეულისა და ერთეულის თანრიგების მითითება;
- რიცხვის ჩანაწერში ათეულისა და ერთეულის თანრიგებში მდგომი ციფრების მნიშვნელობის დასახელება;
- ნებისმიერი რიცხვის წინა და უკანა რიცხვების დასახელება, ჩაწერა;
- ნებისმიერი ათეულის წინა და მომდევნო ათეულების დასახელება, ჩაწერა;
- ნებისმიერი ოცეულის წინა და მომდევნო ოცეულების დასახელება, ჩაწერა;
- რიცხვების შედარება;
- საგანთა რიგობითობის განსაზღვრა მათ მოწესრიგებულ ერთობლიობაში;
- საგანთა მოწესრიგებულ ერთობლიობაში მითითებული ელემენტის წინა და მომდევნო ელემენტების ნომრების დასახელება;
- მითითებული რაოდენობის საგნების გამოყოფა საგანთა ჯგუფებში;
- მითითებული რაოდენობის საგანთა ჯგუფების შედგენა;
- რამდენიმე გამოტოვებული პოზიციის შევსება მიმდევრობაში;
- ობიექტების განლაგება მოცემული წესის მიხედვით;
- ეროვნული ფულის ნიშნების ამოცნობა, განსხვავება და რეალურ/გათამაშებულ სიტუაციაში გამოყენება;
- სიგრძის საზომი არასტანდარტული ერთეულების გამოყენება;
- ფიგურის შიგა და გარე არეების განსხვავება;
- ფიგურის შიგნით, გარეთ და საზღვარზე მდებარე წერტილების მითითება;
- ბრტყელი ფიგურების: წერტილი, მონაკვეთი, ტეხილი, მრუდი წირი ამოცნობა და დასაზღვა;
- რამდენიმე მონაცემის ამოკრება ერთგვაროვან მონაცემთა მოკლე სიიდან;
- საჭირო მონაცემის ამოკრება უმარტივესი ცხრილიდან;
- ერთი კლასის ობიექტთა შესახებ მონაცემების რაიმე წესით დალაგება/დაჯგუფება;
- მონაცემთა უმარტივესი ცხრილისა და სიის სიტყვიერად აღწერა და გამოყენება.

გაკვეთილი №18

მიზნები: 1) ოცეულის – როგორც სათვალელი ერთეულის გაცნობა. 2) ოცეულების ჩაწერისა და წაკითხვის (100-ის ფარგალში) უნარის გამომუშავება; 3) განვლილი მასალის გამეორება (შეკრება-გამოკლება 20-ის ფარგალში, შეკრების თვისებები, რიცხვის წარმოდგენა თანრიგობრივი შესაკრტებების ჯამის სახით); 4) აზროვნების გააქტიურება-განვითარება; 5) ეროვნული ფულის ნიშნებზე მუშაობა.

მასალა: მასწავლებელს: 100 ჩხირი, ათეულებად შეკრული ჩხირები, ჩხირების შესაკვრელი მასალა. ქაღალდის ფურცლებზე გადატანილი 20-თეთრიანის 5-5 და 10-თეთრიანის 10-10 მოდელი თითოეული მერხისთვის, ორი ფერის ცარცი.

მოსწავლეს: ათეულებად შეკონილი 100 ჩხირი, ჩხირების შესაკვრელი მასალა, პარკებში ათეულებად ჩაყრილი ლობიოს ან სიმინდის 100 მარცვალი.

მასწავლებელმა მოსწავლეთა ყურადღება უნდა გაამახვილოს ა) ჩხირების თვლის პროცესში მათი ათეულებად და შემდეგ ოცეულებად დაჯგუფებაზე; ბ) ოცობით თვლასა და მის უპირატესობაზე ათეულობით თვლასთან შედარებით.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი, საშინაო დავალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში

1) დაფაზე წერია რიცხვები: 10, 11, 12, 13, 15, 17, 19, 20 ისე, რომ მათ შორის გამოტოვებული რიცხვების ჩაწერა შეიძლებოდეს.

– დააკვირდით რიცხვებს. რას ამჩნევთ? რა რიცხვებია გამოტოვებული? (გამოტოვებულ რიცხვებს განსხვავებული ფერით ჩამატებენ) ყველამ ერთხმად წაიკითხეთ დაფაზე დაწერილი რიცხვები. ეს ყველა რიცხვია, რაც ისწავლეთ თუ მათი ნაწილია? (ნაწილია) როგორი რიცხვები ვიცით მათი ნიშნაღობის მიხედვით? როგორი რიცხვები არ წერია დაფაზე? (ერთნიშნა) ერთხმად ჩამოთვალეთ.

2) აღადგინეთ გამოტოვებული რიცხვები და მოქმედებათა ნიშნები ჩანაწერებში:

$$6 * \boxed{} = 3$$

$$9 * \boxed{} = 3$$

$$7 * \boxed{} = 3$$

$$6 * \boxed{} = 8$$

$$5 * \boxed{} = 1$$

$$1 * \boxed{} = 3$$

3) ლოგიკური ამოცანა

ანა დათოზე 2 წლით უფროსია. რამდენი წლით უმცროსი იქნება დათო ანაზე 2 წლის შემდეგ?

III. ახალი მასალის გადაცემა

მასწავლებელს მაგიდაზე გაშლილი აქვს ათეულებად შეკრული 100 ჩხირი. გამოჰყავს მოსწავლე და სთხოვს ამ ჩხირების ათეულების დაწყვილებას. დანარჩენი მოსწავლეები თავიანთ მერხებზე ჩხირებს ათეულების წყვილებად აღაგებენ.

– რამდენი ჩხირია? (აჩვენებს 1 კონას) ახლა რამდენია? (აჩვენებს 2 ათეულ ჩხირს) რამდენი ათეული ჩხირია? (2) ჩხირების რამდენ რცეულს შეადგენს 2 ათეული?

– აიღეთ ხელში ორი ოცეული. რამდენი ოცეული ჩხირი გიგაზიათ? (2) დაფაზე წერს „ორი ოცი“ და აცნობს ცნება „ორმოცს“ და მის წარმოქმნას. სახელმძღვანელოშიც აჩვენებს ცხრილის შესაბამის გრაფას.

– რამდენი ოცეულისაგან შედგება ორმოცი? ამის შემდეგ ასევე ადგენენ 60-ს, 80-ს და 100-ს, ასახელებენ თითოეული მათგანის ოცეულებით შედგენილობას. პარალელურად მასწავლებელი დაფაზე წერს ოცეულებს და მათ სახელწოდებებს. რას ხედავთ საინტერესოს ამ რიცხვების დასახელებებში?

აანალიზებენ მათი სახელწოდებების ეტიმოლოგიას.

მასწავლებელი თითო მერხზე დებს ხუთ ცალ ოცოეთრიან მონეტას (მოდელს).

- მაჩვენეთ 20 თეთრი. რამდენი ოცეულისაგან შედგება ოცი?
- მაჩვენეთ 40 თეთრი. რამდენი ოცეულისაგან შედგება ორმოცი?
- რატომ ეწოდა ორმოცს სახელად „ორმოცი”?
- რომელია მეტი ოცი თუ ორმოცი? რამდენით?
- რამდენი ოცეულითაა ორმოცი ოცზე მეტი?

ასე ქმნიან დანარჩენ ოცეულებსაც და მსჯელობენ თითოეულ მათგანზე.

- 60 საგნის დასათვლელად რომელი ხერხია უკეთესი: ერთეულებად დათვლა, ცალ—ცალკე დათვლა თუ ათეულებად ან ოცეულებად დათვლა?
- დაითვალიერ ლობიოს ა) 40; ბ) 80; გ) 20; დ) 100; ე) 60 მარცვალი.

ასე ადგენენ 40, 60, 80 და 100 თეთრს (აცნობს 1 ლარს). არჩევენ ამ რიცხვების ათეულობითა და ოცეულობით შედგენილობას. ყურადღებას ამახვილებენ ცალკე — ჩაწერისა და ცალკე — წაკითხვის წესებზე. შემდეგ ერთხმად ათვლევინებს ოც-ოცობით პირდაპირ და უკუ თვლით (100-ის ფარგალში)

IV. ფიზ.წუთები

V. მასალის პირველადი განმტკიცება

1) მუშაობენ სახელმძღვანელოს **საგ №1**. არჩევენ ცხრილის თითოეული უჯრის ნახატსა თუ ჩანაწერს. თითოეულ რიცხვს ათოვეთრიანებს შეუსაბამებენ და ყოველ ჯერზე განმარტავენ რა პერიოდი მოცემულ რიცხვს, რატომ პერიოდი და რატომ იწერება ასე. ათეულობით თვლაზე არ ვამახვილებოთ ყურადღებას, მხოლოდ ჩანაწერისთვის ვუსვამთ ხაზს.

2) წყვილებში მუშაობა

წყვილებში მუშაობენ **საგ №2, №3** და **საგ №4 – ზე**. ყველა პასუხი ჩხირებზე უნდა აჩვენონ. თითოეული ნომრის ერთ კითხვას ერთი მეწყვილე პასუხობს, მეორეს – მეორე. ნამუშევრებს ერთმანეთს უმოწმებენ. შედეგებს აანალიზებენ მასწავლებელთან ერთად.

3) I დ/ს რვეული, საგ. №1.

VI. განმტკიცება

საგ. №5 – დააკვირდით ნახატს. რას ვხედავთ ნახატზე?

– სიმინდის რამდენი ტაროა თითოეულ კალათაში? რას ამჩნევთ კალათების განლაგებაში? (წყვილებადა განლაგებული.)

– რამდენი სიმინდის ტარო ყოველ წყვილ კალათაში? კალათების რამდენი წყვილია ნახატზე მოცემული? (5)

– სულ რამდენი ოცეული ტარო სიმინდია კალათებში?

– რა რიცხვს შეაღენს 5 ოცეული?

– რამდენი ტარო სიმინდია ყველა კალათაში ერთად?

– ჩამოაყალიბე სრული პასუხი ამოცანის კითხვაზე.

საგ. №6, №7 ზეპირად პასუხობენ.

II დ/ს რვეული. საგ №2.

VII. გასამეორებელ მასალაზე მუშაობა სახ. **საგ. №9** (ა) დავალებაში შეძლებისდაგვარად ჩამოაყალიბებენ შეკრების გადანაცვლებადობის წესს), **საგ. №10.**

საგ. №11 –პასუხი: (რ, ს, ა, ლ)



VIII. შედეგების შეჯამება

— რა ვისწავლეთ დღეს? რის მიხედვით ხდება 20-ის, 40-ის, 60-ისა და 80-ის წაკითხვა? ჩაწერა? რაში გამოგვადგება ამ რიცხვების ცოდნა?

IX. საშინაო დაგალება სავ. №8, რვეული გვ17, სავ.№3.

გაპვეთილი №19


მიზნები: 1) ოცეულების ჯამისა და სხვაობის გამოთვლის წესების გაცნობა, გამოთვლებისას მათი გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება/განვითარება; 2) ცოდნის გადრმავება 1-20 რიცხვების შესახებ; 3) სამი საგნის შედარებისას სიმაღლის პარამეტრის გამოყოფის უნარის განვითარება; 4) დაკვირვებულობის, ყურადღებიანობის, ამოცანის არსში წვდომისა და კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

გაპვეთილის მსელელობა

I. ორგ. მომენტ, საშინაო დაგალების შემოწმება

II. ზეპირი ანგარიში

I) ჯაჭვი (თითო რიგს თითო ჯაჭვი ერგება. მოქმედებების რაოდენობას მასწავლებელი შეარჩევს მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. საუკეთესო შედეგის მქონე რიგი მასწავლებლისგან სათანადო შეფასებას მიიღებს.



2) თამაში: „რიცხვი და საგანი”.

თამაშის მიზანი: მოსწავლის აზროვნების უნარის განვითარება და მოცემული რიცხვის შესაბამისი საგნის დასახელება, რომელიც ამ რიცხვით ხასიათდება

თამაშის წესი: თამაშობს 2 გუნდი. ერთი გუნდის წევრები რიგ-რიგობით ასახელებენ რიცხვს (შეთანხმებით დაადგენენ დასასახელებელი რიცხვების რაოდენობას თითოეული გუნდისათვის), II გუნდი ასახელებს საგანს, რომელიც ამ რიცხვით ხასიათდება. მაგალითად, ერთმა დაასახელა რიცხვი – 2, II პასუხობს: კურდღელს 2 ყური აქეს, ან ქათამს ორი ფეხი აქეს და ა. შ. წაგებულია ის, ვინც ნაკლებ სწორ პასუხს გასცემს.

III. გაპვეთილის მიზნის გაცნობა

— გადაშალეთ სახელმძღვანელო და ნახეთ რით იწყება მე-19 გაპვეთილი. წაიკითხეთ და მითხარით რა მიზანი გვაქეს დღეს, რა უნდა ვისწავლოთ.

IV. ახალი მასალის ახსნა

— დააკვირდით შესრულებულ შეკრებას და გამოკლებას. ჩხირებზე შეასრულეთ მოცემული შეკრება. ორ ოცეულ ჩხირს მიუმატეთ 1 ოცეული ჩხირი. რამდენი მოცეული მიიღეთ? როგორ ჩაწერთ ამ ტოლობას? ($2\text{ოც.}+1\text{ოც.}=3\text{ოც.}$) ციფრებით როგორ ჩაწერთ? ($40+20=60$)

— როგორ შეგვრიბოთ ოცეულები?

— ახლა მოცემული გამოკლება შევასრულოთ ჩხირების გამოყენებით. აქაც, წინა მაგალითის მსგავსად, ჩაწერენ ტოლობას. ჩაწერილ ტოლობებს არ წაშლიან.

V. განმტკიცება

ხსნიან სავ. №1 დაფაზე (კომენტარებით) და რვეულებში. სავ. №2 – ზეპირად.

სავ. №2-ის შესრულებისას ჯერ ოცეულებს შექმნიან (10-თეთრიანებს დააწყვილებენ) და საბოლოო თანხას იხე გამოითვლიან:

– როგორაა ნახატზე ათოვთრიანები განლაგებული? (წყვილებად, ანუ ოცეულებად) რატომ? (დათვლა რომ გაგვიაღვილდეს) ითვლიან, იხილავენ მოცემული თანხის ათეული და ოცეული თეთრით შედგენას.

– რამდენი ათოვთრიანითაა შედგენილი მოცემული თანხა?

$$\begin{array}{c} 10+10+10+10=40 \\ \hline 20 \quad 20 \end{array}$$

$$\begin{array}{c} 10+10+10+10+10=60 \\ \hline 20 \quad 20 \quad 20 \end{array}$$

$$20+20=40$$

$$20+20+20=60$$

– დააკვირდით ყველა ტოლობას. რით პგვანან მიღებული პასუხები ერთმანეთს? (ორნიშნაა, 0-ებით დაბოლოვებულია) 0-ებით დაბოლოვებულ რიცხვებს მრგვალ ათეულებს, აგრეთვე, მრგვალ ოცეულებს უწოდებენ. ახლა დააკვირდით პასუხებს. რას შეესაბამება პასუხში მიღებული რიცხვის ათეულების თანრიგში ჩაწერილი ციფრი? (შესაკრებთა ათეულების რაოდენობას).

სავ. №3 წერენ დაფაზე და ოვეულებში.

– რა ჰქვია ასეთ ჩანაწერებს, რაც ჩვენ ამოხსნის შედეგად მივიღეთ? (უტოლობა) სათითაოდ ეკითხება „<“ და „>“ ნიშნების დასახელებას. იმას, თუ ამ ნიშნების რომელ მხარეს იწერება პატარა და ოორულ მხარეს – დიდი რიცხვი.

სავ. №6 მტევნებს ითვლიან როგორც ოცეულებით, ისე ათეულებით.

სავ. №7 რიცხვებს დაალაგებენ ზრდის მიხედვით, შემდეგ ვაგონებს ოთხკუთხედებით აღნიშნავენ, დააწერენ შესაბამის ნომრებს და ისე იმუშავებენ.

სავ. №8 ზეპირად პასუხობენ.

VI. დ/ს რვეული, გვ17, სავ.№1 (I ვარიანტი I სვეტი, II ვარიანტი II სვეტი).

VII. გასამეორებელ მასალაზე მუშაობა

სავ. №5 –დააკვირდით ნახატს, რომელი ცხოველებია ნახატზე მოცემული?

– რა ვიცით ამ ცხოველების სახლების შესახებ?

იხილავენ ამოცანის პირობებს სახლების სიმაღლეების შესახებ, თან ასრულებენ ჩანაწერს: მაჩვის სახლი: დიდი ნომრის;

შვლის ნუკრის სახლი: მაღალი;

კურდღლის სახლი: რაც დარჩა.

– რამდენი სახლია მოცემული ნახატზე? (3) შეადარე სახლების სიმაღლეები.

– რომელია შვლის ნუკრის სახლი? (ყველაზე მაღალი, ანუ შეა სახლი).

– რას ნიშნავს გამონათქვამი: „მაჩვის სახლის ნომერი დანარჩენების სახლების ნომრებზე მეტია“? (მაჩვის სახლის ნომერი მოცემული ნომრებიდან უდიდესია)

– მაშ რომელი იქნება მაჩვის სახლის ნომერი? (16, რაღგან 16>14 და 16>12).

– რომელია კურდღლის სახლი? (დარჩენილი სახლი, ანუ №12)

VIII. დ/ს რვეული, სავ.№2.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავ. №9 პასუხი: 7 2 3 4 9 5 ჩანაწერში თუ 7-სა და 9-ს გადავხაზავთ, დარჩება დალაგებულ ნატურალურ რიცხოთა მიმდევრობის ერთი მონაკვეთი. კერძოდ, 2 3 4 5.

სავ. №10 ჩანაწერში: 10 12 14 18 20 16 თუ 14-სა და 18-ს შორის 16-ს ჩავწერთ, მივიღებთ 2-ის ტოლი ბიჯით დალაგებულ რიცხვებს: 10, 12, 14, 16, 18, 20.

IX. საშინაო დავალება №8, №9.

გაკვეთილი №20

მიზნები: 1) ნუმერაცია, რიცხვები: 1-29; 2) ეროვნული ფულის ნიშნების ამოცნობის, დასახელებისა და გამოყენების უნარების განვითარება; 3) მრგვალი რიცხვების ათეულებითა და ოცეულებით შედგენილობის შესახებ მიღებული ცოდნის განმტკიცება.

მასალა: მასწავლებელს: 29 ჩხირი, ჩხირების შესაკვრელი მასალა, ქადალდისაგან დაზუადებული 5 ოცლარიანი, 1 ასლარიანი, 10 ათლარიანი, ოთხი 1-ლარიანი, ორი 2-ლარიანი და ერთი 5-ლარიანი კუპიურების კომპლექტები.

მოსწავლეს: 29 ჩხირი, ჩხირების შესაკვრელი მასალა.

1-100 რიცხვებს თვლის ალგორითმის გამოყენებით ვასწავლით. საკვანძო რიცხვების (1, 2, 3, . . . , 9, 20, 40, 60, 80, 100) გაცნობის შემდეგ ვასწავლით კომბინირებულ თვლას 29-ის ჩათვლით (21, 22, 23, . . . , 29), შემდეგ 30-ს და 31-40 რიცხვებს და ა. შ. ოცეულებად და ათეულებად დაჯგუფებით ბუნებრივი გზით მოხდება პირველი ასეულის რიცხვების შესწავლა, რადგან რიცხვის დასახელება ოცეულების რაოდგნობას ეყრდნობა, ხოლო ჩანაწერი – ათეულებისას.

გაკვეთილის მსელელობა

საორგანიზაციო საკითხების მოგვარებისა და საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ იწყებენ თამაშს.

1) თამაში: „დახურდავება”.

მიზანი: ათეულებზე და ოცეულებზე მუშაობა 100-ის ფარგალში.

მასწავლებელი ყოველ მერხზე დებს ათლარიანი და ოცლარიანი კუპიურების თითო კომპლექტს. თამაშობენ წევილები. ერთ მერხზე მჯდომი ერთი მოსწავლე აძლევს მეორე მოსწავლეს 20-ლარიან ერთ კუპიურს და სთხოვს 10-ლარიანებით დახურდავებას. შემდეგ მეორე სთხოვს მას თრი ოცლარიანის ათლარიანებით დახურდავებას, და ა. შ. 100-ლარიანის დახურდავებით ამთავრებენ თამაშს.

2) ახალი მასალის ახსნა

– აიღეთ ხელში 2 ათეული და 1 ერთეული ჩხირი. რამდენი ჩხირი გიჭირავთ ხელში? (ოცი და ერთი, ანუ ოცდაერთი)

მასწავლებელი დაფაზე წერს ყოველ ახალ რიცხვით სახელს და უხსნის მისი შექმნის წესს.

– 21 ჩხირი გვაქვს, როგორ მოვიქცეთ 22 ჩხირი რომ გვქონდეს? (1 ჩხირი უნდა დაგუმატოთ). არჩევენ 21-29-ის ჩაწერისა და წაკითხვის, წინა და მომდევნო რიცხვების მიღების წესებს. მსჯელობენ 21-29 რიცხვების როგორც ოცეულითა და ერთეულებით, ასევე, თანრიგობრივ შედგენილობაზე. მუშაობენ სავ. №2, №3, №8.

მასწავლებელი მუშაობის დროს იყენებს აბაკს.

3) განმტკიცება

კუპიურებით დამოუკიდებლად ადგენენ 21-დან 29-მდე ლარს (მასწავლებელი უსახელებს ამ რიცხვებს არათანმიმდევრულად, რიგების მიხედვით).

მუშაობენ სავ. №5, №6, №8.

4) დ/ს რვეული, სავ. №1, №2.

5) 30-მდე რიცხვების თანრიგობრივი შედგენილობა

– ორნიშნა რიცხვის ჩანაწერში (29-ის ფარგლებში) აცნობს თანრიგითი ერთეულის ცნებას. (I თანრიგის ერთეულია ის, რომელიც მარჯვნიდან I ადგილზე იწერება, II თანრიგის ერთეულია ის, რომელიც მარჯვნიდან II ადგილზე იწერება. გამბობთ უბრა-

ლოდ, „ ერთეული”, „ათეული”.)

მსჯელობები 21-29 რიცხვების თანრიგობრივ შედგენილობაზე. მასწავლებელი აჩვენებს ორნიშნა რიცხვებს (10-29, არათანმმდევრობით) და იხილავს მათ შედგენილობას როგორც ოცეულითა და ერთეულებით, ასევე, თანრიგობრივს.

10-29 ლარის არათანმიმდევრობით დასახელების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოდელებით (ქაღალდისგან დამზადებული პუპიტებით) შეადგინონ დასახელებული თანხა სხვადასხვანაირად.

გ/ს საკ. №7.

6) მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და ოკულური მოცემულ მასალაზე კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

საკ. №6 ადგენერ ამოცანის მოკლე ჩანაწერს და ისე ხსნიან ამოცანას.

მასწავლებელი: – ამოცანის მოქლე ჩანაწერის შესრულება შეუძლებელია მისი ტექსტის გააზრების გარეშე. ამიტომ დაკვირვებით უნდა წაიკითხოთ ტექსტი. წაიკითხოთ ტექსტი. ვისზეა ტექსტი დაპარაკი? (ეკაზე და მის ჩხირებზე).

- რას გვეუბნება ამოცანა ეკას შესახებ? (წითელი და ყავისფერი ჩეირები აქვს) ჩაგრეროთ (წერებ: წითელი – ყავისფერი –)

- რა ვიციო ამ ჩეირების შესახებ? (წითელი ჩეირი აქვს 20, ყავისფერი – 8) ჩაგვეროთ ეს მონაცემები. წითელი – 20

(సార్కస్; సమయం - 20 మినిటులు కొన్ని - 8)

(\forall ერთ: \forall ითელი = 20, \forall გავისფერი = 8).

- რას გვეკითხება ამოცანა? (რამდენიმე მიზანის შესახებ)

ჩავწერთ მოკლე ჩანაწერში?

$$\begin{array}{l} \text{შერება:} \\ \left| \begin{array}{l} 700+20 = 720 \\ 720-8 = 712 \end{array} \right| ? \quad \text{ჩხილი} \end{array}$$

- რამდენი მოქმედები

(შეკრება) ხსნიან. პასუხს სრულად წერენ.

Задание №21

გაცემის №21

მიზნები: ცოდნის განმტკიცება საკითხებზე: ა) რიცხვები: 1–29, ნუმერაცია, თვისებები; ბ) რიცხვების შედარება, შეკრება-გამოკლება 20-ის ფარგალში, „-ით მეტობა”; 2) მსჯელობის, შეხედულებათა დასაბუთების, ფატების ანალიზის უნარების განვითარება; 3) ჯგუფური სამუშაოს შესრულებისას თანამშრომლობის, მასწავლებელთან და მეგობრებთან მიმართებაში თანამშრომლობის უნარ/ჩვეულების ჩამოყალიბება/განვითარება.

მასალა: 29 კუბი, ქაღალდისაგან გამოჭრილი 10-ლარიანი, 20-ლარიანი, 1-ლარიანი, 2-ლარიანი და 5-ლარიანი კუპიურები, ცხრილები.

გაპეტოლის მსვლელობა.
1) თამაში: „ჯაჭვი”. მიზანი: 10-29 რიცხვების ნუმერაციისა და თანრიგობრივი შედგენილობის გამეორება—განმზღვიცება.

გაკვეთილის მსვლელობა.

1) თამაში: „ჯაჭვი”. მიზანი: 10-29 რიცხვების ნუმერაციისა და თანრიგობრივი შედგენილობის გამორჩება—განმტკიცება.

თამაშის წესი: თამაშობს 2 ან 3 გუნდი (რიგების მიხედვით). მასწავლებელი დაფაზე გამოკიდებს იმდენ ცხრილს, რამდენი გუნდიც მონაწილეობს თამაშში. მოსწავლეები რიგ-რიგობით გამოიდიან დაფასთან თითოეული გუნდიდან და აკვეყნებენ ცხრილს. გამარ-

ჯვებულია ის გუნდი, რომელიც სწრაფად და უშეცდომოდ შეავსებს ცხრილს. იმ შემთხვევაში, როდესაც გუნდის რომელიმე წევრი შეცდომას დაუშვებს, მისი გუნდის მოძღვნო წევრი შეასწორებს ამ შეცდომას და დაჯდება ისე, რომ სხვა ჩანაწერს ადარ გააკეთებს, რადგან ერთ წრეზე ერთმა მოსწავლემ ერთი მოქმედება უნდა შეასრულოს. იმის გამო, რომ მისი გუნდის წევრებმა შეცდომები დაუშვებს, შესაძლოა რომელიმე ან რამდენიმე მოსწავლეს მეორეჯერ მოუწიოს დაფასთან გამოსვლა (რიგის მიხედვით).

ცხრილში მოცემულია რიცხვების თანრიგობრივი ილუსტრაცია და სრული ჩანაწერის ნიმუში:

ათეული	ერთეული	რიცხვი ციფრებით	რიცხვის სახელწოდება
●	● ● ●		
●	●		
● ●	●		
● ●	● ● ● ● ●	25	ოცდახუთი
●			ოცი
● ●	● ● ● ●	26	
		22	
● ●	● ● ● ● ● ● ●		ოცდარვა

2) ითვლიან სხვადასხვა რიცხვიდან დაწყებული 29-მდე (ჩათვლით) და პირიქით, 29-დან უკან, 1-ის ტოლი ბიჯით. ერთი იწყებს, სხვა აგრძელებს.

3) საგნებით რაოდენობის შედგენა და პირიქით, გროვაში მოცემული საგნების შესაბამისი რაოდენობის დასახელება. ამ ტიპის საგარჯიშოები თვალსაჩინოების გამოყენებით სრულდება. ერთფეროვნების თავიდან აცილების მიზნით თვალსაჩინოებად სხვადასხვა საგნები უნდა იქნეს გამოყენებული.

ამის შემდეგ მუშაობენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №5 ოთხეუთხედებში საგნების ათეულ-ოცეულებია გამოყოფილი, რათა მოსწავლე მიეჩვიოს რიცხვის შესაბამის წარმოდგენას. ითვლიან, ასახელებენ და წერენ ნახატზე მოცემული თითოეული საგნის რაოდენობას. პასუხობენ კითხვებს: რამდენია? რომელ ოთვეუთხედში ჩახატული ყველაზე მეტი საგნი ჩახატული? ნაკლები? და ა. შ.

სავ. №6 I დ/ს (სამ ვარიანტად, თითოს 2-2 სვეტი)

სავ. №8 მოსწავლე უნდა მიხვდეს, რომ სამივე წერტილი ერთ

წრფეზე ა) არ განალაგოს; ბ) განალაგოს.



სავ. №9 I სვეტს დაფაზე და რვეულებში ასრულებენ, II სვეტს დამოუკიდებლად.

სავ. №10 მასწავლებელი: – რამდენი ლარი პქონდა გიორგის? (29), რა შეიძინა? (თვითმფრინავი და კიდევ ორი სხვა სათამაშო) რა დირს თვითმფრინავი? (4 ლარი) რამდენი ლარი დარჩა გიორგის თვითმფრინავის შემქნის შემდეგ? (25) თვითმფრინავის გარდა რამდენი სათამაშო შეიძინა გიორგიმ? რა ნიშნით შეარჩია გიორგიმ დანარჩენი ორი სათამაშო? (განსხვავებული იყო და ორივე ერთად 25 ლარი დირდა.) რომელი ორი სათამაშოს ყიდვის შესაძლებლობა პქონდა გიორგის ზუსტად 25 ლარად? (მატარებელი რომ იყიდოს, კიდევ დარჩება 9 ლარი. ბურთი ზუსტად 9 ლარი დირს, ე.ი. გიორგიმ შეიძინა თვითმფრინავი, მატარებელი და ბურთი. გააგრძელებენ მსჯელობას და დაად-

გენერალური, რომ შიომ ვერტმფრენი, თვითმფრინავი და მანქანა შეიძინა.

II დ/ს რვეული, სავ. №1.

საშინაო დაგალებად რვეული გგ.19, სავ. №2, №3.

გაკვეთილი №22

მიზნები: 1) რიცხვის, რიცხვითი სახელისა და რაოდენობის შესაბამისობის დადგენა. რიცხვი 30, მისი ჩაწერა და წაკითხვა; 2) სხვადასხვა მოდელის გამოყენებით რიცხვის გამოსახვის უნარის განვითარება; 3) რიცხვების ათეულებად და ერთეულებად, ოცეულებად და ერთეულებად წარმოდგენა და მისი ამოცანების ამოხსნისას გამოყენება; 4) ნატურალური რიცხვების ზრდის ან კლების მიხედვით დალაგება; 5) ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას თანამშრომლობის უნარის განვითარება.

მასალა: მასწავლებელს: 30 კუბი; ათლარიანი, 20-ლარიანი, 1-ლარიანი, 5-ლარიანი და ორი 2-ლარიანი კუპიურების მოდელები. მოსწავლეებს 30-30 ჩხირი.

გაკვეთილის მსვლელობა.

მასწავლებელი: – მერხზე დადგეთ 29 ჩხირი. რამდენი ოცეული და კიდევ რამდენი ერთეული ჩხირი გაქვთ მერხზე? (1 ოცეული და კიდევ 9 ერთეული).

– დაუმატეთ ჩხირებს კიდევ 1 ჩხირი. რამდენი ოცეული და რამდენი ერთეული ჩხირი გაქვთ ახლა მერხზე? (1 ოცეული და კიდევ 10, ანუ ოცი და ათი) შეგიძლიათ მითხრათ რა პქვია ამ რიცხვს?

– შეკარით ჩხირები ათეულებად და ისე დაილაგეთ წინ. რამდენი ათეულისაგან შედგება 30? (3)

– რამდენი ათეულისა და კიდევ რამდენი ერთეულისაგან შედგება 30? (3 ათეულისა და მეტი არც ერთი ერთეულისაგან).

– რომელი თანრიგის ერთეულები არ არის 30-ზი? (პირველი, ანუ ერთეულების თანრიგის.)

– როგორ მივიღეთ 30 ოცდაცხრისაგან? როგორ მიიღება 30-გან 29?

– როგორ მიიღება რიცხვი მისი წინა რიცხვისაგან? მომდევნო რიცხვისაგან? მაჩვენეთ საგნებზე.

ითვლიან სხვადასხვა რიცხვიდან დაწყებული 30-მდე (ჩათვლით) და პირიქით, 30-დან უკან, 1-ის ტოლი ბიჯით. ერთი იწყებს, სხვა აგრძელებს და ა. შ.

თამაში: „რომელი რიცხვები აქვთა?”

თამაშის მიზანი: 1-დან 30-მდე რიცხვების შესახებ ცოდნის განმტკიცება.

თამაშის წესი: თამაშობს 3 გუნდი (3 რიგი). თითოეულისთვის დაფაზე მოცემულია 1-დან 30-მდე რიცხვთა მწკრივი, რომელ შიც იმდენი რიცხვია გამოტოვებული, რამდენიც მოსწავლეა გუნდში. თითოეულ რიგს ერთხელ მაინც უნდა მიეცეს გამოტოვებული 2 ან 3 ერთმანეთის მომდევნო რიცხვი. გუნდიდან რიგრიგობით გამოსული მოსწავლეები რიცხვებით ავსებენ გამოტოვებულ ადგილებს. გამარჯვებულია ის გუნდი, რომელიც სწრაფად და უშეცდომოდ დაწერს რიცხვებს. გუნდის ერთი წევრის შეცდომას ასწორებს მისი მომდევნო წევრი და ჯდება. ის სხვა რიცხვს ვედარ დაწერს. მის შემდეგ ვისი რიგიცაა, ის გამოვა. საჭიროების შემთხვევაში გამოსვლას ისევ I წევრისაგან დაიწყებენ (II რიგზე მოუწევთ გამოსვლა).


კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №1-5 ფრონტალურად.

სავ №6 მოდელებით ადგენებ დასახელებულ თანხას ცალკე დემეტრესთვის, ცალკე ალექსანდრესთვის. წერენ: დემეტრეს – $20+20=40$ (თეთრი), ალექსანდრეს – $10+10+10=30$ (თეთრი). $40>30$ კ.ი. დემეტრეს ალექსანდრეზე მეტი თანხა აქვს.


სავ №7-8 ჯერ უნდა იმსჯელონ იმაზე, თუ რას ნიშნავს რიცხვების დალაგება ზრდის ან კლების მიხედვით და შემდეგ იწყებენ ამონენას.

სავ №9 სასურველია სქემაზე ნახაზის გამოყენება.



სავ №13 მასწავლებელი დაფაზე ხაზავს სქემას მოსწავლების დახმარებით (კარნახობენ სად რამდენი სიმბოლო მონიშნოს და ა. შ.). წრფეზე მონიშნავს სანდროს.

- რამდენი მოსწავლეა კლასში სანდროზე მაღალი? (20) დაბალი? (9)
- ნახაზზე სანდროს მარცხნივ მასზე მაღალი ბავშვები მოვნიშნოთ, მარჯვნივ მასზე დაბალი. მოსწავლეთა კომუნტარების მიხედვით მასწავლებელი ხაზავს სქემას:



- რამდენი მოსწავლეა კლასში სანდროს გარდა? ($20+9=29$) სულ? ($29+1=30$).

დ/ს რვეული, სავ №2.

საშინაო დაგალებად სავ №11, სავ №12 (2 სვეტი).

გაკვეთილი №23

მიზნები: 1) რიცხვების: 31, 32, . . . , 40 გაცნობა (მიღება, ჩაწერა და წაკითხვა); 2) ორნიშნა რიცხვის ჩანაწერში ათეულებისა და ერთეულების თანრიგების დასახელების, საგანთა ერთობლიობაში ათეულების ჯგუფების გამოყოფით რიცხვის ათობითი პოზიციური სისტემით ჩაწერის საგნების დემონსტრირებისა და ჯგუფური მუშაობისას თანამშრომლობის უნარების განვითარება.

გაკვეთილის მსვლელობა

- 1) საორგანიზაციო საკითხების მოგვარებისა და საშინაო დვალების შემოწმების შემდეგ მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს სახელმძღვანელოს სავ №1-ის განხილვით, რომლითაც ეცნობიან 31-39 რიცხვებს, მათი ჩაწერისა და წაკითხვის წესებს.

- 2) განმტკიცების მიზნით მუშაობენ პლაკატზე.

თამაში: „გინ უკეთ? გინ სწრაფად?!”

თამაშის წესი: ისეთივეა, როგორც უკვე გამოყენებული თამაშის: „ჯაჭვი”.

იმისათვის, რომ თამაშში ყველამ მიიღოს მონაწილეობა, გუნდის ერთი წევრი პლატზე წერს რიცხვს, სხვა – მის სახელწოდებას.


ცხრილების შევსების შემდეგ მასწავლებელი მიმართავს კლასს:

- დააკვირდით ცხრილის I სვეტს. რით პგვანან ნახატები ერთმანეთს? რით განსხვავდებიან?

– დააკვირდით ცხრილის მეორე სვეტში რიცხვების ჩანაწერს. რომელი ციფრი იცვლება ამ ჩანაწერებში და რომელი არ იცვლება?

– რატომ იცვლება მარჯვნიდან I ციფრი და არ იცვლება მარჯვნიდან II ციფრი?

მასალა: პლაკატი

	31	ორგანიზაციული

3) ამის შემდეგ მუშაობენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე ქომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავN6. ვინაიდან პატარებს წერა უჭირთ, ამიტომ უმჯობესია, საგარჯიშო ცხრილის გამოყენებით ამოიხსნას. ცხრილი მასწავლებელს წინასწარ აქვს გამზადებული.

რიცხვი	ორგანიზაციული	ერთგული
25		
39		
40		
30		

სავ. №10. ამოცანის ამოსახსნელად სასურველია მსჯელობის პარალელურად დაფაზე მასწავლებლის მიერ ჩანაწერის შესრულება, რადგან ამ ჩანაწერის მიხედვით, გონიერას თვალიც ეხმარება და ყველაფერს უკეთ მიხვდება მოსწავლე.

ნინო – ყველაზე ცოტა (29)

ლუკა – ყველაზე მეტი (35)

მედეა – 32

დ/ს რვეული, სავ. №1.

საშინაო დავალება სავ. №9 , რვეული, სავ. №2.

გაკვეთილი №24

მიზნები: 1) ცოდნის გაღრმავება 31-40 რიცხვებისა და მათი თანმიმდევრობის შესახებ; 2) ათეულისა და ერთეულის თანრიგებისა და ამ თანრიგებში მდგომ ციფრთა მნიშვნელობების გააზრება; 3) ჯგუფური მუშაობისას თანამშრომლობის უნარის განვითარება; 4) სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხის ამაღლება.

მასალა: ბარათები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზაციი, საშინაო დავალების შემოწმება


ზეპირი ანგარიში, წინარე ცოდნის გაქტიურება

1) თამაში: „ვინ უფრო სწრაფად?!”

თამაშის წესი: თამაშობენ გუნდები (რიგების მიხედვით). რამდენი გუნდიცაა, იმდენი

ბარათი უნდა პქონდეს მასწავლებელს მზად. ბარათში, რიცხვით სხივზე გამოტოვებული უნდა იყოს იმდენი რიცხვი, რამდენი მოსწავლეცაა გუნდში. მასწავლებელი ბარათს აძლევს I მერხზე მჯდომ მოსწავლეს. ის დაწერს ერთ-ერთ გამოტოვებულ რიცხვს და ბარათს გადასცემს უკანა მერხზე მჯდომ თანაკლასელს. ისიც ასევე იქცევა. თამაში ბოლო მერხზე მჯდომმა მოსწავლემ უნდა დამთავროს. გამარჯვებულად ცხადდება ის გუნდი, რომელმაც სწრაფად და უშეცდომოდ დაწერა რიცხვები რიცხვით წრფეზე მონიშნულ წერტილებთან.

ბარათის 3 ნიმუში:



2) სახელმძღვანელოსა და ოგეულში მოცემულ მასალაზე მუშაობა
კომენტარები საგარჯიშოების შესახებ
სავ. №1-3 ფრონტალური სამუშაო.

სავ№4 – რა გვაქვს მოცემული? რა უნდა გავაკეთოთ? რამდენ პირობას უნდა აკმაყოფილებდნენ ამოწერილი რიცხვები? (2) რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ? (ყველა მათგანი უნდა იყოს: 28-ზე დიდი და 31-ზე პატარა) სათითაოდ ადარებენ მოცემულ რიცხვებს 28-ს და 31-ს და ისე ამოწერენ რიცხვებს: 29-სა და 30-ს. შესაძლოა სხვადასხვანაირი მიღებოდა, მაგალითად, სათითაო რიცხვი ერთდროულად შეადარონ 28-სა და 31-ს, ან გამორიცხონ ჯერ 28-ზე პატარა, შემდეგ 31-ზე დიდი რიცხვები და თვითონ 28, 31.

სავ№9 (დაწერონ შესაბამისი ტოლობა და სრული პასუხი).

დ/ს სავ№.8 (სამი ვარიანტი. ორი სვეტი თითოეულ რიგს)

საშინაო დაგალება რვეული, სავ№2.

გაკვეთილი №25

მიზნები: 1) ცოდნის განმტკიცება 1-40 რიცხვების შესახებ; 2) მარტივი ამოცანების ამოხსნის უნარ-ჩვევების გამომუშავება/განვითარება; 3) მანძილების შედარების უნარის განვითარება; 3) აზროვნების განვითარება.

მასალა: ცხრილები.


თამაში: „ჯაჭვი“. **მიზანი:** 1-39 რიცხვების ნუმერაციისა და თანრიგობრივი შედებილობის გამეორება—განმტკიცება.

თამაშის წესი: (იხ. 21-ე გაკვ.) ცხრილები შედგება 1-39 რიცხვების გამოყენებით.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. სავ. №2 და სავ. №3 და სავ. №4 მარტივი ამოცანებია, რომლის ამოხსნისას მოსწავლე ეცნობა ოცეულისა და რამდენიმე ერთეულის ჯამის გამოთვლის არსეს. ამოცანების ამოხსნა ტექსტის გაანალიზებით უნდა დაიწყონ, რომლის მიზანია პირობისა და კითხვის გამოკვეთა, არითმეტიკული მოქმედების შერჩევა, რომლის შესრულებაც პასუხს გასცემს ამოცანის კითხვას. ამავე დროს, განუმტკიცებს ათეულზე ან ოცეულზე რამდენიმე ერთეულის დამატება/გამოკლების მოქმედებების შესრულების ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

უმჯობესია, არითმეტიკული მოქმედებები თვალსაჩინოების გამოყენებით შეასრულონ.



სავ. №3

სავ. №5

ფუნთუშის შესაძენად სანდროს დასჭირდება $30-20=10$ თეთრის დამატება.

სავ. №6 იხსნება შეკრებისა და გამოკლების კომპონენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე. მოსწავლეები ჯერ არ აყალიბებენ უცნობი კომპონენტების პოვნის წესებს. ამისათვის მათ ჯერ საჭირო ტერმინები და შემდეგ კი ის წესები უნდა აითვისონ, რომელიც საჭიროა მოცემული სახით ჩაწერილი განტოლებების ამოსახსნელად. ამ შემთხვევაშიც, კლასში, I სვეტის ამოსახსნისას, საგნები უნდა გამოიყენონ და ისე ამოსახსნან, II სვეტის – დაფაზე და რვეულებში ამოსახსნან, ხოლო III – დამოუკიდებლად. ასე, თანდათან უნდა აითვისონ უცნობი კომპონენტების პოვნის წესები.

დ/ს სავ. №6 (თითო სვეტი თითო რიგს).

სავ. №8 მასწავლებელი კიდევ ერთხელ სრულად ჩამოაყალიბებს პასუხს: (მოსწავლის მიერ ამოცანის კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ): – შიომ ჭიშკრიდან სახლამდე 39 ნაბიჯი გაიძრა.

საშინაო დავალება სავ.№ 9, 10.

გაკეთილი №26

მიზნები: 1) ცოდნის განმტკიცება ა) 1-40 რიცხვების შესახებ, ბ) ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების შესახებ, გ) ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების შესახებ; 2) არეს შიგნით, გარეთ და საზღვარზე მდებარე წერტილების ამიცნობა/მითითების უნარის განვითარება; 4) ამოცანების ამოსახის უნარის განვითარება, ჩვევების ჩამოყალიბება.

მასალა: ცხრილები.

გაკეთილის მსგლელობა

თამაში 1: „ვინ უფრო სწრაფად მოძებნის თავის კარგბს? ”.

მიზანი: 21-39 რიცხვების მიღების წესის, აგრეთვე ამ რიცხვების ოცეულებითა და 20-ზე ნაკლები ერთულების ჯამის სახით წარმოდგენის გამეორება-განმტკიცება.

თამაშის წესი: თამაშობს ორი გუნდი. თითოეული გუნდის ყოველ წევრს ეძლევა თითო ბარათი რიცხვითი გამოსახულებით (გამოსახულებას მასწავლებელი ადგენს). გუნდებისათვის დაფაზე გამოტანილია „დობე“. დობეს იმდენი კარი აქვს, რამდენი წევრიცაა გუნდში (კარი იქა, სადაც „დობეს“ რიცხვი აწერია. დობის ნიმუში მოცემულია ქვემოთ). გუნდის წევრები სათითაოდ გამოდიან და ეძებენ თავის კარს (მის ბარათზე დაწერილი გამოსახულების მნიშვნელობას). მოსწავლემ თავისი კარის გასწვრივ უნდა დაწეროს გამოსახულება, რომელიც ბარათზე წერია, ანუ გამოსახულება, რომლის მნიშვნელობაც კარზე აწერია. სწორად ამოსახის შემთხვევაში ითვლება, რომ მოსწავლემ თავისი კარი მონახა..

ყოველ სწორ პასუხზე გუნდს ეწერება 1 ქულა, არასწორად ამოხსნის შემთხვევაში გუნდს არ ეწერება არანაირი ქულა. არასწორად ამოხსნიდ მაგალითს ხსნის მეორე გუნდის რომელიმე წევრი და ამით მის გუნდს 1 ქულა ემატება. ყოველი დამსახურებული ქულა დაფაზე „*”-ით აღინიშნება გუნდისთვის განკუთვნილი ცხრილის გვერდით. საბოლოოდ ხდება ქულების დათვლა და შედეგების შედარება.

შედეგების შეჯამების შემდეგ აანალიზებენ დაშვებულ შეცდომებს, რომელშიც მთელი კლასი დებულობს მონაწილეობას.

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რეგულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავ. №1 მსჯელობენ ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვებზე. არ ჯერდებიან მხოლოდ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას, ადგენენ ორნიშნა რიცხვებს (ორმოცამდე) მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ციფრებით, არჩევენ რიცხვების ჩანაწერებში თითოეული ციფრის თანრიგობრივ მნიშვნელობას, ადგენენ რიცხვის ჩასაწერად გამოყენებული ნიშნადი ციფრების რაოდენობას და ა. შ.

სავ. №3 წერენ რიცხვებს როგორც ერთი და იმავე, ასევე განსხვავებული ციფრებით: 22, 23, 32, 33 და არჩევენ თითოეული რიცხვის ჩანაწერში ციფრების თანრიგობრივ მნიშვნელობას. მასწავლებელი ჩაწერილ რიცხვებს აწერინებს როგორც ზრდის, ისე კლების მიხედვით, ასახელებინებს ამ რიცხვებს შორის უდიდესსა და უმცირესს.

მასწავლებელი სთხოვს დასახელებული რაოდენობის ჩეირების ჩვენებას ათეულებად დაჯგუფების დახმარებით. ახდენენ რიცხვის ათობითი პოზიციური სისტემით ჩაწერის დემონსტრირებას საგანთა გროვაში ათეულების ჯგუფების გამოყოფით. სწავლობენ რიცხვითი სახელების სწორად გამოთქმასა და ჩაწერას.

დ/ს. სავ. №5


სავ. №9, სავ. №10 ორივე ამოცანაში უნდა გაარკვიონ, რამდენი ათეულისაგან შედგება 30 და 40. ამის შემდეგ მოსწავლე ადვილად უპასუხებს დასმულ კითხვას.

საშინაო დაგალება სავ.№7, №8.

გაკვეთილი №27

მიზნები: 1) რიცხვის, რიცხვითი სახელისა და რაოდენობის შესაბამისობის დადგენა: რიცხვები 41–49, მათი მიღების, ჩაწერისა და წაკითხვის წესების გაცნობა; 2) რიცხვის გამოსახვა სხვადასხვა მოდელის გამოყენებით; 3) რიცხვების ათეულებად და ერთეულებად, ოცეულებად და ერთეულებად წარმოდგენა და ამოცანების ამოხსნისას ამ ცოდნის გამოყენება; 4) რიცხვის უახლოესი ათეულისა და უახლოესი ოცეულის დასახელება; 5) ეროვნულ ფულის ნიშნებზე მუშაობა; 6) ფიგურის შიგნით, გარეთ და საზღვარზე წერტილების მონიშვნა; 7) ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას თანამშრომლობის ჩვევების განმტკიცება.

მასალა: ჩეირები და ქაღალდისაგან გამოჭრილი კუპიურები: ორი ოცლარიანი, ცხრა ერთლარიანი.



გაკვეთილის მსვლელობა

ორგ. მომენტისა და საშინაო დავალების შემოწმების შემდეგ გაკვეთილი გრძელდება 41-49 რიცხვების სხვადასხვა მოდელით გამოსახვით, სახელდებისა და ჩანაწერის გაცნობით. ჯერ მუშაობებ სავ. №1-ზე. შემდეგ იწყებენ თამაშს.

1) თამაში: „დასახელებული თანხის შეღენა”.

თამაშის მიზანი: 41-49 რიცხვები. მათი მიღების წესების სწავლა. ეროვნულ ფულის ნიშნებზე მუშაობა.

მოსწავლეებმა უპვე იციან როგორ მიიღონ რიცხვი მისი წინა ან მომდევნო რიცხვისაგან. ასე შემოაქვთ რიცხვები 41-იდან 49-ის ჩათვლით.

თამაშის წესი: თამაშობებ გუნდებად. მასწავლებელი: – შეადგინეთ 40 ლარი. შეადგინეთ 41 ლარი და ა. შ. ასახელებს შესაღენი თანხის ოდენობას, მოსწავლეები აჩვენებენ შესაბამის რიცხვებს კუპიურების მოდელების გამოყენებით. დაფაზე წერენ: ორმოცდაერთი 41; ორმოცდაორი 42 და ა. შ.

მსჯელობებ ზემოთ დასახელებული თითოეული რიცხვის სხვადასხვა გზით მიღებაზე (მაგალითად, $48=47+1=49-1=40+8$). შემდეგ გაკვეთილი გრძელდება სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოების მიხედვით.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავ. №2, №5, №6 სსნიან ზეპირად.

დ/ს. რვეული სავ. №1, №2.

სავ. №7 ჯერ აკონკრეტებენ ამოცანის პირობას და კითხვას, ადგენენ რამდენი მოქმედებით უნდა ამოიხსნას ამოცანა და შემდეგ კითხვებითა და მოქმედებებით სსნიან. პასუხი უნდა იყოს სრულყოფილი.

სავ. №8 მასწავლებელი: – როგორ გავიგოთ რამდენი თეთრი აქვს თამარს? ზურაბს? (ნახატის მიხედვით). იმუშავეთ დამოუკიდებლად.

საშინაო დავალება სავ. №10, რვეული, სავ. №2 (ქვედა)

გაკვეთილი №28

მიზნები: 1) 1-49 რიცხვების ნუმერაციის შესახებ ცოდნის განმტკიცება. 2) შეკრებისა და გამოკლების მოქმედებების მათემატიკური ამოცანების ამოსახსნელად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება; 3) აზროვნების განვითარება.

მასალა: ორი ცხრილი, ბარათები (იმდენი, რამდენი რიგიცაა კლასში).

1) თამაში: „ბრძოლა რიცხვებისა და მათი ჩანაწერებისათვის”.

თამაშის მიზანი: 30-49 რიცხვების ნუმერაციის შესახებ ცოდნის განმტკიცება.

მასწავლებელს წინასწარ აქვს გამზადებული 30-49 რიცხვების ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ცხრილი. უკიდურეს შემთხვევაში დაფაზე წინასწარ დახაზაგს ორივეს:

42	34	44	30
31	45	40	38
43	37	33	47
39	41	49	36
46	48	35	32

45	31	46	38
33	44	49	36
42	37	47	43
32	30	40	34
41	48	35	39

მასწავლებელს დაფასთან გამოჰყავს ორი მოსწავლე, აძლევს თითო საჩვენებელ ჯოხს და უხსნის თამაშის წესს: – თქვენ ერთმანეთს ეჯიბრებით 30-49 რიცხვების მიმდევ


რობით თვლასა და მათი ჩანაწერების მოძებნაში. მე ვასახელებ რიცხვს. თქვენ ჯერ ცხრილში იპოვით ჩემს მიერ დასახელებულ რიცხვს, შემდეგ ეძგოთ და ხმამაღლა ასახელებთ ნაპოვნი რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვებს. სამივე რიცხვის პოვნისა და დასახელების შემდეგ გამოდის ორივე თქვენგანის გუნდის თითო სხვა წევრი და ა. შ. გამარჯვებულია ის, ვინც ადრე იპოვის ყველა რიცხვს, ანუ ვინც ადრე დაასახელებს 49-ს. მასწავლებელს თავისთვის წინასწარ აქვს რიცხვები ჩამოწერილი, რათა არ გამორჩეს რომელიმე მათგანი. მოსწავლეებს რიცხვებს არათანმიმდევრულად, არეულად უსახელებს.

2) მასწავლებელი თითო რიგს (რიგის I წევრს) თითო ბარათს აძლევს. ბარათებზე ტოლი რაოდენობის (რიგში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა) რიცხვები (21-49) უნდა ეწეროს (ციფრებით). I მოსწავლე ციფრებით ჩაწერილი რიცხვის გასწვრივ შესაბამის რიცხვით სახელს დაწერს და ბარათს მის უკან მჯდომ მოსწავლეს გადასცემს და ა.შ. ბოლო რიცხვითი სახელის დაწერამდე. (ზოგს შეიძლება ბარათი თრჯერ მიუვიდეს). ნიმუში: 48 – – – ორმოცდარვა.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №1, სავ. №2, №3 ზეპირად ხსნიან.

სავ. №4 ამოცანას ამოხსნიან ჯერ სქემაზე ურად (მოსწავლეები არ არიან ამოცანის ამოხსნაში გაწაფულები და სქემის დახმარებით რეალურ სიტუაციას ნათლად დაინახავენ). ამის შემდეგ აფორმებენ ამოცანის ამოხსნას კითხვებითა და მოქმედებებით.



სავ. №5 სავარაუდოდ, მოსწავლეები რიცხვებს 10, 20, 30 და 40 ტოლ შესაკრებთა ჯამის სახით სხვადასხვანაირად წარმოადგენენ (სხვადასხვა რაოდენობის შესაკრებებით: მხოლოდ 1-იანების, მხოლოდ 2-იანების, მხოლოდ 5-იანების, მხოლოდ 10-იანების, მხოლოდ 20-იანების ჯამის სახით). ყველა მათგანზე უნდა იმსჯელონ.

სავ. №6 რამდენი ლარი მისცა ვანომ გამყიდველს? (3 ათეული, ანუ 30 ლარი)

- რამდენი ლარი მიიღო ვანომ ხურდად? (1 ლარი)
- რამდენი ლარი დაიტოვა გამყიდველმა? (30-1=29)
- რაში ვადაიხადა ვანომ 29 ლარი? (წიგნში)
- მხოლოდ წიგნი შეიძინა ვანომ? (დიახ, მხოლოდ წიგნი)
- რა დირდა წიგნი? (29 ლარი)

4) დ/ს. სავ. №8

საშინაო დაგალებად რვეული, სავ. №1, სავ. №2.

გაკვეთილი №29

მიზნები: 1) რიცხვის, რიცხვითი სახელისა და რაოდენობის შესაბამისობის დადგენა: რიცხვი 50, მისი მიღების, ჩაწერისა და წაკითხვის წესების გაცნობა; 2) სხვადასხვა მოდელის გამოყენებით რიცხვის გამოსახვის უნარის განვითარება; 3) რიცხვების შედარების უნარ-ჩვევების განვითარება/ჩამოყალიბება; 4) ათეულებისა და ოცეულების შესახებ (100-ის ფარგალში) მიღებული ცოდნის გაღრმავება; 5) ამოცანების ამოხსნის უნარის განვითარება.

მასალა: პლაკატი, ჩხირები.


1) მასწავლებელი პლაკატს კიდებს დაფაზე. პლაკატზე ათეულების ცხრილია განთავსებული. ცხრილის ერთი სტრიქონი შეგსქბულია. რიგ-რიგობით გამოდიან მოსწავლები და ნიმუშის მიხედვით ავსებენ ცხრილს.

	ათეული	ერთეული	რიცხვი	სახელწოდება
	3	0	30	ოცდათი

- რას აღნიშნავს რიცხვის ჩანაწერში მარჯვნიდან I ციფრი? II ციფრი?
- დააკვირდით ცხრილის III სვეტში რიცხვების ჩანაწერს. რომელი ციფრი იცვლება ამ ჩანაწერებში და რომელი არ იცვლება?
- რატომ არ იცვლება მარჯვნიდან I ციფრი და რატომ იცვლება მარჯვნიდან II ?
- რას გვიჩვენებს რიცხვის ჩანაწერში თითოეული ციფრი?
- რის მიხედვით მიიღო სახელდება 30-მა? 40-მა? 50-მა?
- 2) ჩხირების გამოყენებით ახდენენ 49-დან 50-ის და 40-დან 50-ის მიღებას.
- 3) მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე. ქომენტარები სავარჯიშოების შესახებ
სავ №1, 2, . . . , 7 ზეპირად.


4) დ/ს სავ №8.

სავ №12 მასწავლებელი დაფაზე ასრულებს ჩანახატს და ისე მსჯელობენ.




მოსწავლეები ეძებენ ამოცანის ამოხსნის გზებს. სავარაუდოდ ორ გზას მონახავენ.
I: 50-(20+20); II: 50-20-20. ორივე უნდა იქნას განხილული თავისი კითხვებითა და მოქმედებებით. პასუხი უნდა იყოს სრულყოფილი.

სავ №14 ასრულებენ სქემატურ ნახატს.



დაადგენენ რომ დარჩენილი სამი ბანკოტი 30 ლარს შეადგენს, რასაც შესაბამისად სქემაზე აღნიშნავენ.




30-ის 3 ათეულისაგან შედგენილობა მიიყვანს ამოხსნის დასასრულამდე. საშინაო დაფალება სავ. №10, სავ. №13 (ბოლო ორი სვეტი).

გაკვეთილი №30

- მიზნები:** 1) რიცხვის, რიცხვითი სახელისა და რაოდენობის შესაბამისობის დადგენა: რიცხვების: 41-50 ა) მიღების, ჩაწერისა და წაკითხვის წესების შესახებ ცოდნის გაღრმავება; ბ) სხვადასხვა მოდელის გამოყენებით გამოსახვა; გ) რიცხვების შედარება; 2) ნახაზზე გეომეტრიული ფიგურების ამოცნობის უნარ-ჩვევების განვითარება.

მასალა: პლაკატი, ჩხირები.



გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი დაფაზე კიდებს პლაკატს და მიმართავს კლასს: – დურგალმა ოთხკუთხა და წრიული ფორმის ფირფიტები დაფაზე ლურსმნებით დაამაგრა. რომელი ლურსმანი ამაგრებს დაფაზე მხოლოდ ზედა ოთხკუთხა ფირფიტას?

– რატომ ფიქრობ რომ ასეა? (ლურსმნის შესაბამისი წერტილი ეკუთვნის მხოლოდ შიგა არეს და არ ეკუთვნის არც წრის და არც ქვედა ოთხკუთხედის არეს და საზღვრებს)

– რომელი ლურსმანი ამაგრებს დაფაზე მხოლოდ წრესა და ზედა ოთხკუთხა ფირფიტას?

– რომელი ლურსმანი ამაგრებს დაფაზე მხოლოდ წრესა და ზედა ოთხკუთხა ფირფიტას? მხოლოდ წრესა და ქვედა ოთხკუთხა ფირფიტას? სამივე ფირფიტას?

მოსწავლეები დასმულ კითხებზე პასუხს იძლევიან ლურსმნის შესაბამისი წერტილის რომელიმე ფიგურის (ზედა ოთხკუთხედის, ქვედა ოთხკუთხედის, წრის) შიგა და გარე არეებში მდებარების მიხედვით.

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №1 მასწავლებელი: – დაასახელეთ პირველი ორი რიცხვი, რომელიც რიცხვით წრფეზე წერია.

– როგორ მიიღება 38-გან 39? 39-გან 40? 40-გან 41? 41-გან 42?

– რას ამჩნევთ რიცხვით წრფეზე 39-სა და 42-ს შორის? (2 რიცხვია გამოტოვებული)

– როგორ მიხვდით რომ 2 რიცხვია გამოტოვებული? (სხივზე მონიშნულია 2 რიცხვი) – რა რიცხვებია გამოტოვებული? როგორ მიხვდით? (თვლის დროს 39-სა და 42-ს შორის ორ რიცხვს გასახელებთ. რიცხით წრფეზე რიცხვები ზუსტად ამ წესითად ჩაწერილი, 1-ის ტოლი ბიჯით.)

– რამდენი რიცხვია გამოტოვებული 46-სა და 49-ს შორის? რა რიცხვები?

სავ. №2, სავ. №3 და სავ. №4, მიზანია ცოდნის განმტკიცება რიცხვის თანრიგობრივ შედგენილობაზე. ზეპირად პასუხობენ.

სავ. №5 მასწავლებელი: –წაიკითხეთ ამოცანა. ჩამოაყალიბეთ ამოცანის პირობა და კითხვა. 40 პურის გაყიდვით მაღაზიაში პურის რაოდენობა შემცირდა თუ გაიზარდა? ჩამოაყალიბეთ ამოცანის ამოხსნის გეგმა.

– როგორ გავიგოთ რამდენი პური დარჩა გასაყიდი მაღაზიაში?

დ/ს სავ. №6 (3 ვარიანტი, თითო ვარიანტი – 4 მაგალითი).

სავ. №8 მასწავლებელი: –რას ნიშავს ბავშვებისათვის კანფეტების თანაბრად განაწილება? (ყველას ერთნაირი რაოდენობის კანფეტი ერგო. თითოეულს 10 კანფეტი ერგო.) რამდენ ბავშვს შეიძლება გაუნაწილდეს თანაბრად 40 კანფეტი? (რამდენი ათიცაა 40-

ში) რამდენი ათია 40-ში, ანუ რამდენი ათეულისაგან შედგება 40? (4) მაშ, რამდენი ბავშვისთვის გაუნაწილებია ნელის კანცეტები? (4). რამდენი შვილი ჰყავს ნელის? (4) **სავN9** მოსწავლეთა პასუხების შემდეგ მასწავლებელი ცალ-ცალკე ამოხაზავს თითოეულ ოთხკუთხედს, რომელიც ნახაზზეა (კარგი იქნება ეს მოსწავლეებმა შეასრულონ, თუ ვერა, მაშინ მასწავლებელი დახაზვს).



საშინაო დავალება სავ. №10, №11

გაკვეთილი №31

მიზნები: 1) ნუმერაცია. 51–60 რიცხვებისა და მათი თანრიგობრივი შედგენილობის გაცნობა; 2) შეკრება-გამოკლების მოქმედებების, მათი ურთიერთშებრუნებულობის თვისების გამოყენება მარტივი ამოცანების ამოხსნისას; 3) აზროვნების განვითარება.

მასალა: 1) პლაკატი, ხუთი პატარა ოთხკუთხედი, რომელიც მისაწებებელი ქაღალდისგანაა გამოჭრილი (შეიძლება ფურცლისაგან გამოიჭრას ოთხკუთხედები და ქინძის-თავით ან ჭიკარტით დამაგრდეს პლაკატზე). თითო ფურცელზე თითო რიცხვი წერია. ეს რიცხვებია: 43, 50, 51, 53, 60.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი კიდებს პლაკატს და მიმართავს ქლასს:



– მაღაზიაში გასაყიდ ნივთებს იარლიუზე ფასები ციფრებით აწერია. სიახლის მიზნით გამყიდველმა ფასების წრიული ემბლემები დაამზადა და გასაყიდ ნივთებზე იარლიუთან ერთად დაამაგრა. გასაყიდი ნივთის ფასი ემბლემებზე სიმბოლოებითაა (გეომეტრიული ფიგურებით) მოცემული. ერთი ოთხკუთხედი ერთ ათეულ ლარს შეესაბამება, სამკუთხედი – ერთ ერთეულს. მყიდველებმა აღნიშნეს, რომ ციფრებითა და სიმბოლოებით გამოსახული ფასები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ფასი ციფრებით სწორად აწერია. ვის შეემალა – მყიდველებს თუ გამყიდველს?

მოსწავლეები ფასებს ნივთებზე სიმბოლოებით აღნენ. ასწორებენ გამყიდველის მიერ დაშვებულ შეცდომებს. (შეცდომით დაწერილ რიცხვზე ჭიკარტით ან მისაწებებელი ქაღალდით ზედ დააკრავენ საჭირო ფიგურას.)

- რომელი ნივთის მყიდველი დარჩებოდა მოგებული? წაგებული?
- წაგებდა თუ მოიგებდა გამყიდველი, თუ ხუთივე ნაწარმს სიმბოლოებით მოცემული ფასებით გაყიდიდა?

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავN3 ნახატზე 10-10 მტევანი ჯაგნებადაა წარმოდგენილი და ჯაგნები დაწყვილებულია, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს როგორც რაოდენობის სახელწოდების დადგენაში, ისე ჩანაწერის შესრულებაში. მოსწავლეები ჩანაწერებს დაფაზე და რვეულებში ასრულებენ შემდეგნაირად: **40+13=53** თრმოცდაცამეტი, **40+15=55** თრმოცდაოთხუმეტი,

$40+18=58$ ორმოცდათვრამეტი, $20+20+20=60$ სამოცი. გურადღებას ამახვილებენ რიცხვით სახელის წარმოქმნაზე.

I დ/ს სავ. №4 (2-2 სვეტი თითო რიგს).

სავ. №7 პასუხი:



სავ. №8 ნახატზე 4 ათეული და კიდევ 3 ბურთია მოცემული. მოსწავლეები დამოუკიდებლად ადგენენ, რომ მოცემულია 43 ბურთი და მათ რაოდენობას 44-მდე შესავსებად მხოლოდ 1 ბურთი აკლია.

II დ/ს სავ. №10 ამოცანას ახსნევინებს რიგების მიხედვით. ერთი რიგი ამოხსნის მოკლე ჩანაწერითა და კითხვა-მოქმედებებით, ხოლო მეორე სქემის გამოყენებით.

მოსწავლეები წაიკითხავენ ამოცანას, ამოხსნიან და წყვილში ერთმანეთს გაუცვლიან ნამუშევრებს. ამოწმებენ. შეცდომას აფიქსირებენ. ამის შემდეგ კლასიდან ერთი მოსწავლე წარმოადგენს ამოხსნის ერთ ხერხს ახსნა-განმარტებით, მეორე კი – მეორეს. გაასწორებენ შეცდომებს.

I ხერხი: | ?
თათია – 3-ით > | ?

მასწავლებელი კითხვა-პასუხის პარალელურად დაფაზე წერს კითხვებს, მოქმედებებს და პასუხს. სადაც ასეთი სახის ჩანაწერი მიიღება:

1) რამდენი გვირილაა თათიას თაიგულში?

$$17+3=20$$

2) რამდენი გვირილაა ეკას და თათიას თაიგულგბში ერთად?

$$20+17=37$$

პასუხი: ეკას და თათიას თაიგულებში ერთად 37 გვირილაა.

სქემატურად: მათ

სქემატურ ნახაზსაც გადაიტანენ დაფაზე და მსჯელობენ მის შესახებ.

საშინაო დაგალება სავ.№5, 9, 12.

გაკვეთილი №32

მიზნები: 1) ცოდნის განმტკიცება 1-60 რიცხვების შესახებ: ნუმერაცია; თანრიგობრივი შედგენილობა; 2) აზროვნების, მსჯელობის, შეხედულებათა დასაბუთების, ფაქტების ანალიზის უნარების განვითარება.

გაკვეთილის მსვლელობა

1) მასწავლებელი აჩვენებს ორ სტრიქონში ჩაწერილ რიცხვებს:

$$1, \quad 2, \quad 3, \quad \dots, \quad 9$$

$$11, \quad 12, \quad 13, \quad \dots, \quad 19$$

– დააკვირდით ორივე სტრიქონში ჩაწერილ რიცხვებს. რა რიცხვები წერია I სტრიქონში? II-ში?

– რა შეგიძლიათ, ამ ორი სტრიქონის შედარების შემდეგ, მათ შესახებ რომ თქვათ? (I სტრიქონში ერთნიშნა რიცხვები წერია, II-ში – ორნიშნა)

– რატომ პქვია ერთნიშნა რიცხვები? ორნიშნა?

- რა პოზიცია უგავია რიცხვის ჩანაწერში ერთეულს? ათეულს?
 - კიდევ რომელი ორნიშნა რიცხვები იცით?
- წერენ 4-5 რიცხვს სხვადასხვა ათეულში, წერენ ერთი და იმავე ციფრით ჩაწერილ რომელიმე რიცხვს და არჩევენ ჩანაწერებში ციფრების მნიშვნელობას.
- 2) მასწავლებელს დაფაზე წერს რიცხვებს: 7, 52, 9, 59, 48, 60.
 - დაყავით რიცხვები ორ ჯგუფად რაიმე ნიშნის მიხედვით(7 და 9 ერთნიშნა რიცხვები; 52, 59, 48 და 60 – ორნიშნა)
 - მიუთითეთ თითოეული ორნიშნა რიცხვის თანრიგობრივი შედგენილობა (5ათ. და 2 ერთ; 5 ათ. და 9 ერთ. და ა. შ.)
 - 3) მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე კომენტარები საგარჯიშოების შესახებ
- სავ. №1** რიცხვების ჩანაწერში უთითებენ ათეულისა და ერთეულის თანრიგებს, ასახელებენ ამ თანრიგებში მდგომი ციფრების მნიშვნელობებს, განმარტავენ ერთეულის თანრიგში 0-ის გამოყენების აზრს. ადარებენ რიცხვებს. მოცემულ რიცხვებს ალაგებენ ზრდის მიხედვით.
- სავ. №5** მასწავლებელი კითხეულობს ამოცანას.
- ყველა მონაცემი მოცემულია ამოცანის ტექსტში? (არა)
 - რა დაგვეხმარება მონაცემების მოპოვებაში? (ნახატი)
 - გამოიყენეთ ამოცანის ტექსტი და ნახატი და გაარკვიეთ რა ვიცით ამოცანის პირობით და რა არ ვიცით.
 - რამდენი ლარი აქვს ლაშას მამას? (50)
 - ვთქვათ, ლაშას მამამ უნდა შეიძინოს ერთი ტომარა კარტოფილი. ეყოფა მას ამის-თვის თანხა? როგორ გაარკვიეთ რომ ეყოფა? (აქვს 50 ლარი, კარტოფილში გადაიხდის 30 ლარს. 30 ლარი ნაკლებია 50 ლარზე, ე. ი. ხურდაც დარჩება) რამდენი? (50 ლარი – 30 ლარი = 20 ლარი) ეყოფა თუ არა დარჩენილი თანხა ერთი ტომარა ხახვის შესაძენად? (ეყოფა) რატომ? (10<20)
 - ჩამოაყალიბეთ სრული პასუხი.
- სავ. №9** მასწავლებელი (ამოცანის წაკითხვის შემდეგ): – დავწეროთ დაფაზე ზღაპრები და მულტფილმები და შესაბამისად მივუწეროთ გვერდზე ბავშვების სახელები. წერს: ზღაპრები — ქეთი, ნატო, ნიკა მულტფილმები — თამრიკო, ლელა, ნატო, ლევანი
- დააკვირდით ამ ჩანაწერებს და მიპასუხეთ კითხვაზე: ვის უყვარს ზღაპრების კითხვაც და მულტფილმების ყურებაც? (მას, ვინც ორივე სიაში მოხვდა, ანუ ნატოს)
- სავ. №10** სიმბოლოებს სათანადო რიცხვებით შეცვლიან და მიიღებენ, რომ ყველაზე დიდი რიცხვი მიიღება №2 ნახატზე (1 ოცეული+1 ოცეული+1 ათეული, ანუ $20+20+10=50$), ხოლო ყველაზე მცირე №4 ნახატზე ($5+5+5+10=20+10=30$).
- დ/ს სავ.№6 (2-2 სვეტი).
- საშინაო დავალება რვეული გვ.24, სავ.№2 (ქვედა), გვ.25, 1-2.

გაკვეთილი №33–34

მიზნები: 1) წრფის, სხივის, მონაკვეთისა და ტეხილის გაცნობა; 2) მიღებული ცოდნის განმტკიცება: ა) 51–60 რიცხვების ნუმერაცია; ბ) შეკრების ჯუფთებადობის თვისება; გ) ამოცანების ამოხსნა „–ით მეტობა/ნაკლებობა”-ზე; დ) გამოსახულებათა მნიშვნელობების გადასახულება.

ბის შედარება.

მასალა: მასწავლებელს: მონაკვეთის, შეკრული და გახსნილი ტეხილების მოდელები, განსხვავებული ფერის დიდი და პატარა 3 წრე, იმავე ფერების ამდენივე სამკუთხედი და ოთხეუთხედი დიდი და პატარა, გაუმჯორვალე პარკი, ძაფი, მავთული, კედელზე ან დაფაზე დამაგრებული 2 ლურსმანი, ქაღალდის 4 ზოლი.

მოსწავლეს: გეომეტრიული ფიგურების ნაკრები.

გეომეტრიული ფიგურების სახეებს ბავშვები იმ კონკრეტულ საგნებზე ეცნობიან, რასაც გარშემო ხედავენ. გეომეტრიული საკითხების შესწავლის საფუძველს ცდა და დაკვირვება წარმოადგენს. ამიტომ, გეომეტრიული საკითხების შესწავლის ძირითადი მეთოდი არის თვალსაჩინოების მეთოდი. ამისათვის მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს არა მარტო ბუნებაში არსებული საგნები და მზამზარეული ფიგურები, არამედ თვითონ მოსწავლეებს ქაღალდისაგან უნდა გამოაჭრევინოს ისინი, დაამზადებინოს მოდელები, დაკვირვების შედეგად ჩამოაყლიბებინოს მათი თვისებები და ა. შ.

გაპვეთილის მსვლელობა

1) მასწავლებელი დაფაზე ხაზავს მონაკვეთს, წრფეს, სხივს, შეკრულ და გახსნილ ტეხილებს და ასწავლის მათ დასახელებებს. აჩვენებს მონაკვეთისა და ტეხილების მოდელებს, საუბრით წარმოდგენას უქმნის წრფეზე. ახაზინებს დაფაზე და რვეულში წრფეს, მონაკვეთს და სხივს. ეცნობიან მათ განმასხვავებელ ნიშნებს. ასახელებენ საგნებს, რომელიც მოაგონებთ წრფეს, მონაკვეთს, სხივს, ტეხილს.

გაპვეთილებზე გამოიყენება თამაშები.

2) თამაში: „გეომეტრიული ფიგურების სამყაროში”

თამაშის მიზანი: 1) ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა ხელის შეხებით; 2) აზროვნების განვითარება.

I. მასწავლებელს მაგიდაზე უწყვია სამი ფერის დიდი და პატარა გეომეტრიული ფიგურა.

– შეხედეთ რამდენი რამ მაქვს მაგიდაზე. რა საერთო სახელი აქვს ამ საგნებს?

თითო-თითოდ იღებს ფიგურებს და გუნდურად ასახელებენ მათ. თითოეულ ფიგურის შესახებ ყვებიან რაც მასზე იციან: ზომა, ფორმა, ფერი. მასწავლებელმა ბავშვების ფანტაზიას უნდა მისცეს გასაქანი, ისაუბრონ, რას აგონებს ესა თუ ის ფიგურა, რას გავს და ა.შ. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. საბოლოოდ ხელში იღებს პატარა კვადრატს და მიმართავს კლასს:

– მოძებნეთ და მაღლა აწევით მაჩვენეთ ფიგურა, რომელიც ყველაზე მეტად არ ჰგავს ამ ფიგურას. (აჩვენებენ ოთხეუთხედის ფერისაგან განსხვავებული ფერის დიდ წრეს.) რატომ არის ეგ წრე ოთხეუთხედისაგან ყველაზე მეტად განსხვავებული? (3 ნიშნით განსხვავდება: ფორმით, ფერით, ზომით).

II. მასწავლებელი პარკში ყრის დიდი და პატარა ზომის გეომეტრიულ ფიგურებს ისე, რომ მათი მსგავსი ფორმისა და ზომის ფიგურები მაგიდაზეც დარჩეს. რიგ-რიგობით გამოჟყავს მოსწავლეები მაგიდასთან, აძლევს პარკში ჩაყრილ ფიგურებს, ასახელებს რომელიმე ფიგურას და სთხოვს მაგიდიდან აიღონ დასახელებული ფიგურა და აჩვენონ კლასს, შემდეგ კი პარკში ჩაუხედავად ამოიღონ დასახელებული ფიგურა.

მე-2 თამაშის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს მონაკვეთს. ამისათვის დაფაზე ხაზავს წრფეს, მასზე მონიშნავს ორ წერტილს და აჩვენებს წრფის იმ ნაწილს, რომელიც ამ ორ წერტილს შორისაა მოთავსებული. ეს ნაწილი შეიძლება ფე-

რადი ცარცით გამოყოს წრფისაგან. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს მონაკვეთის ბოლოებზე, შემდეგ ცალკე ამოხაზავს მონაკვეთს და მოსწავლეთა ყურადღებას მიმართავს წრფისა და მონაკვეთის ერთმანეთისაგან განმასხვავებელ ნიშანზე. იმაზე, რომ მონაკვეთს აქვს ბოლოები, ხოლო წრფეს არა აქვს არც დასაწყისი, არც დასასრული. ამიტომ, წრფეს მთლიანად ვერ დავხაზავთ ვერც რვეულში და ვერც დაფაზე, ვერც კედელზე. ერთ-ერთ მოსწავლეს აძლევს ძაფის ნაწევებს და სტეოვს დაჭიმოს და ისე დაიკავოს. შემდეგ სტეოვს, რომ მოშვებული დაიკავოს ძაფი. ამის შემდეგ დაჭიმულ ძაფს ბოლოებით ლურსმნებზე ამაგრებს. რის მოდელია მოშვებული ძაფი? (მრუდი წირის) დაჭიმული? (სხვადასხვა პასუხი იქნება: ხაზი, სწორი ხაზი. ზოგმა შეიძლება მონაკვეთიც დაასახელოს.)

III. ცვლიან თამაშის წეს (მომდევნო გაკვეთილზე). მოსწავლე პარკში მარჯვენა ხელში იდებს რომელიმე ფიგურას და ხელის ამოღებამდე მარცხენა ხელით მაგიდაზე მოძებნის ისეთივე ფიგურას, რომელიც შესაძლოა მისგან მხოლოდ ფერით განსხვავდებოდეს. როგორც კი ამ ფიგურას იძოვის, ამოიღებს პარკიდან ხელს და ორივე ხელის მაღლა აწევით კლასს აჩვენებს მათ.

IV. მასწავლებელი მოსწავლებს მონაკვეთის მოდელად მავთულის ნაწერს წარუდგენს. შემდეგ ამ მავთულს გაჭრის და მიღებულ ნაწილებზე ეკითხება: არის თუ არა თითოეული ნაწილი მონაკვეთი?

მასწავლებელი დაფაზე ხაზავს წრფესა და მონაკვეთს და უხსნის მოსწავლებს, თუ როგორ უნდა დახაზონ მონაკვეთი, როგორ მონიშნონ მისი ბოლოები, რომელნიც თავის მხრივ წეერტილებს წარმოადგენენ. მონაკვეთები უნდა დახაზონ სხვადასხვა (პორიზონტურ, ვერტიკალურ და დახრილ) მდებარეობაში.

უხსნის რას წარმოადგენს ტეხილი, მისი მდგრები და ბოლოები. ქადალდის ზოლებით ადგენენ ტეხილებს სხვადასხვა რაოდენობის მონაკვეთებით (გახსნილსაც და შეკრულსაც). მონაკვეთებსა და ტეხილებს ხაზავენ დაფაზე და რვეულებში.

მონაკვეთის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი მოდელის ჩვენებით აცნობს ტეხილს (ჩეირის რამდენიმე ადგილზე გადატევით ისე, რომ ნაწილები ერთმანეთს არ დაცილდნენ. ამის მიღწევა შეიძლება ხის ნედლი და წვრილი ტოტით ისე, რომ ქერქი ერთ მხარეს მთელი დარჩეს.). ტეხილებს დახაზავენ დაფაზეც და რვეულებშიც. შემდეგ ტეხილის სახეებს აუხსნის და მოდელებზე კიდევ აჩვენებს მათ.

გეომეტრიული მასალის შესწავლის პარალელურად სამივე გამგეოთილზე ხდება განვლილი მასალის გამეორება.

გაკვეთილი №35-39

მიზნები: 1) გამეორება-განმტკიცება საკითხების: ა) მონაკვეთი, ტეხილი; ბ) რიცხვები: 1-60 – ნუმერაცია, რიცხვითი წრფე; გ) გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა-დასახელება; 2) ურვნული ფულის ნიშნების განსხვავების, დასახელებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება; 3) მითითებული სქემის მიხედვით მოქმედებების შესრულების უნარის განვითარება; 4) აზროვნების განვითარება.

გაკვეთილის მსვლელობა

1) მასწავლებელს გამზადებული აქვს ჩანაწერი:

- 1) 90, 80, 70, 75, 60, 50
- 2) 45, 65, 35, 25, 38, 95
- 3) 32, 39, 37, 38, 30, 40

მასწავლებელი: – თითოეულ სტრიქონში რიცხვები გარკვეული წესით უნდა ეწეროს, მაგრამ ამას ერთი რიცხვი უშლის ხელს. დააკვირდით რიცხვების მიმდევრობას და აღმოაჩინეთ 1) წესი, რომლითაც რიცხვები უნდა იყოს სტრიქონში ჩაწერილი;

2) რიცხვი, რომელიც არღვევს სტრიქონში რიცხვების ჩაწერის წესს.

1) სტრიქონში აღმოაჩინენ რიცხვების ჩაწერის წესს (0-ით დაბოლოებული რიცხვები უნდა ეწეროს), ასაბუთებენ, რომ 75 არღვევს აღნიშნულ წესს და გადაუსვამენ მას ხაზს; 2)-ში 5-ით დაბოლოებული უნდა იყოს და 38 არღვევს წესს, ხოლო 3)-ში 3-ით უნდა იწყებოდეს და 40 არღვევს წესს.


საბოლოოდ ჩანაწერს ასეთი სახე ექნება:

$$1) \quad 90, 80, 70, \cancel{75}, 60, 50$$

$$2) \quad 45, 65, 35, \cancel{25}, \cancel{38}, 95$$

$$3) \quad 32, 39, 37, 38, 30, \cancel{40}$$

2) მასწავლებელს გამზადებული აქვს სქემა (მას შეუძლია მსგავსი სქემების მომზადება სხვადასხვა რიცხვებზე, რომლებსაც სხვადასხვა გაკვეთილების დასაწყისში გამოიყენებს). ზეპირად სხინან სქემაზე მოცემულ მაგალითებს.



კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

გაკვ.36 სავ. №9 პასუხი: ჯამი.

გაკვ.37 სავ. №1 მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ქაღალდისაგან გამოჭრილი მონეტებით შეადგინონ და გამოთვალონ თითოეულ ნახატზე ნაჩვენები თანხა. დაწერონ შესაბამისი ტოლობები. შემდეგ კი დამატებით ამჟამებს იმავე თანხის სხვა მონეტებით შედგენაზე.

სავ. №7 მასწავლებელი: – რა ვიცით ამოცანის პირობით? (ნატოს 60 თეთრი აქვს და უნდა რომ შეიძინოს 1 საშლელი, 1 რვეული და 1 ფანქარი)

– რა უნდა გავიგოთ? (ეყოფა თუ არა ამ ნივთების შესაძენად ნატოს 60 თეთრი?)

– რა შემთხვევაში ვიტყვით პასუხად „ეყოფა“? „არ ეყოფა“? (თუ შესაძენი ნივთების საერთო ღირებულება 60 თეთრია, ან 60 თეთრზე ნაკლები, მაშინ ვიტყვით, რომ ეყოფა, სხვა შემთხვევაში ვიტყვით, რომ არ ეყოფა.)


– რის მიხედვით უნდა დავადგინოთ შესაძენი ნივთების საერთო ღირებულება? (ფასების ვიცით? (დიახ) ტექსტში რომ არ ჩანს რა ღირს მაგალითად ფანქარი? (ფასები ნახატზე მოცემული.) რა ღირს ფანქარი? საშლელი? რვეული?

– ვიცით თითოეული ნივთის ფასი. როგორ გამოვითვალოთ შესაძენი ნივთების საერთო ღირებულება? (ფასები შევკრიბოთ) დაწერეთ შესაბამისი გამოსახულება. (წერენ გამოსახულებას: $20+10+50$ და ითვლიან მის მნიშვნელობას)


– რა გავარკვიეთ? (საგნების საერთო ღირებულებაა 80 თეთრი. ნატოს აქვს 60 თეთრი. ვინაიდან 60 თეთრი ნაკლებია 80 თეთრზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნატოს დასახელებული 3 ნივთის საყიდლად 60 თეთრი არ ეყოფა.)

- რამდენი თეორი აკლდება ნატოს სამივე ნივთის შესაძენად? დაწერეთ შესაბამისი ტოლობა (წერენ დაფაზე და რვეულებში)
- რა ნივთების შეძენა შეუძლია ნატოს? (საშლელის და რვეულის ან ფანქრისა და საშლელის)

სავN9 მასწავლებელი: -რის მიხედვით უნდა ამოვხსნათ ამოცანა? (ნახატის მიხედვით) რა უნდა გავიგოთ? როგორ გავიგოთ? რას ამჩნევთ ბურთების განაწილებაში? (ათეულებად უკავიათ) ყველას? (არა, ერთ ვაჟს 10 და კიდევ 2 ბუშტი უკავია) ყოველი ათეული ბუშტი რვეულში მოვნიშნოთ წრით, ხოლო ათეულის გარდა რაცაა, იმათგან ყოველი ერთი ბუშტი - სამკუთხედით. შესაბამისი სქემა და ჩანაწერები.



- შეგვიძლია თუ არა, რომ არ გამოვთვალოთ ბუშტების რაოდენობა ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის და ისე გავიგოთ მათგან ვის უფრო მეტი ბუშტი აქვს და რამდენით? (დიახ, სქემაზე დაგაწეულოთ ბუშტების ათეულები გოგონებისა და ვაჟებისათვის და ისე გავარკვით). სქემა ასეთ სახეს მიიღებს:



- ვის მეტი ბუშტი პქონია? (ვაჟებს) რამდენით? (2-ით, რადგან დაწყვილების გარეშე დარჩა ვაჟების 2 ბუშტი.)

გაკვ38. სავ. №1 რა რიცხვს შეადგენს სამი ოცეული? (60). როგორი რიცხვები პქია 59-სა და 60-ს? (60 არის 59-ის მომდევნო, 59 კი 60-ის წინა რიცხვი) რას გვთხოვს ამოცანა? (59-გან უნდა მივიღოთ 60) ანუ 59-გან უნდა მივიღოთ მისი მომდევნო რიცხვი. როგორ მივიღოთ რიცხვისაგან მისი მომდევნო რიცხვი?

- რა გვაქვს მოცემული და რას გვეკითხებიან? (გვაქვს 59. უნდა გავგოთ, რამდენი ერთეული უნდა დავუმატოთ 59-ს, რომ მივიღოთ 3 ოცეული) ე.ი. 59-ს უნდა მივუმატოთ რადაც რიცხვი და მივიღოთ 60. ეს წინადადება მათემატიკურად ჩავწეროთ. საძიებელი რიცხვი რაიმე სიმბოლოთი აღვნიშნოთ. მაგალითად, ვარსკვლავით, ოთხჯუთხედით, სამკუთხედით. როგორი ტოლობა შედგება აღნიშვნის გამოყენებით? (59+*=60). გამოვთვალოთ რას უდრის „*"-ის რიცხვითი მნიშვნელობა. (1)

სავN2 სავN3 წერენ რიცხვებს, არჩევენ მათი ჩაწერა/წაკითვის წესებს, თანრიგობრივ შედგენილობას, რიცხვის ჩანაწერში ციფრების მნიშვნელობას და ა.შ.

სავ. №5 მასწავლებელი: - რა წესი გამოვიყენოთ 50-ზე მეტი და 60-ზე ნაკლები რიცხვების ამოსარჩევად? (რიცხვის ჩაწერის წესი) რაში გამოგვადგება? 50-ზე მეტი და 60-ზე ნაკლები რიცხვების ჩანაწერი 5-იანით იწყება. ე.ი. ჩვენ ის რიცხვები უნდა ამოვწეროთ, რომლის ჩანაწერიც 5-იანით იწყება. ასეთი რიცხვებია: 59, 52, 55.)

- რას ნიშნავს რიცხვების დალაგება კლების მიხედვით? დაალაგეთ.

სავ. №9 მასწავლებელი: - რა უნდა გავიგოთ?

- რა უნდა ვიცოდეთ იმისათვის, რომ გავიგოთ რომელ ნახატზეა მოცემული დანარჩენებზე მეტი/ნაკლები თანხა? (რა თანხას შეადგენს თითოეულ ნახატზე ყველა ბანკნოტი ერთად) დამოუკიდებლად შეადგინეთ შესაბამისი უტოლობები.

წყვილებში სამუშაო. მე-2 დავალების შესრულებისას, მასწავლებელი უნდა ესაუბროს ფეხითმოსიარულეთა მოძრაობის წესებისა და საგზაო ნიშნების შესახებ. აუხსნას, რომ მოძრაობის წესები არსებობს არა მარტო ფეხითმოსიარულეთათვის, არამედ მძღოლე-

ბისთვისაც, რომელიც საგზაო ნიშნებით ხორციელდება. სასურველია, ეპრანზე აჩვენოს და მოკლე განმარტება მისცეს შექნიშანისა და კიდევ ზოგიერთი სხვა ნიშნის შესახებ.

ტესტი №2

ტესტი	№1	№2	№3	№4	№5	№6
პასუხი:	ა	ბ	გ	ა	ბ	გ

შენიშვნა: მოსწავლე პასუხებს წიგნში არ შემოხაზავს. მან უნდა ამოწეროს რვეულში საკითხის ნომერი და გვერდზე მიუწეროს შესაბამისი პასუხი.

გაკვეთილი №40 (სარეზერვო დრო)

გაძვეთილი №41

მიზნები: რიცხვები 61–99, ნუმერაცია; შედგენილობა: ოცეულებითა და ერთეულებით, ათეულებითა და ერთეულებით; რიცხვის ჩანაწერში ათეულისა და ერთეულის მითითება, თანრიგებში მდგრძი ციფრების მნიშვნელობის დასახელება.


მასალა: მოსწავლეებს ჩეირები, მასწავლებელს 100 ჩეირი და 2 პლაკატი.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი


II. ზეპირი ანგარიში

მასწავლებელს გამზადებული აქვს პლაკატი. ვარჯიშობები რიცხვიდან მისი წინა და მომდევნო რიცხვების მიღებაზე.



III. ახალი მასალის ახსნა

ახალ პლაკატზე გაცნობიან 61–99 რიცხვებს. მოსწავლეებს ეს ადარ გაუჭირდებათ, რადგან მათ უკვე იციან რიცხვის მიღება მისი წინა რიცხვისაგან, მისი სახელის დადგენა და ჩაწერა. ახლა მთავარი ვარჯიშია.



IV. განმტკიცება

- 1) სქემაზე ვარჯიშის დამთავრების შემდეგ რიგ-რიგით გამოჰყავს მოსწავლეები მაგიდასთან, სადაც ოცეულებად შეკრული 80 ჩეირი, ერთი ათეული და კიდევ 10 დაშლილი ჩეირი აქვს გამზადებული. მასწავლებელი ასახელებს 61-99-დან რომელიმე რიცხვს, მოსწავლე გამოსახავს ამ რიცხვს ჩეირებით.
- 2) მასწავლებელი ასახელებს რიცხვს, რომელიმე მოსწავლე (მასწავლებლის მითითებით) აგრძელებს თვლას ამ რიცხვის მომდევნო რიცხვიდან. 5-7 რიცხვის დასახელების შემდეგ მასწავლებელი აწყვეტინებს თვლას და სხვას აგრძელებინებს. ასე დაითვლიან 100-ის ჩათვლით.

4) მასწავლებელი ცალკე გამოყოფს 60-ზე მეტ ერთეულ ჩხირს და გამოძახებული მოსწავლე ითვლის და ასახელებს მათ რაოდენობას (დასათვლელად იუქნებს ჩხირების ათეულებად და ოცეულებად დაყოფას.)

5) მასწავლებელი კარნახობს რიცხვებს, მოსწავლე წერს დაფაზე ერთ სვეტში. 10 რიცხვის დაწერის შემდეგ თითო-თითოდ გამოპყავს მოსწავლეები დაფასთან. ისინი დაფაზე დაწერილ რიცხვებს უწერენ შესაბამის სახელწოდებებს.

V. სახელმძღვანელოზე ნუშაობა ზეპირად ხსნიან სავ.№1, №2 და №3-ს.

სავ. №1 სათანადოდაა ნიადაგი მომზადებული იმისათვის, რომ შეისწავლონ დანარჩენი რიცხვების (60, 61, . . .) ნუმერაცია. ნასწავლი და ათვისებული აქვთ კველა ძირითადი საკითხი, რომელიც ნუმერაციის სწავლების საფუძველს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ხდება უკვე მიღებული ცოდნის განზოგადება.

სავარჯიშოს განხილვის დაწყებამდე იმეორებენ საჭირო საკითხებს:

10 ერთეული შეადგენს 1 ათეულს;

20 ერთეული შეადგენს 1 ოცეულს;

2 ათეული შეადგენს 1 ოცეულს.

– რამდენი ოცეული შეადგენს 60-ს? რამდენი ათეული შეადგენს 60-ს? და ა. შ.

– როგორ მიიღება რიცხვი 61 მისი მეზობელი რიცხვებისაგან? ამ რიცხვებს შორის რომელი რიცხვი რომლის წინაა და რომლის მომდევნო?

სავ. №3 ჯერ ერთმანეთის მიმდევრობით რამდენიმე მოსწავლეს დაათვლევინებს ერთის ტოლი ბიჯით 79-დან 90-მდე და პირიქით, 90-დან 79-მდე, შემდეგ ნახატზე დაითვლიან მტკვნების რაოდენობას.

VI. I დ/ს რვეული გვ.№32, სავ.№2. I ვარიანტი – ა), გ); II ვარიანტი – ბ), ე).

VII. ამოცანების ამოხსნა სახელმძღვანელოდან ხსნიან №7 და №8 ამოცანებს.

VIII. II დ/ს სავ. №5.


კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავ. №7 ამოცანის ამოსახსნელად ერთმანეთს უნდა შეადარონ რიცხვები: 70 და 80. შედარებას მოსწავლეები 2 გზით შეასრულებენ. ა) მისი შემადგენელი ათეულების მიხედვით: 7 ათეული < 8 ათეული; ბ) ოვლის დროს 70-ს წინ ვასახელებთ, მაშასადამე, 70<80. პასუხი: სამოვლიანი ველოსიპედი იაფია, ვიდრე ორთვლიანი.

სავ. №9 ამოცანის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი კითხულობს:

– რა ვიცით გიგისა და მათეს თანაკლასელების შესახებ? (თითოეულ კლასში გოგონებისა და ვაჟების რაოდენობა). ამოცანის ამოსახსნელად თითოეულ გოგონას სამკუთხედი შევუსაბამოთ, ვაჟს – წრე. რამდენი ვაჟია გიგის კლასში? (9) გოგონა? (11) რამდენი წრე უნდა დაგხაზოთ ვაჟებისთვის? (9)? რამდენი სამკუთხედი უნდა დაგხაზოთ გოგონებისთვის? (11).

ასეთივე მსჯელობით ადგენენ რამდენი წრე და სამკუთხედი დასჭირდებათ მათეს თანაკლასელების სიმბოლურად გამოსახვისათვის. მსჯელობის პარალელურად დაფაზე ასრულებენ ჩანაწერს:



– გიგის კლასში გოგონების ვაჟებთან დაწყვილებისას ვინ დარჩება მეწყვილეს გარეშე? (2 გოგონა) მათეს კლასში? (2 ვაჟი). ორივე კლასის გოგონები ვაჟებთან რომ დააწყვილონ, ვინ დარჩება მეწყვილეს გარეშე? (არავინ) როგორ მიხვდით?

პასუხების სხვადასხვა ვარიანტებს შესთავაზებენ მოსწავლეები. მათ შორის:

- გიგისთან 2 გოგონას გარდა, მათესთან 2 ვაჟის გარდა, ყველას ყავს მეწყვილე ამათი დაწყვილების შემდეგ მეწყვილეს გარდა არავინ რჩება.
- გიგისთან 9 ვაჟია, მათესთან 12. ორივე კლასში ერთად $9+12=21$. ასევე, ორივე კლასში გოგონების რაოდენობაა $11+10=21$. მაშასადამე, ორივე კლასში ერთად 21 ვაჟია და 21 გოგონა. მათი დაწყვილების შემთხვევაში მეწყვილეს გარეშე არავინ რჩება.

მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ, რათა ისწავლონ სწორი მეტყველება (არა მარტო მათემატიკური).

IX. შედეგების შეჯამება

- რა ვისწავლეთ დღეს? ძნელი აღმოჩნდა რიცხვითი სახელების შედგენა?
- რა მოგეწონათ ყველაზე მეტად?

X. საშინაო დავალება რვეული გვ-N^o31 სავ-N^o1(ორივე).

გაპვეთილი №42 (განმტკიცება)

მიზნები: 1) ორნიშნა რიცხვის წაკითხვისა და ჩაწერის, შედგენილობის, თანრიგების განსხვავრის უნარების განვითარება; 2) გამოთვლების ჩატარების ჩვევების ჩამოყალიბება; 3) სწავლის პროცესში ჩართულობის მოტივაციის ამაღლება; 4) რიცხვებისა და საგნების მიმდევრობაში კანონზომიერების აღმოჩენის და მიმდევრობის გავრცობის უნარის განვითარება; 5) უფროსებთან და თანატოლებთან თანამშრომლობის უნარ/ჩვევების ჩამოყალიბება/განვითარება.

გაპვეთილის შემდეგ მოსწავლემ უნდა იცოდეს მიზნებში ჩამოთვლილი საგნობრივი კომპეტენციები. უნდა შეეძლოს ორნიშნა რიცხვის ჩანაწერში თანრიგების გამოყოფა.


სწავლების ფორმები და მეთოდები – ფრონტალური, ინდივიდუალური, წყვილებში, ასენითი-ილუსტრირებული.

გაპვეთილის მსვლელობა


I. ორგანიზაციული მომენტი (ემოციური, ფსიქოლოგიური და მოტივირებული მომზადება) – 1წთ

II. ცოდნის გააქტიურება (ზეპირი ანგარიში) – 6წთ

1) დაასახელე მოცემული ფიგურები თანმიმდევრობით.



2) რამდენი მონაკვეთია ნახაზე?



3) გაასწორე შეცდომა:

$9+5=14$	$6+7=12$	$18-11=17$
$8+7=16$	$15+3=8$	$14-6=9$
$5+6=10$	$19-4=14$	$14-7=7$

4) ამოცანის ამოხსნა

წითელქუდამ ბებიას 15 ღვეზელი წაუდო. მათგან კარტოფილის იყო 9, დანარჩენი ხორცის. რამდენი ხორცის ღვეზელი წაუდო წითელქუდამ ბებიას?

იყენებენ მასწავლებლის მიერ შედგენილ სქემას.

9

?

III. გაკვეთილის თემის გაცნობა – 3 წთ

მასწავლებელი: – სტრიქონში რიცხვები რადაც წესითაა ჩაწერილი. მათგან თითო რიცხვი არღვევს კანონზომიერებას. იპოვეთ ეს რიცხვი, წაშალეთ და იმავე წესით დაწერეთ მომდევნო ურთი რიცხვი.

- ა) 1, 10, 20, 30, 40, 50; ბ) 80, 60, 40, 30, 31; გ) 15, 32, 68, 7, 47.
– ახსენი, რა წესითაა რიცხვები ჩაწერილი და როგორ იპოვე „ზედმეტი რიცხვი”.
– როგორი რიცხვებია უკვე გასწორებულ რიცხვთა ჯგუფებში?
– დღეს ჩვენ გავიღორმავებთ ცოდნას ორნიშნა რიცხვების შესახებ.

IV. გაკვეთილის თემაზე მუშაობა

სახელმძღვანელოზე მუშაობა – 10წთ

სავ.№1-6, 8 ხსნიან ზეპირად.

Վ. թ/ե Ես՝ №7

VI. ଜୀବ. ଶ୍ରୀତଗବୀ -1 ପତ୍ର

VII. წყვილებში მუშაობა -5 წთ

საგ №11 მუშაობების წყვილებში. ერთი მეტყვილე დაწერს პირველ სამ რიცხვს, მეორე დანარჩენ სამ რიცხვს. ნამუშევრებს გაცვლიან და ერთმანეთს შეუძლოვნებელი.

შეცდომებს გაასწორებენ.

VIII. ამოცანებზე მუშაობა – 10 წთ

- არის თუ არა რომელიმე ეს ტექსტი ამოცანა? მიუთითებს დაფაზე (კრანზე) გამოწანილ ტაქსტებზე.

Nº1

ერთ კალათაში 20 მსხალია,
მეორეში 17. რამდენი ვაშლია
ორივა ალათაში?

Nº2

კლასში 11 გოგონა და 12
ვაჟია. რამდენი გოგონაა
კლასში?

Nº3

თაიგულში 6 ტიტა და 3
ვარდია. რამდენი ტიტა
თაიგულში?

იხსენებენ, რა ნაწილებისაგან შედგება ამოცანა (პირობა, რიცხვითი მონაცემები, კოტება) შემდეგ კი უშენალოდ ამ ტექსტებზე მსჯელობენ.

- რა უნდა შევცვალოთ I ტექსტში რომ ამოცანა მივიღოთ?
 - რა შევცვალოთ II ტექსტში, ამოცანა რომ მივიღოთ?
 - III ტექსტში შეცვალეთ კითხვა ისე, რომ ამოცანა მიიღოთ. (რამდენი მოსწავლეა კლასში?) რა მოქმედებით ამოხსნით?
 - სხვა კითხვას ვინ მოიფიქრებს?
 - III ტექსტში შეცვალეთ პირობა ისე, რომ ამოცანა მიიღოთ. (რამდენი ყვაგილია თაიგულში?) რა მოქმედებით ამოხსნით?

IX. ფიზ. წუთები – 1 წთ

X. დამოუკიდებელი სამუშაო – 5 წთ (ბარათები ორ ვარიანტად)

ბარათის ნიმუში

მოცემული რიცხვები წარმოადგინე თანრიგობრივ შესაკრებებად

16

34

52

69

87

90

XI. შედეგების შეჯამება – 2შთ

- რა ოქმაზე ვიმუშავეთ დღეს?
- რა იყო საინტერესო, რა მოგეწონათ?
- როგორ რიცხვს ჰქვია ერთნიშნა?
- რას გვჩვენებს ორნიშნა რიცხვის ჩანაწერში I ციფრი? II ციფრი?
- რას გვიჩვენებს ციფრი 0 ჩანაწერში 60?

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №12 მართალია, ამოცანა გართულებული ტიპის ამოცანებში წერია, მაგრამ მოსწავლეთა უმრავლესობა ადვილად ამოცსნის (რა თქმა უნდა, მოსწავლეთა შესაძლებლობებზეა დამოკიდებული). დაფაზე გადმოაწერინებს უტოლობას. მაგ. 9□ > 98.

– რამდენიშნა რიცხვი წერია უტოლობის ნიშნის მარჯვნივ? (2) რა რიცხვი წერია? (98) რა ვიცით უტოლობის ნიშნის მარცხნივ ჩაწერილ რიცხვებ? (98-ზე მეტია). რამდენიშნა უნდა იყოს სამიებელი რიცხვი? (ორნიშნა). კიდევ რა ვიცით იმ უცნობი რიცხვის შესახებ? (ჩანაწერის ათეულების თანრიგში წერია ციფრი – 9) ამით რა შეგვიძლია განვსაზღვროთ? (საძიებელი რიცხვი 9 ათეულს შეიცავს) რა დავადგინეთ სამიებელი რიცხვის შესახებ? (ორნიშნა რიცხვია, რომელიც 98-ზე დიდია) რომელია 98-ზე მეტი ორნიშნა რიცხვი? (99) რა ციფრი უნდა ეწეროს უჯრის ნაცვლად, უტოლობა რომ სწორი იყოს? (9) ასე, მსჯელობა/დასაბუთებით ადგენენ რა ციფრით უნდა ჩაანაცვლონ უჯრები ჩანაწერებში, რათა ჭეშმარიტი უტოლობები მიიღონ.

XII. საშინაო დავალება – 1შთ

სავ.№10 (II სტრიქონი), რვეული გვ.33, სავ.№1.

გაპეტილი 43-46

მიზნები: რიცხვები 61–99, ნუმერაცია; შედეგენილობა: а) თანრიგობრივი; б) ოცეულებითა და ერთეულებით; 2) რიცხვების შედარების, ზრდის/კლების მიხედვით დალაგების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; 3) ამოცანების ამოცსნის უნარის განვითარება; 4) ცხრილში თუ ჩანაწერში გამოტოვებული რიცხვების აღდგენის უნარის განვითარება.

მასალა: პირველი ასეულის ცხრილი, 0, 1–9 ციფრების ნაკრები.

გაპეტილის შევლელობა

1) იმეორებენ 100-ის ფარგალში რიცხვის მიღების წესს მისი წინა და მომდევნო რიცხვებიდან, რიცხვის შედეგენილობას ა) ათეულებისა და ერთეულების მიხედვით ბ) ოცეულებისა და ათეულების მიხედვით გ) რიცხვის ჩაწერისა და წაკითხვის წესებს.

2) მასწავლებელი საგნების გამოყენებით ადგენინებს რიცხვებს: 60–99.

3) მასწავლებელს გამზადებული აქვს ასეულის რიცხვების ცხრილი. ცხრილი გაბრული უნდა იყოს კლასში. ცხრილით ცხადად ჩანს თითოეული რიცხვის აღგილი ნატურალურ რიცხვთა მიმდევრობაში, მისი შედეგენილობა ერთეულების, ათეულებისა და ოცეულებისაგან.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40
41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60
61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77	78	79	80
81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96	97	98	99	100

მასწავლებელი: –დააკვირდით ცხრილს და შეურჩიეთ სახელი.

- რა რიცხვები წერია ცხრილის I სტრიქონში? (I ოცეული), მეორეში? სულ რამდენი ოცეულია? რა რიცხვი წერია ცხრილის ბოლოში?
- რა სახელი შეიძლება დავარქვათ ცხრილის ყველა რიცხვს ერთად? (ასეული).
- რამდენი ოცეულისაგან შედგება ასეული? წაიკითხეთ მხოლოდ ოცეულები.
- წაიკითხეთ მხოლოდ ათეულები.
- დააკვირდით სვეტებს. რას ამჩნევთ რიცხვების ჩანაწერში? (ყოველ სვეტში ერთი და იმავე ციფრით ბოლოვდება ყველა რიცხვის ჩანაწერი).
- წაიკითხე მეორხე სვეტში ჩაწერილი რიცხვები (4, 24, 44, 64, 84). რა აქვს ამ რიცხვებს ერთნაირი? განსხვავებული?
- რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რიცხვები: 86 და 68? რა აქვთ ერთნაირი?
- რა მსგავსება და რა განსხვავებაა 95-სა და 59-ს შორის?
- რამდენი ერთეულით განსხვავდებიან ცხრილის მეზობელი სვეტები ერთმანეთისაგან? რა არის ამ განსხვავების მიზეზი?
- სად წერია ერთნიშნა რიცხვები?
- თუ არის ცხრილში სამნიშნა რიცხვი? რატომ პქვია 100-ს სამნიშნა? მერამდენე სვეტში წერია სამნიშნა რიცხვი? მერამდენე სტრიქონში წერია სამნიშნა რიცხვი?
- რომელ სვეტში წერია უმცირესი ორნიშნა რიცხვი? უდიდესი?
- მერამდენე სვეტში წერია უმცირესი ერთნიშნა რიცხვი? უდიდესი?

ცხრილის ირგვლივ დასმულ ამ და კიდევ სხვა კითხვებს მასწავლებელი იყენებს განმტკიცებისთვის განკუთვნილ ოთხივე გაძვეთილზე.

4) თამაში: „საუკეთესო წყვილები”.

თამაშის მიზანი: რიცხვის ჩაწერა და წაკითხვა, ორნიშნა რიცხვის თანრიგობრივი შედგენილობა, რიცხვის შეთანადება საგანთა შესაბამის რაოდენობასთან.

თამაშის წესი: მასწავლებელს მაგიდაზე გაშლილი აქვს გადაბრუნებული ციფრები (არ ჩანს). გამოჰყავს 2 მოსწავლე (ერთ მერხთან მჯდომი). თითოეული მათგანი მაგიდიდან თითო ბარათს იღებს და მასწავლებლის მიერ მითითებულ ადგილზე დებს. ბარათები ისე უნდა დადონ, რომ ორივე ციფრს ყველა კარგად ხედავდეს. ბარათებზე დაწერილი ციფრებით შედგენილ ორნიშნა რიცხვს კითხულობს ერთ-ერთი მოსწავლე და ასახელებს მისი შემადგენელი ათეულებისა და ერთეულების რაოდენობას. შემდეგ ბარათებს ადგილებს უცვლიან და მიღებულ რიცხვს კითხულობს და მის შედგენილობას აანალიზებს II მოსწავლე. ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაასახელონ საგნები, რომელიც შეიძლება მათ მიერ დასახელებული რიცხვებით დაითვალონ.

თამაში ჩატარდება ერთ დღეს ერთი რიგისთვის, II და III დღეებში, შესაბამისად, II და III რიგებისათვის. გამარჯვებული სახელდება თითო რიგისთვის 1 ან 2 წყვილი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი გონიერებითა და სწრაფი აზროვნებით. (დაფიქრების გარეშე დაასახელა რიცხვი და მისი ათეულებითა და ერთეულებით შედგენილობა, რა

ოდენობას კარგად შეუთანადა საგნები, არ გაიმეორა სხვის მიერ ნათქვამი).

პომენტარები საგარჯიშოების შესახებ

გაპვ. №43, სავ. №10 მასწავლებელი უხსნის მაგიური კვადრატის უჯრების ციფრებით შესხების წესს. მოსწავლეებს რვეულში გადაქვთ კვადრატი თავისი მონაცემებით. ცხრილის I სვეტის მიხედვით უნდა მიხვდნენ, რომ რადგან სვეტებში და სტრიქონებში რიცხვების ჯამი ყველგან 15 უნდა იყოს, ამიტომ I სტრიქონის და III სვეტის გადატვეთაში 6 უნდა ეწეროს ($15-9=6$), II სვეტისა და II სტრიქონის გადაკვეთაში 5 ($15-10=5$) და ა. შ. პასუხი:

2	7	6
9	5	1
4	3	8

გაპვ. №44 სავ. №10 მასწავლებელი (ამოცანის წაკითხვის შემდეგ): – რა ვიციო? (ბიჭებს 52 ჩხირი ჰქონდათ და დაებნათ. ერთმა 40 ჩხირი მოაგროვა, მეორემ 11.) რა არ ვიციო? (რამდენი ჩხირი დაკარგეს) რა შეგვიძლია გავიგოთ? (ორივემ რამდენი ჩხირი მოაგროვა) რა მოქმედებით? ($40+11=51$) რა ვიციო ახლა და რა არ ვიციო? (ვიციო რამდენი ჩხირი ჰქონდა ორივეს თავდაპირველდად და რამდენი აქვს ახლა) შეგვიძლია თუ არა გავიგოთ, რამდენი ჩხირი დაეკარგათ ბიჭებს? რა მოქმედებით? ($52-51=1$). ჩამოაყალიბეთ პასუხი. (ბიჭებს 1 ჩხირი დაეკარგათ)

გაპვ. №44 სავ. №11. ამოცანის ამოხსნა გაუადვილდებათ, თუ ჩხირებს ან სხვა საგნებს გამოიყენებენ. მათ 3-3-დ დაალაგებენ. გაიაზრებენ, რომ ერთი თევზი უკვე აქვთ და კიდევ ორი დასჭირდებათ. პასუხი: საჭიროა კიდევ ორი თევზი.

გაპვ. 45 სავ. №6 – რას გულისხმობს რიცხვების კლების მიხედვით დალაგება? რას დავაკვირდეთ ორნიშნა რიცხვების შედარებისას? (ათობით შედგენილობას) როგორ მივხდეთ რიცხვის ათობითი შედგენილობის მიხედვით ორი რიცხვიდან რომელი იქნება დიდი? მოცემულ რიცხვებს შორის რომელია უკელაზე დიდი? (75) რატომ ფიქრობ ასე? (7 ათეულზე მეტი ათეული სხვა რიცხვებში არაა. 7 ათეულია 72-სა და 75-ში. 72<75. მაშასადამე, მოცემულთაგან უდიდესია 75, შემდეგ 72) ორი რიცხვი უკვე ამოვწეროთ. რომელი იქნება მესამე? და ა. შ. ყოველი რიცხვის ამოწერა ხდება გარკვეული მსჯელობისა და ანალიზის შემდეგ.

სავ. №8 – რა ციფრით უნდა იწყებოდეს იმ რიცხვების ჩანაწერი, რომელიც ლელამ უნდა ამოწეროს? (60-ზე დიდი რიცხვების ჩანაწერი 6-ით, 7-ით, 8-ით ან 9-ით იწყება.) მოცემულთაგან რომელი რიცხვები აკმაყოფილებენ ამ პირობას? (62, 87, 73.)

– რა ციფრით უნდა იწყებოდეს იმ რიცხვების ჩანაწერი, რომელიც გიორგიმ უნდა ამოწეროს? (1-ით, 2-ით ან 3-ით, 40-ზე მცირეა აგრეთვე უკელა ერთნიშნა რიცხვი.) რომელია ეს რიცხვები? (2, 18)

– რამდენი რიცხვი შესთავაზა მასწავლებელმა ლელასა და გიორგის? (6). რამდენი რიცხვი ამოწერა ორივემ ერთად? (5) რა რიცხვია VI? (45) რატომ არ ჩანს 45 არც ლელასთან და არც გიორგისთან? გამოგვრჩა? (არ გამოგვრჩა. 45 არც 40-ზე ნაკლებია და არც 60-ზე მეტი, ამიტომ ის არც I ჯგუფს ეკუთვნის, არც II-ს.)

– ასეთ შემთხვევაში ვიტყვით, რომ „45 არ აკმაყოფილებს ამოცანის პირობას.”

რვეული გვ.34-35.

გაკვეთილი №47

(პრაქტიკული სამუშაო-წყვილებში)

მიზნები: გეომეტრიული ფიგურებით მუშაობა (ამოცნობა, დახაზვა, გამოჭრა); ხაზების გასავლებად სახაზავის გამოყენებისა და პრაქტიკული მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბება, სილამაზის შეგრძნების, ბუნების სიყვარულის, ფანტაზიისა და აზროვნების უნარების განვითარება; სიტყვათა მარაგის გამდიდრება.

მასალა: მაკრატელი, წებო, ფერადი ქადალდები, მუყაო, სახაზავი. მასწავლებელს: ერთი „ფრინველის სახლი”, ერთი „შოშია” (თვალებითა და ნისკარტით), მოსწავლეებისთვის – მათი ოდენობის უთვალებო და უნისკარტო „შოშიები”.

სწავლების ფორმა: ფრონტალური, ინდივიდუალური, ახსნითი-ილუსტრირებული.

შეფასების კრიტერიუმები: აკურატულობა, სიზუსტე, ნიმუშთან შესაბამისობა.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგანიზაციული მომენტი – 1^წთ

მასწავლებელი: – დღეს პრაქტიკული სამუშაო გვაქვს შესასრულებელი. თითოეულმა თქვენგანმა ზუსტად უნდა დაიცვას უსაფრთხოების ზომები, რომელიც სახელმძღვანელოში გიწერიათ და შემდეგი წესები:

- სამუშაო მაგიდაზე არაფერი უნდა იყოს ზედმეტი;
- სამუშაო მასალა მაგიდაზე ისე განალაგე, რომ ხელი არ შეგიშალოს;
- მუშაობის დროს ყურადღება მიაქციე წესრიგს სამუშაო მაგიდაზე;
- მუშაობის დროს მაგიდასთან სწორად იჯექი;
- ე) მუშაობის დამთავრების შემდეგ მაგიდა მოაწესრიგე.

II. სამოტივაციო ეტაპი, თემის გაცნობა – 7 წთ

- წაიკითხეთ სავ. №1. რა უნდა გავაკეთოთ?
- რა ინსტრუმენტები გვჭირდება?
- სანამ მუშაობას დავიწყებდეთ, გავეცნოთ წებოსთან და მაკრატელთან მუშაობის უსაფრთხოების ზომებს. (მორიგეობით კითხულობენ თითო წესს)

ასრულებენ სავ.№1 და სავ.№2

- დილით, როცა იდვიძებთ, ჩიტების საამური გალობა გესმით. წელიწადის რა დროს ხდება ეს? ზამთარშიც?
- გაზაფხულზე უცხო ქვეყნებიდან ბევრი ფრინველი ბრუნდება ჩვენთან. საიდან მოღიან ისინი? (თბილი ქადაგებიდან).

– რატომ მოფრინავენ ჩვენთან? (სამშობლოში ბრუნდებიან). რომელი ფრინველები ბრუნდებიან? (მერცხალი, შოშია, . .).

– ერთმა ჩვენთან დაბრუნებულმა შოშიამ თქვა:

- . . . რა ვქნა, ვერ ვძლებდი შორს ქვეყნად
გული სულ არა დგებოდა.

იქ მუდამ დარდში მყოფელსა

აქ შვება მენატრებოდა. . . . (შიო მდვიმელი „შოშია”)

ჩიტებმაც ჩვენსავით იციან სამშობლოს მონატრება, ამიტომ იქ სულ დარდიანები არიან ხოლმე, აქ კი თავს ბედნიერად გრძნობენ.

– რომელი ფრინველი რჩება ზამთარში ჩვენთან? (ბედურები, . . .) სად ცხოვრობენ ბედურები? ზამთარში სცივათ ფრინველებს. გავუკეთოთ სახლები, რომ არ შესცივდეთ.

III. ამოცანის დასმა. – 1^წთ

– მიხვდით რა მიზანი აქვს ჩვენ გაკვეთილს? (შევადგინოთ აპლიკაცია. ავაგოთ სახლები ფრინველებისათვის)

IV. ძირითადი ეტაპი – 10 წთ

– დააკვირდით სურათებს. ეს ფრინველების სახლებია. მათ ხელზე ამაგრებენ კეთილი ადამიანები. აქვე აპლიკაციებიცაა მოცემული. რომელი გეომეტრიული ფიგურის ფორმა აქვს კედელს? სახურავს? ფანჯარას?

– როგორ ავაგოთ აპლიკაცია. (ჯერ ვიღებთ მუყაოს, შემდეგ გამოვჭრით ფიგურებს და ავაწყობთ „სახლს“) პირველად რომელ დეტალს დავაწებებთ? შემდეგ? . . .

V. დამოუკიდებელი სამუშაო – 20 წთ (მუშაობენ. აგებენ „სახლებს“)

მასწავლებელი აკვირდება სამუშაო პროცესს, ჩამოვლით ამოწმებს ნამუშევრებს. საჭიროების შემთხვევაში აძლევს მითითებებს.

– შეხედეთ, ჩემ „სახლთან“ შოშია მოფრინდა და რაღაცას მექლურტულება. ნეტავ რას მეუბნება? ახ, მივხვდი. სხვა შოშიებიც მოფრინდებიანო, მეუბნება. (მოსწავლეებს თითო-თითო „შოშიას“ ურიგებს) გაუკეთეთ თვალები და ნისკარტი და გაუშვით თავის სახლში. მზე არ დაგავიწყდეთ, მან სახლები უნდა გაათბოს.

– ახლა უკვე რამდენიმეს ხმა მესმის. რას გვეუბნებიან? (მადლობას გვიხდიან) როგორი ზრდილობიანები ყოფილან შოშიები. იციან, რომ სიკეთის მქნელს მადლობა უნდა გადაუხადონ.

VI. შედეგების შეჯამება – 5წთ

– რა იყო დღეს ჩვენი გაკვეთილის მიზანი? (აპლიკაციების შედგენა გეომეტრიული ფიგურებით)

– მოგეწონათ აპლიკაციის შედგენის გაკვეთილი? კიდევ რა მოგეწონათ?

– მე მალიან კმაყოფილი ვარ თქვენი დღევანდელი მუშაობით. ყოჩად, ბავშვებო! მეც გამახარეთ და ფრინველებიც.

VII. საშინაო დაგალება – 1 წთ

სახელმძღვანელო, „პრაქტიკული სამუშაო“ საგ.№1, საგ.№2 და საგ.№3 დაგალებებიდან შეასრულეთ ორი, თქვენი სურვილის მიხედვით.

გაკვეთილი №48-50

მიზნები: 1) შეკრების ცხრილზე მუშაობა (ათობითი პოზიციური სისტემის სრულყოფილი გაგება); 2) ნახატის მიხედვით ამოცანის შედგენის უნარის განვითარება; 3) ლოგოკური ამოცანის ამოხსნის უნარის განვითარება; 4) სქემის მიხედვით გამოსახულების შედგენის, მსჯელობა-დასაბუთების, ამოცანების ამოხსნისას შეკრება-გამოკლების მოქმედებების ურთიერთკავშირის გამოყენების უნარების განვითარება.

მასალა: პლაკატები, 0, 1, . . . , 9 ციფრების ნაკრები. ჩხირების 4 ოცეული, 1 ათეული და კიდევ 20 შეუკონავი ჩხირი, 4 ცხრილი.


გაკვეთილის შვლელობა

1) თამაში: „რა რიცხვები წაიშალა?“ (47-ე გაკვეთილზე)

თამაშის მიზანი: პირველი ასეულის რიცხვების ა) მიღება, ბ) თანრიგობრივი შედგენილობა, გ) ოცეულებითა და ერთეულებით შედგენილობა.

თამაშის წესი: მასწავლებელს გამზადებული აქვს პლაკატი (სლაიდი).

მასწავლებელი: – ერთმა გოგონამ თავის თოჯინას ფეხებზე, ცხვირზე და კუდზე რა დაცა წესით რიცხვები დააწერა, მაგრამ გარეცხვის შემდეგ თოჯინას ფეხებზე რიცხ



გები წაეშალა. იქნებ შევძლოთ და გავიგოთ რა რიცხვები წაეშალა?

პლაკატზე მუშაობისას მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, რა წესით უნდა შევაგსოთ წრეები რიცხვებით? (ტოლობის შესადგენად 88-დან და 97-დან „?”-ის მიმართულებით უნდა ვიმოძროოთ)
- რა მოქმედება უნდა შევასრულოთ, რათა გავიგოთ რა რიცხვი უნდა ეწეროს თოჯინას იმ წინა ფეხზე, რომელზეც მიწერილია „+1”? დაწერე შესაბამისი ტოლობა. (88+1=89) რა რიცხვი უნდა ეწეროს „?”-ის ნაცვლად? (89)
- შესაძლებელია, თუ არა მიღებული ტოლობისაგან განსხვავებული ტოლობის შედგენა პირიქით მიმართულებით? (წერენ: $?+1=88$). როგორ წავიკითხოთ ტოლობა? (რა რიცხვს უნდა მივუმატოთ 1, რომ 88 მივიღოთ?)
- რა რიცხვი უნდა ეწეროს „?”-ის ნაცვლად? (87)
- როგორ მიიღება 88-გან 87? (1-ის გამოკლებით.)
- რა მოქმედებით გამოვითვალეთ „?”-ის მნიშვნელობა? პარალელურად მასწავლებელი დაფაზე ასრულებს შესაბამის ჩანაწერს, რომელსაც ასეთი სახე ექნება:

$$?+1=88$$

$$?=88-1$$

$$?=87$$

- რამდენი პასუხი მოვძებნეთ კითხვაზე: „რა რიცხვი უნდა ეწეროს თოჯინას იმ ფეხზე, რომელზეც მიწერილია +1?” მაშასადამე, „?”-ის ნაცვლად მოვძებნეთ 2 რიცხვი. ვინ მიხვდა, რატომ აწერია თოჯინას ერთ ფეხზე ორი „?”?

ნახატი გამზადებულია და მასწავლებელს ამ თამაშის გამოყენება სხვა გაკვეთილზეც შეუძლია კუდისა და II ფეხის ჩანაწერებზე სამუშაოდ.


- 2) თამაში: „ვინ გამოიცნობს რამდენია?” (48-ე გაკვეთილზე)

თამაშის წესი: გაუმჭვირვალე პარკში ჩაყრილია სხვადასხვა საგანი. მოსწავლემ პარკში ჩაუხედავად, მხოლოდ გარედან ხელით მოსინჯვით უნდა გაიგოს რამდენი საგანია პარკში. თუ მისი ვარაუდი გამართლდა, გუნდს 1 ქულა ემატება, თუ არა – აკლდება.

- 2) მასწავლებელს გამზადებული აქვს პლაკატი (სლაიდი) (48-ე გაკვეთილზე)

ნახატის მიხედვით ადგენენ ტოლობებს:

$$\begin{array}{ll} 60+20=80 & 15+20=35 \\ 7+20=27 & ?+20=60 \end{array}$$



4) თამაში: „ვინ გამოიცნობს რა ფიგურაა?” (49-ე გაკვეთილზე)

გაუმჯობესებულ პარტიი ჩაიტანა სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები. მოსწავლე პარტიი ჩაუხედავად ხელს ჩაყოფს პარტიი, ამოირჩევს რომელიმე ფიგურას, დაასახელებს თუ რა ფიგურაა და ამის შემდეგ ამოიღებს და კლასს აჩვენებს, რაც ამოიღო. თუ მისი ვარაუდი გამართლდა, გუნდს 1 ქულა ემატება, თუ არა და 1 ქულა აკლდება.

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

გაპვ №50, სავ №3 მასწავლებელი: – წაიკითხეთ ამოცანა. რას შეეხება ამოცანა?

– რამდენი სახლის შესახებაა მოცემული მონაცემები? რა ვიცით ერთ სახლზე? მეორეზე? (ერთ სახლში 60 ბინაა, მეორეში – 2-ით მეტი)

– რა შეიძლება გავიგოთ ამ მონაცემებით?

– რა მოქმედება უნდა შევასრულოთ?

– კიდევ რა არის ცნობილი?

– რას გვეკითხება ამოცანა?

– შეგვიძლია თუ არა გავიგოთ, რამდენი შეუსახლებელი ბინაა ორივე სახლში? რა მოქმედებით? ჩამოაყალიბეთ პასუხი.

გაპვ. №50 სავ. №5 მასწავლებელი ჯერ მსგავსი ამოცანის ამოხსნას სთავაზობს. გამოჟავს 4 მოსწავლე. ერთ მოსწავლეს სთხოვს დანარჩენი 3 მოსწავლე ისე დააყენოს კედლის გასწვრივ, რომ მათ შორის მანძილები მისი 4 ნაბიჯის ტოლი იყოს. შემდეგ კი, ჯერ ანალიზურად, შემდეგ ნაბიჯებით ითვლიან I-დან III მოსწავლემდე მანძილს. რამდენი ნაბიჯია I და II მოსწავლეს შორის?(4) (მოსწავლეებს სახელებით მოიხსენიებს) II და III მოსწავლეებს შორის? (იმდენივა, ანუ 4) I და III მოსწავლეებს შორის? (4+4) რამდენჯერ ავიღეთ შესაკრებად 4? (2-ჯერ) 3 ბაზებს შორის მანძილის გამოსათვლელად რამდენი მანძილი შევკრიბეთ? (2, I-დან II-მდე და II-დან III-მდე) რა განსხვავებაა კედლის გასწვრივ მდგომი მოსწავლეებისა და მათ შორის მანძილების რაოდენობებს შორის? (მანძილების რაოდენობა 1-ით ნაკლებია მოსწავლეების რაოდენობაზე.)


შევასრულოთ ამოცანის პირობის შესაბამისი სქემატური ნახაზი. სქემაზე ხელი წერტილებით მოვნიშნოთ. ამოცანის პირობით ხელი ერთ რიგადაა დარგული. გ. ი. წერტილები ერთ სწორ ხაზზე უნდა მოვნიშნოთ.



– რამდენი ნაბიჯია I ხიდან II ხემდე? II-დან III-მდე? III-დან IV-მდე? I-დან IV-მდე?

– რა განსხვავებაა ხელის რაოდენობასა და ორ მეზობელ ხეს შორის მანძილების რაოდენობებს შორის? (ხელის შორის მანძილების რაოდენობა 1-ით ნაკლებია ხელის რაოდენობაზე)

გაპვ. №50 სავ. №7 ამოცანა ამოიხსენება შესაბამისი სქემის შედგენით და დაწყვილებით:



როგორც სქემიდან ჩანს ერთი ბიჭი ზედმეტია. პასუხი: რიგში 19 გოგონაა.

გაპვ. №50 სავ. №8. მასწავლებელს გამოჟავს სამი მოსწავლე (მაგალითად, ანი, ბესო, გია) და მათ სხვადასხვა თანმიმდევრობით დააყენებს: (ა, ბ, გ); (ა, გ, ბ); (გ, ა, ბ); (გ, ბ, ა); (ბ, ა, გ); (ბ, გ, ა). პასუხი: 6 განსხვავეული თანმიმდევრობით.

რვეული გვ.36-37

გაკვეთილი №51–53

მეორე თავის დამატებითი სავარჯიშოები

მიზნები: II თავში შესწავლილი მასალის განმტკიცება. 2) ფულის ერთეულებზე მუშაობის, კვლევისა და სწორი გადაწვეტილების მიღების გზების ძიების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება/განვითარება; ეროვნული ფულის ნიშნების დასახელებისა და გათამაშებულ ვითარებაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება; 3) მასწავლებელთან და თანაკლასელებთან თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

მასალა: პლაკატი, ჩხირები (ათეულებად), ბარათები ცხრილები. სათამაშოები (სახელმძღვანელოს ნახატის მიხედვით)

გაკვეთილის მსვლელობა


ორგ. მომენტი

ზეპირი ანგარიში

თამაში: „რა რიცხვები წაიშალა?” (50-ე გაკვეთილზე)

თამაშის მიზანი: პირველი ასეულის რიცხვების მიღება, სახელდება, თანრიგობრივი შედგენილობა, ოცეულებითა და ერთეულებით შედგენილობა.

მუშაობები პლაკატზე.



მასწავლებელი: – რას ხედავთ ნახატზე? (მატარებელს, რომლის ვაგონებსა და ბორბლებს რიცხვები ან „?” აწერია.) როგორი რიცხვები აწერია ვაგონებს ნიშნადობის მიხედვით? (ორნიშნა) ყველა ვაგონს უნდა ეწეროს შესაბამისი რიცხვი, მაგრამ ზოგიერთ მათგანზე წარწერები წაშლილია, ასევეა ბორბლრბზეც. ჩვენ უნდა აღვადგინოთ წაშლილი რიცხვები. ვცადოთ და მოვძებნოთ გზა, რომლითაც შევძლებთ გავიგოთ, თუ რა რიცხვები წაიშალა. დავაკვირდეთ ნახატს. იქნებ თვითონ ნახატმა გვაჩვენოს ამოხსნის გზა. (თუ ვერ მიხვდებიან, რომ ბოლო ვაგონის სახით მოცემული აქვთ ნიმუში, მაშინ მასწავლებელი ხელ-ნელა მიიყვანს სასურველი სურათის დანახვამდე)

– არის თუ არა რომელიმე ვაგონი დანარჩენებისაგან განსხვავებული? (დიახ, ბოლო ვაგონს „?” არ აწერია.) იქნებ ამ ვაგონმა გვითხრას რა წესითაა რიცხვები ვაგონებსა და ბორბლებზე დაწერილი? (ბორბლებზე დაწერილი რიცხვების ჯამი აწერია ვაგონს)

ყოველი რიცხვის პოვნის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს აჩვენონ ჩხირების ის რაოდენობა, რომელიც თამაშის დროს გამოყენებულ რიცხვებს შეესაბამება. მაგალითად, მატარებლისათვის შესაბამისი თანმიმდევრობით იღებენ 38, 90, 61, 59 ჩხირს. იხილავენ ამ რიცხვების ათეულებითა და ერთეულებით, ოცეულობითა და ერთეულებით შედგენილობას, წერენ შესაბამის ჯამებს. ასახელებენ ამ რიცხვების წინა და მომდევნო რიცხვებს. წერენ შერსაბამის რიცხვით სახელებს.

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

თამაში: „რა რიცხვებია გამოტოვებული?”. (ჯგუფური) (51-ე გაკვეთილზე)

დასარიგებელ ბარათებზე მოცემულია ცხრილები:

I	II	III
26	16	66
27	17	67
28		68
	19	
30		70
	21	
32		
	2	12
	5	22
	15	26
	25	28
	35	32
	55	44
	52	50
		54

თამაშის წესი: მასწავლებელს თითოეული გუნდისთვის გამზადებული აქვს თითო ცხრილი. კლასი გუნდებად მერჩების მიხედვითაა დაყოფილი. გუნდის წევრები არჩევნენ ცხრილში რიცხვების ჩაწერის წესს და ამ წესით ავსებენ უჯრებს.

გამარჯვებულია გუნდი, რომელმაც უშედგომოდ და მართვა წინ შეავსო ცხრილი.

კომენტარები სავარჯიშოებისათვის

სავ. №1 კარგად უნდა იქნეს გააზრებული, რომ საძიებელ რიცხვებს არ ეკუთვნის რიცხვები: 30, 60. ცხრილში უნდა მოძებნონ ეს 2 რიცხვი და გამოყონ რიცხვთა $30 < x < 60$ შუალედი. მასწავლებელი სთხოვს აღნიშნული შუალედიდან ა) რამდენიმე რიცხვის დასახლებას; ბ) 50-ზე მეტ და 60-ზე ნაკლები რიცხვების ჩამოთვლას და ა. შ.

სავ. №2. უმჯობესია ამ ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნა, რადგან, სავარაუდოდ, სხვადასხვა გზით ექნებათ ამოხსნილი. იმსჯელებენ ამოხსნის გზებზე.


საკ. №4. სასურველია სქემის გამოყენება და კოტევა-პასუხით ამონსნა.

სავ. №6. ამოცანის ამოხსნა რომ გაუადვილდეთ, 28 წეირი დააწყვილონ (გოგო-ბიჭი)
სავ. №7. ეს ამოცანაც საგნების გამოყენებით ამოხსნას.

სავ. №9. ამოცანის ამოხსნა შეიძლება თამაშის სახით

(გათამაშდეს რეალური სიტუაცია. უფრო საინტერესო იქნება). კორპორაცია, მასშიავლებელი წინასწარ მოამზნადებს სათამაშოებს. რა

3-3 მოსწავლე მოირგებს მათეს, გიგისა და ადექსანდრეს როლებს და თითოეული იყიდის საგნებს ამოცანის პირობის მიხედვით. რვეული გვ.38.



(წყვილებში სამუშაო)

მიზნები: 1) ეროვნული ფულის ნიშნების განსხვავების, დასახელებისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება/განვითარება; 2) კვლევისა და სწორი გადაწვეტილების მიღების გზების ძიების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; 3) მასწავლებელთან და ოანაკლასელებთან თანამშრომლობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

საშინაო დავალება: რვეული გვ.39 (სამივე)

Objetivo №3

ঘঃঝঃঝো	№1	№2	№3	№4	№5	№6
ঝঃঝুঃঝুঃ	ঝ	ঝ	ঝ	ঝ	ঝ	ঝ

გაკვეთილი №54 (სარეზერვო)

თავი 3

შეკრება 100-ის ფარგალში

მიზანი: ორნიშნა რიცხვების შეკრების შესწავლა.

თქმები განხილულია შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ნუმერაციული შეკრება. მოსამზადებელი სამუშაო;
 2. ჯამისათვის რიცხვის მიმატების წესების გახსენება და მასზე დამყარებული შეკრების ხერხის დადგენა;
 3. რიცხვისათვის ჯამის მიმატების წესის გამორება და მასზე დამყარებული შეკრების ხერხის დადგენა;
 4. შეკრება ოცეულზე გადასვლით;
 5. საგნების საშუალებით წარმოდგენილი პერიოდული მიმდევრობების წარმოდგენა, გავრცობა და შედარება;
 6. ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების შესახებ ცოდნის გაღრმავება;
- თავის შესწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:
1. რიცხვების შეკრება 100-ის ფარგალში;
 2. შეკრების მოქმედებათა დემონსტრირება მოდელის გამოყენებით;
 3. მოქმედების შედეგის დადგენა (რამდენით გაიზარდა);
 4. ბიჯით თვლა;
 5. ანგარიშისას ბიჯით თვლის გამოყენება;
 6. შეკრების მოქმედების ზეპირად შესრულება ათეულის გავლით;
 7. გაორმაგების დემონსტრირება საგანთა მოცემული რაოდენობის ჯგუფისათვის იმავე რაოდენობის ჯგუფის დამატებით;
 8. რიცხვების გაორმაგება 10-ის ფარგალში;
 9. სრული ათეულებისა და ოცეულების გაორმაგება;
 10. ახსნა იმისა, თუ როგორ შეასრულა გამოთვლები;
 11. მათემატიკური გამოსახულების წაკითხვა და ჩაწერა;
 12. რაოდენობების შეფასება და შედარება 100-ის ფარგალში;
 13. მოცემული რიცხვის უახლოესი ათეულისა და ოცეულის დასახელება;
 14. რიცხვებისა და მათზე მოქმედებების გამოყენება ამოცანების ამონენისას;
 15. საგნების ან ნახატების, ფიგურების პერიოდული განლაგების (მიმდევრობის) განვრცობა, წარმოდგენა, შედარება;
 16. გარემოში ორიენტირება და ობიექტთა ურთიერთგანლაგების აღწერა;
 17. რეალურ/გათამაშებულ ვითარებაში ეროვნული ფულის ამოცნობა, დასახელება და გამოყენება.

ნუმერაციული შეკრება

ყოველი გამოანგარიშების საფუძველი ნუმერაციაა. ქართველებისათვის ზეპირი და წერითი ნუმერაციები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზეპირი შეკრება-გამოკლება უნდა ვასწავლოთ ქართული ზეპირი ნუმერაციის მიხედვით, რადგან ზეპირი ანგარიშის დროს გამოანგარიშება ემთხვევა რიცხვების ქართულ სახელდებას, რის გამოც სწრაფი ზეპირი ანგარიშის შემაფერხებელი ფაქტორები გამორიცხულია.

რიცხვების ნუმერაციული შეკრება-გამოკლება სახელმძღვანელოში ორ ეტაპადაა წარმოდგენილი: 1) ოცეულზე გადაუსვლელად, 2) ოცეულზე გადასვლით.

გაკვეთილი №55


შიზნები: 1) მზადება ორნიშნა რიცხვების შეკრების შესასწავლად. განვლილი მასალის განმტკიცება: ა) ოცეულების, ოცეულებისა და ოცეულების შეკრება-გამოკლება, რიცხვის წარმოდგენა ოცეულებისა და ერთეულების ჯამის სახით; ბ) წირები; გ) მარტივი ამოცანის ამოხსნა „—ით მეტობა”-ზე და) უტოლობის ამოხსნა, უცნობი შესაკრების პოვნა; 2) აზროვნების უნარის განვითარება; 3) მასწავლებელთან და თანაკლასელებთან მიმართებაში კორექტულობისა და კომუნიკაციელობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

მასალა: ნახატი.

გაკვეთილის მსვლელობა

- 1) მასწავლებელი საგნების გამოყენებით ავარჯიშებს მოსწავლეებს რიცხვის ოცეულებითა და ერთეულებით წარმოდგენაზე.
- 2) მასწავლებელს გამზადებული აქვს ნახატი, რომელზეც შანდალია გამოსახული. შანდალში ჩამაგრებული სანთლის თავზე დაწერილი ორნიშნა რიცხვის ოცეულებად და ერთეულებად წარმოდგენა ხდება მის სადგამზე (ფეხებზე) დაწერილი რიცხვებით.

მასწავლებელი აჩვენებს ნახატს. სთხოვს კურადღებით დააკვირდნენ
 ნახატზე დაწერილ რიცხვებს და მათ განლაგებას. რიცხვების ჩაწერის წესის აღმოჩენის შემდეგ შესაბამისი ტოლობის დაწერას სთხოვს ($40+?=49$). მოცემულ შემთხვევაში „?”-ის ნაცვლად მოსწავლე დაწერს 9-ს. მასწავლებელი წაშლის 49-ს და მის ნაცვლად დაწერს სხვა ორნიშნა რიცხვს, მოსწავლეები კი შანდლის ფეხებზე ამ რიცხვის შემადგენელი ოცეულებისა და ერთეულების რაოდენობას დააწერენ. პარალელურად დაფაზე და რევულებში წერენ შესაბამის ტოლობებს. ამის შემდეგ აკეთებენ დასკნას უცნობი შესაკრების პოვნის შესახებ.
კომენტარები სავარჯიშოების შესახებ.




სავ. №3 სხვაობის გამოოვლისას იმსჯელებენ საკლები რიცხვის ოცეულებითა და ერთეულებით წარმოდგენაზე და ისე იმოქმედებენ. (ზეპირად)

სავ. №4 ფანქრებისა და მტევნების რაოდენობას თითოეულ თოხუოთხედში ითვლიან ოცეულებითა და ერთეულებით. თვლის პროცესის გაადვილების მიზნით ნახატზე მტევნები ოცეულებადაა დაჯგუფებული (დაწყვილებით).

სავ. №7 სასურველია სქემის გამოყენება. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, რომ მამაკაცებს წრები შეუსაბამონ, ხოლო ქალებს სამკუთხედები და დახაზონ ამოცანის პირობის შესაბამისი სქემა.

მამაკაცების რაოდენობის სქემატური ნახაზის შესრულების შემდეგ მიმართავს: – რას ნიშნავს ქალების რაოდენობა მამაკაცების რაოდენობაზე 8-ით მეტია? (ქალები არიან იმდენივე, რამდენიც მამაკაცია და კიდევ 8 ქალია.) ქალების რაოდენობის შესაბამისი რამდენი სამკუთხედი უნდა დავხაზოთ? (იმდენივე, რამდენიც წრე დაგხაზეთ და კიდევ 8 სამკუთხედი) სქემა ასეთი სახის იქნება:



მასწავლებელი: – რა მოქმედება უნდა შეგასრულოთ, რათა გამოვთვალოთ რამდენი ქალია დარბაზში? (შეკრება) დაწერეთ შესაბამისი ტოლობა (წერენ: $6+8=14$) უპასუხეთ ამოცანის კითხვას (სამკუთხელო დარბაზში 14 ქალია).

სავ. №9 მასწავლებელი: – უჯრების ნაცვლად ნებისმიერი რიცხვების ჩაწერა შეგვიძლია? (არა, მხოლოდ 6-ის, 7-ის, 8-ის და 9-ის) რა წესით უნდა ჩავწეროთ ეს რიცხვები უჯრების ნაცვლად უტოლობაში? (შედეგად სწორი უტოლობა უნდა მივიღოთ.) მარჯვენა ჯამი მეტი უნდა იყოს თუ მარცხენა? (მარჯვენა) როგორი რიცხვები უნდა შევარჩიოთ ან მარცხნივ, ან მარჯვნივ, რათა მარჯვენა ჯამი მეტი იყოს მარცხენა ჯამზე? (მარჯვნივ უფრო დიდი რიცხვების ჯამი უნდა იყოს, ვიდრე მარცხნივ) სცადეთ, მოცემული რიცხვების გამოყენებით შეადგინეთ ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი ჯამი. მასწავლებელი მერხებს შორის ჩამოვლით ამოწმებს ბავშვების ჩანაწერებს, საჭიროების შემთხვევაში აძლევს მითითებებს.

დაფაზე და რვეულებში შესრულებულ ჩანაწერებს ორივე მაგალითისთვის (სხვადასხვა ვარიანტის გათვალისწინებით) საბოლოოდ ასეთი სახე ექნება:

$$6+7<8+9$$

$$6+8<7+9$$

$$6+9=7+8$$

დ/ს სავ.№6 (I და II სვეტი ერთ რიგს, III და IV – მეორე რიგს)

საშინაო დავალება სავ.№6 (V და VI სვეტები), რვეული, №1.

გაპვეთილი №56

მიზნები: 1) რიცხვისათვის ჯამის მიმატების და ჯამისთვის რიცხვის მიმატების წესების გაცნობა და მასზე დამყარებული შეკრების ხერხის გამოყვანა, გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა; 2) საგნების გამოყენებით შეკრების მოქმედების დამონსტრირების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; 3) ცოდნის განმტკიცება ა) „ით მეტობა/ნაკლებობა” დამოკიდებულების, ბ) გეომეტრიული ფიგურების თვისებების შესახებ; 4) ამოცანების ამოხსნა.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი -1წთ

II. ზეპირი ანგარიში -6წთ

1) თამაში: „აღადგინე გამოტოვებული მოქმედების ნიშანი”

$$4 \dots 3=7 \qquad \qquad 9 \dots 3=6 \qquad \qquad 8 \dots 5=3$$

$$10 \dots 5=5 \qquad \qquad 8 \dots 2=10 \qquad \qquad 4 \dots 5=9$$

$$11 \dots 7=4 \qquad \qquad 6 \dots 5=1 \qquad \qquad 8 \dots 2=6$$

$$6 \dots 3=9 \qquad \qquad 4 \dots 2=6 \qquad \qquad 7 \dots 5=2$$

2) მაჩვენეთ ადგილიდან სამკუთხედი. ახლა კვადრატი. ერთ პატარა ამბავს მოგიყვებით სამკუთხედისა და კვადრატის შესახებ. სამკუთხედი და კვადრატი მეგობრობდნენ, კვადრატი ასაკით უფროსი იყო სამკუთხედზე. სამკუთხედი ძალიან განიცდიდა იმას, რომ კვადრატს მასზე მეტი რაოდენობის კუთხეები ჰქონდა. ამაზე დაუფარავად ბუზდუნებდა. კვადრატი ამშვიდებდა: „მე შენზე უფროსი ვარ და იმიტომ მაქვს მეტი კუთხეები. შენც გაიზრდები და კუთხეების რაოდენობაც გაგეზრდებაო”. ერთხელ სამკუთხედი ესტუმრა კვადრატს და დამე მასთან დარჩა სტუმრად. როდესაც სამკუთხედი დარწმუნდა, რომ კვადრატს ღრმა ძილით ეძინა, მივიდა და ოთხივე კუთხე მოაჭრა. გამობრუნდა და მშვიდად დაიძინა. გადაწყვიტა, დილით მწარედ ეთქვა მეგობრისთვის: „დაიძინე კვადრატი იყავო, გაიღვიძე – კუთხეები აღარ გაქვხო”. გაიღვიძა კვადრატმა. საძინებე-

ლი ოთახიდან რომ გამოვიდა, სამკუთხედმა მისი დანახვის შემდეგ მოულოდნელობისა-გან ხმა ვერ ამოიღო. აბა, ვინ მიხვდება რამ დაამუნჯა სამკუთხედი? (რვაგუთხედმა)

III. მზადება ახალი მასალის გასაცნობად -8 წთ

-რა რიცხვი უნდა ეწეროს „*“-ის ნაცვლად?

$$3+4=4+* \quad 7+*=8+7 \quad 20+*=10+20$$

- მე დავიწყებ წინადადებას, თქვენ ერთხმად დაასრულეთ „შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი . . .“

- გამოიყენეთ რიცხვები: 3, 4, 5 და შეადგინეთ შეკრების მაგალითები. გამოთვალეთ მათი მნიშვნელობები. (ადგენებ ტოლობებს: $3+4+5=12$, $4+5+3=12$, $5+4+3=12$.)

- დააკვირდით სამივე ტოლობას. რას ამჩნევთ? (სამივეში შეკრება სრულდება და ტოლი მნიშვნელობები მიიღება). რატომ მივიღეთ სამივე გამოსახულების მნიშვნელობა 12-ის ტოლი?

- ჩვენ ხშირად გვექნება საქმე ასეთი სახის გამოსახულებებთან $9+(10+1)$. რა პქვია ასეთ გამოსახულებებს? (ფრჩხილებიანი გამოსახულება) ახლა 9, 10, 2 რიცხვებისა და ფრჩხილების გამოყენებით შეადგინეთ შეკრების განსხვავებული მაგალითები. (ადგენენ $(9+10)+1=20$, $(9+1)+10=20$) გამოთვალეთ მათი მნიშვნელობები.

- რა დასკვნის გამოტანას შევძლებოთ ამ მაგალითებიდან? (რა თანმიმდევრობით შეკრებთ, არა აქვს მნიშვნელობა)

განმტკიცება – 10წთ

1) მასწავლებელი კიდევ ერთხელ შეახსენებს მოსწავლეებს ფრჩხილების გამოყენების მნიშვნელობას. ამასთან დაკავშირებით კარნახობს რამდენიმე მაგალითს, რომლებსაც აწერინებს რვეულში. მათ გამოანგარიშებას კი ახდენენ ზეპირად.

- მე გიკარნახებოთ გამოსახულებას, თქვენ ჩაწერეთ. 3-ისა და 2-ის ჯამს მიუმატეთ 4. (წერენ. ერთი მოსწავლე დაფასთან მუშაობს, დანარჩენები რვეულებში.)

- რას მივიღებთ 3-ისა და 2-ის ჯამს რომ 4 მივუმატოთ? (ზეპირად პასუხობენ)

- როგორ გამოთვალეთ? როგორ მიიღეთ 9? (ჯერ გამოვთვალეთ ფრჩხილებში მოქცეული ჯამი, შემდეგ მიღებულ ჯამს, ანუ 5-ს, მივუმატეთ 4).

- ახლა სხვა გამოსახულება ჩაწერეთ: 3-ს მიუმატეთ 2-ისა და 4-ის ჯამი. (წერენ: $3+(2+4)$) რა მიიღეთ? (9)

- რა თანმიმდევრობით შეასრულეთ მოქმედებები? (ჯერ $2+4=6$, შემდეგ $3+6=9$.)

- ახლა 2-ს მიუმატეთ 3-ისა და 4-ის ჯამი. (წერენ: $2+(3+4)$) რა მიიღეთ? (9)

- რა თანმიმდევრობით შეასრულეთ მოქმედებები? (ჯერ $3+4=7$, შემდეგ $2+7=9$.)

2) – ახლა საგნებზე შევასრულოთ ეს მოქმედებები.

ოვალსაჩინოების გამოყენებით ასრულებენ შეკრებას და მსჯელობენ, როგორ ხდება ჯამისათვის რიცხვის მიმატება 3 სხვადასხვა ხერხით. მასწავლებელს 3 შემთხვევისათვის დაფასთან რიგ-რიგობით გამოჰყავს 3 ბავშვი და აღნიშნულ მოქმედებებს ასრულებინებს 3 წითელ, 2 მწვანე და 4 ლურჯ კუბზე (რა თქმა უნდა, ფერები პირობითაა შერჩეული) მოქმედებების შესრულების პარალელურად დაფაზე ჩნდება ჩანაწერები:

$$(3+2)+4=5+4=9$$

$$(3+2)+4=3+(2+4)=3+6=9$$

$$(3+2)+4=2+(3+4)=2+7=9$$

- რამდენნაირად შევასრულეთ ჯამისათვის რიცხვის მიმატება? (3)

3) ამის შემდეგ სამი ხერხით ზეპირად ითვლიან ჯამებს: $(6+3)+1$ და $(4+5)+1$. ყურადღება უნდა გამახვილდეს მთავარ მიზანზე: ჯამისათვის რიცხვის მიმატება სამნაირად შეიძლება და ყოველთვის ერთი და იგივე შედეგი მიიღება. შეკრების ჯუფორებადობის კანონს მასწავლებელი სადაც საჭიროდ დაინახავს, ჩამოაყალიბებს, მოსწავლეთა სმენითი და მხედველობითი მეხსიერებით დაამახსოვრებს მათ, მაგრამ II კლასის მოსწავლეს ამ წესის ზეპირად ცოდნა არ მოეთხოვება.

IV. ათვისების ხარისხის შემოწმება დ/ს საკ.№4. (ერთ რიგს ერთი სვეტი) – 5 წთ

V. განმზღვიცება – 13 წთ

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავ. №4 აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ რიცხვს ემატება და აკლდება ერთი და იგივე რიცხვი. ორი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლის შემდეგ უნდა ჩამოაყალიბონ დასკვნა. შემდეგ კი ზეპირად ითვლიან დარჩენილი გამოსახულებების მნიშვნელობებს.

სავ. №5 წერენ შესაბამის გამოსახულებებს: а) $(20+7)+40$ და ჯამის გამოთვლისთვის ირჩევენ იოლ გზას.

სავ. №8 ამ ამოცანის ამოხსნისას სასურველია, მასწავლებელმა იმისათვის, რომ კარგად გაიაზრონ, რას ნიშნავს „ით მეტობა”, რა მოქმედებაა ამ დროს შესასრულებელი, საგნებზე შეასრულებინოს საჭირო მოქმედებები, დაფაზზე –სქემაზე ური ჩანახატი.

15 5 1 $(15+5)+1$

VI. შედეგების შეჯამება – 1 წთ

- რა ვისწავლეთ დღეს?
 - რა წესით შეიძლება სამი რიცხვის შეკრება?
 - რა იყო საინტერესო დღევანდელ გავეთილზე, რა მოგეწონათ?

VII. საშინაო დავალება საკ. №3.

გაკვეთილი №57

მიზანი: 1) მზადება თემის: „ორნიშნა რიცხვისათვის ერთნიშნა რიცხვის მიმატება” შესასწავლად; 2) უტოლობის ამოხსნის, პასუხის სავარაუდო ვარიანტების კვლევის, მსჯელობა-დასაბუთების უნარ-ჩავალების განმტკიცება.

მასალა: ბარათები.

କୁଳାଳ ମିଶନ୍

მასწავლებლის დაფაზუ გამზადებული აქცის ჩანაწერი:

$9 + 1 + 6 = 10 + 6$	$9 + 1 + 6 = 9 + 7$
$8 + 2 + 4 = 10 + 4$	$8 + 2 + 4 = 8 + 6$
$7 + 3 + 2 = 10 + 2$	$7 + 3 + 2 = 7 + 5$
$8 + 2 + 5 = \boxed{} + \boxed{}$	$8 + 2 + 5 = \boxed{} + \boxed{}$
$9 + 1 + 7 = \boxed{} + \boxed{}$	$9 + 1 + 7 = \boxed{} + \boxed{}$

მასწავლებელი: – რა წესითაა ტოლობები დაწერილი მარცხენა და მარჯვენა სვეტებში? შეადარეთ ისინი კრთმანეთს. რას იტყვით?

– ორივე სვეტში, პირველ სტრიქონში, ტოლობის მარცხნივ ერთი და იგივე გამოსახულება, ტოლობის მარჯვნივ ერთმანეთისაგან განსხვავებული გამოსახულებები, თქვენ კი თქვით, რომ გამოსახულებების მნიშვნელობა ტოლი იქნებაო. რატომ? (სხვადასხვა გზითაა გამოსახულების მნიშვნელობა გამოვლილი. მარცხნივ ჯერ პირველი ორიცხვი შეკრიბებს და შედეგს მესამე რიცხვი მიუმატეს, ხოლო მარჯვნივ ჯერ მეორე და მესამე რიცხვების ჯამი გამოთვალეს და შედეგი პირველ რიცხვს მიუმატეს).

– გამოიყენეთ ფრჩხილები და ჩაწერეთ გამოსახულებები. კარნახობს. მოსწავლეები წერენ:

$$(9+1)+6= \quad 9+(1+6)=$$

$$(8+2)+4= \quad 8+(2+4)=$$

და ა. შ.

– რას გვიჩვენებს ფრჩხილები ჩვენ მიერ შედგენილ გამოსახულებებში? (ჯერ ის რიცხვები უნდა შეგვრიბოთ, რომელიც ფრჩხილებში წერია.)

– მართალია, ფრჩხილები გვიჩვენებს, თუ რომელი მოქმედება უნდა შესრულდეს პირველი. (ეს დასკვნა გუნდურად გაამეორებინოს)

– შევამოწმოთ, შეიცვლება თუ არა შეკრების დროს გამოსახულების მნიშვნელობა ფრჩხილების სხვადასხვა ადგილზე გამოყენებით? (ითვლიან, ორივე შემთხვევაში მიიღეს ტოლი. ასკვნიან: ფრჩხილების სხვადასხვა ადგილზე გამოყენებით სამი რიცხვის ჯამის მნიშვნელობა არ შეიცვალა.)

– მაშასადამე, ვიცით, რომ შეგვიძლია ორი შესაკრები მათი ჯამით შევცვალოთ. რაში გამოვიყენოთ შეკრების ეს თვისება? (რიცხვების შეკრებისას უნდა შეკედოთ, რომელი ორი შესაკრების შეცვლაა უფრო ადვილი და ისინი ჩავსვათ ფრჩხილებში. ამ ჯამის გამოთვლის შედეგს მივუმატოთ ფრჩხილებს გარეთა შესაკრები)

– მაშასადამე, შეკრების ეს თვისება, რომელსაც ჯუფთუბადობის თვისება ჰქვია (უბრალოდ ეუბნება თვისების სახელწოდებას, მისი დამახსოვრება მოსწავლეებს არ ევალებათ), გამოთვლებს აადვილებს.

რიგების მიხედვით (3 ვარიანტი) ეკითხება რომელი ორი შესაკრების ჯამის გამოთვლა გააიოლებს გამოთვლებს. (მოპასუხეს უსვამს კითხვას: „რატომ?”)

I	II	III
50+10+7	10+70+2	20+60+4
40+3+7	60+3+6	80+3+4
67+5+3	40+26+4	82+8+8
52+8+5	30+33+7	90+5+2

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №1 გამოთვლებს ასრულებენ ნიმუშზე დაკვირვებისა და ანალიზის შემდეგ. I სვეტს ხსნიან დაფაზზე და რვეულებში, მეორეს – დამოუკიდებლად.

სავ. №2, სავ. №3 ამოცანის ამოსახსნელად გამოსახულების შედგენის შემდეგ ირჩევენ გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლის იოლ გზას.

სავ. №8. ამოცანის ამოსების შემდეგ ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ორი ადამიანის ასაკობრივი სხვაობა არ იცვლება. ამ ამოცანის გარდა კიდევ 2-3 ცოცხალი მაგალითი უნდა მოიყვანონ და ამოხსნან. უმჯობესია მოსწავლეებმა საკუთარი ოჯახის წევრების წლოვანების გამოყენებით შეადგინონ ამოცანები.

სავ. №9. ამოცანის პირობის წაკითხვამდე მუშაობენ მსგავს ამოცანაზე:

– ჯისურში ერთი საზამთრო გაიყიდა. რას ნიშნავს ეს, შემცირდა ჯისურში საზამ-

ოროების რაოდენობა, თუ გაიზარდა? (შემცირდა) რამდენით? (1-ით) რა კავშირშია გაყიდული საზამთროების რაოდენობა, იმასთან თუ რამდენით შემცირდა ჯიხურში საზამთროების მარაგი? (იმდენით მცირდება, რამდენიც გაიყიდა)

– ვთქვათ, ჯიხურში კიდევ ერთი საზამთრო გაიყიდა. სულ რამდენი საზამთრო გაიყიდა?(2), რამდენით შემცირდა ჯიხურში საზამთროების რაოდენობა?(2-ით) ამის შემდეგ კითხულობებს და არჩევებს ამოცანის პირობებს.

– რამდენი საზამთრო გაიყიდა მთელი დღის განმავლობაში? (4+6+10=20)

– რამდენით შემცირდა იმ დღეს საზამთროს მარაგი ჯიხურში? (20-ით)

სავN10 მოსწავლეები რასაც ვერ დაასახელებენ, მასწავლებლის დახმარებით იმ რიცხვების მოძებნაც უნდა მოხდეს.

ა) 11-7 > \square^*7 უტოლობაში „*“-ის ნაცვლად თუ „–“ ნიშანს ჩავწერთ, მივიღებთ:

11-7 > \square -7. რომლის ამონასსნი იქნება რიცხვები: 7, 8, 9 ან 10. არჩევენ შემთხვევებს, როდესაც \square -ის ნაცვლად ჩაწერენ 11-ს ან 11-ზე დიდ რიცხვს.

მაგალითად, ა)11-ს. ამ შემთხვევაში გვექნება: 11-7 > 11 -7 ანუ 4>4, რაც არასწორია, მაშასადამე, \square -ის ნაცვლად 11-ს ვერ ჩავწერთ.

ბ) 15-ს. ამ შემთხვევაში მივიღებთ 11-7 > 15 -7, ანუ 4>8 უტოლობა არასწორია. მაშასადამე, \square -ის ნაცვლად 11-ისა და 11-ზე მეტი რიცხვების ჩაწერით არასწორ უტოლობას ვიღებთ. პასუხი: თუ „*“-ის ნაცვლად „–“ ნიშანს ჩავწერთ, მაშინ \square -ის ნაცვლად შეიძლება ჩავწეროთ 7, 8, 9 ან 10.

გ) 11-7 > \square^*7 უტოლობაში „*“-ის ნაცვლად „+“ ნიშანს თუ ჩავწერთ, მივიღებთ:

11-7 > $\square+7$, ანუ 4 > $\square+7$. ეს კი არასწორი უტოლობაა, რადგან 7 თავისთავად მეტია 4-ზე და 7-ისა და კიდევ რომელიმე რიცხვის ჯამი კიდევ უფრო მეტი იქნება 4-ზე. ე.ი. „*“-ის ნაცვლად მხოლოდ „–“ ნიშანის ჩაწერაა შესაძლებელი.

დ/ს I ვარიანტი: სავN4, I სვეტი); II ვარიანტი სავN4, (II სვეტი)
საშინაო დავალება რვეული გვN41, საგN1-2.

გაკვეთილი №58

მიზნები: 1) ორნიშნა რიცხვისათვის ერთნიშნა რიცხვის მიმატების წესის (გაცნობა) (ოცეულზე გადაუსვლელად); 2) რიცხვითი გამოთვლების ჩვევების განვითარება და მათი გამოყენება ამოცანების ამონებისას; 3) ამოცანის ამონების სქემის მიხედვით; 4) გაანალიზება-განზოგადების უნარ-ჩვევების განვითარება; 5) მიღებული ცოდნის გამდიდრება და საგნისადმი ინტერესის გაღრმავება.

გაკვეთილის ტიპი: ახლის ახსნა

სწავლების მეთოდები და ფორმები: ახსნითი-ილუსტრირებული, ინდივიდუალური, ფრონტალური, წყვილებში.

ახალი მასალის ახსნამდე მოსწავლემ უნდა იცოდეს ყველა ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვის ჩაწერა/წაკითხვა, რიცხვის წარმოდგენა ოცეულებისა და ოცზე ნაკლები ერთეულების, აგრეთვე, სათანრიგო შესაკრებთა ჯამის სახით, ორნიშნა რიცხვისთვის ერთნიშნა რიცხვის მიმატება ოცეულზე გადაუსვლელად.

გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს ორნიშნა რიცხვისათვის ერთნიშნა რიცხვის მიმატება (ოცეულზე გადაუსვლელად) და მისი გამოყენება გამოთვლებში.

მასალა: ბარათები, მასალა კარნახისათვის, ნახატი ამოცანისთვის.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი – 1 წთ


II. ზეპირი ანგარიში (ცოდნის გააქტიურების მიზნით) – 10 წთ

1) კარნახი

- რა რიცხვია 40-ისა და 15-ის ჯამი?
- რა რიცხვია 60-ისა და 6-ის ჯამი?
- რა რიცხვია 57-ისა და 17-ის სხვაობა?
- რა რიცხვია 89-ისა და 1-ის ჯამი?
- რა რიცხვია 67-ისა და 7-ის სხვაობა?
- რა რიცხვია 53ისა და 40-ის სხვაობა?
- რა რიცხვია 20-ზე 12-ით მეტი რიცხვი?
- რა რიცხვია 50-ზე 1-ით ნაკლები რიცხვი?
- რა რიცხვია 75-ზე 10-ით ნაკლები რიცხვი?
- რა რიცხვია 46-ზე 40-ით მეტი რიცხვი?

2) ამოცანის ამოხსნა

გზის ერთ მხარეს დარგულია ორი ცაცხვი და 4 ნაძვი. მათ შორის მანძილები ნახაზეა ნაჩვენები. რა მანძილია ცაცხიდან ცაცხვამდე?



3) ბარათებით მუშაობა (მიზანი: საჭირო თემის გახსენება)

მასშავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ბარათებს (2 ვარიანტი).

ვარიანტი №1

წარმოადგინე რცეულებისა
და ერთეულების ჯამის სახით:

$$23=$$

$$45=$$

$$78=$$

$$91=$$

$$57=$$

$$65=$$

ვარიანტი №1

წარმოადგინე რცეულებისა და
ერთეულების ჯამის სახით:

$$62=$$

$$58=$$

$$93=$$

$$76=$$

$$53=$$

$$44=$$

უხსნის, თუ რა უნდა გააკეთონ. დაფაზე აჩვენებს ერთი მაგალითის ამოხსნას და მოსწავლეები იწყებენ დამოუკიდებლად მუშაობას. სამუშაოს შესრულების შემდეგ მოსწავლეები წყვილებში ერთმანეთს უმოწმებენ ნამუშევრებს, მონიშნავენ დაშვებულ შეცდომებს, რომელსაც დაფასთან განიხილავთ და გაასწორებს შეცდომის აღმომჩენი მოსწავლე.

III. გაკვეთილის თემის გაცნობა – 2 წთ

– წაიკითხეთ გამოსახულებები:

$$20+30 \quad 40+50$$

$$60+5 \quad 26+3$$

$$64+5 \quad 80+10$$

$$20+60 \quad 50+30$$

ამათგან რომელი გამოსახულებების მნიშვნელობის გამოთვლა არ გვისწავლია? (64+5 და 26+3) როგორი რიცხვების ჯამებია? (ორნიშნა და ერთნიშნა) დღეს ვისწავლით ასეთი სახის ჯამების ანუ ორნიშნა რიცხვისათვის ერთნიშნა რიცხვის მიმატების წესს.

IV. ახალი მასალის ახსნა – 15 წთ

1) რიცხვები : 82, 67, 29, 46 წარმოგადგინოთ ორი შესაკრების, კერძოდ ოცეულისა და ოცზე ნაკლები რიცხვების ჯამის სახით.

მუშაობენ სახელმძღვანელოს ამოცანა №1-ზე. დეტალურად განიხილავენ 37+2 ჯამის გამოთვლის წესს. ამავე ნომრის პირველ 6 მაგალითს დაფაზე ხსნის 6 მოსწავლე რიგით, დანარჩენები რვეულებში მუშაობენ.

მუშაობას აგრძელებენ სავ. №3-ის განხილვით. ხსნიან 6 მაგალითს (3 სვეტი).

V. განმტკიცება. ამოცანების ამოხსნა – 7 წთ

1) ხსნიან სავ.№5 და სავ.№6.

VI. დ/ს რვეული გვ.№42 სამი ვარიანტი სავ.№2 (2-2 მაგალითი) – 4 წთ

VII. წყვილებში სამუშაო სავ.№7. (ინაწილებენ გამოსახულებებს) – 3 წთ

VIII. შედეგების შეჯამება – 2 წთ

– რა ვისწავლეთ დღეს?

– თანმიმდევრობით ჩამოაყალიბე სვლები, როგორ გამოითვლი ჯამს: 84+7.

– რა მოგეწონათ ყველაზე მეტე?

IX. საშინაო დავალება სავ. №1 და სავ.№3 (დარჩენილი) – 1 წთ

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ.№4-ის მიზანია მოსწავლე კარგად გაეცნოს ორნიშნა რიცხვისათვის ერთნიშნა რიცხვის მიმატების სხვადასხვა შემთხვევებს (ოცეულუბე გადაუსვლელად). იგი აკვირდება ასეთი მაგალითების ამოხსნის ორ ვარიანტს, აანალიზებს ორივეს და მათი შეპირაპირებით იღრმავებს ცოდნას.

სავ.№5 მასწავლებელი: – წაიკითხეთ ამოცანა. რა ვიცით და რა უნდა გავიგოთ? ამოცანა სქემის გამოყენებით ამოგხსნათ. შევაღინოთ სქემა. აღვნიშნოთ რძის რაოდენობა ბიდონებში მონაკვეთებით. ვინ შეძლებს სქემის შედგენას?

25

7

?

– რა მოქმედება უნდა შევასრულოთ? (25ლ+7ლ=32ლ). ჩამოაყალიბეთ პასუხი.

სავ.№7. მასწავლებელმა უნდა მისცეს მითითება: თითოეულ ასოს გარკვეული რიცხვი შეესაბამება. როგორ გავიგოთ რომელ ასოს რა რიცხვი შეესაბამება? (გამოვითვალოთ შესაბამისი გამოსახულებების მნიშვნელობები.) დააკვირდით ქვედა უჯრებს. რას გვიჩვენებს ეს უჯრები? რა რიცხვები წერია? ჩვენ რაში გამოგვადგება? (ასოს მისი რიცხვითი მნიშვნელობის ქვეშ დაგწერთ.) ქვედა ცხრილში 7 უჯრაა, ასო კი მხოლოდ 5 გვაქს მოცემული. რა ხდება? (რომელიდაც ასო ან ასოები სიტყვაში რამდენჯერმე გამოიყენება.) ქვედა ცხრილის II სტრიქონში თითოეული რიცხვის ქვეშ უნდა ჩაწერონ შესაბამისი ასო. გაშიფრავენ ჩანაწერს: „თბილისი”.

სავ.№9. მასწავლებელი: – რამდენი მოქმედებაა შესასრულებელი? (2)

– რას უდრის გამოსახულების მნიშვნელობა? (0)

– შეიძლება თუ არა, რომ ორივე ვარსკვლავი „+”-ით შევცვალოთ?(არა) რატომ? (80-ზე მეტი რიცხვი იქნება ჯამი) რატომ? (80-ს კიდევ 2 რიცხვი ემატება და 0-ს ვერ მივიღებთ, მივიღებთ 80-ზე დიდ რიცხვს)

— მაშასადამე, გამოკლება აუცილებლად უნდა შესრულდეს. რომელი მოქმედება უნდა იყოს გამოკლება, პირველი თუ მეორე? რატომ? ასე, მსჯელობით ადგენენ, რომ $80-60-20=0$ ტოლობა უნდა დაიწეროს.

გაკვეთილი №59

მიზნები: 1) ცოდნის განმტკიცება ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების შეკრებისა (ოცეულზე გადაუსვლელად) და ორნიშნა რიცხვის თანრიგობრივი შედგენილობის შესახებ; 2) არებ შიგნით, გარეთ და საზღვარზე წერტილების მითითების უნარის გამომუშავება 3) ამოცანების ამოხსნისას შეკრება-გამოკლების მოქმედებებისა და შეკრების თვისებების გამოყენების ჩვევების ჩამოყალიბება; 4) ჯგუფური მუშაობისას თანამშრომლობის ჩვევების ჩამოყალიბება.

მასალა: წითელი და თეთრი ცარცები.

გაკვეთილის მსვლელობა

თამაში: „აღმოგაჩინოთ შეცდომა”.

თამაშის მიზანი: ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების (1-20) შეკრებისა და გამოკლების შესახებ ცოდნის განმტკიცება, ათეულზე გავლით შეკრება-გამოკლების მოქმედებების ზეპირად შესრულების უნარის განვითარება.

თამაშის წესი: დაფაზე რიგებისთვის გამზადებულია (დაფარულია, არ ჩანს) 20-მდე რიცხვების შეკრებისა და გამოკლების მაგალითების იმდენი სვეტი, მერხების რამდენი რიგიცაა კლასში. სვეტში ტოლობების რაოდენობა რიგში მოსწავლეთა რაოდენობას უნდა ემთხვეოდეს. დაფაზე დაწერილი ტოლობებიდან ზოგი სწორია, ზოგი არა. მაგალითები ისეა შერჩეული და განაწილებული, რომ ერთ მერხს ერთი სწორი და ერთი არასწორი ტოლობა ექვთვნის.

პირველი ორი ტოლობის შემოწმება I მერხს ეპუთვნის, II ორისა – II მერხს და ა. შ.

დაფასთან გამოსული მოსწავლე სწორი ტოლობის გასწვრივ წერს „+“ ნიშანს, არასწორის გასწვრივ „-“ და ასწორებს. არასწორი ტოლობა წითელი ცარცით მერხის ორივე მოსწავლემ ერთმანეთისაგან განსხვავებული გზებით უნდა გაასწოროს. მაგალითად, მოცემულია $7+5=13$. ერთი წერს: $7+6=13$, მეორე: $8+5=13$ ან $7+5=12$.

მოსწავლეები რიგის მიხედვით გამოიდიან და ასწორებენ შეცდომებს. ეს ყველაფერი რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეასრულონ. გამარჯვებულია ის რიგი, რომელიც დანარჩენებზე სწრაფად აღმოაჩენს და გაასწორებს შეცდომებს.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №1, ხსნიან პირველ სამ სვეტს დაფაზე და რვეულებში.

სავ. №2-№4 ზეპირად ასრულებენ.

სავ. №5 შიგნით – 20, გარეთ – 8, საზღვარზე – 2, სულ: $20+8+2=20+10=30$.

სავ. №8 მასწავლებელი: – რა უნდა გავაკეთოთ? (მოცემული რიცხვებიდან უნდა ამოვ წეროთ 20-ზე მეტი და 60-ზე მცირე რიცხვები. (დაფაზე წერენ რიცხვებს: 23, 7, 13, 22, 3, 93, 62.)

– რა უნდა გავითვალისწინოთ რიცხვების ამორჩევისას საქმის გასაადვილებლად? (20-ზე მეტი და 60-ზე მცირე რიცხვების ათეულების თანრიგებს უნდა დავაკვირდეთ) რატომ? (მათი ათეულების თანრიგში წერია ციფრები: 2, 3, 4 ან 5.) შემდეგ როგორ მოვიქცეთ? (ერთნიშნა რიცხვები და ისეთი ორნიშნა რიცხვები, რომელიც ამ ციფრებით არ იწყება, გადავხაზოთ, დანარჩენი იქნება ის, რაც ჩვენ გვინდა.) გადახაზავენ დაფა-

ზე ასეთი ჩანაწერი იქნება: 23, 7, 13, 22, 3, 93, 62.

- რომელი რიცხვებია მოცემულ რიცხვებში 20-ზე მეტი და 60-ზე ნაკლები? (22,23)
 - სავN10** მასწავლებელი: - რა გვაქვს მოცემული? რა უნდა გავაკეთოთ? (მოცემულთა-გან ის რიცხვები უნდა შევარჩიოთ, რომელთა „**"-ის ნაცვლად ჩაწერა მოცემულ ჩანაწერში მას სწორ უტოლობად აქცევს.)
 - როგორ მოვიქცეთ? (მოსწავლეები მოცემული რიცხვების სათითაოდ ჩასმას შესთავაზებენ. ასეც მოიქცევიან და ამოწმებენ თითოეულ რიცხვს. შევარჩევნ რიცხვებს: 8, 9.)
 - რა გზით ამოვხსენით ამოცანა? („**"-ის ნაცვლად სათითაოდ ჩავსვით რიცხვები და შევამოწმეთ, აკმაყოფილებდნენ პირობას თუ არა. შევარჩიეთ 8 და 9.)
 - ამოხსნის სხვა გზას ხომ არ შემოგვთავაზებს ვინმე? უფრო იოლს? (თუ მოსწავლები ვერ მონახავენ სხვა გზას, მაშინ თვითონ მასწავლებელი აჩვენებს ამას.)
 - 7-ს რა რიცხვი უნდა მივუმატოთ, რომ 14 მივიღოთ? (7)
 - როგორი რიცხვები უნდა მივიღოთ, 14-ზე მეტი თუ 14-ზე ნაკლები? (მეტი) როგორი რიცხვები უნდა შევარჩიოთ „**"-ის ნაცვლად 14-ზე მეტი რიცხვების მისაღებად? (7-ზე დიდი) რატომ? დაასახელეთ მოცემული რიცხვებიდან 7-ზე დიდი რიცხვები. (8, 9. წერენ შესაბამის უტოლობებს)
 - გავიხსენით, რა გზით ამოვხსენით ამოცანა. (ჯერ მოვძებნეთ რიცხვი, რომლის 7-თან შეკრება 14-ს მოგვცემს, შემდეგ მოცემული რიცხვებიდან შევარჩიეთ მოძიებულ რიცხვებს დიდი რიცხვები. ეს რიცხვები ჩაწერეთ „**"-ის ნაცვლად და შევამოწმეთ, რამდენად სწორად მოვძებნეთ ამოხსნა)
- დ/ს სავN9, ვარიანტებად.**
- საშინაო დავალება სავN1, (დარჩენილი), სავN7; რვეული, №1.**

გაგვეთილი №60

მიზნები: 1) ორნიშნა რიცხვისთვის ერთნიშნა რიცხვის მიმატების შესახებ მიღებული ცოდნის განმტკიცება; 2) ამოცანების ამოხსნისას შეკრება-გამოკლების მოქმედებების გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; 3) ლოგიკური აზროვნების განვითარება; 4) ჯგუფური მუშაობისას თანამშრომლობის ჩვევების ჩამოყალიბება.

მასალა: ბარათები ესტაფეტისთვის.

ესტაფეტა: მასწავლებელს რიგებისთვის გამზადებული აქვს ბარათები.

I ვარიანტი	II ვარიანტი
$25+7=$	$87+4=$
$47+9=$	$69+6=$
$66+6=$	$48+5=$
$83+8=$	$42+8=$
$69+4=$	$44+7=$

ბარათებს აძლევს I მერხის (ყოველ რიგში) ორ მოსწავლეს. ბარათზე დაწერილი მაგალითის ამოხსნის შემდეგ მოსწავლე ბარათს მის უკან მჯდომ მოსწავლეს გადასცემს, რომელიც ისევე მოიქცევა, როგორც მის წინ მჯდომი მოსწავლე და ა. შ. რიგის ბოლომდე. ბოლო მოსწავლე ამოხსნის მაგალითს და ბარათს მასწავლებელს ჩააბარებს. მასწავლებელი ამოწმებს. შედეგების განხილვის შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადდება ის რიგი, რომელმაც ნაკლები შეცდომა დაუშვა და სხვებზე სწრაად ამოხსნა.

დ/ს სავ. №6. საშინაო დავალება სავ. №8, სავ. №9.

გაპეტილი №61-62


მიზნები: 1) ორნიშნა რიცხვისთვის ერთნიშნა რიცხვის მიმატების შესახებ მიღებული ცოდნის განმტკიცება; 2) ამოცანების ამონებისას შეკრება-გამოკლების მოქმედებების გამოყენების, რიცხვების ჯამის სახით წარმოდგენის უნარების განვითარება; 3) რიცხვთა მიმდევრობის მოცემული ფრაგმენტის მიხედვით მიმდევრობაში რიცხვების ჩაწერის წესის ამოცნობა და მიმდევრობის გავრცობის, ლოგიკური აზროვნების განვითარება.

მასალა: 2 პლაკატი ყვავილით.

გაპეტილის მსვლელობა

სსნიან პლაკატებზე მოცემულ ჯერ ერთმოქმედებიან, შემდეგ ორმოქმედებიან მაგალითებს და აგრძელებენ მუშაობას სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე.


პლაკატები



კომეტარები საგარჯიშოების შესახებ


სავ №5. მასწავლებელი: — რა ვიცით ამოცანის პირობით და რა არ ვიცით? რა უნდა გამოვთვალოთ?

- ამოცანის ამოსახსნელად უმცროსებლასელებს და უფროსებლასელებს შევუსაბამოთ მონაკვეთები. უმცროსებლასელების რაოდენობა ვიცით თუ უფროსებლასელების? (უმცროსებლასელების) დახაზურ უმცროსებლასელების რაოდენობის შესაბამისი მონაკვეთი. (ხაზვს დაფასთან გამოსული მოსწავლე)
- უფროსებლასელები მონაწილეობენ მეტი, თუ უმცროსებლასელები? რომელთა შესაბამისი მონაკვეთი უნდა იყოს გრძელი? (უფროსებლასელების) რა ვიცით უფროსებლასელების შესახებ იმის გარდა, რომ ისინი მეტი არიან? (32-ით მეტია)
- რას ნიშნავს, რომ 32-ით მეტი არიან? (არიან იმდენივე, რამდენიც უმცროსებლასელები და კიდევ 32) ამას სქემაზე როგორ გამოვსახავთ?



სავ. №6. მასწავლებელი: — წიწილების რაოდენობა მონაკვეთებით გამოვსახოთ.

ადგენერ სქემას.



- სქემაზე ნათლად ჩანს, რომ თამარმა დანარჩენებზე მეტი, ხოლო ნინომ დანარჩენებზე ნაკლები რაოდენობის წიწილა შეიძინა. შეადარეთ ნატოს წიწილების რაოდენობა 35-სა და 37-ს. (35-ზე მეტი და 37-ზე ნაკლებია) რომელი რიცხვია 35-ზე მეტი და 37-ზე ნაკლები? (36) რამდენი წიწილა შეიძინა ნატომ? (36)

სავ. №7. მასწავლებელი (ამოცანის წაკითხვის შემდეგ): — რომელ ამოცანაზე გადაგვაგზავნა ამ ამოცანამ? (წინა, №6 ამოცანაზე)

- რა ვიცით ამ ეტაპზე ნინოსა და ნატოს წიწილების რაოდენობის შესახებ წინა

ამოცანის პირობისა და მისი ამოხსნის მიხედვით? (ნინომ 35 წიწილა შეიძინა, ნატომ - 36) რამდე

- რამდენით ნაკლები წიწილა შეიძინა ნინომ, ვიდრე ნატომ? (36-35=1)

სავN10. მასწავლებელი: -რა ვიცით? (ვაზაში 15 ვაშლია, კალათაში - 35) რა უნდა გავიგოთ? (რამდენი ვაშლი უნდა ამოვიღოთ კალათიდან, რათა იქაც იმდენი ვაშლი დარჩეს, რამდენიც ვაზაშია?) რამდენი ვაშლია ვაზაში? (15) კალათაში? (35) რამდენი ვაშლი უნდა დარჩეს კალათაში? (15). როგორ გავიგოთ რამდენი ვაშლი უნდა ამოვიღოთ კალათიდან, რათა მასშიც 15 ვაშლი დარჩეს? (35-15=20).

დ/ს მასწავლებელი წერს დაფაზე ორ ვარიანტს:

I ვარიანტი	II ვარიანტი
28+9	29+8
45+7	66+7
68+8	29+5
84+7	85+6
	29+8 47+5
	69+9 67+9
	28+7 26+8
	87+4 27+5

საშინაო დაგალება გაკვეთილი №61 სავN3, სავN8 (პირველი 3 სვეტი); რვეული, №1.

გაკვეთილი №62 სავN8 (ბოლო 2 სვეტი); რვეული №1, №2.

გაბგეთილი №63

მიზნები: 1) მონაკვეთების სიგრძეთა შედარების ხერხების გაცნობა;

2) ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების შეკრების იმ შემთხვევის შესწავლა, როდესაც ერთეულების ჯამი 10-ის ტოლის;

3) დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობის, გეომეტრიული ფიგურების მოდელების შექმნის უნარების განვითარება;

4) შეკრება-გამოკლების მოდელებით დემონსტრირების უნარის განვითარება.

მასალა: ქაღალდის ფერადი ზოლები, 2 ლურსმანი, ძაფი, სამი სხვადასხვა სიგრძის მონაკვეთის მოდელი (მავთულის ნაჭერი, ჯოხი და ა.შ.) ფანქარი. ჩხირების კონები, კუბები, პარალელეპიპედები.

გაკვეთილის მსგლელობა

1) წეპირი საგარჯიშოები 10-ისა და ერთნიშნა რიცხვების შეკრებაზე ;

2) ა) მასწავლებელი დაფაზე ხაზავს განსხვავებული სიგრძის ოთხ მონაკვეთს.



- ნახაზე მოცემული მონაკვეთებიდან რომელია ყველაზე გრძელი? მოკლე?

- როგორ გაიგე? მონაკვეთების სიგრძეების შედარება თვალზომით შეგვიძლია. ეს ნიშნავს ყურადღებით დავაკვირდეთ მონაკვეთებს, თვალით გავზომოთ მათი სიგრძეები და ვთქვათ, რომელია მათ შორის გრძელი და რომელი - მოკლე.

ბ) მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული სიგრძის ორ მონაკვეთს და სთხოვს მასწავლებებს მათი სიგრძეების თვალზომით შედარებას.

- ზოგჯერ მონაკვეთების სიგრძეები ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ასეთ შემთხვევაში თვალზომით შეიძლება განსხვავება ვერ შევამჩნიოთ, ამიტომ მათი სიგრძეების შედარება ერთმანეთზე ზედდებით უნდა მოვახდინოთ. მონაკვეთების ერთმანეთზე ზედდებით უკვე ნათლად გამოჩნდება თუ რომელია გრძელი და რომელი - მოკლე (აჩვენებს თვალსაჩინოებით). მონაკვეთების შესაძარებლად შეიძლება ძაფის ან

ქადალდის ზოლის გამოყენება.

დაუშვათ, შესადარებელია ფურცელზე დახაზული ორი მონაკვეთის სიგრძე. ფურცელზე დახაზულ მონაკვეთის ხელში ვერ ავიღებთ. მაშ, როგორ მოვიქცეთ? ავიღოთ ძაფი. (პარალელურად მოსწავლეებს აჩვენებს შესაბამის მოქმედებებს) მარცხენა ხელით ძაფი მივაღოთ ერთი მონაკვეთის ერთ ბოლოს, მარჯვენა ხელით ამავე მონაკვეთის II ბოლოს. ძაფი გაჭიმული უნდა იყოს. არ ვცვლით ძაფზე ხელების მდებარეობას. მარცხენა ხელით ძაფის მარცხენა ბოლო მივაღოთ მეორე მონაკვეთის ერთ ბოლოს. თუ ძაფის მეორე ბოლო მონაკვეთის ბოლოს გასცდა, მაშინ პირველი მონაკვეთი ყოფილა გრძელი, თუ დაემთხვა, მაშინ ამ მონაკვეთების სიგრძეები ტოლი ყოფილა. მასწავლებელი აჩვენებს ტოლობის შემთხვევასაც. ძაფი გაჭიმული უნდა იყოს. ფურადებით იყავით, ძაფის მონიშნული ადგილებიდან თითები არ გაგიცურდეთ.




მონაკვეთების სიგრძეების შედარება ქადალდის ზოლითაც შეგვიძლია. ამისათვის ქადალდის ზოლის ნაპირი (აჩვენებს) უნდა გავაყოლოთ მონაკვეთს. მოვნიშნოთ მონაკვეთის ბოლოები ქადალდის ზოლზე ფანჯრით ან კალმით. მივაღოთ ქადალდის ზოლი მეორე მონაკვეთს ისე, რომ ზოლზე შესრულებული მონიშვნებიდან მარცხენა მივაღოთ მეორე მონაკვეთის მარცხენა ბოლოს. მეორე მონიშნა კი დაგვანახებს რომელი მონაკვეთია გრძელი და რომელი მოკლე.

მასწავლებელი ადარებინებს წიგნის ყდის სიგრძესა და სიგანეს, წიგნისა და რვეულის ყდების სიგრძეებს, სიგანეებს, საკლასო ოთახის კარებისა და ფანჯრის სიგანეებს, სიმაღლეებს და ა. შ.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

საგარჯიშოების შესრულებისას მოსწავლეები საკუთარი ხელით ადარებენ მითითებული საგნების სიგრძეებს. გასაზომად იყენებენ ძაფს, ქადალდის ზოლებს, მავთულის ნაჭრებს, მტკაველს, საგნების ურთიერთშეთავსებას და ა. შ.


საჭ. №6 როდესაც სამკუთხედების დათვლას დაიწყებენ, სიცხადისათვის სასურველია, დაიხმარონ მოცემული ნახაზი.



საჭ. №7. ამოცანის ამოსახსნელად, სასურველია, გამოიყენონ სქემა.

– რა შეგიძლიათ თქვათ გალიებში ფრინველების რაოდენობაზე? (რამდენი ფრინველიც ერთ გალიაშია, იმდენი მეორეში.)

– ვიცით რომელიმე გალიაში რამდენი ფრინველია? (გალიაში 15 თუთიყუშია)



– შეგვიძლია თუ არა, ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებით ვთქვათ რამდენი ფრინველია

მეორე გალიაში? (ერთად იმდენი ციცარი და ქათამია, რამდენი თუთიყუშიცაა თუთიყუშების გალიაში.)

- რამდენია? (15) ე.ი. ვიცით უპვე ციცარებისა და ქათმების საერთო რაოდენობა? (დიახ, ციცრები და ქათმები ერთად 15-ია)
- კიდევ რა ვიცით ციცრების ან ქათმების შესახებ? (მეორე გალიაში ციცარი და ქათამი ერთად 15-ია, ამათგან 8 ქათამია, დანარჩენი ციცარი.)
- რა შეგვიძლია გავიგოთ ამით? (ციცარების რაოდენობა) როგორ? (ქათმებისა და ციცარების საერთო რაოდენობას, 15-ს გამოვაკლოთ ციცრების რაოდენობა - 8 და მივიღებთ ციცრების რაოდენობას. $15-8=7$). ჩამოაყალიბეთ პასუხი. (II გალიაში 7 ციცარია)

დ/ს მასწავლებელი დაფაზე წერს ვარიანტებს:

I ვარიანტი	II ვარიანტი
46+4 53+7	83+7 57+3
64+6 31+9	76+4 24+6
38+2 85+5	62+8 31+9
29+1	45+5

საშინაო დავალება საგ.№5, საგ.№8. რვეული გვ., №1, №2.

გაპვეთილი №64

მიზნები: 1) რიცხვისა და ოცეულების ჯამის გამოთვლის წესის ათვისება; 2) რიცხვის უახლოესი ოცეულის დასახელების, შეკრება-გამოკლების მოქმედებების აღეკვატურად გამოყენების უნარების განვითარება; 4) კანონზომიერების ამოცნობა და აღწერა; 5) მონაკვეთის სიგრძის ადიციურობის გააზრება; 6) სასწავლო აქტივობებში ჩართულობის ხარისხის ამაღლება.

მასალა: 6 თოჯინა (მაგ.: დათვი, კურდლები, მგელი, ვეფხვი, მაიმუნი, მელა. რის საშუალებაც იქნება. შეიძლება ერთი ცხოველი 2-3-ც კი იყოს.) პატარა ფურცლებზე ცალ-ცალკე დაწერილი 6 დავალება (კითხვა ან ამოცანა); თოკის ან ძაფის პატარა ნაჭერი.

1. – დღეს რიცხვისა და ოცეულების ჯამის გამოთვლა უნდა ვისწავლოთ, მანამ კი გავიმეოროთ ზოგიერთი რამ, რაც გვისწავლია. მაგალითად, რას ნიშნავს გამონათქვამი: „2 და 8 ერთმანეთს 10-მდე ავსებს“? თუ შეგიძლიათ დაასახელოთ ორი ისეთი რიცხვი, რომელთაგან ერთი 10-მდე ავსებს მეორეს?

– ზეპირად შეავსეთ 10-მდე რიცხვები: 5, 6, 1, 8, 7, 9, 8, 2, 4.

ასეუხის შემდეგ მასწავლებელს ერთდროულად გამოყავს დაფასთან 2-3 მოსწავლე და აწერინებს შესაბამის ტოლობებს, სადაც უცნობი რიცხვის ნაცვლად იყენებენ სიმბოლოებს: ერთი „*“-ს, მეორე „?“-ს, III რომელიმე გეომეტრიულ ფიგურას და ა.შ.

– წაიკითხე ტოლობა: ა) $5+*=10$; ბ) $8+2=10$; გ) $14+6=20$; დ) $?+5=20$.

2. თამაში: „ტყის ბინადრები“.

თამაშის მიზანი: რიცხვების შეკრებაზე, ორნიშნა რიცხვიდან ათეულის ან ოცეულის გამოკლებაზე მუშაობის გაგრძელება, ნუმერაციის გამეორება (1 - 20).

თამაშის წესი: მასწავლებელს გამოსახუნ ადგილზე უდევს 6 თოჯინა. თოჯინებს მიმაგრებული აქვს პატარა, დაკეცილი ქაღალდი, რომელზეც წერია დავალება. ჩანაწერი არ უნდა ჩანდეს.

მასწავლებელი: – ტყიდან მეგობრები გვეწვინენ. ჩვენთვის საჩუქრები აქვთ გამზადებული. ძალიან გაინტერესებოთ, ალბათ, რა საჩუქარი გაგვიმზადა ცბიერმა მელამ? გავუმასპინძლეთ სტუმრებს. დღეს მასპინძლები იქნებიან: . . . (ჩამოთვლის ექვს მოსწავლეს. დანარჩენებს სხვა დროს ათამაშებს)

რიგ-რიგობით გამოჰყავს დასახელებული ექვსი მოსწავლე თითოეული მიღის მის-
თვის სასურველ ცხოველთან, მოხსნის ქაღალდს, ხმამაღლა წაიკითხავს ამოცანას და
ამოხსნის. ვინც ვერ ამოხსნის, მისი თოჯინა განაწყენებული, გულნატკენი მიღის. მას-
წავლებელი განაწყენებულ თოჯინას სხვაგან, მოშორებით დებს და ამბობს, რომ გა-
ნაწყენდა, ჩვენთან სტუმრობა არ ინდომა და წავიდათ.

კარგ „მასპინძლებად“ ის მოსწავლეები დასახელდებიან, ვინც სწორად ამოხსნა და
სწრაფად გასცა პასუხი დასმულ კითხვას, ვისი სტუმარიც ჩანს (აქვეა და განაწყენებუ-
ლი უკან არ გაბრუნებულა).

დავალებათა ნიმუშები

1. დაასახელე და ჩაწერე 18-ის, 69-ის 59-ის, 48-ის, 76-ის, 40-ის, 90-ის წინა და მომ-
დევნო რიცხვები
2. ფირმისთვის პირველად 4 ათეული დილი შეიძინეს, მეორედ – 2 ათეული, ხოლო
მესამედ – 3 ათეული. რამდენი დილი შეიძინეს ფირმისთვის სულ?
3. აზერე 45 ჩხირი და მასზე ა) 20-ით მეტი ჩხირი; ბ) 20-ით ნაკლები ჩხირი.
4. ერთ თაროზე 30 წიგნია, მეორეზე 6-ით მეტი, ვიდრე პირველზე. დასვი კითხვა და
ამოხსენი ამოცანა.
5. ფირმას 80 დილი ჰქონდა. 30 დილი კაბებზე დააკერეს. რამდენი დილი დარჩა?
6. დათვალე 1-დან 60-მდე ა) ათეულებით; ბ) ოცეულებით; გ) ხუთეულებით.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №3. მასწავლებელს გამოჰყავს მოსწავლე დაფასთან, სადაც რიცხვით წრფეზე,
სკალაა მოცემული და რამოდენიმე რიცხვი: 9, 10, 11. სთხოვს მონიშნოს 27-ის
შესაბამისი წერტილი.

- რომელ ორ მომდევნო ათეულს შორისაა რიცხვით წრფეზე რიცხვი 27? (20, 30)
- მონიშნე 20-ისა და 30-ის შესაბამისი წერტილები. რიცხვი 27 რიცხვით წრფეზე 20-
თან უფრო ახლოსაა თუ 30-თან? (30-თან). ბ
- რომელ ორ ოცეულს შორისაა რიცხვით წრფეზე რიცხვი 27? (20-სა და 40-ს
შორის). 20-თან უფრო ახლოსაა 27 თუ 40-თან? (20-თან).

სავ. №8 ამოცანის პირობის წაკითხვამდე მასწავლებელი შეასესნებს მოსწავლეებს
სიგრძის ადიციურობის თვისებას. იყენებს ძაფის ან თოკის ნაჭერს.

გამოჰყავს მოსწავლე და გადააზომინებს თოკის ნაჭერზე 5 ან 6 მტკაველს. ბავშვის
შეუმნიერებლად, თვალით ან რაიმე ხერხით მონიშნავს, დაიმახსოვრებს სად იყო 2
მტკაველი და იმ ადგილზე გაჭრის თოკს. ახლა ცალკეული ნაწილების სიგრძეებს
გააზომინებს და ამის შემდეგ მივლენ დასკვნამდე, რომ მთელი მონაკვეთის სიგრძე
მისი ნაწილების სიგრძეთა ჯამის ტოლია. დასკვნის ჩამოყალიბების შემდეგ
კითხულობენ ამოცანის პირობას და სხინან ამოცანას.

სავ. №10 უნდა გამოიცნონ ფიგურებში რიცხვების ჩაწერის წესი: ოთხი რიცხვიდან
ერთი, კერძოდ, ქვედა მარჯვენა რიცხვი წარმოადგენს დანარჩენი სამი რიცხვის ჯამს.
მაგალითად, $20+5+7=32$. III ფიგურაში შესრულებული ჩანაწერი არაა ამ წესით
შესრულებული, რადგან $80+7+9=96$. წრეში 96-ის ნაცვლად წერია 97.

დ/ს №9

საშინაო დავალება სავ.№5, რვეული სავ.№1.

გაპვეთილი №65


მიზნები: 1) მიღებული ცოდნის განმტკიცება თემებზე: а) ორნიშნა რიცხვისათვის ერთნიშნა რიცხვის მიმატება; б) რიცხვისათვის ათეულების მიმატება/გამოკლება; გ) მონაკვეთების სიგრძეთა შედარება; დ) შეკრების თვისებები 2) აზროვნების უნარის განვითარება; 3) სქემაზე და ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარება; 4) საგნისადმი ინტერესის გაღვივება.

მასალა: მაგნიტური დაფა, გემი-დაფაზე დასამაგრებლად.


თამაში: გემის მარშრუტის განსაზღვრა.

თამაშის მიზანი: ორნიშნა რიცხვისათვის ერთნიშნა რიცხვის მიმატების და სქემაზე მუშაობის უნარების განვითარება.

თამაშის წესი: თამაშობები გუნდები. მასწავლებელი მაგნიტურ დაფაზე (მაგნიტური დაფის არქონის შემთხვევაში, ხატავს საკლასო დაფაზე) ამაგრებს გემს ჯერ ერთი გუნდისთვის (ან ალამს) და ნავსადგურებს (წრეებს). ნავსადგურებს აწერს ნომრებს. (წრის) ქვეშ წერს გამოსახულებას. თითოეული გამოსახულების მნიშვნელობა რომელიმე ნავსადგურის ნომერია. გემის ქვეშაც წერს გამოსახულებას, მისი მნიშვნელობაც ერთერთი ნავსადგურის ნომერს წარმოადგენს. მაგალითად,



მასწავლებელი რიგ-რიგობით იძახებს I ეკიპაჟის (გუნდის) მეზღვაურებს დაფასთან. I მეზღვაური ხსნის გემთან დაწერილ მაგალითს და ისრით მიუთითებს ნავსადგურს (გამოსახულების მნიშვნელობის მიხედვით), რომლისკენაც უნდა წავიდეს გემი. II ნავსადგურის ქვეშ დაწერილი გამოსახულების მნიშვნელობას ხსნის II მეზღვაური, მიუთითებს ისიც იმ ნავსადგურს, რომლისკენაც უნდა გაემართოს გემი II ნავსადგურიდან და ა. შ. საბოლოო სურათი ასეთია (ნახ. №1)



ამის შედეგ მასწავლებელი გამოაჩენს (დაფარულ, წინასწარ გამზადებულ) მასალას II გუნდისათვის და ა. შ. თამაში II გუნდისთვისაც ანალოგიურია. ბოლოს აჯამებენ შეჯიბრის შედეგებს.

კომენტარები სავარჯიშოებისათვის

სავ. №1 სიტყვიერად აყალიბებენ, როგორ შევკრიბოთ/გამოვაკლოთ მრგვალი რიცხვები. **სავ. №6** მასწავლებელი: – როგორ გამოვთვალოთ რამდენი რვეული გაუხდა ხატას? ფანქარი? ჩამოაყალიბეთ პასუხი.

– რა შეკითხვა შეიძლება მოვიფიქროთ კიდევ ამოცანის პირობის მიხედვით? (რამდენი რვეული და რამდენი ფანქარი დარჩა ვაჟას? ან რამდენი რვეული და რამდენი ფანქარი აქვს ორივეს ერთად?) ამოგხსნათ ეს ამოცანები.

სავ. №7 მასწავლებელი: – რა ვიციო? ამ მონაცემებით რის გაგებას შევძლებთ? როგორ გავიგოთ რა თანხა შეუგროვდა ტატოს? (შეგარიბოთ ტატოსთვის ყველას მიერ მიცემული თანხა)

– რას ნიშნავს „თანხის ნახევარი დას მისცა”? (რამდენიც მას მისცა, იმდენივე დაიტოვა თვითოვის)

– რამდენი ლარი პქონდა ტატოს? (10) როგორ გავიგოთ რამდენი ლარი მისცა ტატომ დას? როგორი რიცხვები უნდა მოვძებნოთ? (ისეთი ორი ტოლი რიცხვი უნდა მოვძებნოთ, რომელთა ჯამიც 10-ის ტოლია.) რა რიცხვია ასეთი? (5)

– შეგვიძლია უკვე იმის თქმა, თუ რამდენი ლარი მისცა ტატომ დას და თვითონ რამდენი დაიტოვა? (დიახ, 5 ლარი მისცა და 5 ლარი თვითონ დაიტოვა)

სავ. №9 ამოცანის კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გაიხსენონ ქართული ფულის რა დირებულების მონეტები არსებობს. მათი რაოდენობა შეადარონ 10-ს და დასკვნა ისე გამოიტანონ (1 თეთრი, 2 თეთრი, 5 თეთრი, 20 თეთრი, 50 თეთრი, 1 ლარი, 2 ლარი) რადგან განსხვავებული მონეტების რაოდენობა 10-ზე ნაკლებია, ამიტომ საფულეში აუცილებლად იქნება ორი მაინც ერთნაირი მონეტა.)

დ/ს სავ. №3-ის ბოლო 2 სვეტი 2 ვარიანტიად.

საშინაო დავალება სავ. №8, რვეული ,მ სავ.№.

გაკვეთილი №66

მიზნები: 1) ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების შეკრების შესახებ მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება; 2) მონაცემთა სიის დახასიათების, მარტივი ცხრილის აღწერისა და პიქტოგრამის ანალიზის უნარის განვითარება.

საშინაო დავალება რვეული, №1.

ტესტი №4

ტესტი	№1	№2	№3	№4	№5	№6
პასუხი:	ბ	ბ	ბ	ა	ბ	ა

გაკვეთილი №67

მიზნები: 1) ორნიშნა რიცხვების შეკრება (ოცულზე გადაუსვლელად); 2) რიცხვითი გამოთვლების ჩვევების, შეკრება-გამოკლების მოქმედებების აღეკვატურად გამოყენების უნარების ჩამოყალიბება; 3) ჯამის ცვლილების განსაზღვრა შესაკრების ცვლილებასთან დაკავშირებით; 4) ობიექტთა ურთიერთმდებარეობის ამოცნობის, პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავება.

გაკვეთილის ტიპი: სასწავლო ამოცანის დასმა და ამოხსნა

გაკვეთილის დაწყებამდე მოსწავლემ უნდა იცოდეს: ყველა ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების ჩაწერა და წაკითხვა, რიცხვის წარმოდგენა ოცეულებისა და ოცზე ნაკლები ერთეულების ჯამად. უნდა შეეძლოს ოცეულებისა და ოცზე ნაკლები რიცხვების შეკრება, ორნიშნა რიცხვისა და ერთნიშნა რიცხვების ჯამის გამოთვლა (ოცეულზე გადაუსვლელად).

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი

II. ზეპირი ანგარიში

1)

- გამოთვალეთ ჯამი რიცხვებისა: 20, 10 და 2.
 - გამოთვალეთ ჯამი რიცხვებისა: 40, 5 და 20.
 - რამდენი ათეულისაგან შედგება 20?
 - რამდენი ოცეულია 60-ში?
 - რა რიცხვი უნდა მივუმატოთ 15-ს, 20 რომ მივიღოთ?
 - რა რიცხვს მივიღებთ, 20-ისა და 10-ის ჯამს 1 რომ გამოვაკლოთ?
 - რა რიცხვს მივიღებთ, 40-ისა და 10-ის ჯამს 1 რომ მივუმატოთ?
- 2) მოცემულთაგან იპოვე გამოსახულება, რომლის მნიშვნელობა არის 15.

14+6	13+5	8+7	18-3	20-6
11+4	13+3	12+3	16-2	15+0

3) ამოცანის ამოხსნა

მარიტას კლასში გაკვეთილს 22 მოსწავლე ესწრება. 3 მოსწავლე სკოლაში არ გამოცხადდა. რამდენი მოსწავლე ირიცხება მარიტას კლასში?

III. გაკვეთილის თემის გაცნობა

- წაიკითხეთ გამოსახულებები:

20+30	40+6
40+50	40+3
25+12*	80+18
50+20	83+14*

- იპოვეთ თითოეულ სვეტში გამოსახულება, რომელიც დანარჩენებისაგან რაიმეთი განსხვავდება.
- რა განსხვავებას ხედავთ?
- დღეს შევისწავლით ორნიშნა რიცხვების შეკრებას.

IV. ახალი მასალის ახსნა

- 1) წარმოადგინეთ რიცხვები ოცეულისა და ოცზე ნაკლები ერთეულების ჯამის სახით: 87, 68, 29, 43.
- 2) დეტალურად განიხილავენ ორნიშნა რიცხვების შეკრების წესს სახელმძღვანელოს სავN^o1-ის მაგალითზე (83+14). თვალსაჩინოებისათვის იყენებენ ჩეირქბს. დაფაზე ხსნიან ამავე ნომრის რვა მაგალითს (8 მოსწავლე დაფასთან რიგ-რიგობით). მუშაობს დაფაზე და რვეულებში.

V. განმტკიცება

ხსნიან სავN^o4-ს და რვეულის N^o2-ს.

VI. დ/ს

სავ. N^o8 (პირველი სამი სვეტი. თითო რიგს თითო სვეტი)

VII. ამოცანების ამოხსნა.

ხსნიან სახელმძღვანელოს ამოცანებს: N^o2 და N^o5.

VIII.

I ვარიანტი –სავN^o2, II ვარიანტი –სავN^o3.

IX. ამოცანების ამოხსნა.

ხსნიან სახელმძღვანელოს ამოცანებს: N^o2, N^o6 და N^o10.

X. შედეგების შეჯამება (მიღებული ცოდნის განზოგადება)

- რა ვისწავლეთ დღეს?

– როგორ შევერიბოთ ორნიშნა რიცხვები?

– რა იყო საინტერესო?

XI. საშინაო დავალება სავ.№8, ბოლო ორი სექტი, სავ.№7.

გაპვეთილი №68

მიზნები: 1) ორნიშნა რიცხვების შეკრების (ოცეულზე გადაუსვლელად) შესახებ ცოდნის განმტკიცება; 2) ამოცანების ამოხსნა შეკრება-გამოკლების მოქმედებების გამოყენებით; 3) შეკრებისა და გამოკლების უცნობი კომპონენტის პოვნის, პრობლემების გადაჭრის, სიტუაციის გააზრება/გაანალიზების უნარების განვითარება.

გაპვეთილის მსვლელობა

1. მასწავლებელი გაამეორებინებს მონაკვეთების სიგრძეების გაზომვის ხერხებს. იმუშავებენ სიგრძის ნაბიჯებით, ციფითა და მტკაველით გაზომვაზე.

2. კარნახი:

გამოთვალეთ:	I ვარიანტი	II ვარიანტი
	6+8	5+8
	4+9	9+7
	9+5	6+5
	8+3	4+7
	8+8	6+9
		7+8
		5+7
		5+9
		6+8
		8+4
		3+9
		9+7
		6+6
		9+9
		7+6

3) – სამი გოჭის ზღაპარი ხომ იცით? რა ჰქვია გოჭებს? გოჭებს გარკვეული წესით რიცხვები უნდა დაეწერათ. დაწერეს, მაგრამ ორმა შეცდომები დაუშვა. მე გაჩვენებთ მათ მიერ დაწერილ რიცხვებს, თქვენ შეცდომები ადმოაჩინეთ და გაასწორეთ.

- 2, 5, 8, 12, 14, 17.
- 25, 20, 14, 9, 4.
- 90, 80, 70, 60, 50, 40.

– რა შეცდომაა I ჩანაწერში? მე-2-ში? მე-3-ში? შეგიძლიათ გამოიცნოთ რომელი გოჭის ნაწერია უშეცდომო? რის საფუძველზე გამოგაქვთ ასეთი დასკვნები?

4) მუშაობას აგრძელებენ რვეულსა და სახელმძღვანელოში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №2 მასწავლებელი: – რა ვიცით? რა უნდა გავიგოთ?

– ლაშამ დუბას 12 კაპალი რომ მისცა, ამით ლაშას კაკლების რაოდენობა შემცირდა თუ გაიზარდა? რამდენით შემცირდა?

– რას ნიშნავს „12-ით შემცირდა?“ (12 გამოაკლდა)

– ახლა რამდენი კაპალი აქვს ლაშას? (28) თავდაპირველად 28-ზე მეტი კაპალი ჰქონდა თუ 28-ზე ნაკლები? (მეტი) რამდენით? (12-ით)

– როგორ გავიგოთ რამდენია 28-ზე 12-ით მეტი?

– რამდენი კაპალი ჰქონდა ლაშას თავდაპირველად?

სავ. №8 მასწავლებელი: – დააკვირდით ყველა ტოლობას. რას ამჩნევთ?

მოსწავლემ უნდა გამოიყენოს შეკრების ჯუფთებადობის თვისება. ზოგიერთ მოსწავლეს სიტუაციის დანახვა უჭირს, ამიტომ, ამ შემთხვევაში სასურველია, მასწავლებელ-

მა მიუთითოს, რომ ჯერ ტოლობის მარცხენა მხარეს პირველი ორი შესაკრები ჩასვან ფრჩხილებში და ისე გააგრძელონ მუშაობა.

სავ. №10 პასუხი: 3931 – გიგა, 971 – იზა, 3939 – გიგი, 75761 – ზეზა, 81891 – თათია.

დ/ს სავ.№5 (III და IV სვეტები).

საშინაო დავალება: სავ.№6, სავ.№7.

გაკვეთილი №69

მიზნები: 1) ცოდნის განმტკიცება ორნიშნა რიცხვების შეკრებაზე (ოცეულზე გადაუსვლელად); 2) ამოცანების ამოქსნისას შეკრება-გამოკლების მოქმედებების გამოყენების უნარების ჩამოყალიბება; 3) აზროვნების, მსჯელობა-დასაბუთების, კომუნიკაციის, შემოქმედობითი აზროვნების უნარების განვითარება.

მასალა: ბარათები

გაკვეთილის მსვლელობა.

ესტაფეტა (უკვე გამოვიყენეთ, ამიტომ ჩატარების წესებზე აღარ ვსაუბრობთ)

რამდენი რიგიცაა, მასწავლებელს იმდენი ბარათი უნდა ჰქონდეს გამზადებული. ორადგილიან მერჩხე თრი ბარათი გაიცემა. ბარათებზე ორნიშნა რიცხვების შეკრების მაგალითები უნდა იყოს მოცემული.

ამის შემდეგ მუშაობენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

I დ/ს I ვარიანტი - სავ.№2, II ვარიანტი - სავ.№3.

II დ/ს სავ.№4 (ორ ვარიანტად, III და IV სვ.),

საშინაო დავალება სავ.№6, სავ.№7.

გაკვეთილი №70

მიზნები: 1) ორნიშნა რიცხვების შეკრება; 2) ცნებების: საერთო მონაკვეთი, საერთო წერტილი (გაცნობა); 3) რიცხვით წრფეზე შეკრების მოქმედების შესრულების, ნახაზისა და გამოსახულების შესაბამისობის დადგენის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელს გამზადებული აქვს ჩანაწერი:

1	2	3	4	5	6	7	8	9
10	20	30	40	50	60	70	80	90

მასწავლებელი: – შეადარეთ რიცხვები ერთმანეთს სტრიქონების მიხედვით. რით ჰგანან ისინი ერთმანეთს? რით განსხვავდებიან? რამდენ ათეულს შეიცავს მეორე სტრიქონის თითოეული რიცხვი?

დავალების შესრულებისას მოსწავლეები იმურნებენ ციფრების მნიშვნელობას რიცხვის ჩანაწერში დაკავებული პოზიციების მიხედვით.

კარნაბი:

- რას უდრის 8-ისა და 12-ის ჯამი ?
- რომელია მეტი 70 თუ 80?
- რას უნდა გამოვაკლოთ 1, რომ მივიღოთ 79?
- დაწერ 13-ზე ნაკლები სამი ორნიშნა რიცხვი.
- რა რიცხვს უნდა გამოვაკლოთ 40, რომ 45 მივიღოთ?
- რას უდრის 48-ისა და 40-ის სხვაობა?

- რა რიცხვს უნდა მივამატოთ 23, რომ 24 მივიღოთ?
- რომელი რიცხვია ნაკლები 89 თუ 87?
- დაწერე ორი ისეთი გამოსახულება, რომელთა მნიშვნელობა 30-ის ტოლია.

დ/ს. გამოთვალი:

$$28+32 \quad 63+34 \quad 49+41 \quad 75+22 \quad 52+38$$

საშინაო დაგალება სავ.№6, სავ.№8.

გაპვეთილი №71

მიზნები: 1) ფიგურის შიგნითა, გარეთა და საზღვარზე მდებარე წერტილების მითითების უნარის გამომუშავება; 2) შეკრუბა-გამოკლების მოქმედებების გამოყენების უნარის განვითარება; 3) კანონზომიერების ამოცნობისა და აღწერის, აზროვნების უნარის განვითარება.

მასალა: ფურცლებზე დაწერილი დაგალების ორი ვარიანტი.

გაპვეთილის მსვლელობა

1) თამაში: „ჯაჭვი”

თამაშის წესი: მასწავლებელი დაფაზე წერს რამდენიმე გამოსახულების I კომპონენტს. გამოდის მოსწავლე და ამ კომპონენტის მიხედვით აღგენს ტოლობას. II მოსწავლე მასწავლებლის დაწერილი რიცხვისა და წინა ჯამის მიხედვით აღგენს ახალ ტოლობას და ა. შ. გამოდიან მოსწავლები და ანალოგიურ სვლებს ასრულებენ.

დაგუშვათ, მასწავლებელმა დაწერა: =2; =9; =11; =3; =7; =14.

მოსწავლეები დაწერენ, მაგალითად ასე:

$$11-9=2 \quad 2+7=9 \quad 9+2=11 \quad 11-8=3 \quad 3+4=7 \quad 7+7=14$$

ან ასე: 22-20 =2 2+7=9 9+2=11 11-8=3 3+4=7 7+7=14

მასწავლებელი ყოველი რიგისთვის ერთმანეთისაგან განსხვავებულ თითო „ჯაჭვს” აღგენს.

2) მასწავლებელი მოსწავლეებს მერხებზე ახვედრებს ფურცლებს ჩანაწერებით.

ერთ მერხთან მჯდომ ორ მოსწავლეს სხვადასხვა ვარიანტი ეძლევა.

I ვარიანტი
29+1
43+40
86-1
86-20
86-60
29+10
60+8
86-10
48+9
64+13

II ვარიანტი
80+1
50+40
50-1
60-20
43+6
30+10
70+9
50-10
50-30
64+14

ერთ მერხთან მსხდომ ორ მოსწავლეს სხვადასხვა ვარიანტი ეძლევა.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავ.№6 მოსწავლეები დაფაზე და რვეულებში ასრულებენ I სვეტის დაგალებას, დანარჩენს კი დამოუკიდებლად.

$$(40+18)-6=52 \quad 90-(50-10)=50 \quad 87-(4+3)=80$$

$$20-(10+9)=1 \quad 40-(30-29)=39 \quad 38-(11-10)=37$$

სავ.№7 მასწავლებელი: – წაიკითხეთ დაგალება. რა უნდა გავაპეთოთ? უნდა აღმოვაჩი

ნოთ კანონზომიერება ბურთულების ორდენობასა და რიცხვებს შორის და გავარკვით, რა უნდა ეწეროს ან ეხატოს ცარიელ უჯრებში.

– დააკვირდით I ნახატს. რას ამჩნევთ?

თუ ბავშვებმა კანონზომიერება ვერ დაინახეს, მაშინ მასწავლებელი კითხვებით მიიფანს დასკვნის ჩამოყალიბებამდე .

– რას ხედავთ I ნახატზე: (2 უჯრას, უჯრის მარცხნივ და მარჯვნივ რიცხვებს და რგოლებს უჯრებში)

– რა რიცხვი წერია უჯრების მარცხნივ? ამოწერე. შემდეგ რა გვაქვს ნახატზე მოცემული? (რგოლები უჯრაში) რამდენია? (4) დაწერე 9-ის შემდეგ. შემდეგ რას ვხედავთ? (რიცხვს) რა რიცხვია? (13). დაწერე 4-ის შემდეგ.

მიიღეს ჩანაწერი:

9 4 13

– როგორც გახსოვთ, რიცხვები იმ თანმიმდევრობით ჩავწერეთ, რა თანმიმდევრობითაც ისინი, ან მათი შესაბამისი საგნებია ნახატზე მოცემული. დააკვირდით ჩანაწერს. რაიმეს თქმა ხომ არ შეგიძლიათ ამ რიცხვებზე? (პირველი ორი რიცხვის ჯამი მესამე რიცხვის ტოლია). დავწეროთ ტოლობა. (წერე: 9+4=13)

– მაშასადამე, უჯრების მარცხნივ დაწერილი რიცხვისა და რგოლების რაოდენობის ჯამი უჯრების მარჯვნივ დაწერილი რიცხვის ტოლია. იქნებ სხვანაირად ჩამოყალიბოთ რიცხვებისა და რგოლების რაოდენობას შორის დამოკიდებულება? (რგოლების რაოდენობა უჯრების მარჯვნივ და მარცხნივ დაწერილი რიცხვების სხვაობის ტოლია. მართლაც, 13-9=4)

– დააკვირდით მომდევნო ნახატს. რას ამჩნევთ? (იქაც იგივე დამოკიდებულებაა რიცხვებსა და რგოლების რაოდენობას შორის: 9+9=18)

– რა რიცხვი უნდა ეწეროს III ნახატზე უჯრების მარჯვნივ „?”-ის ნაცვლად? (უნდა ეწეროს 15, რადგან 8+7=15.)

ანალოგიურად ითვლიან, რომ IV ნახატის მარჯვენა უჯრაში(II სვეტი) ჩახატული უნდა იყოს $17-(9+2)=17-11=6$ რგოლი, V-ს მარცხენა უჯრაში კი: $13-(6+3)=13-9=4$ რგოლი, ხოლო VI-ს მარჯვენა უჯრაში: $14-(5+3)=14-8=6$ რგოლი.

დ/ს სავ. №4 და №6 (II, IIIსვ.)

საშინაო დაგალება სავ.№2, სავ.№5.

გავეთილი №72

მიზნები: 1) ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება. 2) მეწყვილესთან თანამშრომლობის, ჩვენს ცხოვრებაში მათემატიკის ადგილისა და მნიშვნელობის შეფასების, შეკრება-გამოკლების მოდელებით დემონსტრირების უნარების განვითარება.

რვეული გვ.№49-50.

ტესტი №5

ტესტი	№1	№2	№3	№4	№5	№6
პასუხი:	გ	ბ	ა	ბ	ა	გ

შენიშვნაა: ჯერ ტესტს ამოხსნიან, შემდეგ წყვილებში იმუშავებენ.

გაკვეთილი №73


მიზნები: 1) ჯამისთვის რიცხვის მიმატების წესების გამეორება; 2) ტოლობასა და უტოლობაში გამოტოვებული რიცხვებისა და ჩანახატების აღდგენის უნარის განვითარება; 3) შეკრების თვისებების გამოყენებით გამოთვლების გამარტივების, შეკრება-გამოკლების მოდელებით დემონსტრირების უნარების განვითარება; 4) საგნისადმი ინტერესის გაფივება.

მასალა: ჩხირები (სამი ფერის).

გაკვეთილის მსვლელობა.

1) თამაში: „გასაღების პოვნა”

თამაშის მსვლელობა. მასწავლებელი: – ბავშვებო! სტუმარი გვყავს. ის ჩვენთან მატარებლით მოვიდა. (გადაწევს ფარდას და აჩვენებს დაფაზე ან სლაიდზე დახატულ მატარებელს.)



– ვინაა ჩვენი სტუმარი, ჯერ არ ვიცით. ამის გასარკვევად გასაღები გვჭირდება. გასაღები კი ვაგონებზე მიწერილ გამოსახულებებში იმაღლება. ვაგონები არეულადაა ერთმანეთზე მიბმული. ვაგონები უნდა ჩავაბათ გამოსახულებათა მნიშვნელობების ზრდის მიხედვით და გასაღებიც გამოჩნდება. შემდეგ კი გავიგებთ ვინაა ჩვენი სტუმარი.

ითვლიან ვაგონებზე დაწერილ გამოსახულებათა მნიშვნელობებს, ალაგებენ მათ ზრდის მიხედვით. აღმოაჩენენ, რომ მათთან სტუმრად წითელქუდა მისულა.

- ბავშვებო! მგელი უავე მივიდა ბებიასთან. რა მიზნით მივიდა, რა უნდა ბებიასგან?
- რა საშინელებაა! იქნებ ვცადოთ და ბებია გადავარჩინოთ? როგორ? დავიხმაროთ ვინმე. (ვინ?) ამოვხსნათ მაგალითები და გავიგებთ ვის შეუძლია ბებიას გადარჩენა.

დაფაზე წერს საზეპირო მაგალითებს:

$$\begin{array}{llll} \text{ა---- 9--1} & \text{ი---- 4+6} & \text{მ---- 12--9} & \text{დ---- 15--6} \\ \text{ო---- 16--10} & \text{ნ---- 11--4} & \text{რ---- 8+9} & \text{ე---- 20--1} \end{array}$$

ბავშვები გაშიფრავენ ჩანაწერს: „მონადირე”.

– ყოჩაღ, ბავშვებო! თქვენ ბებია გადაარჩინეთ. მონადირემ ყავლაფერი შეიტყო და ბებიას გადასარჩენად გაეშურა.

2) თვალსაჩინოების (ჩხირები) გამოყენებით აჩვენონ თუ როგორ ხდება რიცხვისათვის ჯამის მიმატება და ზეპირად ამოხსნან რამდენიმე მაგალითი. მაგალითად, $10+(2+3)$, $7+5+3$, $8+2+6$ და ა. შ.

3) სახელმძღვანელოს მიხედვით და მასწავლებლის ხელმძღვანელობით გაარჩიონ სავ. №1. მუშაობის დროს ხმამაღლა წაიკითხონ გამოსახულებები.

4) მუშაობას გააგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №6 ზეპირად ამოწმებენ თითოეული ტოლობის სისწორეს, ასაბუთებენ თავის ვარაუდს. ასწორებენ შეცდომებს. წერენ სწორ ტოლობებს.

სავ. №7 ცხრილის I სტრიქონის რიცხვთა ჯამია 18, ამიტომ ყველა სტრიქონის, აგრეთვე, სვეტის რიცხვთა ჯამი უნდა იყოს 18. მაშასადამე, I სვეტის

ცარიელ უჯრაში უნდა ეწეროს 2 და ა. შ. შევსებული ცხრილი იქნება ასეთი:

I დ/ს სავ.№3 (3 გარიანტი – თითო სვეტი თითო რიგს)

II დ/ს რვეული, გვ.4 საგ.№1.

საშინაო დავალება სავ.№8 (III და IV სტრიქონები), რვეული, II ნაწ., საგ.№2.

7	8	3
2	6	10
9	4	5

გაპვეთილი №74

მიზნები: 1) ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების შეკრების წესის შესწავლა და ამოცანების ამოხსნაში მისი გამოყენების უნარის განვითარება; 2) ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების რაიმე ნიშნით დაჯგუფების უნარის, სივრცითი წარმოდგენების განვითარება.

გაპვეთილის მსგლელობა

მასწავლებელი დაფაზე 3-ის ჯერადი რაოდენობის სამკუთხედს ხაზავს არეულად და სოხოვს მოსწავლებს, რომ სამკუთხედები სამეულებად დააჯგუფონ და სამკუთხედების რაოდენობა 3-ის ტოლი ბიჯით დათვალონ.

შემდეგ წრების ხაზავს, აწყვილებინებს და 2-ის ტოლი ბიჯით ათვლევინებს. სამკუთხედებს ან წრებს მასწავლებელი 5-ის ჯერად რაოდენობამდე შეავსებს და ხუთეულებად აჯგუფებინებს, შემდეგ კი ხუთეულებად ათვლევინებს.

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოში და რვეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავ. №1 მასწავლებელი ერთ რიგს დაავალებს, წაიკითხონ, გაანალიზონ და ჩამოაყალიბონ როგორ გამოთვალა გიორგიმ 8-ისა და 5-ის ჯამი, II რიგს – თამარის გამოთვლებს მისცემს, ხოლო III რიგს დათოს გამოთვლებს. თითო რიგიდან თითო მოსწავლე გამოდის დაფასთან და ხსნის თავის მოფიქრებულ მსგავს მაგალითს კომენტარებით.

სავ. №2 (ზეპირად პასუხობენ) მასწავლებელი: – დააკვირდით ხაზის ქვემოთ შესრულებულ ჩანაწერს. რას ამჩნევთ? (I შესაკრები ათვეულებამდე ივსება)

იპოვიან საძიებელ რიცხვებს და ზეპირად დაასახელებენ ჯამს, რომელიც ხაზს ზემოთ წერია.

სავ. №3 I სვეტს ხსნიან დაფაზე -კომენტარებით. დანარჩენ სამ სვეტს ხსნიან ზეპირად.

დ/ს სავ.№5 (2-2 მაგალითი თითო რიგს).

საშინაო დავალება სავ.№4, №8 (2 სვეტი), რვეული, საგ.№2.

გაპვეთილი №75

მიზნები: 1) მიღებული ცოდნის განმტკიცება ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების შეკრებაზე, ნატურალური რიცხვების ნუმერაციაზე. 2) ნახატის მიხედვით საგანთა რაოდენობასთან რიცხვების შესაბამისობის დადგენის უნარ-ჩვევების გამომუშავება/განვითარება.

გაპვეთილის მსგლელობა

მასწავლებელი (წინასწარ დაფაზე დახატულ კლიტეზე): – თქვენ ხედავთ გასაღების ფორმის ციხე-სიმაგრეს, რომელიც დევს ეკუთვნის. მის შესასვლელ კარზე გეომეტრიული ფიგურები გარკვეული წესითა განლაგებული. ციხე-სიმაგრის კარი ორი შავი წრეა. დევს მზეთუნახავი ჰყავს ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილი. ახლა დევს სახლში არა. ვცადოთ მზეთუნახავის ტყვეობიდან გამოხსნა. (როგორ?) ძალიან მარტივად. თუ თქვენ გამოიცნობთ, რა ფიგურები უნდა ეხატოს ორი შავი წრის ნაცვლად,



მზეთუნახავი გათავისუფლდება. (მოსწავლეები იმსჯელებენ და დაადგენენ, რომ შავი წრის ნაცვლად II სტრიქონში ოთხეუთხედი უნდა ეხატოს, ხოლო III-ში – სამცუთხედი მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოში და რეკულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №1 – როგორი რიცხვების შეკრებაა შესრულებული? რას აღნიშნავს ნახატის მიხედვით რიცხვი 18? 3? ახსენი, როგორაა შეკრება შესრულებული I მაგალითში.

– რით განსხვავდება I მაგალითი II მაგალითისაგან? (ჯამის გამოთვლის გზით)

– ახსენი, როგორაა შეკრება შესრულებული II მაგალითში.

ანალოგიურად იმსჯელებენ ჯამზე: 37+8.

ამის შემდეგ ხსნიან სავ.№5, შემდეგ კი ამოცანებს: №2, №3

სავ. №3 ადგენენ გამოსახულებას და ითვლიან გამოსახულების მნიშვნელობას. შეიძლება ზოგმა მოსწავლემ დაწეროს გამოსახულება: 18+9, ზოგმა კი 9+18 აუცილებლად უნდა იმსჯელონ იმაზე, რომ $18+9=9+18$. ამასთანავე, უნდა ახსნან, თუ რომელი წესით გამოთვლიან გამოსახულების მნიშვნელობას: ჯამისთვის რიცხვის მიმატების, თუ რიცხვისთვის ჯამის მიმატების წესით.

სავ. №6 იხილავენ ყველა შემთხვევას, თუ რა ციფრი შეიძლება ეწეროს „*“ის ნაცვლად, რათა სწორი ტოლობა მიიღონ.

$3* < 31$ ჩანაწერში „*“-ს მხოლოდ 0-ით შევცვლით, რადგან 31-ზე ნაკლები რიცხვი, რომელიც 3 ათეულს შეიცავს, მხოლოდ 30-ია.

$82 > 8*$ ჩანაწერში „*“-ის ნაცვლად შეიძლება ეწეროს 0 ან 1, რადგან 82-ზე ნაკლები 8 ათეულის შემცველი რიცხვებია მხოლოდ 80 და 81.

$88 < *8$ ჩანაწერში „*“-ს მხოლოდ 9-ით შევცვლით, რადგან 88-ზე მეტი ორნიშნა რიცხვი, რომლის ერთეულების თანრიგში 8 წერია, არის 98.

სავ. №7 დავაზე კომენტარებით და რვეულებში დამოუკიდებლად ხსნიან I სვეტის მაგალითებს, ხოლო დანარჩენს – დამოუკიდებლად

დ/ს სავ.№7.

საშინაო დაგალება სავ.№4, რვეული გვ.5, სავ.№1, 2.

გაკვეთილი №76



მიზნები: 1) ცოდნის განმტკიცება ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების შეკრებაზე (ოცეულზე გადასვლით); 2) გამოსახულების შედგენისა და მასში ფრჩხილების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება/ჩამოყალიბება; 3) თანამშრომლობის უნარის განვითარება.

გაკვეთილის მსვლელობა

მასალა: 2 ნახატი

თამაში: „შეადგინე ამოცანა ნახატის მიხედვით“

მასწავლებელს გამზადებული აქვს ნახატები.



მოსწავლეებს სთავაზობს ამოცანების შედგენას ნახატების მიხედვით.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ


სავN1 ამოცანის ამოხსნით იმეორებენ „-ით მეტობა”-ს და ამოცანის მოკლე ჩანაწერის შესრულებას. ამოცანის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი ეხმარება ამოცანის

შინაარსის გარკვევაში. დაფაზე წერს სიტყვებს: „ერთ ყუთში”, „მეორე ყუთში”. ამ ჩანაწერს მოსწავლეები დაასრულებენ.

$$\begin{array}{c} \text{ერთ ყუთში} - 75 \text{ ნამც.} \\ \text{მეორე ყუთში} - 10\text{-ით მეტი, ?} \end{array}$$

მასწავლებელი: – მაშასადამე, ვიცით რამდენი ნამცხვარია ერთ ყუთში და მასზე რამდენით მეტი ნამცხვარია მეორე ყუთში. როგორ შეიძლება გავიგოთ რამდენი ნამცხვარია მეორე ყუთში? ($75+10=85$)

ზოგიერთმა შეიძლება ამოცანა სქემის გამოყენებით ამოხსნას. სასურველია იმსჯელონ ამ გზით ამოხსნაზეც.



სავN2 მასწავლებელი: – დააკვირდით დილებს. ნახეთ, მხატვარს ჩვენთვის უზრუნია, რომ დილები ადვილად დავითვალოთ. ვინ მიხვდება რას ვგულისხმობ ამ ზრუნვასა და ადვილად დათვლაში? (დილები ათეულებადად დალაგებული)

– რამდენია წითელი დილი? (60) ლურჯი? რამდენი დილია ნახატზე? ($60+12=72$)

სავN5 მასწავლებელი: – დააკვირდით ჩანაწერებს ტოლობის ნიშნის მარცხნივ და მარჯვნივ. რა წესითაა შესრულებული შეკრება? (მარცხნა გამოსახულების პირველი ორი შესაკრების ნაცვლად მარჯვნივ მათი ჯამი, ანუ 10 წერია. შეგვიძლია თუ არა ის ნაცვლად აღვაღინოთ ტოლობებში საჭირო რიცხვები?

მოსწავლეები წერენ შესაბამის ტოლობებს. $9+1=10+6$, $8+2+7=10+7$, $6+4+5=10+5$.

სავN8 რა არის უცვლელი ტოლობის ორივე ნაწილში? (რიცხვი 9) რა შეიცვალა? რით შეიცვალა? (10-ით.) რა უნდა ეწეროს ფრჩხილებში? ($7+3$) დავწეროთ. რა წესს ვიყენებთ? ჩამოაყალიბეთ თქვენი სიტყვებით.

ასე აგრძელებენ მუშაობას I სესხზე.

წყვილებში მუშაობისას ერთი მოსწავლე ამზადებს მაგალითებს მეორესთვის. მაგალითებს გაცვლიან და ერთმანეთს შეუმოწმებენ.

დ/ს რეზულტ სავN2.

საშინაო დაგალება სავN4, სავN8 (II და III სესხები).

გამჭვივლითი №77

მიზნები: 1) ორნიშნა რიცხვების შეკრება (ოცეულზე გადასვლით) 2) უცნობი

კომპონენტის პოვნის უნარის განვითარება; 3) რიცხვის ათობით პოზიციურ სისტემაში ჩაწერის შესახებ ცოდნის განმტკიცება. 4) აზროვნების უნარის განვითარება.

მასალა: კროსვორდი, ჩხირები.

გაკვეთილის მსვლელობა

1) კროსვორდი

- სტრიქონებში:
1. წრფის ნაწილი
 2. ქართული ფულის საზომი ერთეული
 3. სამკუთხედის ელემენტი
 4. რიცხვი, რომელსაც შეკრების შედეგად ვდებულობთ
 5. ყველაზე პატარა ორნიშნა რიცხვი
 6. რიცხვი, რომლის მიმატება-გამოკლება არაფერს ცვლის
 7. გაზაფხულის თვე

1			
2			
3			
4			
5			
6			
7			

2) შეკრება-გამოკლების მოქმედებათა ურთიერთკავშირი.

მოცემული ტოლობის გამოყენებით გაიგეთ რა რიცხვი უნდა ეწეროს „*”-ის ნაცვლად

$$\begin{array}{llll} 25+15=40 & 50-12=38 & 40-*=15 & 12+*=50 \\ 40-*=25 & 50-*=12 & 25+*=40 & *+38=50 \end{array}$$

3) ახალი მასალის ახსნას მასწავლებელი სავ.№1-ის განხილვით იწყებს. რიცხვების შეკრებას თვალსაჩინოების გამოყენებით ასრულებენ. ჩეირები წინასწარ ათეულებად შეკრული უნდა პქნდეს. უმჯობესია ორი ფერის ჩეირის გამოყენება. კერძოდ, 35 ჩეირი იყოს ერთი ფერის და 56 – სხვა ფერის. მაგალითის განხილვის, შეკრების შესაბამისი წესის გაცნობის შემდეგ დაფაზე და რვეულებში ასრულებენ ამავე ნომრის შეკრების 9 მაგალითს. რის შემდეგაც განმტკიცების I ეტაპზე დამოუკიდებლად ხსნიან სავ.№2-ს, ხოლო II ეტაპზე სავ.№3-ის I ორი სვეტის 2-2 მაგალითს, რიგების მიხედვით.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №2 მასწავლებელი: – რა მოქმედება უნდა შევასრულოთ რიცხვის რამდენიმე ერთეულით გასადიდებლად? (შეკრება) რამდენით უნდა გავადიდოთ 25? 33? 44? რა ტოლობებს დაგვწერთ? ამოხსენით დამოუკიდებლად.

საშინაო დავალება სავ. №3 (ბოლო ორი სვეტი); რვეული, სავ. №1.

გაკვეთილი №78–80

მიზნები: 1) მიღებული ცოდნის განმტკიცება ა) ორნიშნა რიცხვების შეკრების ბ) 0-ის თვისებების შესახებ; 2) პიქტოგრამის აღწერის, მონაცემთა დაჯგუფებისა და დალაგების უნარების განვითარება; 3) ფიგურების საერთო საზღვრისა და საერთო წერტილის მონახვის, შეკრება-გამოკლების მოქმედებების ადეკვატურად გამოყენების უნარების განვითარება; 4) ლოგიკური აზროვნების განვითარება.

სასურველია, მოცემული გაკვეთილების დასაწყისში გამოიყენონ უპე ნაცნობი ა) თამაში „იპოვე შეცდომა”, ბ) ესტაფეტა, გ) დასარიგებელი ბარათები.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

გაპვ. №79 სავ. №10 მასწავლებელი: –დაილაგეთ მერჩე 20 ჩეირი.

– ამოცანის პირობიდან შეგვიძლია რაიმე დასკვნის გამოტანა ვაშლებისა და მსხლების რაოდენობაზე? (ტოლია) მანდარინზე?

– აიღეთ 5 ჩეირი, ანუ გამოაკელით ხილის საერთო რაოდენობას 5 მანდარინი. რამდენი დარჩა სამივე სახის ხილი? (15)

– რა შეგიძლიათ თქვათ დარჩენილ გროვაში ვაშლების, მსხლებისა და მანდარინების რაოდენობების შესახებ? (ვაშლები და მსხლები თანაბარი რაოდენობითაა, ზედმეტი 5

მანდარინი ავიდეთ (მოვაკელით) ე.ი. მანდარინები, მსხლები და ვაშლები, ყველა თანაბარი რაოდენობით დარჩა.)

– რამდენია ყველა ერთად? (15) ჩეირი რამდენი დაგრჩათ? (15) რამდენი სახის ხილია? (3) სამ ტოლ გროვად დაყავით ჩეირები (ხილი). (ყოფენ. თითო გროვაში რიგ-რიგობით დებენ თითო ჩეირს.)

– რამდენი ჩეირი გაქვთ თითოეულ გროვაში? (5).

– რამდენი ყოფილა მსხალი? (5) ვაშლი? (5) მანდარინი? (10) ჩამოაყალიბეთ პასუხი. (თევზებზე 5 მსხალი, 5 ვაშლი და 10 მანდარინია.)

გაკვ. №80. სავ. №3 მასწავლებელი (ამოცანის წაკითხვისა და გააზრების შემდეგ):


– მოცემული ციფრებიდან რომელი უნდა ავირჩიოთ შესაძლო უდიდესი ორნიშნა რიცხვის ჩასაწერად? (6 და 7).

– რა რიცხვებს ჩავწერთ ამ ციფრებით? (67 და 76)

– რომელია ამათგან მეტი? (76) რატომ? (76 შედგება 7 ათეულისა და 6 ერთეულისაგან, ხოლო 67 კი 6 ათეულისა და 7 ერთეულისაგან. რადგან 7ათ. მეტია 6ათ-ზე, ამიტომ 76>67.) ანალოგიურად შეარჩევენ ციფრებს შესაძლო უმცირესი რიცხვის (20) ჩასაწერად და გამოითვლიან ჯამს: $76+20=96$.

გაკვ. №80. სავ. №6 ადგენენ სქემას.

სავ. №8 პასუხი: а) $21-1=20$; ბ) $21-10=11$.



გაპვეთილი 81-84

მიზნები: 1) ორნიშნა რიცხვების შეკრების შესახებ მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცება; 2) გეომეტრიული ფიგურების, ეროვნული ფულის ნიშნების ამოცნობისა და გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება; 3) საგანთა ჯგუფების განლაგებაში კანონზომიერების ამოცნობისა და დალაგების წესის განმარტების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

გაკვეთილი №81, სავ. №9. საგნების გადათვლა არაა საჭირო, თუ ვიცით რომელ ყუთში რამდენი ფანქარია და შეგვიძლია რიცხვებით ოპერირება, ამას რომ მოსწავლე მიხვდეს, კითხვები უნდა დაგუსვათ ისეთი, რომ აზროვნება, მსჯელობა დასჭირდეთ და დროც უნდა მივცეთ ამისთვის. პასუხის გაცემას მაშინვე ნუ მოვთხოვთ, ჯერ დამოუკიდებლად სცადონ პრობლემის გადაჭრა. სქემას უნდა დააკვირდნენ. მერე ვნახოთ, სხვადასხვა ხერხს გამოიყენებენ თუ არა და რა ხერხს (დათვლიან, შეკრებენ თუ სხვა); გეითხოთ, რატომ აირჩია ეს ხერხი? რატომ ფიქრობს, რომ ეს ხერხი უკეთესია სხვებზე? თუ მცდარი ან რთული ხერხი აირჩიეს, მერე გაამახვილოს მასწავლებელმა ყურადღება მინიშნებაზე (ეს ასწავლის ბავშვებს, რომ ყურადღებით დააკვირდნენ ამოცანის პირობას, ნახატს, გამოსახულებებს); ის, რომ ბავშვი გაიმეორებს მასწავლებლის მითითებას, სულაც არ ნიშნავს, რომ მისთვის საკმარისია გაიაზროს რა გააკეთა. მეტყველებაში მოქმედების გაშლა ეხმარება არსის ობიექტივაციაში, არსებითზე ყურადღების კონცენტრაციაში და გააზრებით, არგუმენტირებული მოქმედების დამახსოვრებაში. **გაკვ. №82, სავ. №10** მასწავლებელი: –დააკვირდი წრეებსა და რიცხვებს შორის შესაბამისობას სვეტებში. რას ამჩნევთ? (ცხრილის ნებისმიერ უჯრაში წრეების რაოდენობა მის ქვემოთ დაწერილი რიცხვის ათეულებს შეესაბამება.)

– რა რიცხვებია გამოტოვებული II სტრიქონში?

– რამდენი წრე აკლია ცხრილის IV სვეტს? (6, რადგან 60 შედგება 6 ათეულისაგან).

– რა ჩასაწერი აკლია ცხრილის V სვეტს? და ა.შ.

გაპვ№83, სავ№9 მართკუთხედის ფორმის ოთახში 8 სკამი მოცემული სქემის მიხედვით განლაგდება. თითოეულ კედელთან 3 სკამი დგას.



გაპვთილი №85

მიზნები: 1) მეტყვილესთან თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; 2) ორნიშნა რიცხვების შეკრების შესახებ მიღებული ცოდნისა და შეკრებისა და მისი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ უნარ-ჩვევების შემოწმება.

ტესტი №6

ტესტი	№1	№2	№3	№4	№5	№6
პასუხი:	δ	δ	δ	δ	δ	δ

გაპვთილი №86

მიზნები: 1) ცოდნის გაღრმავება თემებზე: ა) ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების შეკრება (როდესაც ერთეულების ჯამი 10-ზე მეტია); ბ) რიცხვის თანრიგობრივი შედგენილობა;

2) შეკრებისა და გამოკლების მოქმედებების გამოყენებით ამოცანების ამოხსნაში გაწავგა;

3) გეომეტრიული ფიგურების შესახებ ცოდნის გაღრმავება.

გაპვთილის მსვლელობა

საშინაო დავალების შემოწმებისა და ზეპირი ანგარიშის (ზეპირად ხსნიან, მაგალითად, 8+(2+5) სხვადასხვა ხერხით.) შესრულების შედეგი, გაკვეთილი სახელმძღვანელოს მიხედვით მიმდინარეობს. თვალსაჩინოების გამოყენებით ასრულებენ მოქმედებებს: 18+5, 18-5 და 28+5. აყალიბებენ დასკვნებს. იხილავენ ამ მაგალითების მსგავსებასა და გან-

სხვავებას, აანალიზებენ პასუხში მიღებულ განსხვავებებს და გამოაქვთ დასკვნები.

ომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ№6 რა ნიშნით შეიძლება მოცემული რიცხვების ორ ჯგუფად დაყოფა? (მაგ. ერთ ჯგუფში გავაერთიანებთ რიცხვებს, რომელთა ათეულების თანრიგში წერია ციფრი 3, II-ში კი რიცხვებს, რომელთა ათეულების თანრიგში წერია ციფრი 8.)

სავ№8 მასწავლებელი: -რა ციფრით შეიძლება დავიწყოთ ორნიშნა რიცხვის ჩანაწერი? (1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9)

- რა პირობა უნდა შესრულდეს? (ერთეულების თანრიგში მდგომი ციფრი 2-ით მეტ რიცხვს უნდა გამოსახავდეს, ვიდრე ათეულების თანრიგში მდგომი ციფრი.)

- თუ ათეულების თანრიგში ეწერება ციფრი 1, რა ციფრი უნდა ეწეროს პირობის მიხედვით ერთეულების თანრიგში? (1+2=3) რა რიცხვი მივიღეთ? (13)

- თუ ათეულების თანრიგში ეწერება ციფრი 2, რა ციფრი უნდა ეწეროს ერთეულების თანრიგში? (2+2=4) რა რიცხვი მივიღეთ? (24)

რიცხვებს ასე წერენ: 35, 46, 57, 68, 79. მსჯელობენ მოცემული პირობის მიხედვით

ათეულების თანრიგში 8-იანისა და 9-იანის ჩაწერის შეუძლებლობაზე.

რა თქმა უნდა, მოცემულ კითხვათა სისტემას იმ შემთხვევაში გამოიყენებს მასწავლებლი, როდესაც დაინახავს, რომ მოსწავლე ვერ ასრულებს დავალებას.

დ/ს სავ№4.

საშინაო დავალება სავ№5, სავ№8.

გაპვთილი №87

მიზნები: 1) ორნიშნა რიცხვების შეკრების (თანრიგობრივი შეკრება ათეულზე გადასვლით) წესის გაცნობა; 2) ცოდნის განმეტყველა თრნიშნა რიცხვების შეკრების შესახებ, როდესაც ერთეულების ჯამი 10-ზე მეტია; 3) მოკლე ჩანაწერის მიხედვით

ამოცანის შედგენის უნარის ჩამოყალიბება; 4) გამოთვლების ჩვევების გაუმჯობესება;
5) ანალიზისა და მსჯელობის უნარების განვითარება.

მასალა: ათეულებად შეკრული ჩხირების კონები (100 ერთეული), ბარათები.

გაკვეთილის ტიპი: ახალი მასალის ახსნა

მოსწავლეს უნდა შეეძლოს

- ყველა ერთიში და ორნიშნა რიცხვების ჩაწერა და წაკითხვა;
- რიცხვის წარმოდგენა ოცეულებისა და 20-ზე ნაკლები ერთეულების, აგრეთვე, თანრიგობრივ შესაკრებთა ჯამის სახით.
- ამოცანების ამოხსნის შესახებ თავისი მოსაზრების ჩამოყალიბება/გადმოცემა;

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი - - - - - 2 წთ

II. ზეპირი ანგარიში (ცოდნის აქტუალიზაცია) - - - - - 7 წთ

1) იხსენებენ ერთიში რიცხვების შეკრებას (ათეულზე გადასვლით)
ხსნიან მაგალითებს:

6+7 5+9 4+8 2+9 9+4 8+5 7+8 6+6 5+7 3+8 4+7

მასწავლებელი: – როგორ შეგვრიბოთ 7 და 6? (ჯერ 7-ს მივუმატოთ 3, მივიღებთ 10-ს, შემდგა 10-ს მივუმატოთ 3, მივიღებთ 13-ს.)

– რატომ მიუმატე 7-ს 3 და არა რომელიმე სხვა რიცხვი? (7 შევავს 10-მდე)
მსჯელობენ დანარჩენი ჯამების გამოყვლაზე.

2) მასწავლებელი: – გავიხსენოთ როგორ ვკრებდით ათეულებს.

მაგალითად, რას უდრის 20-ისა და 50-ის ჯამი? 30-ისა და 50-ის? 40-ისა და 60-ის?

ზეპირად ამოხსნიან სავ.№1-ის და №2-ის მაგალითებს. მოპასუხებ უნდა ახსნას როგორ ითვლის მაგალითად, 20+30 ჯამს (2 ათეულს უმატებს 3 ათეულს და შედეგად 5 ათეულს, ანუ 50-ს დაბულობს.)

3) მასწავლებელი: – წარმოადგინე თანრიგობრივი შესაკრებების ჯამის სახით
რიცხვები: 15, 86, 37, 29, 71, 42, 63, 59, 95.

III. გაკვეთილის თემის გაცნობა, მიზნის განსაზღვრა - - - - - 4 წთ

– როგორ გამოვითვალოთ 57+22? ითვლიან და განმარტავენ თუ როგორ ითვლიან.
გამოითვლიან რამდენიმე მსგავს ჯამს. მაგალითად, 33+11 47+12 65+14 83+15.

მასწავლებელი სვამს კითხვებს, კომენტარებს უკეთებს პასუხებს.

– წაიკითხეთ

37+12	82+17	42+19*
35+27*	23+42	61+9
82+12	65+19*	47+16

– წაიკითხეთ მაგალითები. დააკვირდით და განმარტეთ, რატომაა თითოეულ სვეტში გამოსახულებები „*-ით მონიშნული? რით განსხვავდებიან მონიშნული ჯამები სვეტის დანარჩენი ჯამებისაგან??

– დღეს უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ შეგვრიბოთ ორნიშნა რიცხვები ათეულზე დაყრდნობით ანუ თანრიგობრივად.

IV. ახალი მასალის ახსნა - - - - - 10 წთ

– განვიხილოთ სავ.№3. მოცემულია ნიმუში, თუ როგორ გამოვთვალოთ 56+37 ჯამი. გადავწეროთ დაფაზე მაგალითი 56+37. ეს შეკრება ჯერ ჩხირებზე შევასრულოთ. შეადგინეთ ჩხირებით რიცხვი 56.

– ჩხირების რამდენი კონა (ათეული) და ერთეულებად დაშლილი რამდენი ჩხირი გაქვთ ხელში? (5 კონა და 6 ჩხირი)

– ახლა 37 ჩხირი აიღეთ. რამდენი კონა (ათეული) და ერთეულებად დაშლილი რამდენი ჩხირი გაქვთ ხელში? (3 კონა და 7 ჩხირი)

– როგორ შეკრებთ 56 ჩხირსა და 37 ჩხირს? (ჯერ კონტას შევპრებთ, შემდეგ ერთეულებად დაშლილ ჩხირებს) ანუ ჯერ ათეულებს - 50-სა და 30-ს შევპრებთ, მივიღებთ 80-ს. შემდეგ კი 6-სა და 7-ს შევპრებთ, მივიღებთ 13-ს.)

– ამის შემდეგ რა მოქმედებას შეასრულებთ?. (შევკრებთ 80-სა და 13-ს)

– დააკვირდით სახელმძღვანელოში მოცემულ ნიმუშს და ახსენით როგორაა გამოთვლილი ჯამი: 56+37. რის მიხედვითაა ზოგიერთი ციფრი წითელი ფერით მოცემული?

ნიმუშის განხილვის შემდეგ გამოითვლიან ამავე სავარჯიშოში მოცემული პირველი ორი სვეტის ჯამებს. ითვლიან სვეტის I ჯამს და დანარჩენ ჯამებს ზეპირად ასახელებენ. მასწავლებელი აკვირდება მაგალითების ამოხსნის პროცესს დაფაზეც და რვეულებშიც. აძლევს შეკითხვებს, კომენტარებს, კორექტირებას უკეთებს პასუხებს.

უმოწმებს ნამუშევრებს, საჭიროების შემთხვევაში ემარება, ბოლოს სთხოვს ახსნან, რატომ ჰქვია რიცხვების შეკრების ამ ხერხს თანრიგობრივი.

V. პირველადი განმტკიცება - - - - 10 წთ

მუშაობენ სავN3-ის ყველა მაგალითზე (ერთი დაფასთან მუშაობს, დანარჩენები რვეულებში).

VI. დ/ს (ორ ვარიანტად, ბარათებით)

I ვარიანტი	II ვარიანტი
გამოთვალება:	გამოთვალება:
13+78	34+57
26+28	45+29

დროის ეკონომიის მიზნით, უმჯობესია, მაგალითები უჯრიან ფურცელზე იყოს დაწერილი და ბავშვებმა მასზე იმუშაონ. მოსწავლეები ფურცლებს აწრენ თავიანთ გვარ-სახელებს და დავალების შესრულების შემდეგ ნამუშევრებს ერთმანეთს შეუმოწმებენ. აღნიშნულ შეცდომებს დაფიქსირებენ, რომელთაც დაფაზე გაასწორებენ. ნაწერებს კი მასწავლებეს ჩააბარებენ.

VII. განმტკიცება. ამოცანების ამოხსნა - - - - 9 წთ

ამოცანებს ხსნიან სახელმძღვანელოდან, მოკლე ჩანაწერის გამოყენებით.

VIII. შედეგების შეჯამება - - - - 2 წთ

– რა ვისწავლეთ დღეს?

– ჩამოვაყალიბოთ როგორ შევკრიბეთ 56 და 37. (ათეულები ცალკე შევპრიბეთ, ერთეულები ცალკე. მიღებული შედეგები მივუმატეთ ერთმანეთს.)

– რა ჰქვია შეკრების ასეთ ხერხს?

– განსაკუთრებით რამ დაგაინტერესათ? რა მოგეწონათ?

– რა ხარვეზი აღმოაჩინეთ?

– რა არის აუცილებელი იმისათვის, რომ თანრიგობრივი შეკრება სწორად შეასრულოთ? (ერთნი: ერთნიშნა რიცხვების შეკრების ცხრილის კარგი ცოდნა, მეორენი: ათეულებისა და ოცეულებისათვის რიცხვის მიმატების ცოდნა)

IX. საშინაო დავალება სავN6 და სავN8 - - - - 1^წთ

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავN9 მასწავლებელი ჯერ ჰქონდარიუმზე ესაუბრება მოსწავლეებს, შემდეგ კი მოკლედ წერენ და ხსნიან ამოცანას.

სავN10 მასწავლებელი (ამოცანის წაკითხვის შემდეგ) – ვიცით, რომ ალექსანდრემ გიგის 15 ლარი ასესხა, თავისთვის კი 17 ლარი დაიტოვა. რა შეიძლება ამით გავიგოთ? (რამდენი ლარი ჰქონდა ალექსანდრეს თავდაპირველად) რა მოქმედება უნდა შევასრულოთ? (შეკრება: 15+17=32)

– ალექსანდრეს თავდაპირველად 32 ლარი ჰქონდა. ამით რა შეიძლება გავიგოთ? (რამდენი ლარი ჰქონდა გიგის თავდაპირველად? ალექსანდრესა და გიგის თავდაპირველად ტოლი რაოდენობის თანხა ჰქონდათ. ე.ი. თავდაპირველად გიგისაც 32 ლარი ჰქონდა). რამდენი ლარი აქვს გიგის ახლა? (32+15=47. გიგის ახლა 47 ლარი აქვს).


გაპვეთილი №88-91

მიზნები: 1) ცოდნის განმტკიცება ორნიშნა რიცხვების შეკრების შესახებ; 2) გამო-
თვლითი უნარების გაუმჯობესება; 3) ატრიბუტების მიხედვით ბრტყელი გეომეტრიული
ფიგურების ამოცნობისა და დაჯგუფების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება/განვითარება; 4)
რიცხვთა მოცემულ განლაგებაში მათი დალაგების წესის ამოცნობისა და განმარ-
ტების, გამოტოვებული პოზიციების შევსების უნარების განვითარება; 5) ლოგიკური
აზროვნების განვითარება; 6) დიალოგში მონაწილეობის, სხვათა აზრის მოსმენის,
საკუთარი აზრის დაფიქსირებისა და დაცვის უნარების სრულყოფა; 6) სწავლისადმი
ინტერესისა და მოტივაციის ამაღლება; 7) უფროსებთან და თანატოლებთან
თანამშრომლობის უნარ-ჩვევების განვითარება.

გაპვეთილის მსგლელობა

(მასწავლებლი რესურსებს სურვილისა და საჭიროების მიხედვით გამოიყენებს)

1) მასწავლებელს დაფაზე გამზადებული აქვს ნახაზები:



მასწავლებელი თითოეული ნახაზის მიხედვით სვამს კითხვებს გეომეტრიული ფიგურების ამოცნობაზე, რაოდენობრივ ნიშნებზე, თანმიმდევრობაზე, განლაგების წესზე და
ა.შ. მაგალითად,

– რა ფიგურებს ხდავთ №1 ნახაზე? რას ამჩნევთ მათ განლაგებაში?

– რა იქნება შემდეგი ორი ფიგურა?

მოსწავლეები განმარტავენ ფიგურების საშუალებით წარმოდგენილ პერიოდულ განლაგებას, ასახელებენ მომდევნო ფიგურებს.

2) მასწავლებელმა დავალების შემოწმების შემდეგ სახელმძღვანელოს მასალის გან-
ხილვამდე უნდა შემოიტანოს ქვემოთ მოცემული ტიპის მარტივი ამოცანები (მასწავ-
ლებელი სურვილის მიხედვით გაანაწილებს 4 გაპვეთილზე):

- ჩავიფიქრე რიცხვი. თუ ჩაფიქრებულ რიცხვს 11-ს მივუმატებ, 19-ს მივიღებ. რა რიცხვი ჩამიტიქრებია?
- ჩემი ამოცანა როგორ ჩავწეროთ მათემატიკურად? (წერენ: $?+11=19$)
- რა რიცხვს უნდა მივუმატოთ 20, რომ 36 მივიღოთ? (წერენ: $?+20=36$)
- რა რიცხვი უნდა მივამატოთ 9-ს, რომ 18 მივიღოთ? (წერენ: $9=?+18$)
- ბუფეტში 28 ფუნთუშა მიიტანეს. I დასვენების შემდეგ 8 ფუნთუშა დარჩა გასაყიდო.
რამდენი ფუნთუშა გაიყიდა I დასვენებაზე?

მასწავლებელმა უნდა მიიყვანოს მოსწავლეებთან საუბარი იქამდე, რომ მათ თვითონ
გამოიტანონ დასკვნა: „ამ ამოცანის ამოხსნა ფაქტიურად პასუხია კითხვაზე: „რა
რიცხვი უნდა გამოვაკლოთ 28-ს, რომ 8 მივიღოთ?”

სასურველია, შემდეგ სხვა სიმბოლოთი შეცვალონ „?” ნიშანი, მაგალითად „*”.

- რამდენი ერთულით უნდა გავადიდოთ 40, რომ 46 მივიღოთ? (წერენ: $40+*=46$)
 - რა რიცხვი უნდა გავადიდოთ 30-ით, რომ 40 მივიღოთ? ($*+30=40$)
- ამ ამოცანების ამოხსნისას ხდება უცნობი შესაკრების განსაზღვრა ჯამისა და ერთი
შესაკრების გამოყენებით.
- როდესაც ყუთში 20 ვაშლი ჩადეს, მათი რაოდენობა 35-ს გაუტოლდა. რამდენი ვაშ-
ლი იდო ყუთში თავდაპირველად? ($*+20=35$)

ამოცანის ამოხსნის შემდეგ მასწავლებელმა უნდა შეუცვალოს პირობები: უკთში 15 გაშლი იდო. მასში კიდევ რამდენიმე გაშლი ჩადეს და მათი რაოდენობა 40-ს გაუტოლდა. რამდენი გაშლი ჩადეს უკთში? (წერებ: $*+15=35$)

ამოხსნების გაანალიზების შემდეგ მოსწავლეები ხედავენ, რომ საძიებელი შესაკრები ჯამისაგან ცნობილი შესაკრების გამოკლების გზით უნდა გამოვალონ.

- ავტობუსში 20 მგზავრი იყო. როდესაც გაჩერებაზე რამდენიმე მგზავრი ჩავიდა, ავტობუსში 16 მგზავრი დარჩა. რამდენი მგზავრი ჩავიდა?
- მატარებლის ვაგონში 20 მგზავრი იყო. როდესაც გაჩერებაზე რამდენიმე მგზავრი ამოვიდა, მათი რაოდენობა 27-ს გაუტოლდა. რამდენი მგზავრი ამოვიდა გაჩერებაზე? ($20+*=27$)

ამ ტიპის ამოცანები მასწავლებელმა საზეპირო ამოცანების სახით ხშირად უნდა გამოიყენოს, რათა კარგად დაინახონ შეკრება-გამოკლების მოქმედებებს შორის ურთიერთგავშირი, გამოუმუშავდეთ უცნობი კომპონენტების პოვნის უნარი და მოქმედონო ორნიშნა რიცხვების გამოკლების ასათვისებლად.

ამოცანების გარდა უნდა იმუშაონ უცნობი კომპონენტების ან მოქმედებათა ნიშნების აღდგენის შემცველ მარტივ ტოლობებზე, რასაც მასწავლებელი დაფაზე დაწერილს ახვედრებს მოსწავლეებს. მაგალითად,

$$\text{ა) } \begin{array}{r} 18 \dots \boxed{} = 15 \\ 16 \dots \boxed{} = 19 \end{array} \quad \begin{array}{r} 12 \dots \boxed{} = 18 \\ 11 \dots \boxed{} = 17 \end{array} \quad \begin{array}{r} 12 \dots \boxed{} = 12 \\ 8 \dots \boxed{} = 15 \end{array}$$

$$\text{ბ) } \begin{array}{rrr} 4 \dots 6 \dots 2 = 8 & 5 \dots 4 \dots 6 = 3 & 7 \dots 8 \dots 9 = 6 \\ 3 \dots 7 \dots 5 = 5 & 8 \dots 2 \dots 6 = 12 & 9 \dots 5 \dots 6 = 10 \end{array}$$

3) მოსწავლეები დიდი ხალისითა და ინტერესით ხსნიან თამაშის სახით შეთავაზებულ მსგავს ამოცანებს. მაგალითად, **თამაში:** „აბა, გამოიცანი!”

მასალა თამაშისთვის: აბაკი, ციფრების კომპლექტი, საჩვენებელი ჯოხი.

თამაშის წესი: მასწავლებელი: –რა რიცხვი უნდა მივამატოთ 3-ს, რომ 9 მივიღოთ? როდესაც მასწავლებელი ამბობს „რა რიცხვი”, ჯოხით აჩვენებს აბაკის ჯიბეში „?”-ს, ხოლო 3-ის და 9-ის დასახელებისას, შესაბამისად, ჯიბეში დებს 3-ს და 9-ს.

$\boxed{3}$	$+$	$\boxed{?}$	$=$	$\boxed{9}$
-------------	-----	-------------	-----	-------------

ვთქვათ, მოსწავლემ დაასახელა რიცხვი 5, მაშინ მასწავლებელი მოსწავლის მიერ დასახელებულ რიცხვს დებს აბაკის ჯიბეში „?”-ის ნაცვლად და ამოწმებენ მიღებული ტოლობის სისტორებს.

$\boxed{3}$	$+$	$\boxed{5}$	$=$	$\boxed{9}$
-------------	-----	-------------	-----	-------------

პასუხი არასტორი აღმოჩნდა. მოსწავლე უკვე თვითონ დარწმუნდება, რომ სტორად ვერ გამოიცნო რიცხვი, რომელიც უნდა მივამატოთ 3-ს, რომ 9 მივიღოთ. შეცდომის დანახვის შემდეგ მასწავლებელი თავიდან სვამს კითხვას: „3-ს რა რიცხვი უნდა მივამატოთ, რომ 9 მივიღოთ?” და ა. შ. ცვლიან აბაკის ჯიბეში რიცხვებს და ხსნიან მიღებულ განტოლებებს (ამ ტერმინს არ ვიყენებთ).


4) ესტაფეტა

9+3	13-6	9+8	7+4
7+5	14-8	17-8	11-7
8+4	15-6	9+5	8+3
6+6	16-8	14-9	11-3
13-4	11-2	15-7	18-9
16-7	13-5	11-6	14-7

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

გაკვ №91 სავ №8 მასწავლებელი: – ამოცანაში 4 რიცხვითი მონაცემია.

სიმარტივისათვის უმჯობესია ამოცანის შესაბამისი სქემა წარმოვადგინოთ.



ახლა სახელმძღვანელოდან დაფაზე გადმოვიწეროთ გამოსახულებები, რომელთა შინაარსიც უნდა გავარკვიოთ. წერენ და მსჯელობენ:

31-11 გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლით გავიგებთ, რამდენი ვაჟი ჩაჯდა პირველ ავტობუსში;

28-20 გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლით გავიგებთ, რამდენი გოგონა ჩაჯდა მეორე ავტობუსში;


28-20+11 გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლით გავიგებთ, რამდენი გოგონაა ორივე ავტობუსში.

31-11+20 გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლით გავიგებთ, რამდენი ვაჟია ორივე ავტობუსში.

გაკვ. №91 აბა სცადე! პასუხი:

Nº1	2 7 6 9 5 1 4 3 8
-----	-------------------------------------

Nº2



გაკვეთილი №92

მიზნები: 1) 100-ის ფარგლებში რიცხვების შეკრებისა და მისი გამოყენების და უნარ-ჩვევების შემოწმება;

2) საგნების განლაგების კანონზომიერების ამოცნობისა და საგნების მოცემული წესით განლაგების უნარ-ჩვევების შემოწმება;

3) რეალური სიტუაციის გაანალიზებისა და შეფასების უნარის განვითარება;

4) ამოცანის ამოსახსნელად შესაბამისი მოქმედების, მისი შესრულების ხერხის შერჩევის უნარ-ჩვევების განვითარება;

5) სწავლისადმი ინტერესის და მოტივაციის ამაღლება.

ტესტი №8

ტესტი	Nº1	Nº2	Nº3	Nº4	Nº5	Nº6
პასუხი:	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ

თავი IV

ნატურალური რიცხვების გამოკლება 100-ის ფარგალში

მიზნები: ორნიშნა რიცხვების გამოკლების შესწავლა.

თემები განხილულია შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ნუმერაციული გამოკლება. მოსამზადებელი სამუშაო;
2. ჯამიდან რიცხვის გამოკლების წესის გახსენება და მასზე დამყარებული გამოკლების ხერხის გამოყვანა;
3. რიცხვიდან ჯამის გამოკლების წესის გახსენება და მასზე დამყარებული გამოანგარიშების წესის შესწავლა;
4. გამოკლება ოცეულზე გადასვლით;
5. საგნების საშუალებით წარმოდგენილი პერიოდული მიმდევრობების წარმოდგენა, გავრცობა და შედარება;
6. ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების შესახებ ცოდნის გაღრმავება;

თავის შესწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

1. რიცხვების გამოკლება 100-ის ფარგლებში;
2. გამოკლების მოქმედების დემონსტრირება მოდელის გამოყენებით;
3. მოქმედების შედეგის დადგენა (რამდენიმე შემცირდა);
4. ბიჯით თვლა;
5. ანგარიშისას ბიჯით თვლის გამოყენება;
6. გამოკლების მოქმედებების ზეპირად შესრულება ათეულის გავლით;
7. კონკრეტული მოდელის შემთხვევაში იმის დადგენა, არის თუ არა მითითებული რაოდენობა სხვა მითითებული რაოდენობის ნახევარი;
8. ახსნა იმისა, თუ როგორ შეასრულა გამოთვლები;
9. მათემატიკური გამოსახულების წაკითხვა და ჩაწერა;
10. რაოდენობების შეფასება და შედარება 100-ის ფარგლებში;
11. ეროვნული ფულის ნიშნების ამოცნობა/გამოყენება;
12. მოცემული რიცხვის უახლოესი ათეულისა და ოცეულის დასახელება;
13. რიცხვებისა და მათზე მოქმედებების გამოყენება ამოცანების ამოხსნისას;
14. საგნების, რიცხვების ან ნახატების პერიოდული განლაგების (მიმდევრობის) განვრცობა, წარმოდგენა, შედარება;
15. გარემოში ორიენტირება და ობიექტთა ურთიერთგანლაგების აღწერა;
16. თვისებრივ მონაცემთა შეგროვება, მოწესრიგება, ინტერპრეტაცია.


გაკვეთილი №93-94

- მიზნები:** 1) ცოდნის განმტკიცება განვლილ საკითხებში: а) 20-ის ფარგალში რიცხვების გამოკლება; ბ) შეკრება-გამოკლების მოქმედებათა რიცხვით სხივზე დემონსტრირება; გ) შეკრება-გამოკლების ურთიერთკავშირის გამოყენება;
 2) ამოცანის ამოსასსნელად შესაბამისი მოქმედების, მისი შესრულების ხერხის შერჩევის, გამოსახულებაში გამოტოვებული აღგილების შევსების უნარ-ჩვევების განვითარება.

მასალა: ზეპირი ანგარიშისათვის:

20–6	20–14	45–5	80–20
18–5	20–18	38–18	60–10
16–8	20–15	26–6	90–70
15–7	20–13	26–20	36–16
13–9	20–16	30–20	75–70
17–4	20–12	30–10	75–15

მასწავლებელს წინასწარ აქვს გამზადებლი სქემატური ნახატი, რიცხვებს კი მაშინ ჩაწერს, როცა ამ დავალების შესრულებას გადაწყვეტს. სხვადასხვა დავალებისათვის წრეებს ტოვებს და შიგ რიცხვებს წერს, საჭიროების მიხედვით. მოსწავლეებმა უნდა გაარკვიონ წრეებში რიცხვების ჩაწერის წესი და ზეპირად დასახელონ გამოტოვებული რიცხვები.



კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

გაპვ. 93, სავ. №4. მასწავლებელი: –შეადგინეთ ტოლობები ნახატების მიხედვით.

მოსწავლეები ადგენენ ტოლობებს თითოეულ ნახატზე მოცემული არეს შიგნით და მის გარეთ მდებარე წერტილების რაოდენობების მიხედვით.

$$\begin{array}{l} 9+3=12 \\ 8+4=12 \\ 7+5=12 \end{array}$$

— რით ჰგვანან ტოლობები ერთმანეთს? (მსგავსება: სამივე ტოლობაში გამოთვლილია ორი რიცხვის ჯამი. ყველა ჯამი 12-ის ტოლია. ერთი შესაკრები მეორე და მესამე ტოლობაში 1-ით მცირდება, სამაგიეროდ, მეორე შესაკრები 1-ით იზრდება, რის გამოც შედეგი ყველგან ერთნაირია. განსხვავება – შესაკრებებია განსხვავებული)

გაკვეთილი №95

მიზნები: 1) მზადება ორნიშნა რიცხვების გამოკლების შესასწავლად, ჯამიდან რიცხვის გამოკლების შესახებ ცოდნის განმტკიცება;

2) ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების დახარისხება მათი ატრიბუტების მიხედვით;

3) შეკრება-გამოკლების მოქმედების მოდელებით დემონსტრირების უნარის განვითარება.

მასალა: ჩხირები.

გაკვეთილის მსვლელობა

1) თამაში: „დესანტები”


თამაშის მიზანი: ცოდნის განმტკიცება ორნიშნა რიცხვების გამოკლების შესახებ.

მასალა: ნახატი დესანტებით (პარაშუტისტებით). (გამოსახულებები მასწავლებელს მისაწებელ ქადალდზე აქვს დაწერილი. თუ ამის საშუალება არაა, მაშინ უბრალო ფურცელზე დაწერილ გამოსახულებებს ქინძისთვით ან სხვა მასალით მიამაგრებენ ნახატზე. ნახატი ფორმატზე უნდა იყოს შესრულებული, რომელიც მრავალჯერადად გამოადგება მასწავლებელს. მაგნიტური დაფის შემთხვევაში კი დესანტები ცალკეულად დამზადდება და ისე მიეკვრება დაფას).

თამაშის წესი: ქლასი იყოფა სამ ჯგუფად.

მასწავლებელი დაფაზე ამაგრებს პარაშუტისტებს, მათ ქვეშ – გამოსახულებებს და მოსწავლეებს „აცნობს სიტუაციას”: დესანტებმა მიიღეს დავალება, რომ მტრის ზურგში დაეშვან, თითოეული მისოვის მინიშნებულ ადგილზე. პარაშუტისტების მოძრაობის მიმართულება დაშიფრულია არითმეტიკული გამოსახულებით. თქვენ უნდა გამოიცნოთ, სად უნდა დაეშვას თითოეული მათგანი. პარაშუტიდან დასაჯდომ ადგილამდე უნდა გაავლით ისარი და გვაჩვენოთ, თუ რომელი პარაშუტისტი სად დაჯდება. თითოეული თქვენგანი თითო დესანტის დასაჯდომ პუნქტს განსაზღვრავს.

მასწავლებელს გამზადებული აქვს ჯგუფებისათვის განსხვავებული გამოსახულებები.



ერთი ჯგუფის გამოსვლის შემდეგ დაადგენენ ამ ჯგუფის მიერ მოპოვებული ქულების რაოდენობას და მასწავლებელი შეცვლის გამოსახულებებს. ჯერ ერთი ჯგუფის წევრები გამოჰყავს რიგ-რიგობით (ორ-ორიც შეიძლება), შემდეგ კი II და III ჯგუფის. გამოსახულებას ისრით აკავშირებენ მის მნიშვნელობასთან. დანარჩენი მოსწავლეები კი მეთაურისა და მფრინავების როლებში არიან, რომელნიც აკვირდებიან დესანტებს და გაჭირვების შემთხვევაში ეხმარებიან (დაშვებულ შეცდომას უსწორებენ).

შეცდომების გასწორება გუნდის ყველა წევრის გამოსვლის შემდეგ ხდება თანაგუნდების მიერ. ყოველ შეცდომაზე გუნდს 1 ქულა აკლდება, სწორად ამოცნობილ მარშრუტზე კი 2 ქულა ეწერება.

2) ჯერ საგნებზე აწვერებენ ჯამისთვის რიცხვის გამოკლების გზებს, შემდეგ კი წერენ შესაბამის გამოსახულებებს და ითვლიან მათ მნიშვნელობებს, ყოველი შესრულებული ნაბიჯის ახსნა-განმარტებით.

3) იხილავენ საკითხეს: ყოველთვის არის თუ არა შესაძლებელი ჯამისათვის რიცხვის გამოკლება სამნაირი გზით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით მასწავლებელი იყენებს გამოსახულებებს: а) (4+6)-2; ბ) (4+6)-5; გ) (4+6)-7.

4) მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №10. მოსწავლემ უნდა ჩამოწეროს ტეხილების ფერები და თითოეულს მიუწეროს მდგენების რაოდენობა. მოცემული ტეხილები შედგება 2, 3, 4, 5 და 6 მდგენისაგან.

დ/ს რვეული გვ.№19, სავ.№1.

საშინაო დავალება: სავ.№3, №6, რვეული, №2.

გაპეტილი №96

მიზნები: 1) ორნიშნა რიცხვისთვის რიცხვის გამოკლების (ოცეულზე გადაუსვლელად) წესის ათვისება;

2) მიღებული ცოდნის ამოცანების ამოსახსნელად გამოყენება;

3) ორნიშნა რიცხვების შეკრების შესახებ მიღებული ცოდნის განმტკიცება, შეკრება-გამოკლების მოდელებით დემონსტრირების უნარის განვითარება;

4) ამოცანის შინაარსის აღქმის, ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების გააზრება-გამიჯვნა.

მასალა: ჩხირები ათეულებად და ოცეულებად შეკრული და 10 ცალკეული.

გაკვეთილის მსვლელობა


I. ორგ. მომენტი

II. ზეპირი ანგარიში (ცოდნის გააქტიურება)

1) თამაში: „ჯაჭვი”.

თამაშის მიზანი: შეკრება-გამოკლების შესახებ მიღებული ცოდნის განმტკიცება.

თამაშის წესი: მასწავლებელს გამზადებული აქცს სქემა:



მასწავლებელს რიგრიგობით გამოყავს მოსწავლეები დაფასთან. ისინი სქემის მიხედვით ავსებენ (წრეებში) გამოტოვებულ აღგილებს.

2) კარნახი. დაწერე:

- 76-ისა და 16-ის სხვაობა;
- 45-ისა და 30-ის ჯამი;
- 84-ისა და 4-ის სხვაობა;
- 69-ისა და 60-ის სხვაობა;
- 94-ისა და 14-ის სხვაობა;
- 20-ისა და 48-ის ჯამი;
- 58-ისა და 18-ის სხვაობა;
- 38-ზე 18-ით ნაკლები რიცხვი;
- 76-ზე 10-ით ნაკლები რიცხვი;
- 57-ზე 50-ით ნაკლები რიცხვი.

3. ამოცანებზე მუშაობა

1) ამოცანის ამოხსნა

ლიზი 14 წლისაა. გია 2 წ-ით უმცროსია ლიზიზე. რამდენი წლისაა გია?

აღგენენ ამოცანის მოკლე ჩანაწერს და ისე ხსნიან.

2) ამოცანის შედგენა მოკლე ჩანაწერის მიხედვით

$$\begin{array}{c} \text{გოგონა} - 12 \\ \text{გაჟი} - 10 \end{array} \left\{ ? \right.$$

- რა არის არსებითი ამოცანის შესაძგენად?
- ჩანს თუ არა მოკლე ჩანაწერში ამოცანის რიცხვითი მონაცემები? კითხვა?
- რას მიუთითებს ჩანაწერში მოცემული ფიგურული ფრჩხილი?
- შეადგინეთ ამოცანა.

ყველა ამოცანის შესახებ მასწავლებელმა კომენტარი უნდა გააკეთოს.

III. მზადება ახალი მასალის ასახსნელად.

ხსნიან სახელმძღვანელოს სავN1-ს და N2-ს.

IV. გაკვეთილის თემის გაცნობა

- დააკვირდით გამოსახულებებს და მიხვდით რა უნდა ვისწავლოთ დღეს.

$$57-17 \quad 76-16$$

$$85-5 \quad 76-14$$

- დიახ, დღეს ორნიშნა რიცხვების გამოკლების ერთ კერძო შემთხვევას ვისწავლით. დააკვირდით გამოსახულებებს: 76-14 და 35-7. ორივე შემთხვევაში საკლებს აკლდება ისეთი რიცხვი, რომელიც საკლების ოცეულების დამატებაზე ნაკლებია. 76=60+16. 16-ს აკლდება 14 (14<16).

V. ახალი მასალის ახსნა

- 1) 32-7 სხვაობას ჯერ საგნების გამოყენებით გამოითვლიან, შემდეგ კი შესაბამისი ეტაპების ჩანაწერებს შეასრულებენ.

$$32-7=(20+12)-7=20+(12-7)=20+5=25$$

$$76-14=(60+16)-14=60+(16-14)=60+2=62$$

$$35-7=(20+15)-7=20+(15-7)=20+8=28$$

ამ მაგალითების ამოხსნის შემდეგ ადგენენ, რომ

- ა) საკლები იშლება ოცეულებისა და მისი დამატების ჯამად;
- ბ) მაკლები აკლდება ოცეულების დამატებას;
- გ) ოცეულებს აკლდება მიღებული სხვაობა.

2) მუშაობენ სახელმძღვანელოს **სავN3-ზე** და მსჯელობენ თამარის და გიორგის მიერ შემოთავაზებული ამოხსნის გზებზე.

VI. პირველადი განმტკიცება **სავN4**, რვეული გვ.21 სავN1(ქვედა)

VII. დ/ს **სავN5** (ბოლო ორი სვეტი)

VIII. ლოგიკური ამოცანის ამოხსნა რვეული გვ.N21, სავ.N2.

IX. შედეგების შეჯამება

საშინაო დავალება **სავ.N5** (პირველი სამი სვეტი), რვეული, სავ.N2

გაპვეთილი №97

- მიზნები:** 1) თემის განმტკიცება: „ორნიშნა რიცხვისთვის რიცხვის გამოკლება (ოცეულზე გადაუსვლელად);
2) მიღებული ცოდნის გამოყენება ამოცანების ამოხსახსნელად; 3) ამოცანის შინაარსის აღქმის, ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების გააზრება-გამიჯვნის უნარის განვითარება.

მასალა: ბარათები (რიგების მიხედვით) ზეპირი ანგარიშისთვის და ბარათები უჯრიან ფურცლებზე დ/ს-თვის.

გაპვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი

II. ზეპირი ანგარიში (ცოდნის გააქტიურება)

1) თამაში: დავაბრუნოთ „+“ და „-“.

თამაშის მიზანი: შეკრება/გამოკლებაზე მიღებული ცოდნის განმტკიცება.

თამაშის წესი: მასწავლებელი თითოეული რიგისთვის ამზადებს ბარათს იმდენი ტოლობით, რამდენი მოსწავლეცაა რიგში.

ტოლობები შემდეგი სახის უნდა იყოს:

$$40*8*20=68$$

$$50*7*10=47$$

$$30*6*10=26$$

$$56*5*40=91$$

გამარჯვებულია ის რიგი, რომელმაც სწრაფად და უშეცდომოდ, ან უველაზე ნაკლები შეცდომით შეასრულა დავალება.

2) მასწავლებელი დაფაზე (ეკრაზე) აჩვენებს ალგორითმულ ჩანაწერს (2 ფერში შესრულებულს) და სთხოვს მსჯელობით ახსნან ჩანაწერების შინაარსი.

$$\underline{97-13=?}$$

$$17-13=4$$

$$80+4=84$$

$$\underline{72-9=?}$$

$$12-9=3$$

$$60+3=63$$

3) დამოუკიდებლად ამუშავებს ბარათებზე, რიგების მიხედვით (თითოეულ მოსწავლეს

2 მაგალითი

I ვარიანტი

34–7

72–3

II ვარიანტი

53–6

91–9

III ვარიანტი

52–5

76–8

ამის შემდეგ მუშაობენ სახელმძღვანელოში მოცემულ ამოცანებსა და სავარჯიშოებზე საშინაო დაგალება სავN5, სავN6.

რვეული გვ.21. №1.

გაკვეთილი №98–99

მიზნები: 1) თემის განმტკიცება: „ორნიშნა რიცხვისთვის რიცხვის გამოკლება (ოცეულზე გადაუსვლელად);

2) მიღებული ცოდნის გამოყენება ამოცანების ამოსახსნელად;

3) ამოცანის შინაარსის აღქმის, ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების გააზრება-გამიჯვნის უნარის განვითარება;

4) მსჯელობა-დასაბუთების უნარის განვითარება; გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა.

გაკვეთილი №99. სავN9. კასრზე დაწერილი რიცხვი გვიჩვენებს, თუ რამდენი ვედრო წყალია მასში ჩასხმული. ამოცანის ამოსახსნელად უნდა გამოვთვალოთ სხვაობები:

58-18, 58-15, 58-40, 58-8.

გაკვეთილი №100

მიზნები: 1) ათეულიდან ერთნიშნა რიცხვის გამოკლების წესის გაცნობა და მისი გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;

2) ცოდნის გადრმავება შეკრება გამოკლებასა და ათობითი პოზიციური სისტემის შესახებ;

3) ფაქტების ანალიზისა და მსჯელობა-დასაბუთების დაუფლება;

4) კანონზომიერების ამოცნობისა და გავრცობის უნარის განვითარება;

5) შეკრება-გამოკლების მოდელებით დემონსტრირების უნარის განვითარება.

მასალა: ჩხირები.

გაკვეთილის მსვლელობა

1) თამაში: „გეომეტრია ჩვენს გარშემო”

თამაშის წესი: მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს გეომეტრიულ ფიგურებს. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ფიგურა და საგნები, რომელთაც მსგავსი ფორმა აქვთ. მაგალითად,

████→ მაგიდის ზედაპირი, სახლის კარი, ფანჯრის მინა, იატაქი, ჭერი და ა. შ.

██→ სკამის ზედაპირი, ტელევიზორის ეკრანი, კომპიუტერის ეკრანი და სხვა.

○→ თეფში, ბოთლისა და ჭიქის მირი და სხვა.

△→ სახლის სახურავი, ძაბრი და სხვა.

2) **სავN1, 70–6 სხვაობის გამოთვლის დემონსტრირებას ახდენს საგნებზე.** ამისათვის იყენებენ 3 ოცეულ და ერთ ათეულ ჩხირს (კონებად შეკრულს). გამოჰყავს მოსწავლე,

რომელიც ათეულს დაშლის და 10 ჩხირიდან აქლებს 6 ჩხირს. ამის გარდა, სავN3-დან კიდევ გამოითვლიან 2-3 სხვაობას საგნებზე დემონსტრირებით.

3) თამაში: „გაშენებთ სახლს”

თამაშის წესი: მასწავლებელი დაფაზე წერს სავN3-ის 5 მაგალითს.

90–8 30–4 50–8 30–6 70–7

5 მოსწავლე გამოდის დაფასთან და იწყებს სახლის აშენებას. თითოეული ხსნის თითო მაგალითს. როგორც კი ამოხსნის მოსწავლე მაგალითს, იწყებს I კედლის აშენებას, II-სახურავის დადგმას, III და IV ფანჯრების, ხოლო V კარის ჩადგმას. მასწავლებელს წინასწარ გამზადებული აქვს „სახლის” დეტალები. მოსწავლე, რომელიც ამოხსნის მაგალითს, აიღებს სახლის დეტალს და მაგნიტურ დაფაზე მიაკრაგს. ასე აშენებენ სახლს. „სახლის აშენებას” რომ დაამთავრებენ, იწყება იმის შემოწმება, თუ როგორ შეასრულა თითოეულმა თავისი დავალება. რომელიმე სხვაობა შეცდომით თუ გამოთვალა, მისი დეტალი მოეხსნება სახლს. შედეგად ხუთეული უსახლოდ დარჩება. შემდეგ სხვა ხუთეული ცდის სახლის აშენებას. მასწავლებელი მათოვის სავN5-ის მაგალითებს შეარჩევს.



4) ამოცანების ამოხსნა სავ. №4, №6.

5) წინა მასალის გამეორების მიზნით, მასწავლებელი დაფაზე ასრულებს ჩანაწერებს:

$$\begin{array}{ccc} 49-6=43 & & 35-12=23 \\ \downarrow & & \downarrow \\ 40 \quad 9 & & 20 \quad 15 \end{array}$$

მოსწავლეებმა უნდა ახსნან, თუ როგორ უნდა გამოთვალონ სხვაობა:

$$49-6=(40+9)-6=40+(9-6)=40+3=43; \quad 35-12=(20+15)-12=20+(15-12)=20+3=23.$$

6) დ/ს რვეული სავN1.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №8 მოსწავლემ უნდა შეამჩნიოს, რომ პირველ 3 წყვილში, შესაკრებთა ერთეულების თანრიგებში ციფრებია გადაადგილებული. გამოთვლამდე უნდა მიხვდეს, რომ გამოსახულებათა მნიშვნელობები წყვილში არ იცვლება და უნდა ახსნას, თუ რატომ ხდება ასე. რაც შეეხება დანარჩენ 3 წყვილს, იქაც უნდა შეამჩნიოს, რომ თითოეულ წყვილში ადგილებს სხვადასხვა თანრიგის ერთეულები ცვლიან და ამიტომ ადარაა ტოლი გამოსახულებათა მნიშვნელობები. თითოეულ წყვილზე ცალ-ცალკე უნდა იმსჯელონ, დეტალურად.

სავ. №9 მასწავლებელი— დააკვირდით რიცხვთა ა) მიმდევრობას, რას ამჩნევთ? (ყოველ ორ წევრს შორის სხვაობა 8-ის ტოლია)

— იზრდება რიცხვები თუ მცირდება?

— შეგვიძლია თუ არა მიმდევრობის შემდეგი წევრის პოვნა? როგორ? (მოცემულ ბოლო რიცხვს, 52-ს უნდა მივუმატოთ 8) რა რიცხვი იქნება შემდეგი? (60) შემდეგი? (68)

საშინაო დავალება სავN7, რვეული, სავN1.

ბაბეთილი №101

მიზნები: 1) რიცხვიდან ჯამის გამოკლების წესის გაცნობა და გამოთვლების გასამარტივებლად მისი გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება; 2) მიღებული ცოდნის განმტკიცება 70–6, 78–70 და 78–8 სახის სხვაობის გამოთვლისა და ორნიშნა რიცხვების შეკრების შესახებ; 3) ჯგუფური მუშაობისას თანამშრომლობისა და მასწავლებელთან

და მეგობრებთან მიმართებაში კორექტულობის უნარის განვითარება; 4) შეკრება-გამოკლების მოდელებით დამონსტრირება.

მასალა: ჩხირები

გაპვეთილის მსვლელობა

1) თამაში: „ერთობლივი თვლა”

თამაშის მიზანი: ცოდნის განმტკიცება ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების შეკრების შესახებ.

თამაშის წესი: მასწავლებელი თითოეულ რიგს აძლევს თითო ფურცელს, რომელზეც მხოლოდ ერთი რიცხვი წერია. (მაგალითად, I რიგს 11, II-ს 13 და III-ს 17) I მოსწავლე ამ რიცხვს უმატებს 1-ს, ფურცელს გადასცემს მეზობელს, რომელიც I-ის მიერ მიღებულ შედეგს უმატებს 2-ს, პასუხის დაწერის შემდეგ II მოსწავლე გადასცემს III-ს, რომელიც ამ პასუხს უმატებს 3-ს და ა.შ. რიგის ბოლომდე. იმარჯვებს ის რიგი, რომელიც ყველაზე სწრაფად და უშედრომდე შეასრულებს დავალებას.

მასწავლებელმა წინასწარ უნდა იცოდეს, რა რიცხვი მიიღება თითოეული რიგის ბოლოს, რათა ადგილად განსაზღვროს ჩატარებული შეჯიბრის შედეგები.

წარმოდგენილ შემთხვევაში, რიგების მიხედვით ასეთი შედეგები მიიღება:

I რიგი: $11+1=12$, $12+2=14$, $14+3=17$, $17+4=21$, $21+5=26$ და ა.შ

II რიგი: $13+1=14$, $14+2=16$, $16+3=19$, $19+4=23$, $23+5=28$ და ა.შ

III რიგი: $17+1=18$, $18+2=20$, $20+3=23$, $23+4=27$, $27+5=32$ და ა.შ

2) ჩხირების (უმჯობესია 3 ფერის) გამოყენებით ახდენენ სახელმძღვანელოში მოცემული რიცხვიდან ჯამის გამოკლების სამივე შემთხვევის დამონსტრირებას.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავ.№3 ითვლიან გამოსახულებათა მნიშვნელობებს, მიღებული შედეგების მიხედვით დაადგენენ, თუ რომელი ორი მათგანის მნიშვნელობა ემთხვევა ერთმანეთს და განმარტავენ მიზეზს, რის გამოც ეს მნიშვნელობები ტოლია. მოსალოდნელია, რომ მოსწავლის მსჯელობა-დასაბუთების სისრულესა და სისწორეში ხარვეზები იქნება, რასაც მასწავლებლი შეავსებს. მოსწავლემ უნდა მოისმინოს სრულფასოვანი ცნებები, განმარტებები და დასაბუთება, თუმცა თვითონ მას ჯერ ეს არ მოეთხოვება. მან თავისი სიტყვებით და შესაძლებლობებით უნდა გადმოსცეს თავისი სათქმელი, რომელსაც მასწავლებელი თანდათანობით დახვეწს.

სავ.№5 რა რიცხვი შედგება 9 ათეულისაგან? (90) მაშინ გამოვიყენოთ 9 ათეულის ნაცვლად მისი შესატყვისი რიცხვითი სახელი და ცოტა სხვა სახით ჩამოვაყალიბოთ ამოცანა („რამდენი ერთეული უნდა მივუმატოთ 89-ს, რომ 90 მივიღოთ?”).

– შეგვიძლია ეს ამოცანა სხვაგვარად ჩამოვაყალიბოთ? („რამდენი აკლია 89-ს 90-მდე?” ან „89 შეავსეთ 90-მდე.”)

– რამდენი ერთეული უნდა მივუმატოთ 89-ს, რათა 90 მივიღოთ? (1).

– როგორ მიხვდი, რომ 1 უნდა მივუმატოთ? (ერთნი ასრულებენ გამოკლებას: 90–89, მეორენი ასაბუთებენ იმით, რომ 89 წარმოადგენს 90-ის წინა რიცხვს. რადგან რიცხვი წინა რიცხვისაგან 1-ის მიმატებით მიიღება, ამიტომ 89-ს 1 უნდა მივუმატოთ, 90 რომ მივიღოთ.)

სავ.№6, №7, №8 ამოცანებს ხსნიან კითხვებითა და შესაბამისი მოქმედებებით. ბოლოს მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: –როგორი გამოსახულების შედგენით შეგვეძლო ამოცანის ამოხსნა? ითვლიან გამოსახულების მნიშვნელობას. განმარტავენ

გზას, რომლითაც გამოთვალეს გამოსახულების მნიშვნელობა.

დ/ს სამ ვარიანტად.

I ვარიანტი	II ვარიანტი	III ვარიანტი
გამოთვალე:	გამოთვალე:	გამოთვალე:
20-(3+5)	36-(12+3)	19-(4+8)
18-(6+2)	25-(19+1)	16-(5+7)
14-(8-2)	48-(34+6)	15-(7-3)
25-(20+4)	48-(34+6)	49-(40+6)

საშინაო დავალება: სავ.№4 (ბოლო 2 სვეტი), რვეული გვ.№21, სავ.№2.

გაკვეთილი №102-103

მიზნები: 1) ოცეულისათვის 20-ზე მცირე ორნიშნა რიცხვის გამოკლების შესწავლა და ამოცანების ამოხსნისას მისი გამოყენების უნარის განვითარება; 2) ცოდნის განმტკიცება თემაზე: ორნიშნა რიცხვიდან ერთნიშნა რიცხვის გამოკლება (ოცეულზე გადაუსწლელად); 3) სათანადო მოქმედებათა ნიშნებით გამოტოვებული პოზიციების შევსების უნარის განვითარება; 4) შეკრება-გამოკლების მოქმედებათა მოდელებით დემონსტრირების უნარის განვითარება.

მასალა: ოცეულებად შეკონილი ჩეირები და ცალკეული 20 ჩეირი (სულ 100).

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს. დაფაზე წერს მაგალითს: 60-14. მას წინასწარ გამზადებული აქვს ოცეულებად შეკონილი ჩეირები და ცალკეული 20 ჩეირი (სულ 100). გამოჰყავს მოსწავლე, აძლევს სამ ოცეულ ჩეირს და სოხოვს 60 ჩეირს გამოაქვთ 14 ჩეირი. მოსწავლეებმა უპვე იციან შეკრება-გამოკლების მოქმედებათა მოდელებით დემონსტრირება, ამიტომ ადვილად მიხვდება მოსწავლე, რომ ერთი ოცეული უნდა დაშალოს 20 ცალკეულ ჩეირად და იმ ჩეირებიდან აიღოს 14 ჩეირი, რის შემდეგაც დაითვლის დარჩენილ ჩეირებს. შემდეგ იხსენებენ, რა თანმიმდევრობით შეასრულეს მოქმედებები და წერენ: $60-14=(40+20)-14=40+(20-14)=40+6=46$.

ამის შემდეგ იხილავენ სახ.სავ.№1 და სავ.№2.

როგორც ყოველი ახალი მასალის ახსნის შემდეგ, მასწავლებელი ახლაც მოსთხოვს გამოთვლების ახსნა-განმარტებით შესრულებას, შემდეგ ში კი თანდათან ამცირებს ამ მოთხოვნას და ავარჯიშებს სწრაფ ზეპირ ანგარიშში, რისთვისაც უნდა გამოიყენოს თამაშები და კარნახი.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №3 მასწავლებელი აკითხებს მოსწავლეებს ამოცანას. აძლევს დროს მისი შინაარსის აღსაქმნელად, მონაცემებისა და სამიებელი სიდიდეების გააზრება-გასამიჯნავად და სვამს კითხვებს: –რა გვაქვს ამოცანაში მოცემული ლაშას შესახებ? (40 ლარი პენიდა და 12 ლარი ბურთში გადაიხადა).

– რა უნდა გავიგოთ? (რამდენი ლარი დარჩა ლაშას) როგორ? (40-ს უნდა გამოვაკლოთ 15) როგორ გამოვაკლოთ 40-ს 15? $(40-15=40-(10+5)=(40-10)-5=30-5=25)$

– სხვანაირად თუ შეგვიძლია ამ სხვაობის გამოთვლა? (დიახ. ასე გამოვითვლით: $40-15=(20+20)-15=20+(20-15)=20+5=25$). მასწავლებელი მოითხოვს, გამოთვლის ორივე გზის მსჯელობით ახსნა –განმარტებას.

სავ. №4 გამოკლების საგნებით დემონსტრირებას მოახდენენ: ა) შემთხვევაში მხოლოდ ერთ მაგალითზე. შეასრულებენ შესაბამის ჩანაწერებს და იმსჯელებენ ჩაწერილი ტოლობების და მათი შედგენის მსგავსებასა და განსხვავებაზე. ბ)-ს დამოუკიდებლად შეასრულებენ დაფაზე და რვეულებში.

სავ. №6 მასწავლებელი ჯერ იმას არ კვევს, ესმით თუ არა მოსწავლეებს შინაარსი სიტყვებისა: „თავისუფალი ადგილი” და „დაკავებული ადგილი”, შემდეგ კი გამიჯნავენ ერთმანეთისაგან მოცემულსა და საძიებელს და მსჯელობენ, თუ რა მოქმედებით ამოისხება ამოცანა და როგორ უნდა შესრულდეს მოქმედება: 32–8.

დ/ს გაკვ.№102 ბარათები 2 ვარიანტიდ

I ვარიანტი

გამოთვალი:

60–16

40–17

80–11

II ვარიანტი

80–18

60–14

40–13

დ/ს გაკვ.№102 რვეული, გვ.№26 სავ. №1(ზედა), სავ.№2 .

საშინაო დაგალება: გაკვ.№103 რვეული, გვ.№25, სავ.№1,2.

გაკვეთილი №104

მიზნები: 1) მიღებული ცოდნის განმტკიცება თემებზე: ა) ორნიშნა რიცხვების შექრება და გამოკლება; ბ) რაოდენობების შეფასება და შედარება; 2) პიქტოგრამის სიტყვიერად განმარტების უნარის განვითარება; 3) ჯგუფური მუშაობისას თანამშრომლობისა და მასწავლებელთა და მეგობრებთან მიმართებაში კორექტულობის უნარის განვითარება;

გაკვეთილის მსვლელობა

თამაში: „იპოვე სწორი პასუხი”

თამაშის წესი: მასწავლებელს გამზადებული აქვს დაფაზე ჩანაწერი (დაგალება):

55–40	44
58–9	72
60–16	29
80–18	15
52–9	43
77–5	49
40–11	62


დაფაზე იმდენი დაგალება უნდა ეწეროს, რამდენი გუნდიც თამაშობს. თითოეული გუნდისთვის ერთი დაგალება სრულდება. რა თქმა უნდა, განსხვავებული ვარიანტებით. მოსწავლეები რიგრიგობით გამოდიან დაფასთან და გამოსახულებას ისრით აკავშირებენ მის მნიშვნელობასთან. ერთდროულად დაფასთან 3 მოსწავლეს (თითო გუნდიდან – თითო) შეუძლია მუშაობა. გამარჯვებულია გუნდი, რომელიც სწრაფად და უშეცდომოდ შეასრულებს დავალებას.

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №6 გამოსახულებათა მნიშვნელობების 70-თან შედარება მოსწავლეებმა ზეპირად უნდა შეძლონ. მაგალითად, $69+1 = 70$ ამაზე პირდაპირ გასცემენ პასუხს, რომ ტოლია 70-ის (არა 70-ზე მეტი). პასუხი: 77–4, 67+5, 52+19, 60+11, 43+30.

სავ. №7 მასწავლებელი:—ამოცანის კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით შევადგინოთ სქემა:



დაფაზე გადააქვთ მოცემული გამოსახულებები, სიტყვიერად გადმოსცემენ თითოეულის შინაარსს და ასკვნიან, რა კითხვაზე გასცემს პასუხს მოცემული მოქმედება: $27+25 = \text{„რამდენი მოსწავლეა ორივე კლასში?”}$

$15+7 = \text{„რამდენით მეტი გოგონაა } 2^1 \text{ კლასში, ვიდრე } 2^2\text{-ში?”}$ და ა.შ.

დ/ს სავ.№1(ბოლო სვეტი), სავ.№4.

საშინაო დავალება: სავ.№2, სავ.№9.

გაკვეთილი №105

მიზნები: 1) ორნიშნა რიცხვების გამოკლების წესის გაცნობა, რიცხვიდან ჯამის გამოკლების წესზე დაყრდნობით; 2) მიღებული ცოდნის ამოცანების ამოხსნაში გამოყენების უნარის განვითარება; 3) ცოდნის განმტკიცება რიცხვის თანრიგობრივი შედგენილობისა და რიცხვების შედარების შესახებ 4) მოსწავლის უშუალო გარემოცვის შესახებ მონაცემთა შეგროვების, მონაცემთა მოწესრიგებული სიის შედგენისა და სიიდან რამდენიმე ერთგვაროვანი მონაცემის ამოკრების უნარების განვითარება.

გაკვეთილის მსგლელობა

1) თამაში: „ორნიშნა რიცხვები”

თამაშის წესი: მასწავლებელს ორ ყუთში აქვს ჩალაგებული ბარათებზე დაწერილი ციფრები. ერთ ყუთში წითელი ფერის ციფრები: 1, 2, . . . , 9, ხოლო მეორეში – შავი ფერის: 0, 1, 2, . . . , 9.

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ამ ციფრებით ორნიშნა რიცხვები უნდა შეადგინონ და მიღებული რიცხვები წაიკითხონ. წითელი ციფრი ათეულების თანრიგის ციფრია, ხოლო შავი – ერთეულების. გამოყავს 2-2 მოსწავლე. ერთი წითელ ციფრს იძებს, მეორე შავს. ორივე ციფრს საჭირო თანმიმდევრობით დებენ დაფის კიდეზე. ერთეულების ციფრის მფლობელი კითხულობს ამ რიცხვს და ჯდება. ათეულების თანრიგის ციფრის მფლობელი მოსწავლე დაფისთან რჩება მომდევნო წყვილის გამოსვლამდე. როდესაც მომდევნო წყვილი წაიკითხავს თავის რიცხვს, წინა წყვილის ათეულების ციფრის მფლობელი ადარებს თავისი წყვილის მიერ შედგენილ რიცხვს ახალ შედგენილ რიცხვს და ჯდება. ანალოგიურად იქცევა შემდეგი წყვილიც. მაგალითად, თუ პირველმა წყვილმა დაწერა რიცხვი 35, მაშინ რიცხვს (35-ს) კითხულობს 5-იანის მფლობელი, ხოლო 3-იანის მფლობელი რჩება რიცხვების შესადარებლად. დავუშვათ, რომ მომდევნო წყვილმა დაწერა რიცხვი 47. ამ რიცხვს კითხულობს 7-იანის მფლობელი და ჯდება, ხოლო წინა რიცხვის, 3-იანის მფლობელი ერთმანეთს ადარებს 35-ს და 47-ს. 4-იანის მფლობელი კი რჩება, რათა 47 შეადაროს მომდევნო წყვილის მიერ დაწერილი რიცხვს.

2) მასწავლებელს გამოჰყავს მოსწავლე, ამდევს 58 ჩხირს (2 ოცეულად შეპრული კონა, 18 ცალკეული ჩხირი) და სთხოვს დაითვალოს რამდენია. მოსწავლე ითვლის ჩხირებს. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს, რომ 58 ჩხირს გამოაკლოს 32 ჩხირი. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოცემული სხვაობის ორი გზით გამოთვლას.

I გზა: მოსწავლემ ჯერ ოცეული უნდა გამოაკლოს, შემდეგ ცალკეული ჩხირებიდან აიღებს 12 ჩხირს და ბოლოს ითვლის რამდენი დარჩა. ამ სკლებს მათგატიკურად თვითონ მოსწავლე ჩაწერს.

$$58-32=58-(20+12)=(58-20)-12=38-12=(20+18)-12=20+(18-12)=20+6=26$$

სიტყვიერად აღწერენ გამოკლების შესრულების წარმოდგენილ გზას.

II გზა: მასწავლებელს სხვა მოსწავლე გამოჰყავს და აძლევს ოცეულებად შეკრული ჩხირების 2 კონას, ათეულებად შეკრულ ერთ კონას და კიდევ 6 ჩხირს. სთხოვს დათვალის ჩხირები. დათვლის შემდეგ კი 58 ჩხირს გამოაკლოს 32 ჩხირი. მოსწავლე 58 ჩხირიდან აკლებს ჯერ 1 ოცეულს, შემდეგ 1 ათეულს და კიდევ 2 ჩხირს.

$$58-32=58-(30+2)=(58-30)-2=28-2=26$$

სიტყვიერად აღწერენ გამოკლების მოქმედების შესრულების წარმოდგენილ გზას.

კიდევ ერთი სხვაობის გამოთვლის დემონსტრირებას მოახდენენ საგნებზე და მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავN3 ამოცანა კარგად უნდა გაიაზროს, მოკლე ჩანაწი შეასრულონ და ისე ამოხსნან.

წიგნში – 78 გვ.


წაიკითხა – 54გვ.

დარჩა – ? გვ.

მოსწავლეს კარგად უნდა პქონდეს გააზრებული ამოხსნის ყოველი ნაბიჯი. პასუხი უნდა იყოს სრული.

სავN4 მოსწავლემ კარგად უნდა გაიაზროს ამოცანაში მოცემული რეალური სიტუაცია (რა შეიძინა ბექამ, რამდენი ლარი მისცა გამყიდველს) და შემდეგ შეადგინოს ამოცანის ამოხსნის ალოროითმი (ზეპირსიტყვიერად).

სავN6. ჯერ ადგენენ ამოცანის პირობის შესაბამის სქემას, შემდეგ კი გამოსახულებას და ითვლიან მის მნიშვნელობას.



დ/ს სავN2 (ბოლო 2 სვეტი, 2 გარიანტი).

საშინაო დაგალება სავ. N8, რვეული, N2.

გაკვთილი №106

- 1) ცოდნის განმტკიცება რიცხვიდან ჯამის გამოკლების შესახებ;
- 2) გამოთვლების უნარის განვითარება;
- 3) ლოგიკური აზროვნების განვითარება;
- 4) გეომეტრიული ფიგურების ამოცნობის უნარის განვითარება;
- 5) რეალურ სიტუაციაში მონაკვეთის სიგრძის ადიციურობის თვისების გამოყენების უნარის განვითარება. ობიექტებს შორის მანძილის (ნაბიჯით გამოსახული) დადგენისა და შედარების უნარის განვითარება.
- 6) ობიექტის სხვა ობიექტების მიმართ მდებარეობის აღწერის უნარის განვითარება.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგ. მომენტი

II. ზეპირი ანგარიში (ცოდნის გააქტიურება)

ა) ჩაწერე საჭირო რიცხვი და მოქმედების ნიშანი ისე, რომ სწორი ტოლობა მიიღო.

$$18 \dots * = 15 \quad 15 \dots * = 11 \quad 14 \dots * = 7$$

$$16 \dots * = 8 \quad 13 \dots * = 9 \quad 12 \dots * = 6$$

ბ) მოცემულთაგან შეარჩიე უდიდესი მნიშვნელობის მქონე გამოსახულება.

$$58+20 \qquad \qquad \qquad 20 - 8$$

$$58+28 \qquad \qquad \qquad 80 - 8$$

$$58+16 \qquad \qquad \qquad 60 - 8$$

$$58+23 \qquad \qquad \qquad 40 - 8$$

$$58+29 \qquad \qquad \qquad 10 - 8$$

გ) ჩაწერე ციფრებით:

$$\begin{array}{lll} 3\text{ათ. } 4\text{ერთ.} & 5\text{ათ. } 7\text{ერთ.} & 9\text{ათ.} \end{array}$$

$$\begin{array}{lll} 8\text{ათ. } 9\text{ერთ.} & 9\text{ათ. } 2\text{ერთ.} & 7\text{ათ.} \end{array}$$

დ) შეადარე წერტილების ნაცვლად ჩაწერე სათანადო სიმბოლო: „<”, „>” ან „=”.

$$64 \dots 8 \qquad 15 \dots 25 \qquad 74 \dots 77 \qquad 58 \dots 85$$

$$14 \dots 16 \qquad 20 \dots 25 \qquad 38 \dots 37 \qquad 42 \dots 52$$

ე) რამდენი ოთხსაუთხედია ნახაზზე?



მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე. ამოცანების ამოხსნისას აკეთებენ მოკლე ჩანაწერს. ადგენენ ამოხსნის ალგორითმა, სვამენ კითხვებს და პასუხობენ. მოსწავლეები უნდა მიეჩიონ კითხვაზე სრული პასუხის გაცემას.

ქმენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავN9 მასწავლებელი: – დააკვირდით ჩანაწერს: $20-8+8=4$ ეს ჩანაწერი რომ სწორ ტოლობად იქცეს, ფრჩხილები უნდა გამოვიყენოთ. გამოთვლების გარეშე თუ შეგვიძლია მივხვდეთ, მივიღებთ, თუ არა სწორ პასუხს, თუ პირველ ორ რიცხვს ჩავსგამო ფრჩხილებში? (არა, რადგან რაც არ უნდა იყოს ფრჩხილებში მოქცეული სხვაობა, მას 8-ს რომ მივუმატებთ, ნებისმიერ შემთხვევაში $4-9$ მეტ რიცხვს მივიღებთ.)

– მაში, რა უნდა ჩავსვათ ფრჩხილებში? $(8+8)$ წერენ: $20-(8+8)=20-16=4$. ანალოგიური მსჯელობით აგრძელებენ მუშაობას.

$$(30-5)+2=27 \quad 20-(6-4)=18 \quad (6+7)-4=9 \text{ ან } 6+(7-4)=9$$

$$9-(12-4)=1 \quad (8+30)-6=32 \text{ ან } (8+30)-6=32$$

დ/ს რვეული გვN27, სავN1 (ზედა). საშინაო დავალება სავN6, სავN8.

გაკვეთილი №107

მიზნები: 1) ორნიშნა რიცხვისთვის ჯამის მიმატება/გამოკლებაზე მიღებული ცოდნის განმტკიცება და მისი გამოთვლებში გამოყენების უნარის განვითარება;

2) ტოლობაში გამოტოვებული მოქმედებათა ნიშნების აღდაგნის უნარ-ჩვანების განვითარება;

3) ორნიშნა რიცხვის ჩანაწერში ათეულისა და ერთეულის თანრიგების მითითების, ამ თანრიგებში მდგომი ციფრების მნიშვნელობის განმარტებისა და რიცხვების შედარებისას ამ ცოდნის გამოყენების უნარების განვითარება.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავN9 (ამოცანა მათგმატიკით დაინტერესებულთათვის)

მასწავლებელი:— რას ეხება ამოცანა? (ქუდებსა და მათ მოსაქსოვად საჭირო ნართზე)

— იცით რა არის ნართი?

— რამდენი ქუდი უნდა მოქსოვონ? (9)

1) — რამდენი ნართი სჭირდება სამი ქუდის მოქსოვას? (2)

— როგორ გავიგოთ რამდენი ნართია საჭირო 9 ქუდისთვის? (9-ში რამდენი სამეულიცაა, იმდენი 2 ნართია საჭირო. ე. ი. უნდა გავიგოთ 9-ში რამდენი სამეულია)

— რამდენი სამეულისაგან შედგება 9? (9=3+3+3, შედგება 3 სამეულისაგან)

— ყოველი სამი ქუდის მოქსოვას 2 ნართი სჭირდება, რამდენი ნართი დასჭირდება 9 ქუდის მოქსოვას? (9 ქუდის მოქსოვას დასჭირდება $2+2+2=6$ ნართი)

2) ამოცანის ამოხსნა შეიძლება სქემით მივაწოდოთ მოსწავლეებს.

მასწავლებელი: — ამოცანის ამოხსნამდე მასწავლებელმა უნდა განუმარტოს, თუ რა არის „ნართი“. ამოხსნელად გამოვიყენოთ სქემატური ნახატი. რამდენი ქუდია მოსაქსოვი? (9) თითოეულ ქუდს შეეუსაბამოთ სამკუთხედი, ნართს - წრე და შევადგინოთ სქემა. რამდენი სამკუთხედი დავხაზოთ? (9).



— დააკვირდით ამოცანის პირობას. ალბათ ქუდების დაჯგუფება გაგვიაღვილებს საქმეს. რამდენ-რამდენი ქუდი დაგაჯგუფოთ? (3-3) რატომ 3-3? (რადგან 2 ნართისაგან 3 ქუდი იქსოვება)



— რა მიზნით დაგაჯგუფეთ 3-3-ად, რაში გამოგვადგება ეს დაჯგუფება? (ყოველი 3 ქუდის მოქსოვას 2 ნართი სჭირდება.) მაშასადამე, ქუდების ყოველი სამეულის ქვეშ რამდენი წრე უნდა დავხაზოთ? (2)



— რამდენი წრის დახაზვა დაგვჭირდა? (6) შეგვიძლია თუ არა, ვთქვათ, რამდენი ნართია საჭირო 9 ქუდის მოსაქსოვად? (6)

სავN10 პასუხი: სამკუთხედია - 4, ოთხკუთხედია - 2.

დ/ს რვეული გვ.28, სავ2 (ზედა)

საშინაო დაგალება: სავN7, სავN10.

გაკვეთილი №108

მიზნები: 1) რიცხვიდან ჯამის გამოკლების წესზე დაყრდნობით, ორნიშნა რიცხვების გამოკლების ახალი წესის (ოცეულზე გადასვლით) გაცნობა;

2) მიღებული ცოდნის ამოცანების ამოხსნაში გამოყენებისა და ამოცანის ამოხსნის უნარების განვითარება;

3) თავისი ნაზრევის გადმოცემის, მსჯელობა-დასაბუთების უნარის განვითარება.

მასალა: პლაკატი ნახატებით.

გაკვეთილის მსვლელობა

1) ამოცანაზე მუშაობა

მასწავლებელი დაფაზე ასრულებს ამოცანის მოკლე ჩანაწერს:

ერთსართულიანი სახლი –39

ორსართულიანი სახლი –31

შემდეგ წერს გამოსახულებას: 36+31 და ეკითხება: – რა კითხვაზე შეიძლება პასუხის გაცემა ამ გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლით? (რამდენი სახლია სულ?) ვის შეუძლია ამოცანის სრული სახით ჩამოყალიბება?

ადგენერ ამოცანას და ხსნიან. განმარტავენ შეკრების შესრულების გზას. შემდეგ მას-წავლებელი წერს გამოსახულებას: 39–31. ანალოგიურად ადგენერ ამოცანას და ხსნიან, განმარტავენ გამოკლების შესრულების გზას.

2) თამაში: „ვინაა ყურადღებიანი?”


მასალა: პლაკატი ნახატებით.

თამაშის მიზნები:

- ა) ობიექტის სხვა ობიექტების მიმართ მდებარეობის აღწერის უნარის განვითარება;
- ბ) მსჯელობა-დასაბუთების უნარის განვითარება.

თამაშის წესი: მოსწავლეებმა პლაკატზე (ეკრანზე) უნდა გამოიცნონ, რომელი ნიღაბია თითოეულ რიგში დანარჩენებისაგან განსხვავებული, ანუ რომელი ნიღაბია რიგში „ზედმეტი”.

მასწავლებელს შეუძლია პლაკატი დაფაზე კი არ ჩამოკიდოს, არამედ გააკეთოს ასლები ფურცლებზე და მოსწავლეთა თითო რიგს დაურიგოს ნიღბების თითო რიგი. დაფაზე გამოტანის შემთხვებაში მასწავლებელმა თითო-თითო რიგი უნდა წარმოადგინოს ისე, რომ მომდევნო რიგს მოსწავლეები ვერ ხედავდნენ.



3) ახალი მასალის ახსნა.

საკითხის შესწავლას ისეთი მაგალითით იწყებს, რომელშიც მაკლები წარმოადგენს ორი რიცხვის ჯამს, რომელთაგან ერთი ის რიცხვია, რამდენითაც საკლების რიცხვი მეტია მასში შემავალ ოცეულებზე.

მასწავლებელი წერს დაფაზე გამოსახულებას: 53–(5+13) და სთხოვს მოსწავლეებს, გამოიყენონ რიცხვისათვის ჯამის გამოკლების წესი და გამოკლება შეასრულონ იოლი გზით. წერენ:

$$53-(5+13)=(53-13)-5=40-5=35$$

მასწავლებელი ითხოვს ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, თუ რატომ გამოაკლეს 53-ს

ჯერ 13 და არა 5. შემდეგ ითვლიან სხვაობებს: 86-(6+12) და 55-(15+3)

წერები:

$$86-(6+12)=(86-6)-12=80-12=68$$

მასწავლებელი ისევ ითხოვს ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, თუ რატომ გამოაკლეს 86-ს ჯერ 6 და არა პირიქით, ჯერ 12 და შემდეგ 6.

ამის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმავე (გამოსათვლელი) გამოსახულების (53-(5+13) და 86-(6+12)) წინ დაწერონ მისი ტოლი გამოსახულება, რომელშიც მოცემულ გამოსახულებაში ფრჩხილებში მოქცეული ორი რიცხვის ჯამი წარმოდგენილი იქნება ერთი რიცხვის სახით (ჩვენ შემთხვევაში ორივეგან 18).

საბოლოოდ დაფაზე შესრულებული ჩანაწერი იქნება ასეთი:

$$53-18=53-(5+13)=(53-13)-5=40-5=35$$

$$86-18=86-(6+12)=(86-6)-12=80-12=68$$

$$55-18=55-(15+3)=(55-15)-3=40-3=37$$

კიდევ ერთხელ გაამახვილებს მოსწავლეთა ყურადღებას იმაზე, თუ რატომაა მაკლები - 18 წარმოდგენილი I შემთხვევაში 5-ისა და 13-ის ჯამად, II-ში 6-ისა და 12-ის ჯამად, ხოლო III-ში 15-ისა და 3-ის ჯამად. მასწავლებელი სვამს კითხვას: -რით პგაგს/განსხვავდება ეს სამი გამოსახულება და მათი მნიშვნელობის გამოთვლა ერთმანეთს?

შუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

სავN7 რა წესითაა ფიგურები კვადრატებში ჩახაზული? (I კვადრატში ფიგურის ქვედა ნახევარია წითელი, ზედა ყვითელი, შემდეგ პირიქით, ქვედა ნახევარია ყვითელი, ზედა წითელი, მესამე კი წინა ორი ფიგურის ფერების გაერთიანებაა ერთ ფერში, მაშასადამე, გამოტოვებული ფიგურაც გაერთიანება იქნება, ოფონდ, მეორე ფერში. ე.ი. გამოტოვებულია N1 ფიგურა.

დ/ს რვეული გვ.29, სავN1 (2 ვარიანტი, 3-3 მაგალითი)

საშინაო დაგალება: სავN6, რვეული გვ. 29, სავN1 (რაც არ გაუკვეთებიათ).

გაკვეთილი №109

- შიზნები:** 1) მიღებული ცოდნის განმტკიცება ორნიშნა რიცხვების შეკრებისა და გამოკლების, გეომეტრიული საკითხების შესახებ;
- 2) ამოცანის პირობის მიხედვით, მოცემულისა და საძიებელის განსაზღვრის, ამოცანის ამოსახსნელად შესაბამისი მოქმედების შერჩევისა და მისი შესრულების ხერხის მოქმედის უნარების განვითარება.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგანიზაციული მომენტი

II. ზეპირი ანგარიში

- 1) **დაჯგუფებით თვლა** (მიზანი: მივიყვანოთ მოსწავლეები იმ დასკვნამდე, რომ საგნები შეგვიძლია დავთვალოთ როგორც თითო-თითოობით, ისე ჯგუფებად (ორ-ორობით, ხუთ-ხუთობით, ათ-ათობით, ოც-ოცობით და ა. შ.) მასწავლებელს გამზადებული აქვს სამი ასეული (ასეულებად შეკრული) ჩხირი. გამოჰყავს 3 მოსწავლე, აძლევს 60-60 ჩხირს და ერთს ათვლებინებს ხუთეულებად, მეორეს ათეულებად, მესამეს ოცეულებად. შემდეგ სხვა სამეულს, 80 ჩხირს დაათვლევინებს ერთს ხუთეულებად, მეორეს - ათეულებად, მესამეს ოცეულებად. დათვლის შემდეგ მსჯელობენ იმის შესახებ, თუ თვლის რომელი ხერხი უფრო მოსახერხებელია 100-ის დასათვლელიდან.

სასარგებლო იქნება უურადრება გაამახვილონ ერთი და იმავე ციფრებით ჩაწერილ რი

ცხვებზე და მათ ჩანაწერში თითოეული ციფრის პოზიციაზე და მნიშვნელობაზე.

2) თამაში: „იძოვე შეცდომები და გაასწორე”

$$\begin{array}{cccc}
 8+8=16 & 9+4=11 & 12-8=5 & 15-6=9 \\
 5+7=12 & 7+6=13 & 13-8=4 & 16-7=8 \\
 7+6=14 & 8+5=12 & 17-6=9 & 14-6=8
 \end{array}$$

3) თამაში: „გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა”. გეომეტრიული ფიგურების უკეთ შესწავლის მიზნით, მოსწავლეებს ეძლევა არქიტექტურული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების, სხვადასხვა საინტერესო ობიექტებისა თუ საგნების ფოტოები. მოსწავლეებმა მათში უნდა ამოცნონ გეომეტრიული ფიგურები და აღწერონ ისინი მათი წვეროებისა და გვერდების მიხედვით.

ამის შემდეგ მუშაობენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალებზე. კომენტარები საგარჯიშოების შესახებ


სავ. №1 ეს დავალება საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გაიგოს, ვინ უფრო კარგად ფლობს ანგარიშს. გამოანგარიშების ასენა მოითხოვოს 2-3 მაგალითზე. მაგალითად, რიცხვიდან ჯამის/სხვაობის გამოკლებასა და მიმატებაზე.

სავ. №4 მასწავლებელი: (ამოცანის წაკითხვისა და მისი შინაარსის გაცნობის შემდეგ) – ეს ამოცანა სხვადასხვა გზით შეიძლება ამოიხსნას. ამოხსენით დამოუკიდებლად.

ერთი კითხვებითა და მოქმედებებით ხსნიან ამოცანას, მეორენი მოკლე ჩანაწერს შეასრულებენ და გამოსახულებას შეადგენენ.

$$\begin{array}{l}
 \text{იყო} - 24 \\
 \text{დარჩა} - 19 \\
 \text{წავიდა} - ?
 \end{array}$$

სხვანი სქემას შეადგენენ:



როდესაც ამოცანაში მოცემულია სიდიდეთა შორის სხვაობითი დამოკიდებულება, მაშინ უმჯობესია სქემის გამოყენება, რომელზეც რეალური სიტუაცია ნათლად ჩანს.

სავ№6 მოსწავლე დაწყებითი საფეხურიდანვე უნდა შევაჩვიოთ სიმბოლოების ენას, აბსტრაგირებას. შემეცნებითი პროცესი ალგებრის ელემენტების შემოტანას მოითხოვს. რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ფრთხილად უნდა მოხდეს. ასოების ნაცვლად II კლასში სხვადასხვა სიმბოლოს ვიყენებთ. მოსწავლეები იცნობენ ცნებებს: „ტოლობა”, „უტოლობა”, თუმცა, ცნების: „განტოლება” გაცნობა ამ ეტაპზე არ ხდება. ადგენენ სიმბოლოებს, წერენ განტოლებებს, რომელთაც არითმეტიკული მოქმედებების ურთიერთკავშირის გამოყენებით ხსნიან. წერენ შესაბამის ტოლობებს (განტოლებებს) და მსჯელობენ იმის შესახებ, თუ რა კომპონენტია უცნობი და როგორ უნდა ვიპოვოთ ის და ა. შ.

სავ№9 და **სავ№10** უმჯობესია კითხვებითა და მოქმედებებით ამოხსნას.

დ/ს რვეული გვ30, სავ№2 (ქვედა).

საშინაო დავალება №5, №7.

გაკვეთილი №110

მიზნები: 1) მიღებული ცოდნის განმტკიცება ა) ორნიშნა რიცხვების შეგრებისა და გამოკლების; ბ) გეომეტრიული საკითხების შესახებ; 2) შებრუნებულ ამოცანებზე მუშაობა. ამოცანის პირობის მიხედვით მოცემულისა და საძიებელის განსაზღვრის, ამოცანის ამოსახსნელად შესაბამისი მოქმედების შერჩევისა და მისი შესრულების ხერხის მოძებნის უნარების განვითარება; ნახატით მოცემული ამოცანის შინაარსის აღქმისა და ამოხსნის უნარების განვითარება.

გაკვეთილის მსვლელობა

I. ორგანიზაციული მომენტი

II. ზეპირი ანგარიში

კარნახი:

1) დაწერე რიცხვი, რომელიც შედგება

- 1 ათეულისა და 5 ერთეულისაგან;
- 2 ათეულისაგან;
- 3 ოცეულისაგან;

2) რა რიცხვს უნდა მიუმატო

- 1, რომ 40 მიიღო?
- 10, რომ 60 მიიღო?
- 20, რომ 95 მიიღო?

3) რა რიცხვს უნდა გამოაკლო

- 1, რომ 59 მიიღო?
- 10, რომ 72 მიიღო?
- 20, რომ 79 მიიღო?

III. ამოცანების ამოხსნა

სსნიან №3, №4 და №5 სავარჯიშოებს.

IV. დ/ს სავ.№2

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რეესტრის მასალაზე.

V. საშინაო დავალება სავ.№7, სავ.№8.

გაკვეთილი №111–116

ამ გაკვეთილების მირითადი ნაწილი ეთმობა ორნიშნა რიცხვების გამოკლების შესახებ მიღებული ცოდნის განმტკიცებას. უმეტესი დრო უნდა დაეთმოს შემოქმედებით დამოუკიდებელ მუშაობას. როგორც ყველა სხვა გაკვეთილის, ამ გაკვეთილის სტრუქტურაც ასეთი იქნება:

- 1) გაკვეთილის მიზნის გაცნობა;
- 2) გამეორება მასალისა, რომელიც საჭიროა მოცემულ დავალებათა შესრულებისათვის;


- 3) საკლასო დამოუკიდებელი მუშაობის ჩატარება
- 4) დამოუკიდებელი მუშაობის შედეგების შემოწმება და შეჯამება;
- 5) საშინაო დავალების მიცემა.

6) თამაში: „გემის მარშრუტის განსაზღვრა”

თამაშის მიზანი: ორნიშნა რიცხვები შეკრებისა და გამოკლების მოქმედების შესრულებისა და გამოთვლების ხერხების ათვისება, დახვეწა.

მასალა: მაგნიტური დაფა, ჭიკარტები, მისაწებელებელი წრეები, გემი (ნახატი-მისაწებელი)

თამაშის წესი: წინა გაკვეთილებიდან იციან.



მასწავლებელი რიგრიგობით იძახებს მეზღვაურებს (მოსწავლეებს) ჯერ I გუნდიდან. I მოსწავლე ხსნის გემის ქვეშ დაწერილ მაგალითს და დაფაზე ისრით მიუთითებს გემის მარშრუტს, ანუ გემიდან გაავლებს ისარს იმ ნავსადგურამდე, იმ წრემდე, რომელზეც გემის ქვეშ დაწერილი გამოსახულების მნიშვნელობა წერია. შემდეგ მეორე მეზღვაური გამოდის და გვაჩვენებს, თუ რომელ ნავსადგურთან ჩაუშვებს ღუზას და ა. შ. ამის შემდეგ მასწავლებელი გამოაჩენს II გუნდის მასალას (დაფარული აქტები) და ა. შ. თამაში ანალოგიურად გრძელდება. დასასრულს ცხადდება შეჯიბრის შედეგები. ამის შემდეგ მუშაობენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალებზე.

ტესტი №9 პასეხები

ტესტი	№1	№2	№3	№4	№5	№6
პასუხი:	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ

თავი 5

შეკრება-გამოკლება 100-ის ფარგალში

მიზანი: შეკრება-გამოკლების მოქმედებების ურთიერთკავშირის გაცნობა.

თავის შესწავლის შემდეგ მოსწავლემ უნდა იცოდეს:

- 1) ორნიშნა რიცხვების შეკრება-გამოკლების წესები;
- 2) გაორმაგება-განახევრების მოქმედებების შესრულების წესები;
- 3) მონაცემთა შეგროვების, მოწესრიგებისა და ინტერპრეტაციის ხერხები.

თავის შესწავლის შემდეგ მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

1. შეკრება-გამოკლების მოქმედებების შესრულება ხელსაყრელი ხერხით;
2. შეკრებისა და გამოკლების გამოყენება მარტივი ამოცანების ამოხსნისას;
3. შეკრება-გამოკლების მოქმედებათა ურთიერთშებრუნებულობის დემონსტრირება, მოდელების გამოყენებით;
4. შემოწმება, არის თუ არა დასახელებული რიცხვი მოცემული ტოლობის უცნობი კომპონენტის მნიშვნელობა;
5. კონკრეტული მოდელის შემთხვევაში იმის დადგენა, არის თუ არა მითითებული რაოდენობა სხვა მითითებული რაოდენობის ნახევარი/ორმაგი;
6. გაორმაგება/განახევრების ურთიერთშებრუნებულობის დემონსტრირება;
7. გაორმაგება-განახევრების დაკავშირება შეკრება-გამოკლების მოქმედებებთან;
8. ახსნა იმისა, თუ როგორ შეასრულა გამოთვლები;
9. მათემატიკური გამოსახულების წაკითხვა და ჩაწერა;
10. შეკრება-გამოკლების მოქმედებების გამოყენება გამოთვლებზე ამოცანების ამოხსნისას;
11. თვისებრივ მონაცემთა შეგროვება;
12. უმარტივესი ცხრილიდან საჭირო მონაცემების ამოკრება;
13. ერთი კლასის ობიექტების შესახებ მონაცემების რაიმე წესით დაჯგუფება და ამ წესის განმარტება
14. მონაცემთა სიის ზეპირსიტყვიერად დახასიათება;
15. მონაცემთა ცხრილის ზეპირსიტყვიერად დახასიათება.

გაკვეთილი №117

- მიზნები:** 1) შეკრება-გამოკლების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცება; 2) შეკრება-გამოკლების მოქმედებების ამოცანების ამოხსნაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება; 3) ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების მოდელების შექმნა; 4) დროის შუალედებზე მუშაობის უნარების განვითარება.

მასალა: ნახატები წელიწადის დროების შესახებ, მოსწავლის ერთი დღის შესახებ.

მეორეკლასედ მოსწავლეს აქვს გარკვეული გამოცდილება დროის შეგრძნების შესახებ, რაც დაკავშირებულია დღის რეჟიმის, წელიწადის დროების, დღისა და დამის ცვლასთან და სხვა. მისთვის უკვე გასაგებია ცნებები: დღეს, გუშინ, ხვალ, ზეგ და ა. შ. ეს კი ხელს უწყობს დროის შესახებ წარმოდგენათა ფორმირებას, რაც მისი პრაქტიკული ცხოვრების პროცესში თანდათანობით მიმდინარეობს. ამ ასაკის ბავშვებმა უნდა იცოდნენ კვირის დღეების სახელწოდება და მათი თანმიმდევრობა. ამიტომ, სასურველია, კლასშიც და სახლშიც პქონდეთ კედლის ან სამაგიდო კალენდარი.

გაკვეთილის მსვლელობა

1) „დრო“

მასწავლებელი სვამს კითხვებს დროის შუალედების შედარებაზე. მაგალითად,

- გაკვეთილი უფრო მეტ სანს მიმდინარეობს თუ დასვენება?
- არდადებები უფრო მეტ სანს გრძელდება, თუ სასწავლო წელი?
- ვინაა შენ ოჯახში ყველაზე უფროსი? ყველაზე უმცროსი?
- რას ნიშნავს გამონათქამი: ლაშა ნიკაზე უფროსია? თინიკო ნიკაზე 2 წლით უმცროსია?
- წელიწადის რა დროა ახლა? კიდევ რომელი დროების იცი?
- რომელი თვეები ახლა? კიდევ რა თვეების დასახელება შეგიძლიათ?

მასწავლებელი დაფაზე წერს, მოსწავლეები კი რვეულებში წერენ წელიწადის დროების, თვეებისა და კვირის დღეების სახელწოდებებს.

მასწავლებელი კითხულობს, თუ ვინაა გაზაფხულზე დაბადებული, ასახელებს კონკრეტულ თვეს და კითხულობს, თუ ვინაა ამ თვეში დაბადებული და ა. შ.

2) სახელმძღვანელოზე მუშაობა.

სინიან სახელმძღვანელოს სავ.№1, №2 და №3.

ამოცანებზე მუშაობა

სინიან რეკულის სავ.№1-ს.

სახელმძღვანელოში მოცემულ №4, №8 და №9 ამოცანებს.

დ/ს სავ.№6

საშინაო დაგალება სავ.№5, №7 და №10.

გაკვეთილი №118–123

- მიზნები:** 1) შეკრება-გამოკლების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცება; 2) გამოსახულების მნიშვნელობის ხელსაყრელი ხერხით გამოთვლის უნარის განვითარება; 3) შეკრება-გამოკლების მოქმედებების ამოცანების ამოხსნაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება; 4) განახევრება-გაორმაგების მოქმედებების შესრულება.

ბის მათი ერთმანეთთან და შეკრება-გამოკლების მოქმედებებთან დაგავშირების უნარ-ჩვევების განვითარება; 5) ფიგურების აღსაწერად მათი თვისებრივი და რაოდენობრივი ნიშნების გამოყენების უნარის განვითარება.

გაპვეთილი №118 მასწავლებელი დაფაზე წერს 4 მაგალითს: 23+14, 51+28, 59–13 და 58–36. მასწავლებელს საქმე ისე მიჰყავს, რომ მაგალითები შემდეგი სახით ამოხსნან:

$$23+14=(20+3)+14=20+(3+14)=20+17=37;$$

$$41+18=41+(10+8)=(41+10)+8=51+8=59;$$

$$59-13=(40+19)-13=40+(19-13)=40+6=46;$$

$$58-16=58-(10+6)=(58-10)-6=48-6=42.$$

– შეადარეთ ერთმანეთს გამოსახულებები და მათი მნიშვნელობების გამოთვლის გზები. რით განსხვავდებიან? (ა) მოქმედებებით; ბ) კომპონენტებით; გ) გამოანგარიშების გზებით; დ) მიღებული შედეგებით.)

– რა მსგავსებას ხედავთ? (ა) მოქმედებები სრულდება ოცეულზე გადაუსვლელად; ბ) ყოველ მათგანში ერთ-ერთი კომპონენტი იშლება შემაღებელი თვეულებისა და მისი დამატების ჯამად; გ) მოქმედება სრულდება ყველაზე იოლი ხერხით.)

– რა წესის ჩამოყალიბებას შევძლებთ, ამ გამოანგარიშებისა და ჩვენ მიერ შესრულებული ანალიზის შემდეგ, ორნიშნა რიცხვების შეკრება-გამოკლების ასეთი შემთხვევების შესახებ?

ამის შემდეგ მუშაობენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ№6 მასწავლებელი: – წაიკითხეთ ამოცანა. რა ვიცით ჭიქის შესახებ? (ნახევრამდევ წყლით სავსე) რა უნდა გავიგოთ?

– რამდენი წყალია საჭირო ჭიქის ბოლომდე ასავსებად? (რაკი ჭიქა ნახევრამდევა სავსე, მაშინ მის გასავსებად ის მეორე ნახევარი უნდა გავავსოთ, რომელიც ცარიელია—ამისთვის რამდენი ჭიქა წყალია საჭირო? (ნახევარი ჭიქა)

– ვიცით, რომ ბოთლი ნახევრამდევა წყლით სავსე. რა უნდა გავიგოთ? (რამდენი ბოთლი წყალია საჭირო ბოთლის ასავსებად) რა პასუხს გასცემთ ამ კითხვას? (საჭიროა ნახევარი ბოთლი წყალი.)

– რამდენი ქილა წყალია საჭირო ქილის ასავსებად, რომელშიც წყალი ნახევრამდე ასხია? (ნახევარი ქილა)

სავ№7 – როგორ სიღიდეებზე შეგვიძლია გთქათ: „იმდენი—რამდენიც“?

– შეგვიძლია თუ არა, შევადაროთ ნიკას მიერ დალეული რძის რაოდენობა რძის იმ რაოდენობას, რაც ბოთლში დატოვა? (ტოლია, რადგან რამდენიც დალია, იმდენი დატოვა.) გამოიყენეთ სიტყვა „ნახევარი“ და ისე მითხარით რამდენი ბოთლი რძე დალია ნიკამ და რამდენი დატოვა. (ნახევარი ბოთლი რძე დალია და ნახევარი ბოთლი რძე დატოვა). ჩამოაყალიბეთ ამოცანის პასუხი.

გაპვეთილი №119 მასწავლებელი დაფაზე წერს 4 მაგალითს: 39+6, 28+59, 64–6 და 93–57. მასწავლებელს საქმე ისე მიჰყავს, რომ მაგალითები შემდეგი სახით ამოხსნან:

$$39+6=39+(1+5)=(39+1)+5=40+5=45;$$

$$28+59=(27+1)+59=27+(1+59)=27+60=87;$$

$$64-6=64-(4+2)=(64-4)-2=60-2=58;$$

$$93-57=93-(53+4)=(93-53)-4=40-4=36.$$

- შეადარეთ ერთმანეთს გამოსახულებანი და მათი მნიშვნელობების გამოთვლის გზები. რა განსხვავებას ხედავთ? (განსხვავდებიან: а) მოქმედებებით; б) კომპონენტებით; გ) გამოთვლების ხერხებით; დ) მიღებული შედეგებით.)
- რა მსგავსებას ხედავთ? (მსგავსებაა: а) მოქმედებები სრულდება ოცეულზე გადასვლით; ბ) ყოველ მათგანში ერთ-ერთი კომპონენტი იშლება ხელსაყრელი შესაკრებების ჯამად, რომელთაგან ერთ-ერთის დამატება მეორე კომპონენტზე გვაძლევს სრულ ოცეულს; გ) მოქმედება სრულდება ყველაზე იოლი ხერხით.)
- რა წესის ჩამოყალიბებას შევძლებთ ამ გამოანგარიშებისა და ჩვენ მიერ შესრულებული ანალიზის შემდეგ ორნიშნა რიცხვების შეკრება-გამოკლების ასეთი შემთხვევების შესახებ? (ოცეულზე გადასვლით შეკრება-გამოკლებისას ერთ-ერთ კომპონენტი მეორე კომპონენტის ხარჯზე დადის ოცეულამდე შესაბამისი ერთეულების დამატებით ან გამოკლებით.)

შემდეგ მასწავებელი დაფაზე და რვეულებში რაციონალური ხერხით ამოახსნევინებს კიდევ 2-2 მაგალითს შეკრება-გამოკლებაზე და სთხოვს იმსჯელონ ამოხსნის გზაზე.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

გაკვN123,სავN11 ამოცანის წაკითხვის შემდეგ აანალიზებენ სიტუაციას. ადგენენ, რომ а) ამოცანის ამოსახსნელად თავსაფრების რაოდენობის შესაბამისი რიცხვი 12 უნდა წარმოადგინონ ერთმანეთისაგან განსხვავებული შესაკრებების ჯამის სახით, რადგან თავსაფრების რაოდენობა ფერების მიხედვით რაოდენობრივად განსხვავებულია. გამორიცხულია ის შემთხვევა, როდესაც ორი ან სამი სხვადასხვა ფერის თავსაფარი ტოლი რაოდენობითაა.

ბ) თავსაფრების რაოდენობები ფერების მიხედვით ასეთი დამოკიდებულებით უნდა მოიძებნოს:

წითელი > ყვითელი > თეთრი

- შეიძლება თუ არა ამ პირობების მიხედვით წითელი ფერის თავსაფარი იყოს 11? (არა, რადგან მაშინ ყვითელი იქნება 1 და თეთრი არც ერთი, რადგან $12=11+1+0$. ასეთ შემთხვევაში გამოდის რომ მაღაზიაში მხოლოდ ორი ფერის თავსაფარია)
- შეიძლება თუ არა ამ პირობების მიხედვით წითელი ფერის თავსაფარი იყოს 10? (არა, რადგან მაშინ ყვითელი იქნება 1 და თეთრიც 1, რადგან $12=10+1+1$ ან ყვითელი იქნება 2 და თეთრი არც ერთი. $12=10+2+0$ ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამოდის რომ მაღაზიაში მხოლოდ ორი ფერის თავსაფარია)

ანალოგიური მსჯელობისა და განხილვის შედეგად ავსებენ ცხრილს (რვეულში)

რომელსაც საბოლოოდ ასეთი სახე ექნება:

წითელი	9	8	7	7	6	6	5
თეთრი	1	1	1	2	1	2	3
ყვითელი	2	3	4	3	5	4	4

რვეული გვ.30-33.

გაკვეთილი №124

- მიზანი:** 1) შესწავლით მასალის შესახებ ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება.
- 2) ჯგუფური მუშაობისას თანამშრომლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;
- 3) პრობლემის განსაზღვრისა და მისი ჩამოყალიბების, საფეხურებად დაყოფისა და ეტაპობრივად გადაჭრის, კვლევის, ცხრილიდან მონაცემთა ამოკრების, მსჯელობა-დასაბუთების უნარების განვითარება.

ტესტი №10
პასუხები

ტესტი	№1	№2	№3	№4	№5	№6
პასუხი:	ბ	ბ	ბ	ბ	ბ	ბ

გაპვეთილი №125

- მიზნები:** 1) შეკრება-გამოკლების შესახებ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განმტკიცება, გამოსახულების მნიშვნელობის ყველაზე ხელსაყრელი ხერხით გამოთვლის უნარის განვითარება;
- 2) შეკრება-გამოკლების მოქმედებების ამოცანების ამოხსნაში გამოყენების უნარების განვითარება;
- 3) ამოცანის შინაარსის აღქმის, პრობლემის გადაჭრისა და საჭირო რესურსების შერჩევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.
- მასალა:** მზა ცხრილი და მასალა თამაშისათვის (ქალის სახელები), ფერადი ცარცი (3 ფერის).

გაპვეთილის მსვლელობა

1) ცხრილზე მუშაობა

მასწავლებელს წინასწარ აქვს გამზადებული ცხრილი:

საკლები	22		23		80	65	
მაკლები		5		26	78		40
სხვაობა	10	70	7	24		20	84

მოსწავლეები რიგ-რიგობით გამოჰყავს დაფასთან. ისინი ავსებენ ცხრილს. თითოეული განმარტავს, თუ როგორ მიიღო საძიებელი რიცხვი.

მასწავლებელი კითხულობს, თუ როგორ შეამოწმონ მიღებული შედეგის სისწორე. გამოდის მსურველი და ამოწმებს შედეგს. (შეკრებით ან გამოკლებით)

ამის შემდეგ სსნიან სავ.4-ის I სვეტის მაგალითებს დაფაზე და რვეულებში, II სვეტის მაგალითებს კი დამოუკიდებლად ამოხსნიან. დამოუკიდებლად ხსნიან, აგრეთვე, რვეულიდან სავ. №2-ს.

2) თამაში: „გამოიცანი ვინ იყვნენ”

თამაშის წესი: მასწავლებელი: – გუშინ ჩემ ეზოში რამდენიმე გოგონა თამაშობდა. მე ყველა გოგონას სახელი ერთად ამოვწერე. (აჩვენებს ჩანაწერს) გამოიცანით, ვინ და რამდენი გოგონა თამაშობდა ეზოში. (ასოების თანმიმდევრობა არ უნდა დაირღვეს, ერთნაირი სახელები რამდენჯერაც შეხვდებათ, იმდენჯერ ამოიწერონ)

მ ა ნ ა ნ ა ი რ ა ზ ა ი რ ა ი ა

მოსწავლეებმა უნდა ამოკრიბონ ქალის სახელები. ესენია:

მანანა, ანა, ნანა, ანა, ნაირა, ირა, აზა, ზაირა, ირა, რაია, ია.

მასწავლებელი: – ერთმანეთის მოსახელე რამდენი გოგონა თამაშობდა ეზოში?

– რამდენი გოგონა თამაშობდა ეზოში?

– რამდენი გოგონა იქნებოდა ეზოში იმ შემთხვევაში, თუ დაგუშვებთ, რომ ეზოში ერთმანეთის მოსახელე გოგონები არ თამაშობდნენ? (9)

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავN1 ჯერ მსჯელობენ იმაზე, თუ რას წარმოადგენს რიცხვის „უახლოესი ოცეული”, „უახლოესი ათეული”, შემდეგ ასახელებენ საძიებელ რიცხვებს. პასუხის პარალელურად, მასწავლებელი დაფაზე რიცხვით სხივზე მონიშნავს საძიებელ რიცხვებსა და 74-ს. წითელი ცარცით აჩვენებს მონაკვეთს 74-დან 70-მდე და მწვანე ცარცით 74-იდან 80-მდე. შემდეგ თვალზომით ადარებენ წითელი და მწვანე მონაკვეთების სიგრძეებს. დანარჩენ სამუშაოს მოსწავლეები დაფაზე და რევულებში ასრულებენ.

სავN3 გამოსახულების მნიშვნელობას ხელსაყრელი ხერხით ითვლიან. მსჯელობენ არჩეული ხერხის შესახებ. სახურველია, მასწავლებელმა ერთი მაგალითი მაინც, სხვადასხვა ხერხით ამოახსნევინოს და შემდეგ ამოხსნების ხერხების შედარება—შეპირაპირება მოახდინონ.

სავN10 სამ ნახატზეა მოცემული ყვავილები. ერთგან ყვავილების რაოდენობაა მითითებული (16). მოსწავლემ თვალზომით უნდა განსაზღვროს, რომ მეორე ნახატზე 16-ზე ნაკლები ყვავილია, ხოლო მესამეზე 16-ზე მეტი.

დ/ს სავN3 ბოლო სვეტი.


საშინაო დავალება: სავN8, სავN9.

გაკვეთილი №126

- მიზნები:** 1) შეკრება-გამოკლების მოქმედებების ამოცანების ამოხსნაში გამოყენების უნარების განვითარება;
- 2) ამოცანის პირობის მიხედვით მოცემულისა და საძიებლის გამიჯვნის, მოთხოვნის შესაბამისად ტექსტის ამოცანად გადაქცევის უნარის განვითარება;
- 3) ეროვნული ფულის ნიშნების განსხვავების, დასახელებისა და გამოყენების უნარის განვითარება;
- 4) რაოდენობის შეფასების უნარის განვითარება;
- 5) საგნების რაოდენობასა და შესაბამისი გამოსახულების ერთმანეთთან დაკავშირების, ნახატისა და გამოსახულების მიხედვით, ამოცანის შედგენის უნარების განვითარება;
- 6) ფიგურების საერთო გვერდებისა და წვეროების მითითების უნარის განვითარება.

გაკვეთილის მსეფლელობა

მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ნახატსა და ჩანაწერებს:



მოსწავლებებმა ნახატისა და გამოსახულების მიხედვით, ამოცანები უნდა შეადგინონ ზეპირად და ამოხსნან. ეს ამოცანა იმდენ დროს წაიღებს, რომ სხვა ზეპირი სავარჯიშოები საჭირო აღარაა.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. N1 ა) წაიკითხეთ ტექსტი.

- არის თუ არა მოცემული ტექსტი ამოცანა? რატომ?
- როგორ შევცვალოთ ტექსტი, რათა იგი ამოცანად იქცეს? (კითხვა უნდა დავსვათ სწორად.) როგორ კითხვას დასვამთ? (რამდენი ქლიავია ორივე თევზე?)
- როგორ ამოხსნით ამოცანას? ($11+7=18$) ჩამოაყალიბეთ პასუხი.

ბ) ანალოგიური მსჯელობით ჩამოაყალიბებენ ამოცანას. აქ სხვადასხვა შესაძლებლობაა. შეიძლება პირობის ისე შეცვლა, რომ ამოცანა შეცვლით ამოიხსნას, შეიძლება პირობა ისე შეცვალონ, რომ ამოცანა გამოკლებით ამოიხსნას. რა თქმა უნდა, ორივენაირად შეცვლიან პირობას და ორივე ამოცანას ამოხსნიან.

დ) ამ ტექსტში ორი რიცხვითი მონაცემი უნდა ჩასვან. ამის შესაძლებლობა მრავალნაირია. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ რიცხვითი მონაცემების სიმრავლეს.

სხვადასხვა ვარიანტების განხილვისას მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას ამოცანის შემადგენელი ნაწილებისა და ამოხსნის გზების შესახებ.

დ/ს მასწავლებელი დაფაზე წერს დაგალების ორ ვარიანტს:

I ვარიანტი

II ვარიანტი

რომელია მეტი:

$$85 - 17 \text{ თუ } 77 - 8?$$

$$92 - 19 \text{ თუ } 56 - 25?$$

$$36 + 29 \text{ თუ } 38 - 27?$$

$$56 + 28 \text{ თუ } 25 - 26?$$

$$72 - 54 \text{ თუ } 79 - 60?$$

$$67 - 16 \text{ თუ } 69 - 17?$$

$$48 + 37 \text{ თუ } 90 - 28?$$

$$31 + 29 \text{ თუ } 95 - 24?$$

საშინაო დაგალება: სავ.№2, სავ.№8.

გაკვეთილი №127-128

მიზნები: 1) შეკრება-გამოკლების შესახებ შეძენილი ცოდნის და უნარ-ჩვევების განმტკიცება, ამ ცოდნის ამოცანების ამოხსნაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება;

2) განახევრება-გაორმაგების მოქმედებების შესრულების, მათი ერთმანეთოან და შეკრება-გამოკლების მოქმედებებთან დაკავშირების უნარების განვითარება;

3) გეომეტრიულ ფიგურათა შესახებ ცოდნის განმტკიცება;

4) დროში ორიენტირების უნარის განვითარება;

5) ეროვნული ფულის ნიშნების დასახელებისა და გამოყენების უნარის განვითარება; ამ ორ გაკვეთილზე მასწავლებელი იყენებს თამაშებს:


I. თამაში: „იპოვე და გაასწორე შეცდომა”

მასწავლებელი წინასწარ ამზადებს ჩანაწერს:

$$58+7=65; \quad 96-20=66; \quad 86+13=89; \quad 63-8=55; \quad 80-36=54; \quad 67-19=58.$$

მოსწავლეები პოულობენ შეცდომებს, ასწორებენ და ასაბუთებენ თავის ნააზრევს.

II. თამაში: „ჯაჭვი:



შემდეგ მუშაობენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალებზე.

რვეული გვ.35, 36.

გაკვეთილი №129

მიზნები: 1) მოსწავლის უშუალო გარემოცვის შესახებ მონაცემების შეგროვების, ცხრილზე მუშაობის უნარების განვითარება; 2) შეკრება-გამოკლების მოქმედებების ამოცანების ამოხსნაში გამოყენების უნარის განვითარება.

გაკვეთილის მსვლელობა

ზეპირი ანგარიშის შემდეგ თამაში: „რა არის საჭირო?”

1) ა) მასწავლებელი: –მეორე კლასის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს საახალწლოდ ოოვლის ფიფქების დამზადება. შევადგინოთ საჭირო ნივთების ჩამონათვალი. რა ნივთებია ამისათვის საჭირო? ბავშვები გამოთქამენ თავიანთ მოსაზრებას (საჭიროა ქაღალდი, მაკრატელი, წებო, ნახაზი, რის მიხედვითაც ფიფქი უნდა გამოიჭრას) მასწავლებელი დაფაზე წერს ბავშვების მიერ ჩამოთვლილი ნივთების სიას. რა სახელს დაარქმევთ ამ ჩამონათვალს? (ფიფქის მოსამზადებელი ნივთების სია)

ბ) რა სახელს დაარქმევთ ამ ჩამონათვალს?

მესამე კლასის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს სკოლის ეზოში ტიტების დარგვა. რა საგნები არის ამისთვის საჭირო? (ტიტების ბოლქები, ბარი, სარწყავი, ხელთაომანები, ტიტებს შორის მანძილის დასაცავად რაიმე საზომი. მაგალითად, გარკვეული სიგრძის ჯოხი) ჩამოთვლილ საგნებს მასწავლებელი ერთმანეთის ქვეშ წერს.

– რა შევადგინეთ? (საჭირო საგნების სია)

2) კიდევ რის სიას იცნობთ? რა სიის შედგენა შეგიძლიათ?

პასუხების მოსმენისა და ანალიზის შემდეგ მუშაობენ სახელმძღვანელოს №1, №2, №3 და №4 სავარჯიშოებზე.

დ/ს I – სავ.№6, II – სავ.№10.

საშ. დაგალება სავ.№11, რევული გვ.№36, სავ.№1.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავ.№9 ამოცანის ამოსახსნელად უმჯობესია სქემის გამოყენება.

მასწავლებელი: –თითოეული სართული აღვნიშნოთ წრით. რამდენი წრე დაგვჭირდება?


(13). თეოდსა და ვანოს სართულები „–“-ით მოვნიშნოთ.

–ახლა როგორ მოვიქცეთ? (დავითვალოთ სართულები ვანოსა და თეოდს სართულებს შორის) რამდენია? (7) ჩამოაყალიბეთ ამოცანის პასუხი.

სავ.№10 ცხრილზე დაკვირვების შედეგად ასკენიან, რომ

I გზა: ა) სვეტში ყოველი ქვედა სტრიქონის რიცხვი 5-ით ნაკლებია ზედა სტრიქონის რიცხვზე; ბ) გამოტოვებულია 33-ზე 5-ით ნაკლები რიცხვი, ანუ 28.

II გზა: ა) სტრიქონში ყოველი მომდევნო სვეტის რიცხვი 15-ით ნაკლებია წინა სვეტის რიცხვზე; ბ) გამოტოვებულია 43-ზე 5-ით ნაკლები რიცხვი, ანუ 28.




გაკვეთილი №130

მიზნები: 1) ერთგაროვან მონაცემთა მოკლე სიიდან მონაცემთა ამოკრების, მისი (მოსწავლის) უშუალო გარემოცვის შესახებ მონაცემების შეგროვების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; 2) შეკრება-გამოკლების შესახებ შეძენილი ცოდნის ამოცანების ამოხსნაში გამოყენებისა და იმის შემოწმების უნარის განვითარება, არის თუ არა დასახელებული რიცხვი მოცემული ტოლობის უცნობი კომპონენტი; 3) ფიგურის შიგნით, გარეთ და საზღვარზე წერტილების მითითებისა, აღნიშვნებისა და სიმბოლოების კორექტულად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება/ჩამოყალიბება; 4) მიმდევრობის გამოტოვებული წევრის აღდგენის უნარის განვითარება.

გაკვეთილის მსვლელობა

1) ნახატები მასწავლებელს წინასწარ აქვს გამზადებული.



მასწავლებელი:— ვით თითვლები რას აღნიშნავს ჩანაწერი პირველი ნახატის ქვეშ?

მოსწავლეები ითვლიან წერტილებს არეში, მის გარეთ და საზღვარზე. ადგენენ გამოსახულების შედგენის წესს (ითვლება წერტილების საერთო რაოდენობა).

— რა ჩანაწერი უნდა იყოს შესრულებული №2 ნახატის შესაბამისად? №3-ის?

ჩვენ უგვე გავარკვით სად რა ჩანაწერი იყო გამოტოვებული. ახლა მე დავხაზავ ცხრილს და შევავსოთ იგი ამ ნახატების მიხედვით.

	შიგნით	გარეთ	საზღვარზე	სულ
№1				
№2				
№3				
სულ				

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ რა მონაცემები უნდა შეიტანონ თითოეული სვეტისა თუ სტრიქონის უჯრაში და მათთან ერთად ავსებს ცხრილს. ცხრილის შევსების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- რომელ არეშია ყველაზე მეტი შიგნით წერტილები?
 - რომელ არეს გარეთაა ყველაზე მეტი წერტილები?
 - რომელ არეს საზღვარზეა ყველაზე ნაკლები წერტილები?
 - წერტილების ტოლი რაოდენობა თუ აღირიცხა სადმე?
 - რამდენი წერტილია №1 ნახატზე?
 - რამდენი წერტილია არის გარეთ სამივე ნახატზე?
- 2) გამოჰყავს დაფასთან მოსწავლე და მიმართავს: — დახაზე არე. მე დაგისახელებ რიცხვებს. დასახელებული რიცხვებიდან ორნიშნა რიცხვები დაწერე არის შიგნით, ერთნიშნა კი — მის გარეთ. მასწავლებელი ასახელებს რიცხვებს, მოსწავლე კი მიუჩენს მათ სათანადო ადგილს არის საზღვრის მიმართ.

- 3) გამოჰყავს მოსწავლე და მიმართავს: — დახაზე არე. მე დაგისახელებ რიცხვებს. დასახელებული რიცხვებიდან 45-ზე მეტი რიცხვები დაწერე არის შიგნით, ნაკლები — მის გარეთ, ხოლო ტოლი — საზღვარზე. მასწავლებელი ასახელებს რიცხვებს, მოსწავლე კი მიუჩენს მათ სათანადო ადგილს არეს საზღვრის მიმართ.

მუშაობას აგრძელებენ სახელმძღვანელოსა და რვეულში მოცემულ მასალაზე.

დ/ს სავ. №2.

კომენტარები სავარჯიშოების შესახებ

სავ. №6. ეს დავალება უნდა განაწილდეს მერხების რიგების მიხედვით (ერთი რიგი 35 თეთრს შეადგენს, მეორე 45 თეთრს და ა. შ.) თითოეული მათგანისთვის მოსწავლეები სხვადასხვა ვარიანტს წარმოადგენენ. იმსჯელებენ ყველა ვარიანტის შესახებ, ამოწურავენ შესაძლებლობებს.

სავ. №8. სქემა ასეთი იქნება:  საშინაო დავალება სავ.№3, სავ.№7.

გაკვეთილი №131

მიზნები: 1) ერთგვაროვან მონაცემთა მოკლე სიიდან მონაცემთა ამოკრების, მისი (მოსწავლის) უშუალო გარემოცვის შესახებ მონაცემების შეგროვების უნარების განვითარება;

2) გამოთვლების ხერხების გამოყენების უნარების განვითარება;

4) ეროვნული ფულის ნიშნების გაცნობა;

მასალა: ეროვნული ფულის ნიშნების მოდელები (ქაღალდისაგან გამოჭრილი), ქურნალიდან ფორმატზე ამოწერილი მოსწავლეთა სია.

გაკვეთილის მსგლელობა

1) მასწავლებელი: –გამოიყენეთ მხოლოდ 10 და 5-ლარიანები და შეადგინეთ 25 ლარი და ა.შ უსახელებს თანხას, რაც უნდა შეადგინონ და ფულის ნიშნებს, რითაც უნდა შეადგინონ.

2) თამაში: „მოიფიქრე კითხვები”

თამაშის წესი: თამაშობს ორი გუნდი. ასახელებენ ცხოვრებისეულ რომელიმე ეპიზოდს, მაგ., შემოდგომას და სვამენ მის გარშემო კითხვებს. კითხვა აუცილებლად უნდა შეიცავდეს სიტყვას: „რამდენი”. გუნდები კითხვებს რიგრიგობით სვამენ. პასუხობს მოწინააღმდეგებ გუნდი. კითხვების გამეორება არ შეიძლება. წაგებულია ის, ვინც ვეღარ შეძლებს კითხვის დასმას, ანუ თამაშის გაგრძელებას.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

№3 და **№4** დავალებების შესასრულებლად მოსწავლეებს სჭირდებათ სია, რომელსაც მასწავლებელი წინასწარ ფორმატზე (ან ექრანზე) გადმოიწერს, რომ ყველა ხედავდეს. დ/ს სავ.№5, სავ.№7.

საშინაო დავალება: სავ.№6 (ბოლო ორი სვეტი), სავ.№8

გაკვეთილი №132

მიზნები: 1) ერთგვაროვან მონაცემთა მოკლე სიიდან მონაცემთა ამოკრების, მისი (მოსწავლის) უშუალო გარემოცვის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და მოწესრიგების, სიის აღწერის უნარების განვითარება; 2) მონაცემთა ცხრილის განმარტების უნარის განვითარება; 3) რამდენიმე მიმდევრობის ერთმანეთთან შედარებისა და ერთიდაიმავე წესით შედგენილი მიმდევრობების დასახელების უნარების განვითარება; 4) ფიგურის აღსაწერად მისი თვისებრივი და რაოდენობრივი ნიშნების გამოყენების უნარის განვითარება; 5) სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, სტრატეგიების გააზრებულად გამოყენება, სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხის ამაღლება) განვითარება.

მასალა: 1) დიდი ზომის მუჟაოს ფურცელი, რომელშიც გამოჭრილია გეომეტრიული ფიგურები („ფანჯრები”);

2) მოსწავლეთა რაოდენობის ტოლი რაოდენობის ბარათები ორნიშნა რიცხვებით.



გაკვეთილის მსვლელობა

1) თამაში: „ვინ გამოიცნობს ფიგურას დაუნახავად?”

თამაშის მიზანი: ფიგურის აღსაწერად მისი თვისებრივი და რაოდენობრივი ნიშნების გამოყენების უნარის განვითარება.

თამაშის წესი: თვალდასტუქული მოსწავლე ხელით ეხება პარკში ჩაყრილ ფიგურებიდან ერთ-ერთს, სინჯავს მის ფორმას და ასახელებს.

2) თამაში: „მოწესრიგებული რიცხვების მწერივი”

თამაშის წესი: რიგების მიხედვით კლასი რამდენიმე გუნდად იყოფა. მასწავლებელი მაგიდაზე აწყობს გადაბრუნებულ ბარათებს, რომელთაგან თითოეულზე ორნიშნა რიცხვი წერია (არ ჩანს). დაფაზე, შუაში დებს ერთ ბარათს, ორნიშნა რიცხვით (ჩანს). გამოდის ერთი გუნდის წევრი, იღებს გადაბრუნებულ ბარათს და თუ მასზე დაწერილი რიცხვი მეტია, მასწავლებლის მიერ დაფაზე დადებულ რიცხვზე, ბარათს დადებს ბარათის მარჯვნივ, თუ არა – მარცხნივ. გამოდის სხვა გუნდის ერთი წევრი, იღებს მაგიდიდან ბარათს და დებს წინა ორი რიცხვის მარჯვნივ, თუ ორივეზე მეტია – მარცხნივ, თუ ორივეზე ნაკლებია და მათ შორის, თუ ერთზე მეტია და მეორეზე ნაკლები. ანალოგიურად იქცევიან სხვა მოსწავლეებიც, გუნდების მიხედვით რიგრიგობით გამოდიან, იღებენ ბარათს და მასზე დაწერილ რიცხვს მიუჩენენ სათანადო დაფაზე აღგილს რიცხვთა მწერივში. შეცდომის დაშვების შემთხვევაში გუნდი სვლას კარგავს. იგებს ის, ვინც უშეცდომოდ პირველი დაალაგებს რიცხვებს.

კომენტარები საგარჯიშოების შესახებ

სავ. №6 მასწავლებელი დაფაზე მოკლედ აწერინებს მონაცემებს და სვამს კითხვებს:

- ვის აქვს კველაზე მეტი მარკა? (მარის) ნაკლები? (ვანოს) რატომ ფიქრობ ასე?
- ახლა რა უნდა გამოვთვალოთ? (რამდენი მარკა აქვს კველას ერთად?) როგორ?
- კიდევ რა უნდა გამოვთვალოთ? (რამდენი მარკა უნდა შეიძინონ თემომ და ვანომ, იმათაც (თითოეულს) იმდენი მარკა რომ ჰქონდეთ, რამდენიც მარის აქვს?) როგორ? (თითოეულისათვის უნდა გამოვთვალოთ განსხვავება. ვანოს: 23-13=10, 23-18=5).

წყვილებში სამუშაო. მასწავლებელი დაფაზე ხაზავს ანალოგიურ ცხრილს თავისი მონაცემებით და უმატებს თითო სვეტსა და სტრიქონს.

მასწავლებელთან ერთად იხილავენ ცხრილის მონაცემებს. ამოკრებენ საჭირო მონაცემებს და შეიტანენ ცხრილის სათანადო უჯრებში.

ცხრილს საბოლოოდ ასეთი სახე ექნება:

	ჭინჭრაქა	ნაცარქექია	სულ
პირველი დღე	52	47	
მეორე დღე	45	49	
სულ			

დ/ს სავ.№4, №5.

საშინაო დაგალება: სავ.№2, სავ.№6 (ბოლო 2 სვეტი)

გაკვეთილი №133-138

მიზნები: 1) ერთგვაროვან მონაცემთა მოკლე სიიდან მონაცემთა ამოკრების, მოსწავლის უშუალო გარემოცვის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და მოწესრიგების, სიის აღწერის უნარების განვითარება; 2) ფიგურის აღსაწერად მისი თვისებრივი და რაოდვნობრივი ნიშნების გამოყენების უნარის განვითარება; 3) საგნების ურთიერთმდებარების, მათი რიგითობის განსახლვრის უნარების განვითარება; 4) სასწავლო აქტივობებში მონაწილეობის ხარისხის ამაღლება.

გაკვეთილის მსვლელობა

მასწავლებელი გაკვეთილებზე იყენებს აქტივობებს:

1) **თამაში:** „ერთმანეთთან შესახვედრად“

თამაშის წესი: მასწავლებელი წინასწარ ერთ სტრიქონში წერს დაფაზე გამოსახულებებს კენტი რაოდენობით. მაგალითად,

14+47 65-29 29+56 85-23 80+18

ჩანაწერი დაფარული უნდა იყოს. (მოსწავლეები დაფასთან გამოსვლამდე ვერ უნდა ხედავდნენ მაგალითებს). მასწავლებელს გამოჰყავს 2 მოსწავლე. ისინი მაგალითების ამოხსნას იწყებენ ერთმანეთის შემსვედრი მიმართულებით, ანუ ერთი იწყებს მარცხნიდან (14+47), მეორე მარჯვნიდან (80+18). გამარჯვებული იქნება ის მოსწავლე, რომელიც ამ 5 მაგალითიდან მეტს ამოხსნის, უშეცდომოდ.

2) **თამაში:** „ყველაზე დიდი“

მასალა: ერთი სახისა და განსხვავებული ზომის გეომეტრიული 10 ფიგურა, გაუმჯორვალე პარკი.

თამაშის წესი: თამაშობს 2 ან 3 გუნდი. გაუმჯორვალე პარკში ჩაწერილია სხვადასხვა ზომის ერთი და იგივე რამდენიმე გეომეტრიული ფიგურა (მაგ., წრე). მოსწავლემ პარკში ჩაუხედავად, ხელით მოსინჯვით, უნდა იპოვოს ყველაზე დიდი წრე. ამოღოს და გამოსაჩერ ადგილზე დადოს. მომდევნო მოსწავლეც ასევე იქცევა, მან უნდა ამოიღოს დარჩენილთაგან ყველაზე დიდი წრე, რომელიც წესით წინა წრეზე პატარა უნდა იყოს. ნებისმიერ შემთხვევაში თავის ამოღებულ წრეს წინა წრესთან დებს, რიგის მიხედვით. ჯერ ერთი გუნდი ცდის ბეჭდს, შემდეგ II და ბოლოს – III. ამოღებულ ფიგურათა თანმიმდევრობა ნათელ სურათს ქმნის მათ მიერ შესრულებული დავალების ხარისხზე. გამარჯვებულია ის გუნდი, ვისი წრეებიც სიდიდის კლების მიხედვითა დალაგებული.

3) **ქსტაფეტა.** თამაშის წესი ცნობილია, ის უბავა რამდენჯერმე გამოვიყენეთ. მასწავლებელი მასალას თავისი შეხედულებისა და საჭიროების მიხედვით შეადგენს

4) **თამაში:** გეომეტრიული ფიგურების შედგენა”

მასალა: მოსწავლე: 4 ტოლი ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედი. მასწავლებელს: 8 ტოლი მართკუთხა სამკუთხედი.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ერთმანეთის ტოლ ტოლფერდა სამკუთხედებს (შეიძლება წინა დღეს დავალოს ქაღალდისაგან გამოჭრილი მოიტანონ 4-4 ცალი).

წყვილებმა სამკუთხედების გამოყენებით უნდა შეადგინონ ერთმანეთისაგან რაიმე ნიშნით განსხვავებული, რაც შეიძლება მეტი გეომეტრიული ფიგურა. დავალების შესრულების სისწრაფესაც მნიშვნელობა ეძლევა. მოსწავლეები ადგენენ ფიგურებს და ხაზავენ რვეულში. გარკვეულ მომენტში (როდესაც უმრავლესობამ გაართვა თავი დავალებას) მასწავლებელი აწყვეტინებს მოსწავლეებს მუშაობას და პრეზენტაციაზე იწვევს საუკეთესო წყვილს (ყველაზე მეტი ფიგურის სწრაფად შემდგენელს).

რვეული გვ.38-41.

ტესტი №10
პასუხები

ტესტი	№1	№2	№3	№4	№5	№6
პასუხი:	გ	გ	ა	გ	ა	ა

გაკვეთილი 141-159
კურსის გასამეორებელი მასალა

მიზნები: მოვლის წლის მანძილზე მიღებული ცოდნის გამეორება, განზოგადება.

მასალა დალაგებულია თემატიკის მიხედვით. დაცულია თემების სახელმძღვანელოში მოცემული თანმიმდევრობა.

სასურველია, ამ გაკვეთილებზე შესრულებული დამოუკიდებელი სამუშაოები მოსწავლეებმა წყვილებში შეუმოწმონ ერთმანეთს

გაკვეთილი 164-165
გამეორება

უმჯობესია, ეს ორი გაკვეთილი იყოს არასტანდარტული. მაგალითად, გაკვეთილი შეჯიბრი, გაკვეთილი-კონკურსი, გაკვეთილი – მხიარულთა და საზრიანოა კლუბი და სხვა. გაკვეთილების მოსამზადებლად მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ჩვენი სახელმძღვანელოს II ნაწილი, რვეულის II ნაწილი (გასამეორებელი მასალა), მასწავლებლის წიგნი (დამატებითი მასალა) და სხვადასხვა გასართობი ამოცანები.

ტესტირების განმავითარებელი შეფასების ნიმუში
ტესტი №3-ის მიხედვით

პრიტერიუმები	დონეები		
	დაბალი	საშუალო	მაღალი
რიცხვები 100-ის ფარგლებში (ნუმერაცია, თანრიგობრივი შედგენილობა, ოცელითა და 20-ზე ნაკლები ერთეულებით შედგენილობა, შედარება)	<ul style="list-style-type: none"> ვერ ასახელებს რიცხვს მისი თანრიგობრივი, ასევე ოცეულითა და 20-ზე ნაკლები ერთეულებით შედგენილობის მიხედვით ან ასახელებს და ვერ ცნობს მის ჩანაწერს. უმეტესად შეცდომით ასახელებს მოცემული რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვებს. უჭირს კლების მიხედვით დალაგებული რიცხვების ამორჩევა 	<ul style="list-style-type: none"> უმეტესად სწორად ასახელებს რიცხვს მისი თანრიგობრივი, ასევე ოცეულითა და 20-ზე ნაკლები ერთეულებით შედგენილობის მიხედვით. დუნედ, მაგრამ უშეცდომოდ ასახელებს მოცემული რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვებს. უჭირს, მაგრამ მაინც ახერხებს კლების მიხედვით დალაგებული რიცხვების ამორჩევას 	<ul style="list-style-type: none"> სხარგად და სწორად ასახელებს რიცხვს მისი თანრიგობრივი, ასევე ოცეულითა და 20-ზე ნაკლები ერთეულებით შედგენილობის მიხედვით. სხარგად და უშეცდომოდ ასახელებს მოცემული რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვებს. ადვილად და სწრაფად ირჩევს კლების მიხედვით დალაგებულ რიცხვებს
გეომეტრიული ფიგურების ამოცნობა	ვერ ახერხებს გეომეტრიული ფიგურების ამოცნობას რაოდენობრივი ნიშნების მიხედვით	უმეტესად სწორად ამოცნობს გეომეტრიულ ფიგურებს რაოდენობრივი ნიშნების მიხედვით	სწრაფად და ზუსტად ამოცნობს გეომეტრიულ ფიგურებს მათი რაოდენობრივი ნიშნების მიხედვით
დასკვნა	საჭიროებს დამატებით მეცადინეობას იმავე საკითხების ასათვისებლად	საჭიროებს დამატებით დამოუკიდებლად მუშაობას საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისათვის	სასწავლო მასალა წარმატებით აითვისა

საპროექტო დავალების ნიმუშები

პროექტი „ყველაზე მაღალი“

- I ეტაპი: მოიძიე ინფორმაცია სხვადასხვა ხის სიმაღლის შესახებ;
- II ეტაპი: დააჯგუფე ხეები სიმაღლის მიხედვით (მაგალითად, დაბალი, საშუალო მაღალი);
- III ეტაპი: შეასრულე ნახატები, მოიძიე შესაბამისი ფოტომასალა;
- IV ეტაპი: გააფორმე შენი პროექტი, დაურთე ნახატები და მოძიებული სურათები;
- V ეტაპი: მოაწყე შენი ნამუშევრის პრეზენტაცია კლასში.
- პროექტის მიზანია:**
1. შეიძინოს ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა საშუალების (შესაბამისი ლიტერატურა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, უშუალო დაკვირვება) გამოყენების უნარი;
 2. გაიწაფოს რაოდენობრივი მონაცემების დაჯგუფება-დახარისხებაში;
 3. გაიაზროს და შეიყვაროს ჩვენი პლანეტის მდიდარი და მრავალფეროვანი ფლორა.

პროექტი „გეომეტრია ჩვენ გარშემო“

- I ეტაპი: შეაგროვე შენოვის ცნობილი გეომეტრიული ფიგურების ფორმის მქონე საგნები, ფოტოები, აპლიკაციები;
- II ეტაპი: შეადგინე ალბომი შენი შეგროვილი ფოტომასალით და აპლიკაციებით;
- III ეტაპი: მოაწყე შენი პროექტის პრეზენტაცია.
- პროექტის მიზანია:**

1. მოსწავლემ შეძლოს სხვადასხვა ობიექტებში ამოიცნოს გაკვეთილზე ნასწავლი გეომეტრიული ფიგურების ფორმები;
2. მოსწავლე გაიწაფოს შესაბამისი მასალის მოძიებაში და მოძიებული მასალის დახარისხება-მოწესრიგებაში;
3. გაიუმჯობესოს მსჯელობის, დასაბუთების, პრეზენტიის უნარები.

გთავაზობთ, პროექტის განმავითარებელი შეფასების რეალიზაციის ნიმუშს.

აქტივობა	დაბალი	საშუალო	მაღალი
ინფორმაციის მოძიება	ვერ მოიძია შესაბამისი ინფორმაცია ან მოძიებული ინფორმაცია არ შეესაბამება თემას	მოიძია არასრული ინფორმაცია ან მოძიებული ინფორმაცია ნაწილობრივ შეესაბამება თემას	მოიძია სრულყოფილი ინფორმაცია
ინფორმაციის დახარისხება	ინფორმაცია არ არის დახარისხებული	ინფორმაცია დახარისხებულია ნაწილობრივ	ინფორმაცია დახარისხებულია სრულყოფილად
თვალსაჩინოებათა შექმნა/მოძიება	პროექტს თვალსაჩინოებები არ ახლავს ან თემის შეუსაბამოა	თვალსაჩინოებების ნაწილი შეესაბამება თემას	ახლავს თემის შესაბამისი მრავალფეროვანი თვალსაჩინოებები
პროექტის საპრეზენტაციოდ მომზადება	პროექტი არაა საპრეზენტაციოდ მომზადებული ან მომზადებულია უსარისხოდ	პროექტი გარკვეული ხარვეზებითაა საპრეზენტაციოდ მომზადებულია	როექტი მომზადებულია სრულყოფილად
თემის პრეზენტაცია აქტუალობის დასაბუთება	პრეზენტაცია არ შედგა ან იყო თემის შეუსაბამო	პრეზენტაცია გარკვეული ხარვეზებით ჩატარდა, სრულად არ წარმოჩნდა თემის აქტუალობა, პრეზენტაციის მსჯელობა იყო ნაკლებად დამაჯერებელი	სწორად იყენებს ტერმინებს, მსჯელობს დამაჯერებლად და ასაბუთებს თემის აქტუალობას.

შემაჯამებელი სამუშაოები

ამ ნაწილში გთავაზობთ შემაჯამებელი (დიაბოლოიანი) დავალებების ხუთ ნიმუშს. დავალებები თავების თემატიკის მიხედვითაა შედგენილი. ეს დავალებები, ისევე როგორც მოსწავლის წიგნში მოცემული ტესტები, დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლის მიერ ამა თუ იმ თემის დაძლევის დონის განსაზღვრასა და ხარვეზების აღმოსაფხვრელი ზომების დაგეგმვაში. შემოთავაზებული ნიმუშების გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია თავად შეადგინოს ანალოგიური დავალებები კლასის საჭიროების მიხედვით.

როგორც დახურულბოლოიანი, ისე დიაბოლოიანი დავალებების დიდი არჩევანია ჩვენ მიერ მითითებულ ელექტრონულ რესურსებში. ამ მხრივ, განსაკუთრებით მოსახერხებელია და ადვილად გამოსაყენებელი პორტალ „პარგი სკოლას“ მიერ შემოთავაზებული სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული კლასის ან/და მოსწავლის საჭიროების მიხედვით, შევუკვეთოთ ამა თუ იმ თემისა და კოგნიტური დონის დავალებები.

გთავაზობთ მოცემული დავალებებისთვის განმავითარებელი შეფასების ნიმუშს:

	დაბალი	საშუალო	მაღალი
კრიტერიუმი	ცდილობს, მაგრამ უჭირს დავალების შესრულება მასწავლებლის დახმარებითაც კი. დამოუკიდებლად შესრულების შემთხვევაში შეცდომით ხსნის დავალებათა ნახევარზე მეტს.	დამოუკიდებლად და უშეცდომოდ ასრულებს დავალებების არანაკლებ ნახევარს. მასწავლებლის დახმარებით ადგილად ასწორებს დაშვებულ შეცდომას, რასაც ადვილად ასწორებს მასწავლებლის მითითების შემდეგ.	დამოუკიდებლად და უშეცდომოდ ასრულებს დავალებას. იშვიათად უშებს შეცდომას, რასაც ადვილად ასწორებს მასწავლებლის მითითების შემდეგ.

შემაჯამებელი სამუშაო №1
გამეორება

1. გამოთვალე ჯამი: а) $5+9$; ბ) $12 + 7$.

პასუხი: а) _____ ბ) _____

2. გამოთვალე სხვაობა: ა) $8 - 4$; ბ) $16 - 7$.

პასუხი: а) _____ ბ) _____

3. ნინომ და მერიმ 14 მანდარინი თანაბრად გაინაწილეს. რამდენი მანდარინი ერგო თითოეულს?

პასუხი: а) _____

4. კახამ ფეხბურთის ბურთი შეიძინა. მოლარემ ოცლარიანი ბანკნოტიდან 3 ლარი ხურდა დაუბრუნა. რამდენი ლარი ღირდა ბურთი? თოვლინა შეიძინა. თოვლინა 13 ლარი ღირდა. ლანამ მოლარეს 2 ათლარიანი

პასუხი: а) _____

5. რა რიცხვი უნდა ეწეროს ტოლობაში Δ -ის ნაცვლად?

ა) $8 + \Delta = 16$; ბ) $13 - \Delta = 5$.

პასუხი: а) _____

**შემაჯამებელი სამუშაო № 2
რიცხვები 0- დან 100-მდე**

1. რა რიცხვებია გამოტოვებული?

10 20 30 50 70 80 90

პასუხი: ა) _____ ბ) _____

2. დაწერე ა) 79-ზე 1-ით მეტი რიცხვი; ბ) 50-ზე 1-ით ნაკლები რიცხვი.

პასუხი: ა) _____ ბ) _____

3. დაალაგე ზრდის მიხედვით რიცხვები:

21, 18, 43, 37, 89, 45

პასუხი: _____

4. სულ რამდენი თეთრია ნახატზე?



პასუხი: ა) _____

5. გელას ერთი ლარი ჰქონდა. მან 60 თეთრი ნაყინში გადაიხადა. რამდენი თეთრი დარჩა გელას?

პასუხი: ა) _____

შემაჯამებელი სამუშაო № 3 შეკრება

1. ნორჩი ეკოლოგის წრეში 15 გოგონა და 23 ვაჟია გაერთიანებული. სულ რამდენი მოსაწავლეა გაერთიანებული ნორჩი ეკოლოგის წრეში?
-

პასუხი: _____

2. სკოლის მოსწავლეებმა ტყის აღდგენის აქციაში მიიღეს მონაწილეობა. მათ 45 ფიჭვის და 28 ნაძვის ნერგი დარგეს. სულ რამდენი ნერგი დარგეს მოსწავლეებმა?
-

პასუხი: _____

3. გიგას 17 კანფეტი აქვს, სალომეს – გიგაზე 3 კანფეტით მეტი. რამდენი კანფეტი აქვთ გიგას და სალომეს ერთად?
-

პასუხი: _____

4. მას შემდეგ რაც 24 ბელურა გაფრინდა, ხეზე 17 ბელურა დარჩა. რამდენი ბელურა იჯდა ხეზე თავდაპირველად?
-

პასუხი: _____

5. რა რიცხვი უნდა ეწეროს ტოლობაში Δ -ის ნაცვლად?

ა) $88 - \Delta = 66$; ბ) $\Delta - 48 = 5$.

პასუხი: ა) _____ ბ) _____

შემაჯამებელი სამუშაო № 4
გამოკლება

1. ტყის დასუფთავებაში 35 მოსწავლე მონაწილეობდა. მათგან 23 გოგონა იყო. რამდენი ვაჟი მონაწილეობდა ტყის დასუფთავებაში?

პასუხი: _____

2. გამოთვალე სხვაობა: а) 78 — 15; ბ) 85 — 27.

3. სკოლის მოსწავლეებმა ტყის აღდგენის აქციაში მიიღეს მონაწილეობა. მათ 45ფიჭვის და 28 ნაძვის ნერგი დარგეს. სულ რამდენი ნერგი დარგეს მოსწავლეებმა?

პასუხი: _____

4. რა რიცხვი უნდა ეწეროს ტოლობაში Δ -ის ნაცვლად?

ა) $18 + \Delta = 56$; ბ) $\Delta + 48 = 75$.

პასუხი: ა) _____ ბ) _____

5. მოცემული ოთხკუთხედი ერთი ხაზის გავლებით გაყავი სამკუთხედად და ოთხკუთხედად.



შემაჯამებელი სამუშაო № 5
შეკრება-გამოკლება

1. გამოთვალე: $38 + 25 = 15.$
-

პასუხი: _____

2. რა რიცხვი უნდა ეწეროს ტოლობაში Δ -ის ნაცვლად?

$$37 + 17 + \Delta = 56;$$

პასუხი: _____

3. სკოლის ეზოს დასუფთავებაში 24 გოგონა და გოგონებზე 6-ით ნაკლები ვაჟი მონაწილოებდა. სულ რამდენი მონაწილეობდა ეზოს დასუფთავებაში?
-
-

პასუხი: _____

4. გამოთვალე: $78 - 23 + 25.$
-
-

პასუხი: _____

5. მოცემული ოთხკუთხედი ერთი ხაზის გავლებით გაყავი სამკუთხედად და ხუთკუთხედად.



როგორ შევამოწმოთ გაკვეთილზე საშინაო დავალება

სწავლების ორგანიზაციის ერთ-ერთ ფორმას საშინაო დავალება წარმოადგენს. სახლში მუშაობას დიდი როლი აკისრია. სახლში მუშაობისას მოსწავლე იღრმავებს გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას, ენვევა დამოუკიდებელ მუშაობას, ორგანიზებულობას, შესასრულებელ დავალებაზე პასუხისმგებლობას.

სახლში მუშაობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მასწავლებელზე, მის მიერ მოსწავლისა და სწავლის პროცესის იმ ნაწილის ორგანიზებაზე, რომელიც საშინაო დავალების მიცემასა და შემოწმებას ეხება.

გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ უმცროსკლასელებს დავალების შესრულებისას ხშირად მშობლები ეხმარებიან. დავალებას აწერინებენ ფურცელზე, უმოწმებენ, ყოველგვარი ანალიზისა და ახსნის, კომენტარების გარეშე უსწორებენ შეცდომებს. რის შემდეგ ბავშვი დავალებას სუფთად გადაწერს რვეულში. საშინაო დავალების შემოწმებისას მასწავლებელი თუ მხოლოდ იმით დაქმაყოფილდება, რაც მოსწავლეს რვეულში უწერია, მაშინ ეს შემოწმება არ შეესაბამება არც მოსწავლის ცოდნას და არც მის მიერ გახარჯულ იმ დროსა და ენერგიის, რაც დავალების შესრულებას დასჭირდა. ამის შედეგი კი ისაა, რომ მოსწავლე ვერ შეძლებს კლასში დამოუკიდებლად მუშაობას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დავალება საშინაო დავალების ანალოგიურია. არ შეუძლია მსჯელობა, ფიქრი, ანალიზი, არა აქვს საკუთარი თავის რწმენა. ამიტომ მასწავლებელმა მხოლოდ ჩამოვლითა და ფრონტალური გამოკითხვით არ უნდა შეამოწმოს დავალება. ამისთვის მან უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ხერხი და საშუალება, რომელიც დაეხმარება მას მოსწავლეთა აქტიური მოქმედების მიღწევასა და იმის დაღგენაში, შეასრულა თუ არა მან საშინაო დავალება დამოუკიდებლად. ამ ხერხებისა და საშუალებების მოფიქრებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ დავალების შემოწმების ფუნქცია არა მარტო კონტროლი, არამედ სწავლებაც.

საშინაო დავალების შემოწმება გაკვეთილის ორგანული ნაწილი უნდა იყოს. ის ან ახალი მასალისთვის მზადებას, ან განვლილის განმტკიცება-გამეორებას უნდა ემსახურებოდეს. განვიხილოთ ასეთი მაგალითი:

დაგუშვათ დავალებად აქვთ ამოცანა: „ნინომ 10 რვეული და რვეულებზე 3-ით მეტი ფანქარი შეიძინა. რამდენი ფანქარი შეიძინა ნინომ?” ამოხსნის შემდეგ მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: გადაშალეთ საშინაო დავალების რვეულები და ნახეთ ოქვენ მიერ შესრულებული ამოხსნა. რით პგავს კლასში და სახლში შესრულებული ამოცანები ერთმანეთს? რით განსხვავდება? (პგავს რიცხვითი მონაცემებითა და კითხვებით, მაგრამ საშინაო დავალებაში მოცემული იყო „3-ით ნაკლებობა”, კლასში კი „3-ით მეტობა”. ამოხსნაც განსხვავებული აქვთ. საშინაო დავალება გამოკლებით ამოვხსენით, ხოლო საკლასო – შეკრებით.)

2) მასწავლებელი დაფაზე წერს ტექსტს: „ ერთ მავთულზე 10 მერცხალი იჯდა, სამი გაფრინდა.” დასვით მოცემული პირობის მიხედვით კითხვა (რამდენი მერცხალი დარჩა

მავთულზე?) პგავს თუ არა ეს ამოცანა საშინაო დავალების ამოცანას? (არა. საშინაო დავალება შეკრებით იხსნება, ეს კი გამოკლებით)

3) მასწავლებელი დაფაზე წერს ტექსტს: „ერთ თაროზე 9 წიგნია. რამდენი წიგნია მეორე თაროზე?”

– დაამატეთ ამოცანას პირობა ისე, რომ იგი ისევე ამოიხსნას, როგორც დავალება ამოხსენით.

მოსწავლეები ისევ უბრუნდებიან საშინაო დავალებას. ახდენენ შეპირაპირებას და ანალოგის მიხედვით ავსებენ შეთავაზებული ამოცანის პირობებს.

საშინაო დავალების შემოწმების წარმოდგენილი ხერხი მოსწავლეს აქტიურ მუშაობაში რთავს, მასწავლებელი კი აკონტროლებს და ასწავლის. ამავე დროს, იყენებს რა განსხვავებულ მეთოდებს (ამოცანების შედარება, ამოცანისთვის კითხვის მოფიქრება, ამოცანის პირობების შევსება), უყალიბებს მოსწავლეებს ამოცანის ამოხსნის უნარ-ჩვევებს. საშინაო დავალების შემოწმებასთან დაკავშირებით დამატებითი ამოცანების შემოტანა ორგანულად ერთვება გაკვეთილში და ემსახურება მის მიზანს.

იმ შემთხვევაში, როდესაც საშინაო დავალების შემოწმება გაკვეთილის მიზანს არ შეესაბამება, მაშინ მისი შემოწმებისას სასარგებლოა, მოსწავლეებს მასწავლებელმა დაუსვას კითხვები, რომლებიც აჩვენებს მასწავლებელს, თუ რამდენად სწორად, გააზრებულად და დამოუკიდებლად ამოხსნა იგი მოსწავლემ. მაგალითად, დავალებად ჰქონდათ ასეთი ამოცანა: „თათიას 50 თეთრი ჰქონდა. სკოლის ბუფეტში მან 30-თეთრიანი ნამცხვარი შეიძინა. მეორე დღეს დედამ თათიას კიდევ 50 თეთრი მისცა. რამდენი თეთრი გაუხდა თათიას?”

ამოცანის პირობის მიხედვით შეიძლება დაუსვას დამატებითი კითხვები:

- ✓ თათიას I დღეს უფრო მეტი თეთრი ჰქონდა თუ II დღეს? (II დღეს) რატომ ფიქრობ ასე? (II დღეს დედამ იმაზე მეტი მისცა თათიას, ვიდრე მან წინა დღეს დახარჯა.)
- ✓ რამდენი თეთრი გაუხდა თათიას II დღეს?”(70 თეთრი)
- ✓ I დღესთან შედარებით რამდენი თეთრით მეტი თანხა გაუხდა თათიას II დღეს? (20)
- ✓ რამდენი ასეთი ნამცხვრის ყიდვა შეუძლია თათიას? (2)
- ✓ რამდენი თეთრი არ ჰყოფნის თათიას სამი ისეთივე ნამცხვრის შესაძენად? (20)

ასეთი საუბარი მოსწავლეს დამოუკიდებლად მუშაობისა და ამოცანის რიცხვით მონაცემებს შორის კავშირების გარკვევის საშუალებას აძლევს.

როდესაც საშინაო დავალებად რიცხვითი გამოსახულებების გამოთვლები აქვთ, მაშინ ამ დავალების შემოწმების ერთ-ერთი გზა ასეთია:

- ✓ წაიკითხე გამოსახულებები, რომელშიც გამოთვალე ჯამი.
 - ✓ წაიკითხე გამოსახულებები, რომელშიც გამოთვალე სხვაობა.
 - ✓ წაიკითხე გამოსახულება, რომელსაც ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს.
 - ✓ წაიკითხე გამოსახულება, რომელსაც ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა აქვს.
 - ✓ წაიკითხე გამოსახულებები, რომელიც იოლი გზით გამოთვალე.
 - ✓ წაიკითხე გამოსახულებები, რომელშიც გამოიყენე 10-ის შედგენილობა
 - ✓ დაწერეთ მიღებული პასუხები ზრდის/კლების მიხედვით.
 - ✓ შეკრების მაგალითიდან შეადგინე გამოკლების 2 მაგალითი. და ა. ჭ.
- შეიძლება შემოწმების ირიბი ხერხების გამოყენებაც. მაგალითად:
- ✓ რა რიცხვი უნდა გამოვაკლოთ 9-ს, რომ 7 მივიღოთ?
 - ✓ საშინაო დავალების რომელი მაგალითი დაგეხმარა ამ კითხვაზე საპასუხოდ?

- ✓ რა რიცხვი უნდა მივუმატოთ 4-ს, რომ 10 მივიღოთ?
 - ✓ საშინაო დავალების რომელი მაგალითი დაგენერარა ამ კითხვაზე საპასუხოდ?
- და ა. შ.
- შეიძლება მასწავლებელმა შეარჩიოს დავალების ერთი მაგალითი ვთქვათ, $15+27=42$ და ასე წარმართოს შემოწმება: დაფაზე დაწეროს $15+*=42$ და იკითხოს: – საშინაო დავალების რომელი მაგალითი დაგენერარება „*"-ის ნაცვლად ტოლობაში ჩასასმელი რიცხვის პოვნაში?
- ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ მოსწავლებმა უცნობი კომპონენტების პოვნის წესები არ იციან.

ამოცანის ამოხსნის შესამოწმებლად შეიძლება გამოვიყენოთ კითხვების სისტემა:

- ✓ რამდენი მოქმედებით ამოხსნით ამოცანა? I რა მოქმედება შეასრულეთ?
- ✓ რა გამოთვალეთ პირველი მოქმედებით?
- ✓ რატომ შეასრულეთ ეს მოქმედება პირველი?
- ✓ შეცვალეთ ამოცანის პირობა ისე, რომ პირველი მოქმედება იყოს გამოკლება/შეკრება.

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლებს ერთმანეთისათვის შეამოწმებინოს დავალება – ეს დამოუკიდებელი მუშაობის უმაღლესი საფეხურია. ამ ხერხის გამოყენება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როდესაც მასწავლებელს გაკვეთილზე გამოყენებული ექნება დავალების შემოწმების სხვადასხვა ხერხი. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ურთიერთშემოწმება შეგნებული, პასუხისმგებლური და არა ფორმალური.

დავალების შემოწმება უნდა მოხდეს ყოველ გაკვეთილზე, თუმცა გაკვეთილების გეგმებში და სცენარებში ამაზე ყურადღებას არ ვამახვილებთ. ამასთანავე, ბავშვებს უნდა ვასწავლოთ არა მარტო ის, შეამოწმონ – სწორია პასუხი თუ არა, არამედ ისიც, რა კრიტერიუმების მიხედვით უნდა შეაფასოს და როგორ გამოთქვას თავისი შეფასება (არ უნდა იყოს შეურაცხმულელი თანაკლასებულისთვის, რა სიტყვები იხმაროს, მისცეს რჩევა შეცდომის გამოსასწორებლად, დაქმაროს შეცდომის გამოსწორებაში, გაუზიაროს თავისი ცოდნა და/ან გამოცდილება, ასწავლოს და სხვ.). ეს სამუშაო თანდათან, პატარა საფეხურების და ეტაპების გავლით უნდა დაიგეგმოს (მაგალითად, ერთ გაკვეთილზე შეფასების ერთ კრიტერიუმს ვასწავლით და მერკე, რამდენიმე გაკვეთილზე ამის განმტკიცება ხდება, მერე შეფასების ვერბალურ ხერხებს ვასწავლით და ისევ რამდენიმე გაკვეთილზე ამ ცოდნის განმტკიცება და გავარჯიშება ხდება და ა.შ.). დიდი სიფრთხისილეა საჭირო! ასეთი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების გარეშე (როცა ბავშვი არაა მომზადებული სხვისი სამუშაოს შეფასების პასუხისმგებლობა აიღოს), თანატოლების მიერ დავალების შეფასება შეიძლება კონფლიქტების წყარო გახდეს.

დამატებითი ამოცანები

(გასამეორებელი მასალა)

1) ა) ჩაწერე ციფრებით:

ოცდაშვიდი, თვრამეტი, ორმოცდაშვიდი, ოცდათოთხმეტი, სამოცდაჩვიდმეტი,
ოთხმოცდაცხრა, თერთმეტი, შვიდი, ორმოცდათვრამეტი, ოთხმოცდაცხრამეტი.
ამ რიცხვებიდან :

ბ) რომელია ორნიშნა რიცხვი? ერთნიშნა? უდიდესი? უმცირესი?

გ) ამოწერე ერთნაირი ციფრებით დაწერილი რიცხვთა წყვილები.

2) ა) წაიკითხე რიცხვები: 27, 55, 39, 63, 81, 87, 8, 44, 90, 36, 100;

ბ) დააღავგ ეს რიცხვები სიდიდის მიხედვით. რამდენნაირად შეიძლება ამის
გაკუთება?

გ) ამ რიცხვებს შორის იპოვე ერთი და იმავე ციფრებით დაწერილი ორი
სხვადასხვა რიცხვი;

დ) ამ რიცხვებიდან რომელი რიცხვია დაწერილი ორი ერთნაირი ციფრით? კიდევ
რომელი ასეთი რიცხვის დასახელება შეგიძლია?

3) ა) რა ციფრებით იწერება რიცხვი ოთხმოცდაშვიდი? ამავე ციფრებით დაწერე
სხვა ორნიშნა რიცხვი. შეადარე ისინი ერთმანეთს;

ბ) დაწერე უდიდესი ორნიშნა რიცხვი;

გ) დაწერე უმცირესი ორნიშნა რიცხვი.

4) დაწერე რიცხვი, რომელიც შეიცავს:

- ორ ათეულს და სამ ერთეულს;
- ხუთ ერთეულს და შვიდ ათეულს;
- სამ ათეულს და სამ ერთეულს;
- სამ ოცეულს და სამ ერთეულს;
- ოთხ ერთეულს და ორ ოცეულს;
- ერთ ოცეულს და ჩვიდმეტ ერთეულს;
- სამ ოცეულს და შვიდ ერთეულს;
- მხოლოდ ხუთ ოცეულს;
- მხოლოდ შვიდ ათეულს.

5) რა ქვია რიცხვს რომელშიც შედის:

- სამი ათეული და ორი ერთეული?
- ხუთი ერთეული და ოთხი ოცეული?
- შვიდი ოცეული და სამი ერთეული?
- ხუთი ერთეული და ცხრა ათეული?
- ექვსი ათეული?
- შვიდი ერთეული?

6) რა რიცხვია:

ა) 65-ის შემდეგ? მის წინ? ბ) 90-ის შემდეგ? მის წინ? გ) 51-ის შემდეგ? მის წინ?

7) რა რიცხვებია 9-სა და 15-ს შორის? ოცდათვრამეტსა და ორმოცდაოთხს შორის?
ოთხმოცდაოთხსა და სამცდაჩვიდმეტს შორის?

8) დაასახელე ყველა ორნიშნა რიცხვი, რომელიც:

- ა) იწყება ციფრით 1-იანი;
გ) ბოლოვდება ციფრი 7-ით;

9) გამოთვალი:

$$\begin{array}{ccccc} 10+7 & 60+5 & 98+1 & 36-20 & (6+4)+7 \\ 17-7 & 65-5 & 96-1 & 36-16 & 20-(3+2) \\ 17-10 & 65-60 & 80-1 & 20+16 & (15+4)-9 \end{array}$$

10) ერთ თაროზე 15 წიგნია, მეორეზე 4 წიგნით მეტი, ვიდრე პირველზე. რამდენი წიგნია მეორე თაროზე?

11) შარვალი ღირს 60 ლარი. კაბა შარვალზე 17 ლარით იაფია. რა ღირს კაბა?

12) დაასახელე რიცხვები 27-დან 45-მდე და შებრუნებით. ამ რიცხვებიდან რომელი შეიცავს ზუსტად ოთხ ათეულს? რომელი რიცხვებიდან ათხ ათეულზე ნაკლები?

13) დაწერე კლება რიცხვი 28-დან 36-მდე. ამ რიცხვებიდან რომელი შედგება ორი ათეულისგან? რომელი რიცხვებიდა სამ ათეულზე მეტი?

14) ამონები მაგალითები ყველაზე იოლი ხერხით:

$$\begin{array}{cccc} 0+3)+5 & (20+7)+30 & (40+3)+7 & (26+4)+8 \\ (20+3)-3 & (50+8)-40 & (30+10)-4 & (8+6)-9 \end{array}$$

15) გამოთვალი:

$$\begin{array}{cccc} 8-2 & 9-9 & 7+3 & 4+5 \\ 0+4 & 6-2 & 0+0 & 9-3 \end{array}$$

16) დედა კურდდელმა ბაჭიებს 8 სტაფილო გაუნაწილა. 3 მისცა უმცროსს, დანარჩენი – უფროსს. რამდენი სტაფილო ერგო უფროს ბაჭიას?

17) ჩაწერე კლების მიხედვით რიცხვები 18-დან 8-მდე (ჩათვლით).

18) შეცვალე რიცხვით „*” ისე, რომ სწორი ტოლობა მიიღო:

$$\begin{array}{ccc} 15-5=*& 19-*=17 & *+3=13 \\ 15+*=17 & 20-*=20 & 18-*=18 \end{array}$$

19) „*” შეცვალე „+” -ით ან „–” -ით ისე, რომ სწორი ტოლობა მიიღო.
 $5 * 10 = 15.$

20) ავტობუსში 25 მამაკაცი და 20 ქალი იყო. ავტობუსიდან 10 მგზავრი ჩავიდა. რამდენი ადამიანი დარჩა ავტობუსში? ამონები სხვადასხვა ხერხით.

21) გიგას 18 ბაჭია ჰყავს. რამდენი ბაჭია უმდა ჩასვას გიგამ თითო გალიაში, თუ ბაჭიებს ა) 2 გალიაში ბ) 3 გალიაში თანაბრად გაანაწილებს?

22) მაგდა 35 წლისაა. ის 13 წლით უფროსია თავის ვაჟზე. რამდენი წლისაა ვაჟი?

23) რამდენი ათეული და ერთეულია რიცხვებში: 25, 50, 55, 17, 78, 7, 27, 89?

24) თათიამ 27 ვარდი 3 ვაზაში თანაბრად გაანაწილა. დასვი კითხვა და ამონები ამოცანა.

25) მართკუთხა აუზის სიგრძე 20 მ-ია სანდრომ შეამდე გაცურა და უკან დაბრუნდა. რამდენი მეტრი გაუცურია სანდროს აუზის შეამდე? რამდენი მეტრი გაუცურია სულ?

26) თევზზე 5 ვაშლი და 7 მსხალია. რამდენით მეტია მსხალი ვაშლზე?

27) თევზზე 8 ვაშლი და 10 მსხალია. რამდენით ნაკლებია ვაშლი მსხალზე?

28) ა) თევზზე 12 ვაშლია. მსხალი კი 7-ით ნაკლები, ვიდრე ვაშლი. რამდენი მსხალია თევზზე?

ბ) თევზზე 12 ვაშლია, რაც 5-ით აღემატება მსხლების რაოდენობას. რამდენი მსხალია თაფზზე?

- გ) თევზზე 7 ვაშლია რაც 5-ით ნაკლებია მსხლების რაოდენობაზე. რამდენი მსხალია თევზზე?
- დ) შეადარე ეს ამოცანები ერთმანეთს. რა მსგავსებაა მათ შორის?
- 29)** რიცხვს უნდა მიუმატონ 9. მიუმატეს 2. კიდევ რამდენი უნდა მიუმატონ?
- 30)** რიცხვს უნდა მიუმატონ 7. მიუმატეს 4. კიდევ რამდენი უნდა მიუმატონ?
- 31)** ზორმადაზიაში 35 ლეკვი პყავდათ. 15 გაყიდეს. კიდევ რამდენი ლეკვი დარჩა გასაყიდი?
- 32)** ერთ თაროზე 24 წიგნია, მეორეზე 19-ით მეტი. რამდენი წიგნია ორივე თაროზე?
- 33)** უფროსკლასელებმა სკოლის ეზოში დარგეს 27 ხე, უმცროსლასელებმა კი 11-ით ნაკლები. რამდენი ხე დარგეს უმცროსკლასელებმა?
- 34)** ლიზიმ ზღვის ნაპირზე 19 თეთრი და 8 ჭრელი ნიუარა შეაგროვა. სულ რამდენი ნიუარა შეაგროვა ლიზიმ?
- 35)** მაღაზიამ პირველ დღეს 38 ტელევიზორი გაყიდა, მეორე დღეს 9-ით მეტი. რამდენი ცალი ტელევიზორი გაყიდა მაღაზიამ მეორე დღეს? სულ?
- 36)** ლია 14 წლისაა. იგი 5 წლით უფროსია ანაზე. რამდენი წლისაა ანა?
- 37)** დათუნას 10 ლარი აქვს, გიორგის კი 14 ლარი. შულ რამდენი ოთხლარიანი მანქანის შეძენა შეუძლიათ ძმებს ამ ფულით?
- 38)** შეასრულე მოქმედებები:
- | | | | | | |
|----|--------|--------|----|--------|--------|
| ა) | 6 – 4 | 9 – 3 | ბ) | 77 – 5 | 24 – 8 |
| | 46 – 4 | 49 – 3 | | 95 – 5 | 17 – 8 |
| | 56 – 4 | 79 – 3 | | 68 – 5 | 39 – 8 |
| | 76 – 4 | 99 – 3 | | 25 – 5 | 67 – 8 |
- 39)** დაწერე ის რიცხვები, რომლებშიც:
- ათეულების რიცხვი 3-ით მეტია ერთეულების რიცხვზე;
 - ერთეულების რიცხვი 7-ით ნაკლებია ათეულების რიცხვზე;
 - ერთეულების რიცხვისა და ათეულების რიცხვის ჯამი იძლევა 5-ს;
 - ერთეულების რიცხვი მეტია 5-ზე და ათეულების რიცხვი ნაკლებია 6-ზე.
- 40)** მოცემულია ციფრები: 3 და 9.
- ა) ყველა შესაძლო ორნიშნა რიცხვი და დაალაგე ისინი სიდიდის მიხედვით.
- 41)** დაწერე 7 სხვადასხვა ორნიშნა რიცხვი. თითეული შეამცირე 4-ით.
- 42)** გამოთვალი:
- | | | | |
|------|------|---------|--------|
| 8+2 | 23+7 | 90 – 3 | 60 – 7 |
| 27+3 | 82+8 | 100 – 7 | 50 – 4 |
| 48+5 | 19+1 | 70 – 5 | 20 – 6 |
- 43)** ნაძვის ხეზე რამდენიმე სათამაშო იყო. როცა კიდევ 8 სათამაშო ჩამოკიდეს, სათამაშოების რაოდენობა 22 გახდა. რამდენი სათამაშო იყო ნაძვის ხეზე თავდაპირველად?
- 44)** 25-ს მიუმატეს უცნობი რიცხვი და მიიღეს 30. იპოვე უცნობი რიცხვი.
- 45)** ერთ ყუთში 13 ქილა თაფლია, მეორეში 11 ქილა. ა) რომელ ყუთშია მეტი თაფლი და რამდენით? ბ) რამდენი ქილა უნდა ამოვილოთ პირველი ყუთიდან, რომ მასში იმდენივე თაფლი დარჩეს, რამდენიც მეორე ყითშია?
- 46)** ბაღში ატმის, მსხლის და ვაშლის ხეებია. ატმის 20 ხეა, მსხლის 27, ხოლო ვაშლის იმდენი ხეა, რამდნიც მსხლის და ატმის ერთად. სულ რამდენი ხეა ბაღში?

47) წიგნი 15 ლარი დირს, ალბომი 4 ლარი, სახაზავი 1 ლარი. რამდენი ლარი უნდა გადაიხადო ა) წიგნსა და ალბომში? ბ) წიგნში, ალბომსა და სახაზავში? გ) წიგნსა და ორ სახაზავში?

48) გამოთვალი:

$22+7+60 = 80$	$65 - 36$	$71 - 56+19$
$100 - 45+38$	$64 - 37$	$56 - 50+30+50$
$80 - 56 - 24$	$51 - 29$	$77 - 50 - 20$
$93 - 14 - 47$	$52 - 28$	$63 - 28 - 39$
$45+3+40 = 60$	$53 - 27$	$54 - 26 +41$

49) რა რიცხვი უნდა მივუმატოთ 7-ს, რომ უდიდესი ერთნიშნა რიცხვი მივიღოთ?

50) რა რიცხვი უნდა გამოვაკეთოთ 7-ს, რომ უმცირესი ერთნიშნა რიცხვი მივიღოთ?

51) ინგლისურ ანბანში **C** ასო **B**-ს მომდევნო, მაგრამ **D**-ს წინა ასოა, ხოლო **B** ასო **A**-ს მომდევნოა. რა თანმიმდევრობითაა ინგლისურ ანბანში ეს ასოები?

52) 14-ს ორი განსხვავებული რიცხვი გამოვაკეთო და 13 მივიღე. რა რიცხვები გამოვაკეთო?

53) ჭადრაკის მეცადინეობას 8 ვაჟი და 2 გოგონა ესწრება. შეუძლიათ თუ არა მათ ერთდროულად 5 დაფასთან თამაში?

54) როგორ მივიღოთ რიცხვი 2 ორი სხვადასხვა რიცხვის შეკრებით?

55) ეკამ და ნიკამ იპოვეს 4 ქამა, 2 მიქლიო და ნაძვის 4 გირჩა. რამდენი სოკო იპოვეს ბავშვებმა?

56) შეიძინეს 2 მაგიდა და 7 სკამი. კიდევ რამდენი სკამი უნდა შეიძინონ, რომ თითოეულ მაგიდასთან 4 სკამი დადგან?

57) ყოველ საკლასო ოთახში 1 მაგიდა და 2 კარადა უნდა დადგან. რამდენ საკლასო ოთახს ეყოფა 5 მაგიდა და 7 კარადა?

58) დახაზე იძღენი კვადრატი, რომ მათი რაოდენობა მეტი იყოს 3 ჯოხის ბოლოების რაოდენობაზე, მაგრამ ნაკლები იყოს სამი ჯოხისა და კიდევ შუაზე გადატეხილი ჯოხის ერთი ნახევრის ბოლოების საერთო რაოდენობაზე.

59) მონიშნე 12 წერტილი 3 მონაკვეთზე ისე, რომ თითოეულ მონაკვეთზე მონიშნული იყოს 5 წერტილი.

60) უჯრაში 9 ერთეულია ჩაწერილი. 3 ერთეული კიდევ ჩაწერე ამ უჯრებში ისე, რომ ყოველ რიგში, სიგრძეზე, თუ სიგანეზე, რიცხვების ჯამი იყოს 4.

1	1	1
1	1	1
1	1	1

61) წაშალე მოცემული 16 ციფრიდან 13 ისე, რომ დარჩენილთა ჯამი იყოს 20.

1	7	3	1
5	9	1	2
7	2	9	5

განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში
(სასწავლო წლის ბოლოსთვის)

კრიტერიუმი ები	დონეები		
	დაბალი	საშუალო	მაღალი
100-ზე ნაკლები ნატურა- ლური რიცხვები	<ul style="list-style-type: none"> • გაჭირვებით ახერ- ხებს რიცხვების სწო- რად წაკითხვას, ჩაწე- რასა და თვლას. • უჭირს უპუთვლა. • უჭირს ორნიშნა რი- ცხვის ჩანაწერში თანრიგების მითითება და თანრიგში მდგომი ციფრის მნიშ- ვნელობის დასახელება. • უჭირს უშეცდომოდ დასასახლოს ელექტრის რიგითი ნომერი მოწესრიგებულ ერთობლიობაში. 	<ul style="list-style-type: none"> • კითხულობს ერთნიშ- ნა და ორნიშნა რიცხ- ვებს, ასახელებს მათ წინა და მომდევნო რიცხვებს, უმეტესად სწორად ითვლის ბი- ჯით წინ/უკან. • ორნიშნა რიცხვის ჩანაწერში ზოგჯერ არასწორად უთითებს თანრიგებს და არასწო- რად ასახელებს თანრიგებში მდგომი ციფრების მნიშვნელო- ბას. • უმეტესად უშეცდო- მოდ ასახელებს ელექ- ტრის ნომერს მოწეს- რიგებულ ერთობლიო- ბაში. 	<ul style="list-style-type: none"> • კითხულობს ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვებს, ასახელებს მათ წინა და მომდევნო რიცხვებს, ითვლის ბიჯით წინ/უკან. • ორნიშნა რიცხვის ჩანა- წერში უშეცდომოდ, სხარტად უთითებს თანრიგებს და ასახელებს თანრიგებში მდგომი ციფრების მნიშვნელობას. • უშეცდომოდ ასახელებს ელექტრის ნომერს მოწესრიგებულ ერთობლიობაში.
არითმეტი- კული მოქმედე- ბები	<p>ვერ ასრულებს არითმეტიკულ მოქმედებებს ორნიშნა რიცხვებზე. ვერ აღიქვა შეკრების ვერცერთი თვისების შინაარსი. იშვიათად ახერხებს</p> <p>გაორმაგება- განახევრების მოქმე- დებების შესრულებას თვალსაჩინოების გამოყენებით</p>	<p>უმეტესად ახერხებს ერთმანეთს დააკავშიროს რიც- ხვები, რიცხვებს შო- რის</p> <p>დამოკიდებულებები და შეკრება- გამოკლების მოქმედები.</p> <p>მეტწილად ახერხებს გაორმაგება-განა- ხევრების მოქმედების შესრულებასა და შეკრების თვისებების გამოთვლებში გამოყენებას</p>	<p>წარმატებით აპავშირებს ერთმანეთს რიცხვებს, რიცხვებს შორის დამოკიდებულებებსა და შეკრება-გამოკლების მოქ- მედებებს. სწრაფად და უშეცდომოდ ახერხებს გაორმაგება-განახევრების მოქმედებების შესრუ- ლებას. წარმატებით იყენებს შეკრების თვისებებს გამოთვლებში.</p>

ამოცანები ს ამოხსნა	უჭირს ამოცანის ტექსტის წაკითხვა და გააზრება. არაადეკვატური გზით, შეფერხებითა და შეცდომით ხსნის ამოცანას	მეტ-ნაკლებად აანალიზებს ამოცანის მონაცემებს, ხარვეზებით ხსნის ამოცანებს.	ყოველთვის სწორად ირჩევს ამოცანის ამოხსნის გზას და ხარვეზების გარეშე, ადვილად ხსნის ამოცანებს. ამოცანის კითხვას პასუხობს აღმარტურად.
პერიოდული მიმდევრობები	უჭირს, ვერ ახერხებს მარტივი კნონზომიერების ამოცნობა-გავრცობას.	ახერხებს მარტივი კანონზომიერების ამოცნობას თუმცა ზოგჯერ უჭირს დალაგება, გავრცობა.	ყოველთვის სწორად ამოიცნობს კანონზომიერებას და უშეცდომოდ ალაგებს ობიექტებსა თუ რიცხვებს მოცემული წესით.
გეომეტრიული ფიგურები, გარემოში მორიგენ-ტირება	ვერ ახერხებს ფიგურების შედარება/დაჯგუფებას გეომეტრიული ატ-რიბუტების მიხედვით, მიხედვით, ვერ უთითებს ფიგურების საერთო საზღვრებს, წვეროებს, გვერდებს, შიგა და გარე არეებს.	უმეტესად ახერხებს ფიგურების შედარება/დაჯგუფებას გეომეტრიული ატ-რიბუტების მიხედვით, ხშირად სწორად უთითებს ფიგურების საერთო საზღვრებს, წვეროებს, გვერდებს, შიგა და გარე არეებს.	სწორად და სხარტად ახერხებს ფიგურების შედარება/დაჯგუფებას გეომეტრიული ატ-რიბუტების მიხედვით, უშეცდომოდ უთითებს ფიგურების საერთო საზღვრებს, წვეროებს, გვერდებს, შიგა და გარე არეებს.
მონაცემთა შეგროვება, მოწესრიგება	არ შეუძლია მონაცემთა შეგროვება მისი უშუალო გარემოცვის შესახებ, ან ახერხებს მწირი ინფორმაციის შეგროვებას და ვერ ახერხებს მათ მოწესრიგებას.	შეუძლია მონაცემთა შეგროვება მისი უშუალო გარემოცვის შესახებ, თუმცა, ყოველთვის ვერ ახერხებს მათ მოწესრიგებას ხარვეზების გარეშე.	შეუძლია მონაცემთა შეგროვება მისი უშუალო გარემოცვის შესახებ, მათი მოწესრიგება და მონაცემთა სიის სიტყვიერი დახასიათება

ელექტრონული რესურსები

სადღეისოდ, ყველა სკოლას აქვს კომპიუტერული კლასები. ამიტომ მიზანშენონილად ჩავთვალეთ მიგვეთითებინა რამდენიმე საიტის მისამართი, რომლებზეც ელექტრონული რესურსებია განთავსებული.

ებ. პორტალი „კარგი სკოლა“

პორტალი „კარგი სკოლა“ – მრავალფუნქციური დანიშნულების ელექტრონული რესურსია. მასში თავმოყრილია დაწყებით სკოლაში ქართული ენისა და მათემატიკის სწავლების ყველა აუცილებელი ინსტრუმენტი. პორტალი რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება. მოკლედ მიმოვიხილოთ ჩვენი მიზნებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი განყოფილებები.

დიაგნოსტიკური შეფასება. პორტალის ამ განყოფილებაში მოცემულია მათემატიკის სწავლების შეფასების დიაგნოსტიკური ინსტრუმენტები კლასებისა და კომპეტენციების მიხედვით. მასწავლებელს შეუძლია, საჭიროების მიხედვით, შეარჩიოს კონკრეტული კლასის ამა თუ იმ კომპეტენციის შესამოწმებელი ტესტი. ამასთან, რესურსი შესაძლებლობას იძლევა, მასწავლებლის სურვილის მიხედვით, ავტომატურ რეჟიმში მომზადდეს როგორც ერთ ან რამდენიმე კომპეტენციაზე, ისე მოცემული კლასის ყველა კომპეტენციაზე ფოკუსირებული ტესტი. ჩვენ მიერ შემოთავაზებული ტესტებისა და შემაჯამებელი სამუშაოების პარალელურად, ამ ტესტების გამოყენება საკმარის ინფორმაციას მისცემს მასწავლებელს თითოეული მოსწავლის მიღწევის დონის შესახებ, რაც მას სწავლების ადეკვატური მეთოდების შერჩევაში დაეხმარება.

ელექტრონული კურსები მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღოს ელექტრონულ ტრენინგ-პროგრამაში, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს დაწყებით კლასებში მათემატიკის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. პროგრამაში ჩართული მასწავლებელი შეძლებს:

- სწავლებას კონსტუქტივისტური მეთოდის გამოყენებით;
- დიფერენცირებული მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში;
- მრავალფეროვანი რესურსებისა და მეთოდების ეფექტიან გამოყენებას;
- მოსწავლეთა უნარების მონიტორინგის წარმოებას.

ტრენინგ-პროგრამაში გათვალისწინებულია: ვიდეოლექციები, რეალური საკლასო სიტუაციების ანალიზი, მეთოდური წიგნებისა და სასწავლო ფილმების გაცნობა.

რესურსები მასწავლებლებისათვის. მასწავლებლის რესურსების სივრცეში თავმოყრილია სხვადასხვა სასწავლო მასალა და რესურსი, რომელთა მიზანია დაწყებითი სკოლის I-VI კლასებში ქართული ენისა და მათემატიკის სწავლა-სწავლებაში ინოვაციების ხელშეწყობა.

მოცემულ სივრცეში ასევე, მოთავსებულია რესურსები მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების ფასილიტატორებისათვის.

ხანის აკადემია

ხანის აკადემია არის პერსონიფიცირებული რესურსი ყველა ასაკისთვის, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის უფასო განათლების მიწოდება ყველასთვის. რესურსი მოიცავს სავარჯიშოებს, ვიდეო ინსტრუქციებს, ტესტებს, პერსონიფიცირებულ სასწავლო დაფას, რაც საშუალებას იძლევა მოსწავლეებმა იმუშაონ კლასშიც და სახლშიც (მობილურითაც კი). მასალა არის საწყისი დონიდან (პირველი კლასი) ბოლომდე (კალკულუსამდე). ეს მასალა დალაგებულია კლასებად და თემებად. მასწავლებელს ეძლევა საშუალება კლასი ერთდროულად ამუშაოს სხვადასხვა თემაზე იმის მიხედვით, თუ ვის რა უჭირს და ამასთან აკონტროლოს თითოეული მოსწავლის მიღწევის დონე, რასაც პროგრამა თავად განსაზღვრავს.

მისამართი: ka.khanacademy.org

ქვემოთ ვუთითებთ ორ ინგლისურენოვან საიტს:

პროგრამა Geogebra.

გეოგებრა არის მათემატიკური პროგრამა, რომელიც აერთიანებს ალგებრას, გეომეტრიას და გამოთვლებს. ის განავითარებს მათემატიკის სწავლებისა და ვარჯიშის პროცესს. საშუალებას იძლევა შეიქმნას დინამიური გვერდი და ჩვენებაზე გაეშვას კონსტრუქციის აგების ყველა ეტაპი.

მათემატიკური ელექტრონული ტესტები I-VI კლასებისთვის

ტესტები დაყოფილია თემატურად, შეცდომის შემთხვევაში აძლევს მითითებას სწორ პასუხსზე, გათვალისწინებულია დავალებათა მიმდევრობა მარტივიდან რთულისაკენ, აქვს დროის მთვლელი, არის მოწოდებული ინგლისურ ენაზე. მისამართი:

<http://www.ixl.com/math/grades>

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის
აღმოჩენის შემთხვევაში, გთხოვთ,
დაგვიკავშრდეთ ცხელ ხაზზე:

(+995 32) 2 200 220



**დაფინანსებულია „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის— ფარგლებში**

